ს. ზ ა ი ა ც ქ ი

891.7
ზ — 22

ჯოლოდანოს ბრუნოს

მოთხრობა

ტ ფ ი ლ ი ს ი
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
1 9 3 3

რედაქტორი: კ. მ ე ლ ა ძ ე
ლიტრედაქტორი: ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე
მთარგმნელი: ფ ა ღ ა ვ ა
გადაეცა წარმოებას 25/XI — 32
მთავლიტის რწმ. № ა — 477

კორექტორი: ქ. ბ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი
ხელმოწერილია დასაბეჭ. 28/IV — 33
სტ. ქ. 62 X 94, ს. ნ. ფ. 40.100
ტირაჟი. 7000. შეკვ. № 1003

სახელგამის პირველი სტამბა. ტფილისი. პროსპ. № 91.

ნაწილი პირველი

1. „ალბატროსი“ და კუდელი

1575 წელს იტალიის მიდამოებზე ამოვიდა აგვისტოს მზე და შეჩერდა გორაკის მწვერვალზე, ვით ვეებერთელა წითელი ბურთი. იგი ნებივრებდა კიდეც ძილის შემდეგ და თან ვერ გადაწყვიტა: დაეშვა სამგზავროდ ამ მტრედისფერ სივრცეში, თუ დასტკბეს იმ მშვენიერი სურათით, რომელსაც დვითვე მოფინა ბრწყინვალე სხივები. ხოლო მომხიბლველი ბევრი რამ იყო. გორაკების ფერდოებზე ვარდისფრად ბიბინებდნენ ვენახები; მზის მიერ შეშფოთებულ ვარდისფერ ნისლის კვამლიდან, ზღაპრულ სანახობასავით გამოიყურებოდა ნეაპოლი; თითქოს ლრუბელიაო, ისე ისახებოდა ვეზუვი. ხოლო იქ სადაც თეალთა ისარს შეეძლო მიწვდენა, უშორეოდ გაშლილიყო ხმელთა შუაზღვის სივრცე და მსუბუქი ბაზების სახით ნარნარებდნენ ჭუნძულ კაპრის ნაპირები. არც ერდი ფურცელი, არც ერთი ბალახი, არც ერთი ნაკადი არ ირხეოდა. ყველაფერი სდუმდა, თითქოს ყოველივე ძალებს იკრებდა მეორე დღისათვის. და ახალგაზრდა კაციც, რომელსაც, როგორც ჩანდა, ძლიერ ეჩქარებოდა ნეაპოლისაკენ, შეჩერდა შუა გზაზე, იგი უმოძრაოდ იდგა და ზღვის სივრცეს გასცქეროდა. მისი თანამგზავრი, შავი ეროვანი, აქვე გზის მტვერში ჩაგორებულიყო და მსიარულად შესცქეროდა ბრწყინვალე მზეს.

ახალგაზრდა კაცი მეტად დონიერი და ჯანმრთელი ჩანდა. იგი იდგა თავისი ზიშველი ხელებით დოინჯშემოყრილი და შეემუხვნილი შუბლით ზარს სივრცეს გასცქეროდა. იგი, ცხადია, ტყუილად არ სტკბებოდა ცის უსაზღვრო ლაჟვარდით. ტნობის მოყვარეობით სავსე, მისი შავი თვალები იცქირებოდნენ იქითკენ, სადაც ჰორიზონტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ იქ მხოლოდ მთლიანი მტრედისფერი ოკეანე იყო გაშლილი.

გზის მოსახვევთან ნაბიჯების ხმამ აიძულა იგი მობრუნებულიყო. ქოფაკმაც თავი ასწია და გამოყოფრა ენა გზას გახედა. კაცი ჯერ კიდევ არ მოჩანდა, მაგრამ მოისმოდა თუ როგორ სტვენდა იგი ერთს

იმ იტალიურს სიმღერათაგანს, რომელთა შესახებ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას — ნაღვლიანია თუ მხიარული. ეს სიმღერა, რადგან მათში ნაღველს მუდამ მხიარულება სცვლის და პირიქით — მხიარულებას ნაღველი. ქოფაკმა კუდის ქნევით მტვერი ააფორიაქა, უთუოდ ნაცნობს შეხვდა. მოსახვევიდან მაღალი მხარბეჭიანი მამაკაცი გამოვიდა წამოსასხამით; როგორც კი ახალგაზრდა ვაჟი დაინახა შეჩერდა.

— რიბელლო! — წამოიძახა მან. — საით მიხვალ, ყმაწვილო? რიბელომ მამაკაცს ხელი გაუწოდა.

— შენ საით გასწიე, ჯულიო?

— მე ნეაპოლიდან ეშმაკებში.

— მე ეშმაკებიდან ნეაპოლში.

ჯულიოს ეტყობოდა სახტად დარჩა ასეთი პასუხით.

— რადგან შენ იქიდან მოდიხარ — სთქვა მან გულკეთილი სიცილით,—მასწავლე მე იქეთკენ უმოკლესი გზა, სად არიან ეს ეშმაკები?

რიბელომ ვენახებისკენ მიუთითა.

— ყველგან, სადაც გინდა. აქაც, იქაც... სჩანს არც ზსე ცუდი ყოფილან ეს ადამიანის მტრები, არა, მართლა საით გასწიე ყმაწვილო? მამაშენმა როგორ გაგიშვა სახეტიალოდ ამ მუშაობის დროს?

— არც მიკითხავს მამაჩემისათვის.

— ა — ა! აჯანყდი, რიბელო, მოგბეზრდა დედმამის ცემატყეპა?

— ფულები მინდა ვიშოვნო ჯულიო.

— და ამისათვის ნეაპოლში მიდიხარ?

— ცოლი მინდა შევირთო, ჯულიო.

— ვიცი. ლუიზაზე ამბობ, ლუიზა კარგია, მაგრამ დედა მისი ჯოჯოხეთია.

— მე ხომ დედა მისს არ ვირთავ ცოლად. გესმის... მე ფული მჭირდება.

— ცხადია; მამა არ მოგცემს.

— მე საკუთარი ფულები მინდა მქონდეს.

— და ამიტომ გიმეორებ: შენ ცარიელი ხელებით მიდიხარ ნეაპოლში? ჯულიომ ცარიელი ტომარა შეარხია; შემდეგ კი ჯიბიდან ფულები ამოალაგა. ვერცხლის ფულებმა მზის სხივებზე ლაპლაპი დაიწყეს.

— წყეული ესპანელები გაფუჭებულ ფულებს უშვებენ. — სთქვა ჯულიომ; მაშინ, როდესაც რიბელო შურით შესცქეროდა ფულებს,— ვერცხლში ყოველგვარ სისაძაგლეს ურევენ, რომ თავიანთი ჯიბეები ვერცხლით გაიჭედონ, მაგრამ ეს მაინც ფულებია, რიბელო.

— მემრე! ეს ფულები შენ ნეაპოლიდან მოგაქვს?

ჯულიომ თავალი უქნია.

— შენ კი ყმაწვილო! მიწას თხრიდი?

ეს ისეთი იდუმალებით სთქვა, რომ რიბელომ მას გაკვირვებით შეხედა.

— გეუბნები მიწა თხარე... მაცალე. შენ მაინც რატომ მოდიხარ ნეაპოლში?

რიბელომ პასუხის ნაცვლად ზღვის სივრცეზე მიუთითა. ჰორიზონტი ახლა კარგად მოჩანდა და მის კიდეზე შეამჩნევდით რაღაც ვეებერთელა თეთრი ფრინველის მსგავს არსებას.

— ხედავ?

— ვხედავ! იალქნიანი გემია!

— იალქნიანი გემი... ერთი საათის შემდეგ იგი ნეაპოლში იქნება. ქარი უკვე ამოვიდა..... ხოლო როდესაც იალქნიანი გემი და ისიც ასეთი დიდი, შემოიხედავს ასეთ პორტში, როგორიცაა ნეაპოლი, ცხადია, იგი უნდა დაიცალოს; რადგანაც ის ცარიელი აქ არ შემოვა. მის დასაცლელად კი საჭიროა ხელები და ხელებიც აი, აქ არის. და რიბელლომ დიდის სიამოვნებით გამოიშვირა თავისი ღონიერი ხელები.

— მუშაობას უყვარს ასეთი ხელები! გულუბრყვილო აღტაცებით სთქვა მან.

ჯულიომ ეჭვიანად თავი ჩაიქნია.

— თუ პირიქით არის? ხელები არიან უმუშევრობით მოწყენილი?.... თუმცა, მე ვიცი შენ ჯიუტი ყმაწვილი ხარ და არ ვეცდები შენს დარწმუნებას. სულ ერთია შენ მე არ დამიჯერებ... და ჩემსას არ გაიგონებ. ეცადე მხოლოდ შენს გვერდებს მოუარო... გვერდები მუშაობისთვის საჭიროა. ცხვირს თუ დაგინაყავენ — ეგ არაფერია.... მაშ ასე, წადი, წადი ნეაპოლში. შენ იქ გელოდებიან მოუთმენლად. ჯულიო გაუდგა თავის გზას და თან რიხიანად ხარხარებდა ამ ხუმრობის გამო. რიბელომ მხრების აწევით დაუქანა თავის ძაღლს და წავიდა. იგი ალმაცერად შესცქეროდა ზღვას.

არემარემ ახლა სავსებით შეიცვალა თავისი სახე. ნისლი თითქოს არც კი ყოფილიყოს. ნეაპოლის ყოველივე წვრილმანი ნათლად მოჩანდა. ვეზუვი ღრუბლის ნაცვლად ნამდვილ ბოთად გადაიქცა, რომლის მწვერვალზე მსუბუქი კვამლი ღა ამოდიოდა. ზღვა უფრო ლურჯად გამოიყურებოდა, თუმცა ამ სიმაღლიდან იგი უმოძრაოდ გაყინულ რასმეს წარმოადგენდა, მაგრამ თბილი ქარი ყურებში სისინებდა და ადვილად შეამჩნევდით უზარმაზარ ოთხანძიანი გემის გაბერილ იალქნებს: რიბელომ ნაბიჯს მოუჩქარა, თითქოს ეშინოდა, რომ მას გემი მოუსწრებდა. პუდელი მხიარულად მიბტუნავდა გზაზე, მისდევდა ჩიტებს და თამაშით ნადირობდა ხვლიკებზე. მზე

საგრძნობლად აცხუნებდა შიშველ კისერს. მაგრამ რიბელო მზესთან მეტად მეგობრულ განწყობილებაში იყო. იგი აცხუნებდა, მაგრამ არ სწვავდა.

ნეაპოლიტანის ნავთსადგურში ხალხი ბუზივით ირევოდა. ამ დილით ელოდენ უზარმაზარ ესპანეთის გემს სახელწოდებით

— „ალბატროს"-ს და მშიერი და ნახევრად შიშველი ადამიანთა მთელ არმიას აქ მოეყარა თავი, ისინი საწყალი თვალით შეყურებდენ ნავთსადგურის მედიდურ ზედამხედველებს.

— გემთსადგომებზე ამაყად დასეირნობდენ ესპანელი სინიორები. მათ მსგავსად თავისი მრისხანე ჰერცოგ ალბასი — ჭრელი ტანისამოსი ეცვათ.

ეს ნახევრად შიშველი ადამიანები გარეტიანებული შესცქეროდენ მდიდარი ხალხის ბრჭყვიალა მოკაზმულობას, რომელთაც იმ დროში ძლიერ უყვარდათ უცნაური აჭრელებული ტანთსაცმელის ტარება, როგორც მაგალითად: ოქრომკერდით ნაქსოვი მოსასხამები, ფერადი წინდები და სხვა. მდიდარ პირებს მისდევდენ საშუალო ქონების პირები, რომელნიც იმოსებოდენ უფრო ბრჭყვიალა, მაგრამ უფრო ტლანქი და ულაზათო მოკაზმულობით.

ყოველივე ეს ქმნიდა მეტად ჭრელსა და აფერადებულს სურათს, ხოლო ოქრო და ვერცხლი კი იწვოდა მზის სხივებზე.

„ალბატროსი" უკვე მთელი თავის სილამაზით ანათებდა ზღვის ლურჯ ზედაპირზე და იგი ნაპირთან მოახლოების გამო თანდათან დიდდებოდა. მეზღვაურებიც უკვე ყარგად მოსჩანდენ.

— მხოლოდ იცოდეთ, ყმაწვილებო — ამბობდა ნახევრად გაშიშვლებული მტვირთავი. — ახალი არავინ მიიღოთ.

ცხადია არავინ, — დაიგუგუნა მის გარშემო მყოფმა, ჩაშავებულ, გამხდარი ადამიანების გროვამ — ყველა ახალი ეშმაკმა წაიღოს.

— წმინდა აგნესამ მოუგრიხოს კისერი ყველა იმას, ვინც კიდევ შემოყოფს ამ საქმეში თავის მყრალ ცხვირს... არავინ ახალი.. ჩვენ თვითონ არ გვეყოფა აქ სამუშაო!

— ეშმაკმა წაიღოს!

— ეშმაკმა!

ნეაპოლიტანლები ფიცხი ხალხია. არავის უფიქრია მათთვის პურის წართმევა, ხოლო ისინი ისე ყვიროდენ, ისე იქნევდენ მუშტებს, თითქოს ვიღაც უეჭველად ლამობდა, მათ გარეშე ხელი ეფათურებინა — „ალბატროსის" ბნელსა და ვრცელ წიაღში.

წარბშეკმუხვნილმა ზედამხედველებმა დაათვალიერეს მტვირთავების რიგები და მათ შორის წესრიგი დაამყარეს:

მოსეირნე ბატონები, განსაკუთრებით ქალები, ერთგვარი შიშით შესცქეროდენ მშიერი ხალხის გროვას, ამ ხალხისაგან ყოველთვის

მოსალოდნელი იყო რაიმე უეცარი საქციელი. როგორც ეაზევ-
მშვიდობიანად ეწევა თავის ჩიბუხს და უცებ ფერფლსა და ტალახს
წააყრის თავის არემარეს, ისე ეს ადამიანები სხედან, გასცქერიან
ზღვის სივრცეს და იბანენ თბილ წყალში თავის ფეხებს, ხოლო უცებ
წამოცვივდებიან და ისეთ რასმე ჩაიდენენ, რაც ყოვლად წარმოუდ-
გენელია.

ეს შიშველი ხალხი სულ ხმაურობდა და ღელავდა, და იმდენად
უფრო ძლიერად, რამდენადაც გემი ახლოვდებოდა.

— არ დავუშვათ ახლები! ყვიროდენ ისინი. და სწორედ ამ წუთს
ნავთსადგურს მოადგა რიბელო თავისი პუდელით.

— ეს რა ფრინველია? — დაუყვირა ვილაცამ, დაინახა თუ არა,
რომ რიბელო გაემართა საგემო კონტორის წარმომადგენელთან,
რომელიც მტვირთავებს ღებულობს.

— ეს რიბელოა, ახალგაზრდა გლეხი, პიერო სკოცცის ვაჟი.

— და მასთან მისი ძაღლი, რომელსაც ვულკანი ეწოდება.

— „ალბატროს"-ის განტვირთვას, ხომ არ ფიქრობს ეს ვაჟბა-
ტონი?

— გლეხები ჩვენ ლუკმა პურს გვართმევენ. არ ყოფნით მათ
თავიანთი ვენახები და ბოსტნები.

— სცემეთ მას! გააგდეთ აქედან!

ბრბომ მუქარით წაიწია რიბელოსაკენ.

კონტორის წარმომადგენელი, პატარა სქელი კაცი, ეტყობოდა
მეტად ააღელვა ამ შეშმეტვევამ. მან იცოდა მშიერი ნეაპოლიტანე-
ლების სიფიცხე და სრულიად არ უნდოდა წაჩხუბებოდა მათ ვილაც
გლეხკაცის გამო.

— წადი აქედან, გლეხკაცო! დაიყვირა მან, რაც შეიძლებოდა
ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა მისი ნათქვამი.

— რიბელო პირველ წუთებში დაიბნა, მაგრამ მყისვე მისი სამ-
ხრეთული სისხლი თავში აუვარდა. იგი გაწითლდა და თვალები და-
აბრიალა.

— ჯერ გაიგე, რა მინდა მე და შემდეგ ა-ტეხე ღრიალი შენი
წყეული ანყრატოთი. დაუყვირა მან არა ნაკლების ხმით.

— რაო? მე შენ გიჩვენებ!.. და სქელმა კაცმა გაშმაგებით
ჯოხი შემოუქნია.

მაგრამ თვალის დახამხამებაში ძაღლი შეტრიალდა, როგორც
ელვა და თავისი ბასრი კბილებით მაგრად ჩაეჭიდა სქელ ფეხს, რო-
მელსაც აბრეშუმის წინდები ფარავდა.

მოულოდნელობის გამო ეს სქელი კაცი მიწას დაენარცხა და
მორთო ხმა მაღლა ყვირილი.

ზედამხედველებმა და მცველებმა მიაშურეს შემთხვევის ადგილას. მტვირთავებმა, დაინახეს თუ არა ეს კომიკური სურათი; დაიწყეს ხმა მაღლა ხარხარი, ამ დროს ორ მცველმა კისერში წაავლო ხელი რიბელოს, მაგრამ ის გაუსხლტა მათ! დაარტყა ერთ მცველს კბილებში, მეორეს მკერდში, და როდესაც მიხვდა მისი საქმე წაგებულია, მთელი ძალ-ღონით მოკურცხლა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებით. ყველა ფანჯრებში თავი გამოეყო სანახაობის მოყვარულ ხალხს. ბავშვები სტვენდნენ და ხარხარებდნენ, ვიღაც ყვიროდა „დაიჭირე", ვულკანიც ისეთივე სისწრაფით გარბოდა, როგორც რიბელო, იგი ბურთივით ხტებოდა თხრილებზე და წუმპეებზე რაც აქ მრავლად არის. ნეაპოლიტანელი დიასახლისები ნარეცხ წყალს პირდაპირ ქუჩაში ასხამენ ხოლმე.

მოულოდნელად მოსახვევთან ბნელ ქუჩაზე რიბელო დაეჯახა კარგად ჩაცმულ მხარბეჭიან სინიორს. მიუხედავად იმისა, რომ დაჯახება ძლიერი იყო, სინიორი მაინც არ წაიქცა, ერთი... და რიბელოს მაგრად ჩასჭიდა ხელები. ვულკანმა სცადა შეეტია უცნობისათვის, მაგრამ ისეთი მაგარი წიხლი მიიღო მუცელში, რომ საცოდავი წყმუტუნით გადავარდა რამოდენიმე ნაბიჯზე.

მაგრამ როდესაც სინიორმა ძაღლს წიხლი შემოჰკრა, მის ფეხსაცმლის ქუსლი წაედო ქვაფენილს და ქუსლი გვერდზედ მოექცა.

სინიორმა ერთხელ კიდევ მაგრად შეიგინა, რომელსაც გამოთქმით ეტყობოდა, რომ იგი უცხოელი იყო. მან ხელი მოკიდა ქუსლს, რომელსაც ძლივს იქერდა ფეხსაცმელი.

— დაამშვიდე ძაღლი. — ბრაზმორეულმა შეყვირა. თორემ მე მას მოვკლავ, ძაღლი კი მენანება. სხვა საქმეა ასეთი მაწანწალას მოკვლა, როგორც შენ. საიდან მოფრენ, ასეთი გაშმაგებით. ეშმაკის ფეხო?

რიბელო კედელს მიეყუდა, და ამოსუნთქვის შემდეგ უპასუხა:

— მკვლელებს გავექეცი.

— ყოჩაღ! მოიპარე რამე?

— არაფერი არ მომიპარავს. მე ნეაპოლში მოვედი სამუშაოს საძებრად, ხოლო ნავთსადგურში ისე შემხვდენ როგორც ეშმაკები წმინდა სულს.

— შეიძლება პირიქით: როგორც წმინდა სულები ეშმაკს? შენ ეშმაკს უფრო გავხარ, ვიდრე ანგელოსს.

— თქვენ ეშმაკის ნათესავი ხომ არა ხართ, ასე კარგად რომ იცნობთ მის გარეგნობას?

უცნობი ჩაფიქრდა.

— თურმე შენ დიდი ტუტუცი ყოფილხარ... ეშმაწვილო! იცი, მე მომწონხარ. შენ გლეხი ხარ?

— კი, მე გლეხი ვარ.
— მე ასეც ვფიქრობდი. რის მიძვრებოდი ქალაქში?
— მინდა ფული ვიშოვნო.
— მართლა? ცხენზე ჯდომა იცი?
— კარგად.
— ესპანელები არ გიყვარს?
რიბელომ ეჭვიანად შეხედა სინიორს.
— ნუ გეშინია, მე ჯაშუში არა ვარ. თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენ რა გქვიან?
— რიბელო.
— კარგი სახელია, რიბელო, გესმის? მე ამ დღეებში მოსამსახურე მომიკვდა. თვითონ კი არ მომკვდარა, ის მოკლეს, გინდა მისი ადგილი დაიჭირო?
— თქვენ სად სცხოვრობთ?
— არსად და ყველგან. ცხენზე. გინდა ასე იცხოვრო — ცხენზე?
— მინდა.
— ტყვიის და ხმლის არ გეშინიან?
— არა!
— თუმცა, ასეთი ყოჩაღი, როგორც შენა ხარ უთუოდ ძამაცი იქნები, თუნდაც ჯიუტობის გამო. მაგრამ გაფრთხილებ, ჩვენ შორს გზაზე წავალთ. ჩრდილოეთში. გადავლახავთ ალპებს. შეიძლება შენ ვერასოდეს ვერ იხილო ნეაპოლი.
რიბელო ჩაფიქრდა. რაგორ იქნება ლუიზა? მაგრამ მან იქვე მოისაზრა რომ უფულოდ ჯვრის წერაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ვინ იცის შეიძლება იგი გამდიდრდეს კიდეც შორეულ ქვეყნებში, მაშინ კი ვინ დაუშლის მას დაუბრუნდეს ნეაპოლში?
ამიტომ მან გადაჭრით უპასუხა:
— რისთვის უნდა ვუცქირო მე ნეაპოლს?
— სწორია. მაშ იქონიე მხედველობაში, რომ თუ გინდა შენ დღეს ვისმეს გამოეთხოვო, დღესვე გამოეთხოვე. ხოლო ხვალ მიხვალ ამ ადგილას. ამავე საათში. გაიგე?
რიბელომ თავი დაუქნია, მამასთან გამომშვიდობებას იგი არ ფიქრობდა. მოხუცს, უთუოდ დაეჯარიმებდენ მის მიერ ჩადენილი საქციელისათვის, რადგანაც იგი უთუოდ იცვნეს. შეიძლება დამიჭირონ კიდეც მამის სახლში (თუ მოხუცი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე).
— მე მხოლოდ ერთ მეგობარს გამოვემშვიდობები, — სთქვა მან.
— შენ გყავს მეგობარი, ეს კარგია, ვინ არის?
— ბერია.
— ბერი?
— დომინიკანის მონასტერიდან.

რიბელომ ამ გაოცებადეცამ ცოტათი ძეაფიქრა სიხიოხი.

— შენ ჭეშმარიტი კათოლიკე ხარ? — ჰკითხა მან. რიბელომ შიხედ-მოიხედა.

— მე უბრალო კაცი ვარ, სინიორ, ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართ, გვწამს ღმერთი და გვეშინიან ეშმაკის.

— ღვთის სამსახური სანდასხვა ნაირად შეიძლება...

— აი, ჩემი მეგობარი ბერიც ასე ლაპარაკობს.

— საოცარი ბერი... რა ქვია მას?

— ჯორდანო ბრუნო.

— გამიგონია... იგი მეტად ჭკვიანი ახალგაზრდაა... შენ თუ მისი შეგობარი ხარ, მე და შენ მოვეწყობით... ოღონდ ზედ უეჭველად ამ ადგილზე იყავ. ამასთანავე გაფრთხილებ: თუ თან ჯაშუშს მოიყვან, ისინი ეცლა როგორც ძაღლები ისე ირუვიან. იმასაც მოვკლავ და შენც.

სინიორმა წამოსასხამი შეინახა და რიბელომ მის ქამარზე ორი ვერცხლით მოჭედილი დამბაჩა და ერთი მშვენიერი ხანჯალი შეამჩნია. ხანჯალზე ძვირფასი ქვები ბრჭყვიალებდენ.

— მე ჩვეულებად არა მაქვს ჯ. შუშებთან ამხანაგობა, — უპასუხა რიბელომ. მაგრამ ნუთუ თქვენ სინიორ! არ ეჭვოთ, რომ ჯაშუშების ერთი წყვილი მაინც არ გვადევნებს თვალყურს ამ მწვანე დარაბებიდან.

თუმცა შენ უფრო ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე ვფიქრობდი. მეც მგონია, რომ ეს ასეა: ჯაშუშები, უთუოდ გვხედავენ ჩვენ ამ ფანჯრებიდან. ბაშინ მოდი, თავი ისე მოვაჩვენოთ, რომ თითქოს, მე და შენ ვერ შევთანხმდით, არამედ წაეიჩხუბეთ. ნუ გამიწყრები, თუ დარწმუნებისათვის ერთხელ შეგმოგკრავ ჯოხს. ოღონდ ძაღლი დააწყნარე.

სინიორმა უცებ ფეხი დააბაკუნა, ასწია ჯოხი და დაუყვირა:

— მოშორდი შენი ბრიყული თხოვნით...

— თქვენ მე ნუ მიყვირით, — დაულრიალა რიბელომ მიხვდა რა რაშიც იყო საქმე.

— გათახსირებულო გლეხკაცო!

— შენც გათახსირებული ხარ!

— რაო?

რიბელო გაიქცა. ჯოხი კი მას ცოტათი შეეხო ზურგზე. ამასთანავე, მან დაუსტვინა ძაღლს. სინიორი კი განაგრძნობდა ყვირილს და ლანძღვას.

გამოვიდა თუ არა ნეაპოლიდან რიბელო, გორაკზე ავიდა, საიდანაც მთელი ციხე-სიმაგრე მოსჩანდა. სწარმოებდა გიგანტური გემის გაცხარებული განტვირთვა. მიქონდათ ტვირთები და ყუთები, ადამიანები ჭიანჭველებს ჰგავდენ.

რიბელოს ვიღაც კაცი დაეწია. გარეგნულად ეს კაცი მოხეტიალე კომედიანტს წააგავდა, მაგრამ რიბელომ მაშინვე შეატყო, რომ აქ რაღაც ცუდი რამ მოელოდა.

— ყმაწვილო, — უთხრა მან ძლიერი ესპანური გამოთქმით, — ეს ფული შენ არ დაკარგე?

მან რიბელოს ოქროს ფული გაუწოდა. ნამდვილი ფული და არა ყალბი, ამასთანავე, მაცთური სახით შესცქეროდა მას თვალებში.

— მე — უპასუხა, რიბელომ და ფული გამოართვა.

— იმას, სჩანდა ესიამოვნა და პირდაპირ შეეკითხა:

— აბა ერთი მითხარი, რაზე გემუსაიფებოდა შენ გრაფი დელილი?

— რომელი გრაფი დელილი?

— თავს ნუ იკატუნებ... მე ხომ ვხედავდი თუ ნახევარი საათის განმავლობაში როგორ ესაუბრებოდი შენ იმ ფრანგს.

ამ ლაპარაკის დროს მან ჯიბეში ფულები დაარაჩხუნა.

— მე ორი ფული დავკარგე. — უთხრა რიბელომ და ამასთანავე ცდილობდა სინორის სახელი დაეხსომებია.

ესპანელმა დაულაპარაკებლად ამოიღო ჯიბიდან მეორე ფული.

— შენ მან მოსამსახურედ დაგიჭირა ხომ?

— მინდოდა დავექირავებინე, მაგრამ ჩვენ ვერ შევთანხმდით, რის გამო მან შემაგინა და მცემა კიდეც.

— მე ვხედავ, რომ შენ სამი ფული დაკარგე. როდის უნდა მიხვიდე შენ მასთან?

— ოთხი დღის შემდეგ, ღვთის მშობლის მიძინების დღეს, ამავე ადგილას.

— ოთხი დღის შემდეგ... და არა ზეგ?

— პირველად მან ზეგისთვის დამინიშნა, მერე კი გადაიფიქრა... ის რაღაცის გაკეთებას ვერ მოასწრებს...

— მაშ, ასე... მესმის... ეს საინტერესოა... ღვთის მშობლის მიძინებამდე ჯერ კიდევ კარგა ხანია, მე კიდევ მოვასწრებ სიცილიაში ჩასვლას. ის უთუოდ შენთან ერთად რომში წავა. თუ თქვენთან კიდევ ორი მხედარი წამოვა შენ მათ ნუ მიაქცევ ყურადღებას...

მან ისევ დაარაჩხუნა ჯიბეში ფულები.

— ღვთის მშობლის მიძინების დღეს — ჩაილაპარაკა მან და წავიდა ძლიერ კმაყოფილი.

რიბელომ გადაიხარხარა. იფიქრა რომ ასე კოხტად მოატყუილა ესპანელი ჯაშუში. თუმცა ზეგაც დიდი სიფრთხილეა საჭირო.

უცებ იგი სითამამემ, მსხვილი შემთხვევების და ახალი ადგილების ნახვის წყურვილმა შეიპყრო. საშიშროება ეს კი მხოლოდ სიამოვნებაა. ის ხომ დედაბერი არ არის.

რიბელოს ერთი მოქნევით უნდოდა ეს ფულები ხრამში ჩაეყარა, მაგრამ შემდეგ მოისაზრა, რომ ეს მხოლოდ სულელური ბავშობა იქნებოდა. რატომ არ უნდა ესარგებლა ამ საძაგელი ოქროთი? ის ჩქარი ნაბიჯით წავიდა და თან ფიქრობდა:

„თუ გრაფი დე-ლილი არ უყვართ და მისი ეშინიათ ესპანელებს, უთუოდ ის კარგი ადამიანია. წავიდე სამოგზაროდ — რა სჯობს ამას? მე ხომ ჯერ არც ერთი ქალაქი არ მინახავს ნეაპოლოსა და იოლის გარდა. ოღონდ საჭიროა ამ ღამითვე წავიდე მონასტერში და ვეცადო ჯორდანო ბრუნოს ნახვას. მე მინდა მხოლოდ მას ერთს გამოვემშვიდობო. ამასთანავე მას ყოველთვის შეუძლია კეთილი რჩევა მოვცეს.

2. უფლის სადიდებლად

— ნუ ილანძღები პიეტრო, ნუილანძღები, ამბობდა გაყვითლებული, ლოთი და თეთრ სამოსელით მორთული ბერი, იგი გასაღებებს ატრიალებდა ხელში და უცქეროდა თუ მოხუცებული გლეხი როგორ ყრიდა ტომრიდან ფქვილს. — ქალაქის ხელისუფლება კარგად სჩადის, როდესაც თქვენ გაჯარიმებენ მონასტრების სასარგებლოდ. ამგვარად, ჯარიმის გადახდით, თქვენ შეისყიდით თქვენს ცოდვებს.

— ცოდვა მე ხომ არ ჩამიდენია, აქ ჩემმა შვილმა ჩაიდინა..... ეხ. მეამბოხე, გათახსირებული, ერთი თუ ჩამივარდა ხელში...

ბერმა ამოიოხრა და ხელში აიღო ერთი მუჭა ფქვილი. გაშინჯა იგი ხელის გულზე.

— არა უშავს ფქვილს... კარგი ფქვილია.

— ეხ. მამაო ფრანჩესკო, ეს ფქვილი მე ძალიან ცოტა მაქვს. თქვენ კი იქ რამდენი ბეღელი გაქვთ. ჩემთვის კი ოთხი საწყაო ფქვილის მოცემა პირდაპირ დამღუპველია.

— შვილის ცოდვისათვის, მამაა პასუხისმგებელი. ეგ სწორია.

— ეეხ, ასეთი შვილიც!

მოხუც პიეტროს უნდოდა დაეხვია ტომარა, მაგრამ ბერმა უთხრა:

— მოიცადე.

მან აიღო ტომარა და გაჯავრებულმა რამოდენიმეჯერ დაბერტყა, რომ დარწმუნებულიყო, ხომ არ ჩარჩა კიდევ რაიმე ტომრის ძირზე. ფრანჩესკო მონასტრის მეურნეობას განაგებდა. და ამ საქმეს დიდის გულმოდგინებით ეკიდებოდა. ის ძალიან ძუნწად იძლევოდა სურსათს და სიმშილისაგან არაქათ გამოლეული ახალგაზრდა ბერები, ჩუმად ბუტპუტებდენ მასზე. როდესაც თვით ძმა ფრანჩესკოს ძლიერ უყვარდა ჭამა, მაგრამ კარგა ხანია რაც მას კუჭის მძიმე ავადმყოფობა დასჩემდა,

რის გამო იძულებული იყო თვითონ ესიმშილა და სხვებსაც ასიმშილებდა. მით უფრო, ეს ძლიერ ეგუებოდა მონასტერში არსებულ წესებს. აწუხებდა რა კუჭი, ძმა ფრანჩესკო განსაკუთრებით კიცხავდა ღორმუცლობისა და გაუმაძღრობის ცოდვას.

როდესაც დარწმუნდა, ტომარა ცარიელი იყო, იგი გადასცა მოხუც პიეტროს. ისინი გამოვიდნენ საკუჭნაოდან. მის სატრაპეზოში უთხრა მიეცა ხელწერილი პიეტროსათვის იმის შესახებ, რომ ჯარიმა იმის შვილის რიბელოს საძაგელ საქციელისათვის სავსებით გადახდილია წმინდა მონასტრის სასარგებლოთ.

სატრაპეზო დიდი ოთახი იყო; მას ამშვენებდა მრავალი სხვადასხვა გვარი სურათები, სადაც გამოხატული იყო ცოდვილთა ტანჯვა ჯოჯოხეთში და მართალთა ნეტარება სამოთხეში.

კარებს ზევით ხის ფიცარზე გამოსახული იყო დომინიკანელების ღერბი — ძაღლი ანთებულ ჩირაღდანით კბილებში. ეს ღერბი ნიშნავს იმას, რომ ერთის მხრით წმინდა დომინიკის ორდენის ბერები იცავენ ეკლესიას ცრუმორწმუნეობისაგან, ხოლო მეორე მხრით მიაქვთ ქვეყნისათვის ჭეშმარიტების სინათლე. დომინიკანელ ბერებს „უფლის ქოფაკებს“ უწოდებდენ“.

მართლაც „უფლის ქოფაკებია“, გაიფიქრა პიეტრომ, უცქეროდა რა იგი თუ როგორ სიზანტით სწერდა ბერი ხელწერილს, რომელსაც თავის მოკაუჭებული თითით მაგრათ ჩაებღაუჭებია ბატის ფრთის კალმისთვის. მოხუცი ამასთანავე ძლიერ უკმაყოფილო იყო თავისი შვილით, მისი ასეთი მოუსვენარი ხასიათის გამო.

ჩამოართვა ხელწერილი, მიიღო კურთხევა და ბუტბუტით გამოვიდა მონასტრიდან.

ძმა ფრანჩესკომ ამოოხრით მიმოიხედა სატრაპეზოში. იგი თავის თავს ვერ უტყდებოდა, რომ ხანდისხან საშინელ მოწყენილობას გრძნობდა ამ მონასტერში, სადაც მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა. დაუფიქრებლად ჩაიბუტბუტა მან ლოცვა, რომელიც მოწყენილობის ეშმაკს განარიდებდა ხოლმე მას. მეორე ბერი შეუმჩნეველად შემოვიდა სატრაპეზოში და როდესაც დაინახა, რომ ფრანჩესკო ლოცულობს, გაჩერდა უკან და მოუთმენლად უცდიდა მას. ეს ბერი მაღალი ტანისა იყო, სახე მიმინოზე უფრო წაგძელებული ჰქონდა.

ძმაო ფრანჩესკო, — უთხრა მაღალმა ბერმა, ისარგებლა რა იმით, რომ ფრანჩესკოს დაასლოკინა, — მე მინდა შენ მოგელაპარაკო... სერიოზულად...

— ძმა ფრანჩესკო ათრთოლდა, თითქოს თვით მოწყენილობის ეშმაკის ხმა შემოესმაო

— მე გისმენ შენ ძმაო მონტალჩინო, უთხრა მან ცოტათი მოკრძალებით. — შენთან საუბარი ჩემთვის ყოველთვის სასურველია.

— არ ვიცი ამჟამად იქნება თუ არა ეს საუბარი შენთვის სასურველი. მე მინდოდა შენთან მომელაპარაკნა, იმ შენ საყვარელ კაცზე — იმ ერეტიკოს ჯორდანო ბრუნოს შესახებ, რომელიც ჩემთვის ლრმა რწმენით არ არის ღირსი წმინდა დომინიკეს სამოსელს ატარებდეს და მას უფლის ქოფაკი ეწოდებოდეს. თვითონ ის ღირსია, რომ უფლის ქოფაკები დაგლეჯდენ კიდეც...

ბერმა მონტალჩინომ ამავე დროს ისე საშინლად დააბრიალა თვალები, რომ ძმა ფრანჩესკო საბოლოოდ დაფრთხა. მონტალჩინოს კავშირი ქონდა რომის ინკვიზიციასთან, მონტალჩინოს საიდუმლო რწმენება ქონდა მოცემული თვით უდიდეს ინკვიზიტორისაგან, თვალყურის ედევნებინა ერეტიკოსებისათვის, მონტალჩინოს თავისი დაბეზღებით შეეძლო დაეღუპა ყველა, ვისი დაღუპვაც კი მოესურვებოდა.

— რა ჩაიდინა ბრუნომ? ჩაიბუტბუტა ძმა ფრანჩესკომ.

— რა ჩაიდინა მან? შენ ეს არ იცი? კარგი უფლის ქოფაკი ხარ! ქოფაკს ყნოსვის უნარი უნდა ჰქონდეს, შენ კი ეს არა გაქვს, ძმაო ფრანჩესკო სირცხვილია...! თვით ამ მონასტერში 300 წლის წინეთ ასწავლიდა უდიდესი თომა აქვინელი, დოქტორი ანგელიკუსი, მან თვისის წმიდა სხეულით განანათლა ჩვენი თეთრი სამოსელი... დაი, ესლა ჯორდანო ბრუნო ლამობს მის გაშვებას ჯოჯოხეთური ცთომილებით მურით... იგი სწერს ლოშვიდიებს. სადაც დასცინის უფლის მსახურებს, მან თავისი სენაკიდან გამოიტანა ყველა ხატები, ჯვარცმის გარდა, ის დასცინის ყველას. ვინც კითხულობს ისეთს წიგნებს, როგორიცაა „უწმინდესი ქალწულის შვიდი სიამე", თვითონ კი კითხულობს... მე მეზიზღება იმის წარმოთქმა, თუ იგი რას კითხულობს... გათახსირებული კაპერნიკის თხზულებებს ცის სხეულთა ბრუნვის შესახებ... მე არ მინდა ვთქვა თუ რის შესახებ მოგვითხრობს ეს წიგნი, რათა არ შეურაცხვყო ჩემნი ბაგენი... დასასრულ იგი იცავს არი-ს და ამტკიცებს, რომ ქრისტეში სჭარბობდა ადამიანის არსება... თუ ჯერჯერობით მე კიდევ ვიცდი — ეს იმიტომ, რომ მსურს უფრო დიდ რამეში დავიჭირო: შენ იცი, ძმაო ფრანჩესკო, რომ ბრუნო ზოგჯერ მალულად გადის მონასტრიდან?

— მე ვიცი. ველაპარაკე კიდეც ამის შესახებ, მაგრამ მან მიპასუხა, რომ ვარსკვლავით მოჭედილი ცის ცქერა მას ლოცვისადმი განწყობილებას მატებს. მე ვფიქრობ, რომ ამაში ცუდი არაფერია.

— ეე, შენ ფიქრობდი!

მონტალჩინომ ეს იმგვარი კილოთი სთქვა, რომ ძმა ფრანჩესკოს შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

— მე მივიღებ ზომებს, — წაიჩურჩულა მან.

— მოიცადე, უნდა გამოირკვეს თუ რისთვის გადის ის მონასტრიდან. მე ვფიქრობ, რომ მას საიდუმლო კავშირი აქვს ავსულებთან

(დემონებთან), რომელთა გამოძახება მას არ შეუძლია ამ წმინდა კედლებში. სცხოვრობს რა ქალაქში, იგი კავშირს აბამს მებრძოლ ეშმაკებთან, და იმის ადგილი აქ კი არა—კოცონზე უნდა იყოს. ამასთანავე კიდევ გახსოვდეს, რომ სახელი ჯორდანო — ჩვენში განსაკუთრებული პატივითაა მოსილი, რადგანაც ამ სახელს ატარებდა წმინდა დომინიკეს შემდეგ ჩვენი ორდენის მეორე გენერალური მაგისტრი. ჩვენ თუ ეს სახელწოდება მივანიჭეთ ბრუნოს, როდესაც იგი ჩვენს მონასტერში შემოვიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე დიდს იმედებს ვამყარებდით... ჩვენ მიეეცით მას შესაძლებლობა ესარგებლნა ჩვენი წიგნთ-საცავით, სადაც ესოდენი წმინდა ხელთნაწერები და წიგნები ინახება... ჩვენ ეფიქრობდით, რომ იგი გახდებოდა არისტოტელის და ეკლესიის ახალ დასაყრდენად, რომ ეს წიგნები მისცემდა მას ხელში იარაღს ერეტიკოსების წინააღმდეგ. მან გაგვიცრუა ყველა ჩვენი იმედები... ვაი მას! ვაი!

ბერმა ბრაზმორევით შეკუმშა მუჭები, შემდეგ დადუმდა და ჩაფიქრდა.

— განა ახალგაზრდა ძმა ავგუსტინე ეკლესიის ჭეშმარიტი ერთგულია? — კითხა მან ცოტათი დამშვიდების შემდეგ.

— ო-ო, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად ერთგულია!

— ძმაო ფრანჩესკო, გამოიძახე ძმა ავგუსტინე და უბრძანე თვალყური ადევნოს ბრუნოს. უთხარი, რომ ამას მრითხოვს მისგან წმინდა ეკლესია, მისი მთავარ დასაყრდენის — წმინდა ინკვიზიციის სახით. მე არ მინდა მასთან პირადად ლაპარაკი, დეე ეს შენგან გამოდიოდეს და არა ჩემგან. არავინ არ უნდა იცოდეს რომ მე აქ ვიცავ ეკლესიის სიწმინდეს ჩვენი უდიდესი მამის (რომში) მინდობილობით. შენ კი მომახსენებ ყოველივეს რასაც კი გაიგებ. მოლტაჩინო გავიდა სატრაპეზოდან, სადაც კიდევ ერთის შესედვით თითქოს შუაზე გააპო ძმა ფრანჩესკო.

ძმა ავგუსტინე იყო ფერმკრთალი და გამხდარი, ახალგაზრდა, რომელიც თავის სპეულს ლოცვითა და მარხულობით იკლავდა. იგი თავის სენაკში იჯდა და შესცქეროდა მზის ჩასვლას. სენაკის ვიწრო ფანჯარაში შემოდიოდა მინდვრებიდან და ვენახებიდან მონაქროლი ღამის სიგრილე. ძმა ავგუსტინემ უცებ იგრძნო მოწყენა, და სინანული: ქვეყნის მშვენიერებისადმი, თავისუფლებისადმი, წუთისოფლის ბეღნიერებისადმი. მაგრამ მაშინვე შეშფოთებული წამოხტა. გადასწყვიტა, რომ მას აცდენს ეშმაკი, დაეცა მუხლებზე ჯვარცმის ხატის წინ და დაიწყო ლოცვა-ვედრება. როდესაც ეკრც ამან უშველა, მან გაიშიშვლა ბეჭები, და რაც ღონე ქონდა რამდენიჯერმე იცემა თავი. სცემდა ამასთანავე იგი არა თავის თავს, არამედ

ეშმაკს, რომელიც მასში იჯდა და იგი დიდის სიამით აყენებდა ტკივილებს ქრისტეს მტერს.

ძმა ფრანჩესკომ სწორედ ამ დროს მოუსწრო.

— შვილო ჩემო, — უთხრა მან, ჩამოჯდა რა სკამზე და ხელები მუცელზე დაიკრიფა. — შვილო ჩემო... უფალმა ინება აგირჩიოს შენ მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად. წმინდა ეკლესიის სადიდებლად შენ დღეიდან თვალყური უნდა ადევნო ჯორდანო ბრუნოს ყოველ ნაბიჯს და მაცნობე მე ყოველივე ის, რასაც გააკეთებს იგი დღისით ან ღამით.

— მე ვიცი, რომ შენ ბრუნო გიყვარს. — განაგრძო ფრანჩესკომ. — ჩვენ ყველას გვიყვარს იგი. მაგრამ სწორედ ამ მის სიკარგეში იმალება ეშმაკური ძალა, რომელსაც ცთუნებაში შევყავართ ჩვენ. ბრუნო ერეტიკოსია და მასთან მეგობრობა დიდი ცოდვაა, ხოლო მისი გამოტეხვა — წმინდა საქმეა. თუ შენ, როგორც უფლის ჭეშმარიტმა ქოფაკმა უნდა დაგლიჯო სარწმუნოების მოღალატე, რამდენად ლირსეული იქნება როდესაც არ დაზოგავ შენ ისეთს, რომელიც შენი გულის სანდობია, რადგანაც შენ ამ შემთხვევაში უფლის სადიდებლად უარყოფ შენი გულის დამღუპველ სურვილებს, შენ იტანჯები ეკლესიის აყვავებისათვის და ამგვარად ემსგავსები თვით ჩვენს უფალს, რომელიც არ შეუშინდა უდიდეს ტანჯვა-წვალებას, ერთი სიტყვით ამას გიბრძანებს შენ წმინდა ეკლესია.

უკანასკნელი სიტყვები ძმა ფრანჩესკომ დიდი სისასტიკით წარმოსთქვა. ცდილობდა რა მიეღო ისეთივე სახე, როგორიც მონტალჩინოს ქონდა მასთან საუბრის დროს. მაგრამ არავითარი შიმინოსებური არ იყო მის ავადმყოფ გაყვითლებულ ფიზიონომიაში.

ძმა ფრანჩესკომ აკურთხა ავგუსტინე, გამოვიდა სენაკიდან გახარებული იმ გრძნობით, რომ შეასრულა არასასიამოვნო მონდობილება და ჩქარი ნაბიჯით გაემართა თავის სენაკისაკენ, რომ კუჭზე დაედო ცხელიწყლიანი ბოთლი. მას ეწყებოდა ავადმყოფობის შეტევა.

ძმა ავგუსტინე დარჩა თუ არა მარტო სენაკში ისევ შეუდგა ლოცვას. მამა ფრანჩესკოს სიტყვებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აი, მართლაც, როდის შეუძლია მას მოახდინოს თვით განდგომის ნაშდვილი აქტი. მას ძლიერ უყვარდა ბრუნო, თუმცა კი იცოდა, რომ ბრუნო ერეთიკოსობისაკენ არის გადახრილი. ერეთიკოსის გამოტეხა კი წმინდა საქმეა. ეშმაკი, რა თქმა უნდა; ეწინააღმდეგება ასეთ საქმეს. უთუოდ ბრუნოს, ეშმაკი ხდის ასე მიმზიდველ ადამიანად; რომ საშუალება მისცეს მას ჩაიჭიროს ადამიანები თავის ჯოჯოხეთურ ბადეში. უნდა ჩაიკლას თავის გულში ბრუნოსადმი სიყვარული, უნდა გამოტეხოს იგი, თუნდაც ამისათვის მწუხარებისაგან

გული შეუწუხდეს. სწორედ ამ მწუხარებაშია ჩაქსოვილი წმინდა ხაბიჯი.

მზე ჩაესვენა და ცა ვარსკვლავებით მოიფინა. ქალაქში ხმაურობა შეწყდა. მონასტერში მყუდროება და სიბნელე დამყარდა. ძმა ავგუსტინე ჩუმად გამოვიდა თავის სენაკიდან, გაიარა ბნელი ბჭეებიანი კორიდორი, შეჩერდა ერთ კარებთან და მიაყურა.

მან გაიგონა ჩუმი ღიღინი, „უთუოდ ბრუნო სთხზავს ახალ სონეტს, გაიფიქრა ავგუსტინემ, — აი, რას აკეთებს იგი ლოცვის ნაცვლად". ავგუსტინეს ძლიერ უყვარდა ბრუნოს ლექსები, მაგრამ ამჟამად ეს ლექსები მას ეშმაკისაგან მოვლენილად მიაჩნდა. მაგრამ მაინც დაუგდო ყური.

მინდა ავფრინდე აუცილებლად
ვისწრაფი მაღლა, სულ ზევით, ზევით
მაგრამ აფრენისთანავე
ეს დედამიწა უკანვე მიხმობს
და მე ვეცემი, ვით ძველი შვილი....

უცაბედათ დეკლამაცია შესწყდა. ავგუსტინემ სმენა გაამახვილა, საიდანღაც ახალგაზრდა მიმინოს ყივილი მოესმა. ეს ყივილი რამდენჯერმე გამეორდა, ზედმიწევნით თანაბარ დროის გამოშვებით. მოისმა თუ როგორ გაიარა თავის სენაკში ბრუნომ. შემდეგ ისევ ყოველივე მიჩუმდა. მიმინოს ყივილიც შეწყდა. მაშინ ავგუსტინემ ფრთხილად შეაღო კარები. სენაკი ცარიელი იყო. თეთრი სამოსელი სკამზე ეგდო, მაგრამ ის, ვისაც ეს სამოსელი უნდა ეტარებია აღარ იყო. ავგუსტინე მივარდა ფანჯარასთან (სენაკი პირველ სართულზე იყო) და მას მოეჩვენა, რომ მონასტრის კედელზე ადამიანის ჩრდილი გამოჩნდა, რომელიც მაშინვე გაჰქრა. თითქოს ვიღაც გადაძვრა კედელზე. მაშინ ავგუსტინე გაიქცა ძმა ფრანჩესკოსდან, რომელიც ისევე იწვა და ესაუბრებოდა ძმა — მზარეულს ხვალინდელ ტრაპეზის შესახებ. მზარეული გადახედავდა ცხელი წყლით სავსე ბოთლს და ამოიოხრებდა ხოლმე. ძმა ფრანჩესკო მთელს ძმობას განსაკუთრებით მცირე სუფრელზე აყენებდა. თვით სიტყვა „ჭამა" მას ამჟამად ეზიზღებოდა.

— მამაო დამლოცე მონასტრის კედლებიდან გასვლაზე, — ჩურჩულით უთხრა ავგუსტინემ. ის მიხვდა, დალოცა და გასაღებები დააჩხარუნა.

ერთი წუთის შემდეგ ავგუსტინეს წინაშე გაიღო და დაიხურა მძიმე კარები. მიმოიხედა ავგუსტინემ და გასწია ცარიელი სანელ-სახლების ჩრდილის გასწვრივ.

3. ბერი და პუდელი

შენ რად დაიგვიანე ასე ჯორდანო! დაუყვირა რიბელომ და ხელი ჩამოართვა ახალგაზრდა კაცს, რომელიც მონასტრის კედლიდან გადმოხტა. მე კინაღამ ყელი დავიგლიჯე მიმინოსაებრ ყივილით. კიდევ კარგი, რომ აქ ბნელა და არავინ არის.

შენ ბგონია ასე ადვილია მონასტრიდან გაქცევა? უპასუხა მან, ხელი ჩამოართვა და პუდელს თავზე ხელი გადაუსვა, რომელიც გახარებული ხტუნავდა გარშემო. მე ყოველ ნაბიჯზე თვალყურს მადევნებენ, სულ ერთია, მეტი აღარ შემიძლია რიბელო. მე ვიხუთები ამ თეთრ სამოსელში, აღარ შემიძლია ამ სულელური ბოდვის სმენა, რომელისაც მე თვით არაფერი მჯერა. როდესაც მე მივდივარ ქუჩაზე შარვალსა და ხალათში ჩაცმული ჩემს თავს ცოცხალ ადამიანად ვგრძნობ, ხოლო როდესაც ფეხებში ეს სამოსელი მებლანდება, სამოსელში გახვეული მიცვალებული მგონია ჩემი თავი... არა. მე მეტი აღარ შემიძლია ბერად ყოფნა. მე მინდა თავისუფალი ვიყო.

— მეც მინდა ვიყო თავისუფალი.... და მდიდარიც.

— შენ მადა კარგი გაქვს. მართლაც, თავისუფლება დიდი ნივთია. რა თავისუფლად ვსუნთქავ. ეარსკვლავები. რამდენი ეარსკვლავები! მათ რიცხვი არ აქვთ.

ასეთ საუბარში ისინი გამოვიდენ ქალაქიდან და გზას გაუდგენ. ზღვიდან გრილმა ზღვის ქარმა დაჰქროლა. ეარსკვლავები ცაზე განსაკუთრებული ბრწყინვალებით ანათებდენ.

იმ ამაღლებულ ადგილიდან, სადაც ახალგაზრდები იდგენ იშლებოდა დიდი და საუცხოო სანახაობა. ქვევით კრთებოდენ ნეაპოლის სანათურები; ნეაპოლიტანის უბე გიგანტურ ლურჯ მინას ეგზგავსებოდა. ეზუვზე თრთოდა მსუბუქი ცისკარი, ხოლო შორს-შორს იოლის ხანძართა არილი გამოკრთოდა.

ამ ცეცხლებს ბრუნო სიყვარულით და მოწყენით შეყურებდა.

— ძვირფასო იოლა, — სთქვა მან — როგორ პატარაა იგი თუ აქ მწვერვალებიდან შეხედავ. ხოლო როდესაც ბალღი ვიყავი ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლება იყოს იოლაზე უფრო დიდი ქალაქი ან იმაზე უფრო მაღალი სახლები, როგორიცაა ჩვენი იქაური კარვები.... შემდეგ კი ჩემს წინაშე ქვეყანა გადაიშალა და მე ვნახე რომ იოლა ნამცეცია, და არა მარტო იოლა, არამედ ყველა ეს.... ნეაპოლიც, და იტალიაც და მთელი დედამიწა, შეხედე რიბელო ამ ეარსკვლავებს და წარმოიდგინე, რომ ჩვენი მიწაც ისეთივეა, აი, როგორც ეარსკვლავი, რომელიც დაუსრულებელ სივრცეში მიქრის, და რომ ყველაფერი ეს მოძრაობს, ბრუნავს და ამას დასასრული არ აქვს... ეარსად ეარსად...

რიბელო, რომელიც ცას შესცქეროდა, უცებ შეტორტმანდა დ. დაეცემოდა, უთუოდ, რომ ბრუნოს არ მოეკიდა მისთვის ხელი.

— როდესაც შენ ასე ლაპარაკობ მე ყოველთვის თავბრუ მეხვევა... ეხ! არ მიყვარს მე ასეთ საგნებზე საუბარი. და ღმერთიც, ამბობენ, კრძალავს ასეთ საუბარს.

— ღმერთი კი არა, ღვდლები და ბერები. განსხვავება დიდია.

— ჩუმად.....

პუდელმა უცებ დაიღრინა და გზისკენ გაიხედა.

— ხომ არ გვადევნებს ვინმე თვალყურს!

შესაძლებელია. მოდი ჩუმად ვილაპარაკოთ. ამ სიჩუმეში ხმა შორს მიდის.

გესმის რიბელო, — სთქვა ბრუნომ — განსაკუთრებით მე რა მაღელვებს? ეს ის, რომ მე მაიძულებენ ვიფიქრო არა ისე, როგორც მე მინდა. გენიალურმა კოპერნიკმა დაამტკიცა, რომ დედამიწა მსოფლიოს ცენტრი კი არ არის, არამედ ერთი პატარა ვარსკვლავია-განი, ის გაცილებით მზეზე პატარაა და ბრუნავს მის გარშემო, როგორც მარსი, ვენერა და სხვა პლანეტები.., ეს დაამტკიცა მან მეცნიერულად და ზუსტად. ყველა უსწორობა პლანეტების მოძრაობაში, რაც წინეთ იყო, პტოლომესათვის გაუგებარი იყო.

— ვისთვის?

— პტოლომესათვის.... რა გაუნათლებელი ხარ, რიბელო. პტოლომე ასწავლიდა, რომ დედამიწა მსოფლიო ცენტრია და ზეზ და ყველა პლანეტები დედამიწის გარშემო ბრუნავენ. და მაშინ ისე გამოდიოდა, რომ სხვა პლანეტა, მაგალითად მარსი, ხან წინ მიდის, ხან უკან... ახლა აშკარაა, რაშიცაა საქმე. ნამდვილად კი მარსი სრულიად არ მიდის უკან... არამედ მიწის მოძრაობის გამო ჩვენ გვგონია, რომ ის თავითონ მიდის უკან. მაგალითად — თუ ერთი გემი მეორეს უსწრებს, ჩვენ გვეჩვენება, რომ მეორე უკან მიცურავს. გესმის?

— მესმის, თუმცა მაინცა და მაინც კარგად არა. აი, ყველაფერზე უფრო მე რა არ მესმის, რად უნდა აღელდეს ადამიანი ასეთი სისულელისათვის. სულ ერთი არ არის, რა ბრუნავს შენს გარშემო... შენ ამით რა შეგეძინება. სულ ერთია.

— არა, ეგ სულ ერთი არ არის. დაიყვირა გაფიცხებულმა ბრუნომ, დაავიწყდა რა ყოველგვარი სიფრთხილე. — არა, ეგ სულ ერთი არ არის. მეცნიერება წინ მიდის, მან უნდა დაანგრიოს ყველა ეს დახავსებული კედლები, სადაც უცოდინარობა ასე მაგრად ჩამჯდარა ყველა კუთხეში, რათა ის, როგორც ნაგავი ჩქარა გამოვგავოთ იქედან. ადამიანთა ყოველგვარი უბედურება უცოდინარობისაგან წარმოსდგება, გათახსირებული უცოდინარობისაგან, ადგილიდან დაძვ-

რის უნდომლობა, ყოველი ახლისადმი შიში, თუნდაც ეს ახალი მეცნიერების მიერ იყოს დადასტურებული. მეცნიერება მე მეუბნება, რომ ქვეყანა ასეა მოწყობილი, მე კი უნდა ვილაპარაკო და ვირწმუნო, იგი სხვანაირადაა მოწყობილი, რადგანაც ასე ასწავლიდენ არისტოტელი, პტოლომე და თომა აქვინელი. არისტოტელი ხომ თითქმის 2,000 წლის წინეთ ცხოვრობდა... ცხადია, იგი დიდი ფილოსოფოსი იყო და თავის დროზე წინ წასწია მეცნიერება.... მაგრამ არ შეიძლება არისტოტელზე გავიყინოთ და ისიც უეჭველად ისე გავიგოთ, როგორც მას თომა აქვინელი განმარტავს.

— ეს არ მიყვარს, როდესაც შენ ასე ლაპარაკობ. არისტოტელი შეგიძლია ლანძღო, იგი კერპთ-თაყვანისმცემელი იყო, ხოლო თომა აქვინელი ცნობილია, როგორც წმინდა დოქტორი...

— მე რა? იოჰანე ჰუსი ჩეხიაში არ შეუშინდა, თვით პაპის წინააღმდეგ გალაშქრებას.

— კი, მაგრამ ის ხომ დასწვეს, მგონი.

— დასწვეს. მერე რა? ის დასწვეს, მაგრამ ლუთერი არ დასწვეს. ლუთერს ათასობით მოწაფეები ყავს..,.. მთელი მსოფლიო აუჯანყდა ამჟამად კათოლიკურ სიბნელეს, თავისუფალი მეცნიერებისათვის. რა სწერია ერაზმ როტერდამელის და რეიხლინის თხზულებებში! რა ხდება ამჟამად საფრანგეთში! მე არ ვამტკიცებ, რომ პროტესტანტები მეცნიერებისათვის იბრძვიან, მაგრამ ისინი რომაული ეკლესიის ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვიან, ისინი პროტესტს აცხადებენ, აი, რაში მდგომარეობს მათი დამსახურება!...

— პაპამ ხომ დასწყევლა ყველა ის ფრანგული... რა ქვიან იმათ....

— ჰუგენოტები, კი, მერე რა? იმათ კი პაპა დასწყევლეს, ისინი მას ებრძვიან. მე იოლაში ვნახე ერთი ფრანგი ჰუგენოტი. იგი ნეაპოლში მოდიოდა მალულად თავის დასთან, რომელიც ვიღაც იტალიელსა ჰყავს ცოლად, სამწუხაროდ მე არ ვიცი მის ნეაპოლიტანის მისამართი. ის მეტად განათლებული კაცია. ის გამოიქცა პარიზიდან ბართლომეს ღამის შემდეგ.

— რა არის ბართლომეს ღამე?

— განა შენ დაგავიწყდა, რომ სამი წლის წინედ ყველა ეკლესიაში დიდი აღფრთოვანებით სწირავდენ და ყველა ზარებით რეკდენ? ეს ყოველივე იმიტომ ხდებოდა, რომ პარიზში ღამით, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა დღით, კეთილი კათოლიკეები ერთბაშად თავს დაესხენ ჰუგენოტებს, რომელთაც არაფრის ეშინი არ ქონდათ და შეიკრიბენ პარიზში მეფე ჰენრიხ ნავარიელის ქორწილზე დასასწრებლად. ისინი განგებ მიიღეს, როგორც სასურველი სტუმრები. პირფერობით დღესასწაულობდენ საეკლესიო უთანხმოების შეწყვეტას, ხოლო ამ საშინელ ღამეს მოულოდნელად ყელი

გამოსჭრეს რამდენიმე ათას კაცს, არ დაუზოგავთ არც მოხუცი, არც ქალი და არც ბავშვები.

წარმოიდგინე, რიბელო, კათოლიკეთა ბავშვები ჰუგენოტების ბავშვებს ხოცავენ! და ეს უამრავი სისხლი ღვთის სადიდებლად იღვრებოდა. კარგია ის ღმერთი, რომელსაც თავის სადიდებლად სისხლის ნიაღვარი, ასობით ციხეები, ასი ათასობით კოცონი და სახრჩობელა სჭირია. თვით ჰენრიხ ნავარიელი არ მოკლეს, მხოლოდ აიძულეს მესსას დასწრებოდა. მხოლოდ რამოდენიმე ადამიანმა შესძლო გაქცევა. აი, ის ჩვენი ნაცნობი იყო ერთი იმ ბედნიერთაგანი და ისიც საშინლად დაჭრილი, ძლივს გადარჩა სიკვდილს...

— შენ ერეთიკოსთან ქონდა საქმე, ბრუნო? გამიგონე... შენ ჯოჯოხეთში მოხვდები და მეც თან წამათრევ...

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ... ნუ თუ შენ ვერ გაიგე, რომ არ შეიძლება ასეთ პირობებში ცხოვრება, არ შეიძლება მუდამ იმის მუქარის ქვეშ იყო, რომ ან კოცონზე არ დაგვწვან, ან ცხენის კუდზე არ მიგაბან... მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ისე არ ფიქრობ, როგორც ეს წმინდა ბერებს სურთ, იმ ბერებს, რომელნიც შენი ოფლით და სისხლით სუქდებიან... დაივიწყე, რიბელო, ეგ ბოდვა... ინკვიზიცია დიდი უბედურებაა, არც ღმერთს შეიძლება, რომ სწამდეს... გრაფი დელილი სავსებით მართალია.

— ვინ — წამოიყვირა რიბელომ, თითქოს მას ვილაცამ უკბინა.

— გრაფი დელილი ის ჰუგენოტია, რომლის შესახებ მე გელაპარაკე.

— გრაფი დელილი ჰუგენოტია?

— დიახ.....

— ერეთიკოსი...

რიბელომ საშინელი აღელვებით თავს იტაცა ხელი.

— რა მოგივიდა?

— არაფერი, მე მომეჩვენა, რომ თითქოს გველმა მიკბინა.

— სისულელეა, გველებს ღამით სძინავთ, შენ დიდი მშიშარა ხარ რიბელო, როდესაც მე ერთ წლისაც არ ვიყავ, ჩემს აკვანში გველი შეძვრა, მაგრამ მე არ შევშინდი და მამაჩემს დავუძახე. მე მაშინ დავილაპარაკე პირველად და წარმოვთქვი სიტყვა — „მეცნიერება", რომ გადავარჩინო ადამიანები ყველა ამ გველებისაგან, რომელთაც თავისი სიმყრალე შავი და თეთრი სამოსელით აქვს დაფარული:

— ჩუმად, ვილაც მოდის...

ორივე გაჩუმდა; გზაზე გამოჩნდა ერთი კაცი, რომელიც ნელად მოლასლასებდა და რაღაც მეტად მძიმეს მოათრევდა.

— ეს ჯულიოა, იგი ჩვენ ვერ გვხედავს.

ჯულიო დაუპირდაპირდა ახალგაზრდა ყმაწვილებს. მაგრამ ისინი დიდი წაბლის ხის ჩრდილში იახდენ. ველარ შეამჩნია.

— ეი, ჯულიო, დაუძახა მას რიბელომ. ის შეკრთა, შეჩერდა და ტვირთი ხელიდან გაუვარდა. შენა ხარ ყმაწვილო? მე კი შემეშინდა. დაგვიზილეს გვერდები ნეაპოლში? შენმა მამამ უკვე რვაჯერ დაგწყევლა შენ. ფქვილის გადახდევინებისათვის.

— რას მიათრევ შენ? ჰკითხა რიბელომ, რომელსაც უნდოდა შეეწყვიტა ეს არა სასიამოვნო საუბარი.

— ჯულიომ ტომრიდან ამოათრია მარმალილოს თავი და მარმალილოსავე ხელი. — ხომ გითხარი, ყმაწვილო, მიწა თხარე მეთქი, აი, მე ვთხრიდი მიწას და მოვთხარე კიდეც.

რიბელომ და ბრუნომ მარმალილოს დათვალირება დაიწყეს. ეს უეჭველად ბერძნული ქანდაკების ნაშთია... რა მშვენიერი თავია.. ოდესლაც ადამიანები თაყვანს სცემდენ ამ თავს, ეს რომელიღაც ბერძნული ღმერთის ქანდაკებაა.

— ასეთი რამეებისათვის ქალაქში კარგ ფულებს იძლევიან.

— ვის რათ უნდა ასეთი უვარგისი ნივთი?—გაკვირვებით იკითხა რიბელომ.

— როგორ თუ უვარგისი ნივთი? წამოიყვირა ბრუნომ. ამ მარმარილოს ნამტვრევებზე სწავლობენ ჩვენი დიდი ხელოვნები... დიდი მიქელ ანჯელო ვერ გამოკვეთავდა თავის მშვენიერ ქანდაკებებს, რომ მას ეს უვარგისი ნივთები არ შეესწავლა. ოღონდ დააკვირდი, რა კეთილშობილური მოხაზულობაა, რა ლამაზი ფორმებია, განა ეს ცოცხალი არ არის? მარმარილოს ხელი, მართლაც ცოცხალს გავდა. ასე გეგონებოდათ, რომ თბილი სისხლი მდინარებს ამ ცივ მარმარილოს ძარღვებში.

— როგორ მოხვდა იგი აქ? — იკითხა რიბელომ. ეს ხომ ბერძნული ნაკეთობაა.

— არაფერი გასაკვირი არ არის, მთელი ეს მხარე ოდესლაც ბერძნებით იყო დასახლებული, მათ გადმოიტანეს აქ თავიანი ღმერთები, ააშენეს თავისი ეკლესიები, შემდეგ კი ყოველივე ეს დაილუპა ურიცხვი ომებისა, მიწის ძვრისა და ვეზუვის ამოხეთქის დროს. ბარბაროსები მაინცა და მაინც დიდს ანგარიშს არ უწევდენ მარმარილოს ღმერთებს, ვულკანები მით უფრო. ამიტომ ნახულობენ ხოლმე მარტოოდენ ნამტვრევებს.

— უფრო ღრმად რომ გავთხაროთ, სთქვა ჯულიომ, აქ ბევრს რასმე ვნახავთ. თხარე მიწა, ყმაწვილო, თხარე... აი, მე რომ დიდი საგანძური ვნახე.

— მან ჩააგდო უკანვე ტომარაში ძველი ღმერთის ნაშთები და მხიარული სტვენით გასწია თავისი გზით.

რიბელლომ ამოისუნთქა.

— შენ სულ შემშალე ჭკუიდან, ბრუნო, — უთხრა მან დასასრულ. — მე მოვედი შენთან გამოსამშვიდებლად, ახლა კი არ ვიცი რა ვქნა.

იგი მოუყვა ბრუნოს დილის შემთხვევას. — ახლა კი გამოდის, რომ ერეთიკოსთან დავიჭირე კავშირი.... ინკვიზიტორებს მე როგორმე დავაღწევ თავს, ეშმაკებს კი ვერსად გავექცევი...

— სულელო! წამოიყვირა ბრუნომ, — დამერწმუნე, რომ ყველაზე საშინელი ეშმაკები — ეს ინკვიზიტორებია. შენ თუ იმათ დაალწევ თავს, სხვისი შიში ნუ გექნება... მე თვითონ მინდა გავიქცე... მე ვგრძნობ რომ დავიხრჩვები მონასტერში ან და თვითონ ბერები დამახრჩობენ. მე მწყურია სინათლე, რიბელლო, სიბნელე მომბეზრდა...

ამავე დროს ბრუნო ეალერსებოდა ვულკანის აბრეშუმის მსგავს ბალანს. ვულკანმა ისევ დაიღრინა და მღელვარებით დაუწყო ჰაერს ყნოსვა.

— რა არის ეს რომ სულ იმ მცენარეებს შესცქერის?

— შენ როგორ ფიქრობ. შეიძლება ერეთიკოსს ემსახურო? შეეკითხა რიბელლო, დიდი სურვილი მაქვს მოგზაურობისა, მინდა ვნახო სხვადასხვა ქვეყნები...

— მართალია, რა სჯობს მოგზაურობას, მე რომ შემეძლოს მთელს ქვეყანას შემოვივლიდი.

— ზოგიერთები ძლიერ მდიდრდებიან მოგზაურობის დროს, ამბობენ არის ესეთი ქვეყნები, სადაც უთვალავი საჭირო და ძვირფასი ქვები ყრია.

— სისულელეა. მაგრამ, ცხადია, მგზავრობის დროს შეიძლება ადამიანი გამდიდრდეს.

— აი, მეც ამას ვამბობ, — სიხარულით წარმოსთქვა რიბელლომ. და უკეთუ მე გავმდიდრდი, ლუიზა ცოლად წამომყვება. დედა მისი, წმინდა ბართლომეს მადლი გაუწყრა მას, ღარიბ კაცს არასგზით არ გაატანს ცოლად.

— რა უცნაური კაცი ხარ, რიბელლო! რა საჭიროა გამდიდრება, ცოლის შერთვა...

— შენ ხარ უცნაური, მე არა, ეს ყველას უნდა...

— მე კი თავისუფალი მინდა ვიყო, როგორც ღვთის, ისე ადამიანის ჯაჭვებისაგან. ამის თქმა და პუდელი უცებ წამოიჭრა ყეფით და ჩირგვნარში შეეარდა. ერთ წუთში თქვენ შეამჩნევდით გზაზე უცნაურს სანახაობას.

ახალგაზრდა ბერი, რაც ღონე ჰქონდა მირბოდა, ქოფაკი კი გლეჯდა მის ანაფორას და კბენდა ხან მის ერთ შიშველ ქუსლს და ხან მეორეს.

ასე იყოს ჩაილაპარაკა ბრუნომ, ჩემს შესახებ მას ახალი არაფერი გაუგია, ამასობაში ვულკანიც დაბრუნდა, რომელსაც კბილებში თეთრი ანაფორის ნაფლეთი ეჭირა, ბრუნოს დომინიკანელი ორდენის ღერბი მოაგონდა: ძაღლი, რომელსაც კბილებში ჩირაღდანი უჭირავს.

— ყოჩაღ, ვულკან! — დაუყვირა მან. — შენ ნამდვილი უფლის ქოფაკი ხარ! თუმცა შენ კბილებში არ მოგაქვს ჭეშმარიტების ჩირაღდანი, მაგრამ შენ მოგაქვს დაღეჭილი უმეცრება. ესეც კარგია.

— რას იზამ შენ? — ჰკითხა რიბელლომ — ძლიერ გადევნებენ თვალყურს.

— წავალ რომში. წარვდგები პირდაპირ პაპის წინაშე და ვთხოვ დამიცვას აქაური სიბნელის მოცულობისაგან. ვნახოთ რას მიპასუხებს ქრისტეს მონაცვლე დედამიწაზე.

— ფრთხილად იყავ! შენ აუცილებლად გინდა კისერი მოიტეხო, ბრუნო.

— კი, უკეთუ მე შევსძლებ ჩემი თავით მონასტრის ერთი კედელი მაინც შევამტვრიო.

— ვერ შეამტვრევ, ბრუნო.

— ვნახოთ.. აქ ძლიერ კარგად მიცნობენ, და ამიტომ ზოგიერთებს ვუყვარვარ, ზოგიერთებს ვძულვარ, რომში კი უფრო მიუდგომლად მომეპყრობიან.. აქ ინკვიზიცია ესპანელების ხელშია, იქ კი იტალიელების.

— შენ იცანი ბერი?

— იგი ავგუსტინეა.... ეს მის სიბოროტით კი არ მოდის. არამედ, სულის სახსნელად... თუმცა ასეთი ჯაშუშები, ყველაზე საშინელია...

— მე არაფრის მეშინია, — ჩაილაპარაკა რიბელლომ — მე მალე შორს ვიქნები...

მან ეერ დააბოლავა, გაფითრდა და ბრუნოს ხელი წაავლო. უფალო, დამიფარე, — საშინელ ხმით წარმოსთქვა მან. — ის ხომ დაბეზღებს, რომ გრაფი დე-ლილი ზეგ მიემგზავრება. იმას ხომ ესმოდა მთელი ჩვენი საუბარი.

— მაშ გააფრთხილე გრაფი, ხვალ წავიდეს.

— გავაფრთხილო იგი—მოწყენით წამოიძახა რიბელლომ.—მაგრამ სად ვნახავ მას? ახლა კი ცუდათ არის ჩემი საქმე. და მან დიდის სასოწარკვეთილებით გაიხედა ნეაპოლისაკენ.

4. დაუპატიჟებელი მხსნელი

ბრუნო ნელა გაემართა ნეაპოლისაკენ, მაგრამ თანდათანობით უფრო შეცვალა ნაბიჯი და ბოლოს კი ფიქრებში ჭართული სრულიად შეჩერდა.

— მართლაც სისულელე არ იყო ახლა მის მონასტერში დაბრუნება. ავგუსტინემ ალბად უკვე მოასწრო გაგონილი საუბარის გადაცემა ვისთვისაც ჯერ არს და სრულებით შესაძლებელია ძმა მონტალჩინომ უკვე მოასწრო განკარგულების გაცემა ბრუნოს, როგორც ერეთიკოსის, შეპყრობის შესახებ, მასზე სასამართლოს დანიშვნის და შეიძლება დასასჯელადაც. რამდენი კაცი იგზავნება კოცონზე შემთხვევით წარმოთქმული სიტყვისათვის, მცირეოდენი ეჭვის შეტანისათვის ეკლესიის დოგმოტებში და სხვა. ბრუნო კი კითხულობდა აკრძალულ ერეთიკულ წიგნებს, კოპერნიკის თხზულებებს, გერმანულ სწავლულების ჰუმინისტების თხზულებებს, სწერდა კომედიებს, სადაც დასცინოდა ბრიყვ მღვდლეს, არ სცნობდა არისტოტელის და თომა აქვინელის ავტორიტეტს და უნდოდა თავისებურად ეფიქრა და ემსჯელა.

გარშემო სუფევდა ღამის წყვდიადი; სიჩუმე და უსაზღვრო სივრცე, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი იყო, რომელნიც თითქოს მეგობრულად შესცქეროდენ ბრუნოს. გრილი ქარი ეალერსებოდა მის სახეს და კისერს. ქვეყანა მშვენიერი იყო. იქ, კი მონასტრის ბნელ კედლებში რამდენი ბოროტება, სისულელე და მზაკვრობა ბატონობდა. ზოგიერთი ბერები არაფერს აკეთებდენ — და მუქთახორობდენ, ზოგიერთნი კი თრგუნავენ თავიანთ სხეულს, ჯაშუშობენ ერთმანეთს, სწყევლიან ყოველივე მშვენიერებას — თავისუფალ ცოცხალ ცხოვრებას, ყოველივე ეს ერთგვარად საზიზღარია.

ბრუნომ ისევ მიმოიხედა გარშემო და ის საშინელმა გრძნობამ შეიპყრო, როდესაც თვალწინ წარმოუდგა, რომ მას ჩაკეტავენ ბნელ მიწის ქვეშ და კვამლიანი ჩირაღდნების სინათლეზე დაკითხავენ. მას აწამებენ უფლის ქოფაკები, ღვთის სადიდებლად სიამოვნებით დაგლეჯენ მის სხეულს, დაუმტვრევენ მას ფეხებს და ხელებს. არა, უნდა გაეიქცე რომში და იქ ვეძიო მფარველობა. ესპანური ინკვიზიცია ცნობილია თავისი სიბრიყვით და სისასტიკით. რომაული ინკვიზიცია უთუოდ უფრო სამართლიანი და უფრო განათლებულია.

ბრუნომ შეუხვია ქალაქ იოლის მიმართულებით, სადაც ის დაიბადა და სადაც მას მშობლები ყავდა, რომელნიც დაეხმარებოდენ მას გამგზავრებაში.

უცაბედად ბნელი ჩირგვნარიდან გამოვარდა ერთი კაცი და გადაუჭრა ბრუნოს გზა.

— ძმაო ჯორდანო, სად მიხვალ? ხრინწიანი და აღელვებული ხმით შეეკითხა იგი.

ბრუნომ მაშინვე იცნო ავგუსტინე. მისი ანაფორის ქვედა ნაწილი დაგლეჯილი იყო, ფეხები დასისხლიანებული. იგი საშინელი სანახავი იყო. გამხდარი, ფერმკრთალი, ბრიალა თვალებით, გიჟი ადამიანის შეაბეჭდილებას ახდენდა.

— სად მიდიხარ, ძმაო ჩემო? ხელმეორეთ შეეკითხა იგი.

— შენ კი ყველაფერი უნდა იცოდე, ავგუსტინე? — შეეკითხა ბრუნო. ავგუსტინემ მასში შებრძოლებისა და სისაძაგლის გრძნობა გამოიწვია.

— დიახ. მე ყველაფერი უნდა ვიცოდე...

— შენ ისედაც ბევრი გაიგე, როდესაც ჩირგვნარში იმალებოდი, როგორც საზიზღარი გველი.

— ჯორდანო! დაიყვირა მან გამწარებით. — შენ მე საზიზღარ გველს მიწოდებ. მაშინ, როდესაც მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ თუ როგორ გადაგარჩინო შენ.

— მე გადამარჩინო?

— შენი სხეული კი არა, სული, ბრუნო. მე შენ მიყვარხარ და მინდა მოგიტაცო ჯოჯოხეთის წყვდიადისაგან და მოვფინო შენ გონებას ქეშმარიტების სინათლე.

— დაიხსენ შენი სული ავგუსტინე, ჩემსაზე ნუ ზრუნავ.

— არა, მე უნდა ვიზრუნო შენ სულზედაც. თუ მე გულგრილად დავღუპავ შენს სულს, ამით ჩემ სულსაც დავღუპავ... შენი დახსნით, ჩემს თავსაც ვიხსნი... მოინანიე ჯორდანო, იმარხულე, მოიკალ შენი ხორცი. განაგდე შენი გონებიდან ეშმაკი. შენ ხომ დიდი ჭკუა გაქვს, ჯორდანო შენ რომ თავისუფალი აზროვნების ერესს არ შეეპყარი, შენ შეგეძლო მეორე თომად, მეორე დომინიკედ გამხდარიყავ....

— მე არ მიმაჩნია საჭიროდ არც პირველი და არც მეორე ვიყო. ჩემ მინდა ვიყო ჯორდანო ბრუნო...

— იყავ ჯორდანო ბრუნო, მაგრამ იყავ კეთილი კათოლიკე.

— მაგრამ მე, მე თუ არ მინდა?

— არ გინდა? ავგუსტინემ თვალები დააბრიალა — მაშინ მე წინალუდგები შენს სურვილს და დავიხსნი შენს სულს, ყოვლის შემძლებელ ცეცხლში დაიწვება შენი სხეული და ცეცხლის ტანჯვა დაუბრუნებს ღმერთს შენს სულს...

— შენ მე კოცონზე გამგზავნი?

— კი, თუ შენ არ მოინანიებ.. თუ შენ არ შეისმენ ჩემს სიტყვებს.

— და შენ დამშვიდებით შეგიძლია უცქირო თუ როგორ დაიკლაკნება ჩემი სხეული კოცონზე? მე, შენი მეგობარი ბრუნო?

— დიახ, რადგანაც დაიკლაკნება მხოლოდ შენი სხეული, ხოლო სული შენი ღმერთთან ერთად იმხიარულებს.

— თუ ღმერთი მხიარულებს, როდესაც იგი ხედავს მის მიერ გაჩენილ ადამიანის კოკორნზე ტანჯვას, მე არ მსურს ასეთ ღმერთს ვემსახურო, ან ვეთაყვანო.

ავგუსტინემ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, გაფითრდა ვით სიკვდილი, დაიხია უკან და ლოცვა დაიწყო. და სწორედ ამ წუთში მოისმა ოდაც საშინელი ხმაურობა, თითქოს ეეებერთელა პორბლები დატრიალდენ და ბერების ქვეშ შეირყა დედამიწა.

ავგუსტინე მუხლებზე დაეცა და დადუმდა. მაგრამ უკვე ყველაფერი მიჩუმდა.

— რად შეგეშინდა? — შეეკითხა ბრუნო. — თუ ვერ მიეჩვიე, რომ მიწა ხშირად იძვრის ჩვენს ფეხებს ქვეშ?.

ავგუსტინე წამოხტა და ხელები მრისხანებით ზეციოთ ასწია.

— დიახ, მიწა ხშირად იძვრის ჩვენს ფეხებ ქვეშ იმიტომ, რომ შენსაებრ ღვთის საწინააღმდეგო სიტყვებს ხშირად აქვს ადგილი ამ დედამიწაზე. მიწის ძვრა, ჭირი, ყოველივე ეს ღვთის მოვლენაა. ჭირი მძვინვარებს იტალიაში... მიწა თრთის... მთებიდან კვამლი ამოდის... წყევლა და კრულვა იმას, ვისაც ეს არ ესმის...

წარსულ კვირას მიწა იძრა წირვის დროს, და ისე იძრა, რომ ყველანი ეკლესიიდან გამოცვივდენ... რატომ არ თვლი შენ ამას იმის ნიშნად, რომ ლოცვა არ არის საჭირო?

— დაჩუმდი ნუ სცოდავ.. მიწა იმიტომ შეინძრა, რომ შენ იყავი ეკლესიაში.

ბრუნო დარწმუნდა შემდეგი დავის უიმედობაში, მაგრამ როგორ მოსცილდებოდა გაგიჟებულ ადამიანს? როგორ მოეტყუებია იგი?

— სიცრუის ცოდვაში ნუ ვარდები, ბრუნო, შენ იოლაში მიდიხარ.

— მშვიდობით. — უთხრა ბრუნომ, — მე ნეაპოლში მივდივარ. ჯორდანო უცებ აღელვების გრძნობამ შეიპყრო. ის მოთმინებიდან გამოიყვანა იმ გარემოებამ, რომ ყოველ წუთში მის თავისუფლებაზე ვილაცას იერიში მოაქვს.

— დიახ მე იოლაში მივდივარ. წადი მონასტერში, დამაბეზღე თუ გინდა. — და იგი დიდი ნაბიჯებით გაემართა თავის გზით.

ავგუსტინე მას დაედევნა.

— ძმაო, ეუბნებოდა იგი, — მოინანიე... მე მწყინს, მე არ მინდა შენი სხეულის დაღუპვა... მე კი ეს უნდა ვქნა...

მე უნდა დავლუპო იგი ღვთის სადიდებლად... ძმაო ჩემო, ძვირფასო ჯორდანო... გთხოვ... შენ ყველას უყვარხარ.. ღმერთი შენ ადვილად გაპატიებს წარსულ ცოდვებს, რადგანაც შენ ჯერ კიდევ ბევრი სახელოვანი ნაბიჯი შეგიძლია გადადგა ღვთის სადიდებლად.

ხელი წაავლო სახელოებში ბრუნოს მან და არ უშვებდა.

— გამიშვი.

— არა მოინანიე.

ბრუნოს უნდოდა თავი გაენთავისუფლებინა, მაგრამ ავგუსტინემ სიგიჟის გრძნობით შეპყრობილმა, მაგრად შემოხვია ბრუნოს ხელები და ფეხები... მათ შორს გაიმართა ჩუმი ჭიდილი. ჯორდანო ავგუსტინეზე უფრო ლონიერი იყო, მაგრამ ღვთაებრივი გზნებით ანთებული ავგუსტინე არ უთმობდა. მას თითქოს გაუორკეცდა ძალა.

— მე გიხსნი შენ, გიხსნი შენი ნების წინააღმდეგ — ხრინწიანი ხმით იძახოდა იგი, — დაგიხსნი...

ბრუნო მოსხლტდა და ლონივრად ჰკრა ავგუსტინეს. იგი მტვერში ჩავარდა. ბრუნო კი გაიქცა...

— გიხსნი, გიხსნი, — მოესმოდა მას ზურგსუკან, მაგრამ როდესაც მოიხედა ავგუსტინე წინანდელ ადგილზე აღარ სჩანდა. ღამის სიჩუმეში აშკარად მოისმოდა გაქცეული ადამიანის ფეხის ხმა.

ეს ხმა თანდათან იკარგებოდა.

მაშინ ბრუნომ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება. იოლაში წასვლა სახიფათო იყო. ჩირგვნარის საშუალებით ის ისევ ნეაპოლის მიმართულებით წავიდა. ნეაპოლში ცხოვრობდა მისი ძველი ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებელი. იგი, უთუოდ, უარს არ იტყოდა მიეცა მისთვის სამგზავრო ნივთი და ცოტაოდენი ფული.

ბრუნო დარწმუნებული იყო, რომ რომში იგი იპოვიდა უფრო სამართლიანს და მიუდგომელ დამოკიდებულებას.

5. გულიერი კუდიანი ქალი

— სად დაიკარგე, შე ეშმაკის მაშხალავ? ანტიქრისტევ! შხამიანო გველო! სად დაეთრეოდი? კუდიან ქალებთან ხომ არ ქეიფობდი? მე შენ სანაძლეოს მოგცემ თუ შენ იმ გათახსირებულ მარიამს არ დასდევდი. თუ ეს ასეა წაიკითხე იესოს ლოცვა, თორემ გველის ნაწილო, ახლავე. ადუღებულ წყალს შეგასხამ...

ამ მუქარის შესრულება ადვილად შეეძლო ამ ახალგაზრდა ქალს, რადგანაც იქვე იდგა ქვაბი ადუღებული წყლით.

დამშვიდდი, ლუიზა, — თქვა რიბელომ, რადგანაც ეს ლანძღვა სწორედ მას ეკუთვნოდა.

მას ახალისებდა ამ ბრაზიანი სიტყვების მოსმენა: ეს უთუოდ იმას ამტკიცებდა, რომ ლუიზა მისი არყოფნით მოწყენილი იყო.

— ძალიან კი მინდა შენი მარიამი.

— აბა რა გინდა შენ მორიელო?

— ჯერ ერთი — შენ.

— მეორე?

რიბელლომ უცებ ვერ უპასუხა.. რიბელლოს ის აწუხებდა თუ როგორ ეცნობებია ლუიზასთვის თავისი განზრახვა წასვლის შესახებ, რადგანაც ეშინოდა, რომ ლუიზა გაბრაზდებოდა და თან ერთგვარი შიშით შესცქეროდა ადუღებულ ქვაბს.

მან გადაწყვეტა შორიდან დაეწყო.

— მე გამდიდრება მინდა ლუიზა.

— დროა, ეშმაკის ფეხო, გველის წიწილო!

— მე გამდიდრება მინდა ლუიზა, ხოლო ამისათვის რა არის საჭირო იცი?

— უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მხრებზე თავი გებას და არა დამპალი გოგრა, როგორც შენ.

— ამისათვის საჭიროა... რიბელომ ძალა მოიკრიბა, — ამისათვის საჭიროა შორეულ ქვეყნებში გამგზავრება....

განაცხადა თუ არა გადაჭრით ეს, რიბელო ცოტათი შეჩერდა, მაგრამ ლუიზა უცებ დაიბნა და შეშინებულმა შეხედა რიბელოს?

— შენ მიდიხარ რიბელო?

— კი! ლუიზა. აქ კაცი ვერ გამდიდრდება. აი, გუშინ გავედი ნავსადგურში სამუშაოს საშოვნელად, სადაც კინალამ არ მცემეს, ხოლო მამაჩემი დაანჯარიმეს მონასტრის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ თითქოს მე ვირი ან ძაღლი ვიყო... მე კი არც ვირი ვარ და არც ძაღლი.

— ასე ვთქვათ, შენ ვირიც ხარ და ძაღლიც.. სად გინდა წახვიდე, რიბელო?

— საფრანგეთში, ლუიზა.

— როგორ? ვისთან?

— ერთ ფრანგ-გრაფთან, რომელმაც მოსამსახურედ ამიყვანა.

— მოსამსახურედ მიყვეხარ?

ლუიზამ ეს სთქვა ჩაფიქრებით და მოწყენით. მისი დიდი შავი თვალები ცრემლებით აივსო.

— რიბელო, შენ არ მოგკლავენ? მოგზაურობა—სახიფათო საქმეა. ყაჩაღი ყველგან ბევრია...

— ბედნიერების მოპოვება ადვილი საქმე არაა ლუიზა... შენ თვითონ გესიამოვნება მდიდარ კაცს გაყვე ცოლად. წარმოიდგინე, რამდენ საუცხოო ქსოვილებს, რამდენ ძვირფას ქვებს ჩამოგიტანენ...

ლუიზამ ამოიძახა.

— ვინ არის ის გრაფი? შეიძლება ის თვითონ ყაჩაღია?

— არა; იგი ერეთიკოსია.

— როგორ, ერეთიკოსი?

— როგორ და ის ჰუგენოტია და პარიზიდან გამოიქცა. როდესაც იქ ჰუგენოტებს ხოცავდენ. ლუიზამ ხელები შემოკრა ერთმანეთს.

— შენც ანტიქრისტე ხარ, შენც ღვთის მოღალატე ხარ, შენც ეშმაკის ბეჭედი ხარ, ერეთიკოსთან გაქვს კავშირი? შენ ხომ ეშმაკები ახლავე, აი, ამ წუთში ჯოჯოხეთში წაგათრევენ და ქვაბში ჩაგაგდებენ მოსახარშავად, უკანასკნელი სამსჯავროს დღემდე. მე ახლავე წავალ ინკვიზიციაში და შევატყობინებ როგორც შენზე, ისე შენი გრაფის შესახებ... ღმერთო დამიცავ და დამიფარე.. სთქვი, სთქვი. შე გველო, რა ჰქვიან შენ გრაფს... ეს მაკლია შენი გულისათვის სული დავღუპო? ახლავე ინკვიზიციაში მივდივარ.

ამასობაში ლუიზამ მხრებზე ჭრელი შალი წამოისხა და სარკის წინ თმები გაისწორა. რელიგიურ გულისთქმას, რიბელოს შეჩერების სურვილიც დაემატება, რადგანაც მას რიბელო ძლიერ უყვარდა. სჩანდა, რომ იგი არა გზით არ დასთმობდა თავის გადაწყვეტილებას:

რიბელომ სასოწარკვეთილებით მოკიდა მას ხელი.

— ლუიზა, მომისმინე, — ლუღლუღებდა იგი. მაგრამ იგი გადაჭრით არაფერს უსმენდა.

რიბელოს უნდოდა მაგრად ჩაეჭიდა ხელი, რომ როგორმე თავიდან აეცდინა ეს სულელური დაბეზღება, მაგრამ იმავე წუთში სამზარეულოში გამოჩნდა სქელი, შავგვრემანი, ბინძური, ხახვით და ნიორით ამყრალებული დედაკაცი.

— გამარჯობა, რიბელო! — სთქვა მან, — შენ კი ხვლიკო, მოამზადე სადილი და სხვის საქმეში ნუ ეჩრები. მე ერთი ყურით გავიგონე თქვენი საუბარი. აბა, მომიყევი დაწვრილებით რაშია საქმე?

რიბელოს მომავალი სიდედრი, ლუიზას დედა, ძლიერ გავდა კუდიან ქალს, როგორც ხატავენ ხოლმე სურათებზე. ცხვირი მოკაუჭებული ქონდა; ნიკაპი წინ გამოწეული, თვალწარბი ნახშირზე უფრო შავი, ხოლო თმები თხელი და ჭაღარა. ამასთანავე თითებზე გაზრდოდა გრძელი წვირიანი ფრჩხილები.

— მომიყევი ყველაფერი, დაწვრილებით, რიბელო.

რიბელომ ყველაფერი უამბო. განსაკუთრებულის სიცხოველით აუწერა გრაფის მშვენიერი ტანსაცმელი.

დედაბერმა ყოველივე ყურადღებით მოისმინა.

— მაგრამ იგი ერეთიკოსია, დედა! — წამოიყვირა ლუიზამ. — მე, არ მინდა, რომ რიბელომ დაღუპოს თავისი სული.

— მოთავარი ისაა, რომ მან არ დაღუპოს თავისი სხეული, რომ იგი არ გაგზავნონ კოცონზე.

— კოცონი — ეს კიდევ ჯარგია, ცეცხლი სწმენდს ცოდვებისაგან, საკვირველია მიწაზე დაგწვან ერთ რომელიმე საათში, უიღრე შემდეგ მუდმივ ალში იწოდე. — ერთსაც და მეორესაც უნდა დააღწიო თავი, —

სთქვა კუდიანმა. — მაგრამ ფულის შოვნაც კარგია... ეს გრაფი ძალიან მდიდარია?

— რა თქმა უნდა... მარტო ერთი მისი ხანჯალი ათას ეკიუზე მეტად ღირს. საუცხოო ძვირფასი თვალები აქვს. ალბად მისი ჯიბეებიც სავსეა ოქროთი... დედაბერმა კმაყოფილებით თავი დაიქნია და ამასთანავე მის თვალებში ისეთი სიხარბე გამოსჭვიოდა, რომ რიბელოს სურდა ერთი კარგი სილა გაეწნა მისთვის.

— გამიგონე, რიბელო, — სთქვა კუდიანმა ქალმა. — და შენც ლუიზა, ორივენი სულელები ხართ. საქმე ნათელია. შენ შეგიძლია გამდიდრდე ერთი კვირის განმავლობაში და მაშინ ჯვარს დაიწერ ლუიზაზე. მე არ ვიცი რაზე ლაპარაკობთ.

— ესე იგი ვიცი როგორ? — გაკვირებით შეეკითხა რიბელო.

— რიბელო შენ ან ბალღი ხარ, ან უფალმა ანაზდად გონება დაგიკარგა. დაფიქრდი. შენ ხომ მარტო იქნები ამ გრაფთან?

— კი.

— ჰო და იცი რას გეტყვი? თუ კარგად გაფრცქვნიან შენ გრაფა, შეგიძლიავალსაც საკმაოდ მიიღებ. სულ მცირე. ათას ეკიუს მაინც. კამპანიის გზები უდაბურ ადგილებში გადის. ხანჯალი შენ გაქვს. ხოლო ერეთიკოსის მოკვლა არა თუ ცოდვა, პირიქით კარგი საქმეა, რომელიც გინდა ის მღვდელი გაპატიებს შენ ამ მკვლელობას. გასცილდები თუ არა ნეაპოლს ტრასიოდე ვერსით შენ მოკლავ გრაფს. და დაბრუნდები უკან ნეაპოლში — მდიდარი და ცხონებულიც ლუიზაც შენ ცოლად გახდება, ხოლო მე დედაშენის ნაცვლად ვიქნები. მაგრამ ეს ყოველივე ისე უნდა გაკეთდეს. რომ ამის შესახებ ბერებმა არაფერი გაიგონ წინასწარ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვრაფის ქონებას. ეკლესია მოითხოვს. ამიტომ საჭიროა ჩვენ ეხლავე მოვიფიქროთ. თუ როგორ მოვნახოთ ის გრაფი და გავაფრთხილოთ იგი, რომ ბერმა გაიგონა ყოველივე მისი ბრუნოსთან ნალაპარაკევი, და რომ საჭიროა მისი დაუყონებლივ წასვლა. აი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს!

რიბელოზე ისე ცუდათ იმოქმედა ამ სიტყვამ, რომ იგი სკამზე ჯაჯმა და უაზროდ დაიწყო თვალების ცეცება.

— დედამ გონივრულად განსაჯა, — სთქვა ლუიზამ და მოიხადა თავისი შალი — შენ ერთბაშად ბერის საქმეს გააკეთებ, გამდიდრდები, ღვთისთვის სასურველ ნაბიჯს გადასდგამ და დასასრულ ჩემი ქმარი გახდები. ოღონდ გავიგოთ სად ცხოვრობს ის გრაფი. სიბრიყვე გამოვა თუ ბერებმა იგი ადრევე დაიჭირეს. შენ უფრო გეჭირება კეთილი საქმე, ვიდრე ბერებს... ისინი ისედაც ცხონდებიან... იმათ ყოველი ცოდვის წინააღმდეგ აქვთ ლოცვა. შენ კი უთუოდ ხეირიანად არც კი იცი ლოცვა.

რიბელომ ჩუმად თავი ჩააქნია. საქმემ მართლაც მეტად მარტივი და მოულოდნელი მიმართულება მიიღო. ერეთიკოსის მოკლა. რატომ თვითონ არ მოუვიდა ეს მას აზრად? ხომ დახოცეს პარიზში ბართლომეს ღამეს ათასობით ერეთიკოსები და თვით პაპამ ამის გამო სამადლობელო პარაკლისი გადაიხადა და საფრანგეთის მეფეს-კარლოს მეცხრეს თავისი სამოციქულო ლოცვა-კურთხევა გაუგზავნა. და ამ გეგმაში მაინც რაღაც არ მოსწონდა რიბელოს. რაღაც აწუხებდა და მსუბუქი გულის რევა დაუწყო. სამზარეულოში მეტად ყარდა ნიორის სუნით.

— რას ზიხარ რეტიანივით? უკმაყოფილოდ შეეკითხა ლუიზა.

— რაღაც ყველაფერი ერთად... თუმცა, უკეთესი რა შეიძლება.

— გინდა ცხვირი მიბზუო, მიბზუე... შენ გგონია ნეაპოლში ცოტაა შენზე უკეთესი საქმაროები?

ჩუმად, შვილო, ჩუმად, — სთქვა დედაბერმა, — რიბელო სიხარულისაგან გონს ვერ მოდის. მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ მოვნახოთ ის გრაფი. ყოველ შემთხვევაში ერთ ადგილზე გაჩერებით არაფერი გაკეთდება. მე ეხლაც წავალ, დავყნოსავ აქა იქ. შენ კი ყველაზე მდიდარი სასახლეების წინ გაიარე. უთუოდ მისი და გლეხს არ ეყოლება ცოლად. დაეკითხე მოსამსახურეებს, არ მესმის, რატომ აქამდე არ დაიჭირეს იგი. უთუოდ მას ყავს აქ ძლიერი ვინმე. წასელას უცდიან. მით უფრო შენ არ უნდა გაუშვა ხელიდან ეს საქმე.

რიბელო ჩუმად გამოვიდა, დაუსტვინა ძაღლს, რომელიც ეზოში მტრედებს და კატებს დასდევდა და ჩაფიქრებული ქუჩაში გავიდა.

ის მიდიოდა ქალაქის მდიდარი ნაწილის მიმართულებით, სადაც ცნობილი სინიორები ცხოვრობდენ. მას ვიწრო შესახვევები უნდა გაეარა, სადაც სცხოვრობდენ ყოველი ჯურის ხელოსნები და წვრილი ვაჭრები.

რიბელო ნელი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს თავისი ნების წინააღმდეგ აბიჯებდა. იგი გარეტიანებული იყო.

უცებ ვულკანმა დაიღრიალა და დაუწყო ყნოსვა რაღაც ნივთს, რომელიც ხარაზის ძველი დუქნის წინ ეგდო. ხარაზი კარებთან იჯდა და ფეხსაცმელს ახალ ქუსლს უკეთებდა. ქოფაკი ღრენით მიუარდა ხარაზს და ჩექმები დაყნოსა.

— ეი, ცოფიანი ხომ არ არის ეს შენი ძაღლი? — კითხა მოხუცმა და შეშინებულმა დაიხია. ძაღლი კი გარშემო დარბოდა. ატრიალებდა ქვაფენილზე ქუსლს, ხან ქვას ყნოსავდა, ხან ჰაერს და ხან ფეხსაცმელს ხარაზის ხელში.

— ვულკან, დაიკარგე აქედან! დაუყვირა რიბელომ და მოუქნია ძაღლს, რომელსაც ამ დროს ანაზდად ელვასავით დაურბინა რაღამაც ტანში, ისიც მივარდა ფეხსაცმელს და ხელი წაავლო.

— ეი, მოიტა აქეთ! დაუყვირა ხარაზმა, რადგანაც ეგონა, რომ ფეხსაცმლის მოპარვას უპირებდა, მაგრამ ასეთ პაპანაქებაში ძნელად თუ დაუძახებ ვინმეს დახმარებისათვის. — არაფერია, არაფერი, — ლუღლუღებდა რიბელო, მითხარი ვინ მოგიტანა შენ ეს ფეხსაცმლები?..

— ყოველ შემთხვევაში არა ისეთმა მოხეტიალემ , როგორც შენა ხარ, ხედავ როგორი ტყავია. ცნობილმა ბატონმა გამომიგზავნა მე ეს. ეს ფეხსაცმელები... მე მხოლოდ დიდი კაცების სამუშაოებს ვასრულებ.

— მალე მოვა იგი ფეხსაცმელების წასაღებად?

— გესმის, შენ სულელო, იგი თვითონ არ მოვა ფეხსაცმლების წასაღებად, არამედ ვინმეს გამომიგზავნის..

მოსამსახურე ქალმა მოიტანა ეს ფეხსაცმელები და უთუოდ იგივე მოვა.

მე ვუკეთებდი ფეხსაცმლებს თავადებს, ბარონებს, გრაფებს, და თვით ჰერცოგს ალბეს, ხოლო სახით არც ერთი მათგანი არ მინახავს.

— მისი სახელი იცი თუ არა?

— მოსამსახურე ქალს არ უთქვამს... გესმის, ყმაწვილო? სახელები ყოველთვის კი არ არსებობენ იმისათვის, რომ ისინი ყველას ვაცნობოთ, როდესაც სინიორის ფეხსაცმელს ქუსლი მოძვრა, სჩანს იგი ფანჯრიდან გადმოხტა. შეძლება იგი გაექცა ეკვიან ქმარს ან თავისი ლამაზის მამას. აქ კი სჯობს გაჩუმდე და შენი სახელი არ გაშოაჩინო. მე შენთან ვსაუბრობ და ის კი, უკვე მოდის... მართლა ფეხსაცმელი მზადაა... ახლავე, ახლავე მზად იქნება. ასე დაუყვირა მოხუცებულმა ახალგაზრდა ქალს, რომელიც იმ წუთშივე მოვიდა.

— ეს კარგია, რომ მზად არის.

— შენ ეს გსურს იცოდე? მიიღე შენი ფული და იცოდე, ამ სიბერეში ღვინოზე არ დახარჯო.

ხარაზმა თვალი დაუქნია რიბელოს, რომელიც გზაზე გადგა, და თითქოს გულდამშვიდებით სტვენდა. აი, აქ შენ საქმარო გიცდის. — უთხრა მოხუცმა და თან ფეხსაცმელი გადასცა.

ქალმა ახედ-დახედა რიბელოს, უნდოდა სასტიკი გამომეტყველება შიელო, მაგრამ ცოტათი შეკრთა და გაწითლდა კიდეც.

— მოგეწონა ყმაწვილი? — წამოიძახა მოხუცმა, — რას იზამ, კარგი საქმეა.

რიბელომ განვებ გადიხარხარა.

— მოხუცი ტყუილს ლაპარაკობს, — სთქვა მან — ივი ჩემზე უკეთეს საქმროს იშოვის.

ასეთმა მოკრძალებამ, უთუოდ შთაბეჭდილება მოახდინა, მით უფრო რომ იგი ამას არ მოელოდა ასეთი ლამაზი ყმაწვილისაგან.

— კარგია, ჩაიბუტბუტა ახალგაზრდა ქალმა, მისცა ხარაზს ფული და თავის გზას გაუდგა.

მივიდა კუთხემდე, თან მხიარულად უკან მოიხედა.

— ყმაწვილო, გააცილე იგი — დუყვირა მოხუცმა ხარხარით, — იცოდე ქორწილზე აუცილებლად დამიძახე.

რიბელომ გადასწყვიტა და გაყვა უკან ამ ქალს. ძაღლიც თან მისდევდა და ღეჭავდა ფეხსაცმელის ქუსლს.

ახლა რიბელო თვითონ იყო დარწმუნებული, თვით ღმერთმა წარმართა იგი ერეთიკოსის კვალის მოსანახად და ვულკანს მისცა საშუალება შეემჩნია ფეხსაცმლის ქუსლი. გაყვება ამ ქალს და გაიგებს თუ სად ცხოვრობს იგი.. მაშინ კი? უნდა მოიყვანოს სისრულეში კუდიანი ქალის მიერ მოსაზრებული გეგმა. მაგრამ ამ საგანზე ფიქრმა, ცუდ გუნებაზე დააყენა რიბელო.

6. წმინდა მარიამი მინერვაზე.

მზე დასავლეთს უახლოვდებოდა და რომის კამპანია ისვენებდა მცხუნვარე მზისაგან, ცის კიდეგანმა ელვარება დაჰკარგა, ალბანეთის მთები შორეულ სივრცეში მოსჩანდენ, სიცხისაგან დამწვარ მინდვრებზე დახეტიალობდენ ცხვრები და თხები, ხოლო მწყემსები ისხდენ რომის ძველი წყალსადენის ნანგრევების ჩრდილში და ერთმანეთში მუსაიფობდენ. ეს ნანგრევები გრძელდებოდა მთელი მინდორის გასწვრივ. ოდესღაც ეს წყალსადენი აწვდიდა რომს წყალს ახლო მდებარე ტბებიდან და თავისი დროისათვის სააღმშენებლო ხელოვნების საკვირველებას წარმოადგენდა.

ფართე თეთრი გზის გასწვრივ მოსჩანდა საფლავები, ძველ შენობათა და აკლდამების ნანგრევები. ეს იყო აპპის ცნობილი გზა, რომელიც აგებულ იქნა ჯერ კიდევ რომაელი კეისრების დროს. ის სამხრეთის მიმართულებით მიდიოდა და ოდესღაც ამ გზით მიიმართებოდენ რომაელი რკინის ლეგიონები, როდესაც ისინი აფრიკის აზიის და მაკედონიის დასაპყრობად მიემგზავრებოდენ.

იმ დროს, რომლის შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს ამ გზამ დაკარგა თავისი სამხედრო-სავაჭრო მნიშვნელობა, მაგრამ კეისრების მონათა მიერ მოკირწყლული, იგი მგზავრებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო.

ამიტომ ბაკი, თავის მიმზიდველი წარწერით, რომელიც ბოთლსა და შაშს გამოხატავდა, კარგ მდგომარეობაში იყო და მისი პატრონი სინორირი პულჩი ყოველთვის მხიარულ გუნებაზე იყო.

ამ ჟამად იგი თავის სახლის ჭიშკართან იდგა და გასცქეროდა ლურჯ ჰორიზონტს ნამდვილ დამპყრობელის სახით.

— აჰა, როზანა! — დაუყვირა მან, თავის მეუღლეს, რომელიც გზაში თეთრეულს რეცხავდა, — სამხრეთიდან ვიღაცა ცხენს მოაგელვებს.

სინიორი პულჩი აფასებდა თავის მდგმურებს არა მარტო იმ შემოსავლისათვის, რომელიც მათ მოქონდათ. ის ზედმეტად ცრობია მოყვარული იყო, უყვარდა ჭორიკანობა და ახალი ამბების გაგება.

— მოაჭენებს ცხენს, მოაჭენებს, უთუოდ უბრალო მდაბიოთაგანი არ არის.

ახლა კი აშკარად ისმოდა ცხენის ფეხების ხმა მტვერის თეთრი კორიანტელიდან გამოცხადდა მხედარი — ახალგაზრდა ყმაწვილი, მსუბუქ წამოსასხამში გახვეული, საგზაო ბერეტით უდეზოდ, ერთი სიტყვით, არა სამხედრო პირი. უნაგირზე უკან მიკრული ქონდა საგზაო ტომარა.

„მით უკეთესი, რომ სამხედრო პირი არ არის, — გაიფიქრა პულჩიმ — იმათგან ათასგვარ ხლაფორთს უნდა მოელოდე".

— მითხარით, — კითხა მხედარმა, შეაჩერა რა ცხენი, — აქედან კიდევ შორსაა რომი?

ასეთი ცხენით თქვენ უთუოდ ჩახვალთ იქ ნახევათ საათზე უფრო ადრე, მაგრამ ცოტა საჭიროა ცოტა დაისვენოთ და მოლონიერდეთ. ჯერ კიდევ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ჭიშკრისთვის ასე გვერდი აევლოთ.

— მე რომ ფეხით წავიდე. — გადაუჭრა მხედარმა, — რამდენი ხანი დამჭირდება სასიარულო?

— ფეხით? ფეხით საათნახევარი. ოღონდ სინიორ, ჩემი რჩევა იქნება ღამე აქ გაითიოთ, თორემ აი, მიწის ქვეშ სხვადასხვა სადგომებია, სადაც გარწმუნებთ, არა მარტო ვირთაგვები სცხოვრობენ...ბევრი არა სანდო პირები დახეტიალობს აპპის გზის გარშემო.

ამასობაში მხედარი გადმოხტა ცხენიდან, აღვირი პულჩის გადაუგდო და გადაჭრით უთხრა:

— მე აქედან ფეხით წავალ, ცხენს თქვენთან დავტოვებ, ახლა კი მომეცით მე საჭმელი და მიჩვენეთ სად შეიძლება ტანსაცმელი გამოვიცვალო....

პულჩს ყოველივე ეს ძლიერ გაუკვირდა, მართალია, ცხენს მას ხშირად ანდობდენ, მაგრამ რა აზრი აქვს ფეხით ხეტიალს, როდესაც ცხენი გყავს? მაგრამ მას საწინააღმდეგო არა უთქვამს რა, ჩამოართვა ცხენი და ბოლოს ჰკითხა:

— თქვენ უთუოდ ნეაპოლიდან ხართ?

— დიახ.

— რას შვრებიან იქ ესპანელები?

— არაფერი, ბატონობენ.

— ის კი მართალია, რომ ყველა ბერები მათ საიდუმლო საშსახურში შესულან?

— სისულელეა!

მგზავრმა უნაგირს მოხსნა ფუთა და სახლში შევიდა; როზინამ კი საცვლებს თავი დაანება და საქმელის მზადებას მიყო ხელი .მას ძლიერ მოეწონა ლამაზი მგზავრი და გადასწყვიტა კარგად გამასპინძლებოდა.

როდესაც სინიორ პულჩიმ ჩაიყვანა ცხენი საჯინიბოში და შემდეგ სახლში შევიდა, მის არასასიამოვნოდ დაინახა დომინიკანელი ბერი თეთრ ანაფორაში, რომელიც მისგან ზურგ შექცეული იჯდა და წიგნს კითხულობდა.

სინიორ პულჩს არ უყვარდაა ბერები და მით უფრო დომინიკელები. „როგორ შემოძვრა ეს ბერი აქ — გაიფიქრა მან, — გზაზე იგი არ გამოჩენილა. შემოიპარა უთუოდ სანამ მე ცხენს მოუვლიდი."

ბერთან თანდასწრებით ნეაპოლიტანელ მგზავრს ვერ დაელაპარაკები. ბერებთან დიდი სიფრთხილეა საჭირო. უნდა გავაფრთხილო მგზავრი, რომ აქ წმინდა ჩხიკვი ზის.

სინიორმა პულჩიმ გადასწყვიტა ჯერ ყურადღება არ მიექცია ბერისათვის, მით უფრო, რომ ისიც ვერ ამჩნევდა მას. სიონორმა პულჩიმ გაიარა მეორე ოთახისაკენ, სადაც ტანსაცმელს იცვლიდა ახლად მოსული მგზავრი. უთუოდ მხედარს მოქონდა ლამაზი მოკაზმულობა, რომლითაც უნდოდა მას რომში ჩასვლა. საინტერესო იყო მისი ნახვა. ნეაპოლიტანელი სინიორები მუდამ მდიდრად და კარგად იცვამენ. პულჩის განსაცვიფრებლად ოთახში არავინ აღმოჩნდა. ფუთა კუთხეში ეწდო. მაშინ იგი შიდა ეზოში შევიდა; იფიქრა რომ სინიორი უთუოდ იქ პირს იბანდა, მაგრამ ეზოშიც ვერავინ ნახა. სინიორი პულჩი მეტად ვაოცებული დაბრუნდა სასადილოში, სადაც ბერი იჯდა.

-როგორ არის ს აქმე? — იკითხა მან. — მალე იქნება ვახშამი? სინიორი პულჩი შეკრთა, შეიცნო რა ნეაპოლიტანელის ხმა.

მან მექანიკურად ჩაიჩურჩულა.

— ამ წუთში თქვენო მოწყ.....მამაო. — .....მაგრამ მას აქვე ენა დაებნა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. სწორედ ამ დროს როზინამ საქმელი შემოიტანა და იმანაც შიშისაგან კინაღამ სული დალია.

ერთი ბოთლი ფრასასატიც — სთქვა დომინიკანელმა.

ხუთი წუთის შემდეგ იგი სჭამდა, სვამდა და ერთ დროულად წიგნებსაც კითხულობდა. სადაც რაღაცას ფრჩხილებით ნიშნავდა. სინიორმა პულჩიმ წიგნში. მშვენიერი სურათები შეამჩნია. რკოლები, რაღაც მიხვეულ-მოხვეული ხაზები. — ციფრები. ისე რიგ-რიგზეა როგორც მის შემოსავალ-გასავლის წიგნში. ეს წიგნი სრულებით არ გავდა არც ერთს მის მიერ დღემდე ნახულ ლოცვას.

მაგრამ ამ უცნაურ სტუმართან ხელახლა დალაპარაკებას ველარ შეეფერებოდა. ის კი ჭამა-სმის შემდეგ ადგა და გავიდა ოთახში, სადაც ფუთა იდო. ერთი წუთის შემდეგ გამოცხადდა შავი წამოსასხამით, რომელიც თეთრი ანაფორის ზემოთ ჰქონდა წამოხურული — ეს იყო დომინიკანელების სამგზავრო ტანსაცმელი. გადაუხადა პულჩის იმაზე მეტი, რასაც იგი მოელოდა და ჩქარის ნაბიჯით გაუდგა გზას რომისაკენ.

სინიორი პულჩი იძულებული იყო თვითონვე დაელია ერთი ბოთლი ფრასკატი, ვიდრე იგი გონზე მოვიდოდა

— შენ ხომ მასთან ისეთი არაფერი წამოგიროშავს? შეეკითხა შეწუხებული როზინა, რომელიც ამასთანავე მისჩერებოდა იმ გზას, სადაც ჯერ კიდევ მოსჩანდა ბერი.

სინიორმა პულჩიმ მხოლოდ გაურკვეველად დასტვინა. ეს სტვენა თითქოს იმას ნიშნავდა, რომ — ვთქვი რამე თუ არა — სულერთია; ბერისაგან სასიკეთოს ნურაფერს მოელი.

— კარგია. ცხენი რომ მე დამრჩა საწინდრად. თუ რაიმე მოხდა ამ ბერს მეც წავუდგები პირში. რას დააჭენებს ცხენს გზებზე, ეშმაკივით, ხოლო მთელი თავისი სიწმინდე ტომარაში აქვს დამალული? აქ რაღაც ყველაფერი რიგზე არ არის.

ჯორდანო ბრუნომ გადასწყვიტა რომში გამოცხადებულიყო სრულიად აშკარად ბერად ბერის ტანთსაცმელში, რომ ეჩვენებინა თუ როგორ სრულიადაც არ ფიქრობს იგი შეუშინდეს რომის ინკვიზიციას. რომ დაესწრო მოსალოდნელ დამბეზღებლებისათვის, მან გზა ნეაპოლიდან რომამდე ცხენით და საერთო ტანსაცმელში გაიარა და მხოლოდ ახლა გადასწყვიტა გადაცმულიყო.

იგი დიდს მღელვარებას განიცდიდა „მარადიულ ქალის" მოახლოვებასთან ერთად, რომლის შესახებ ბავშობიდანვე ოცნებობდა. შორიდან უკვე მოსჩანდა შენობების მსგავსი მოხაზულობა. აი იქ თითქოს მოჩვენებასავით, ყველაზე მაღლა, მისთვის სურათებით ნაცნობი გუმბათი იყო ჩამოკიდებული: ეს წმინდა პეტრეს ტაძარი იყო. ბრუნო უნებურად შეჩერდა. ქარმა მის ყურთასმენამდე ზარების რეკვის მსუბუქი ხმა მოიტანა. ეს ის საათი იყო, როდესაც კათოლიკეთა ტაძრებში ზარებს რეკავენ, მლოცველთა მოსახმობად.

ათი წლის წინეთ ბრუნო, უთუოდ, მუხლებზე დაეცემოდა და გულზე ხელდაკრეფით დაწესებულ ლოცვებს წაიკითხავდა.

მაგრამ ამჟამად იგი შესცქეროდა შორეულ გუმბათს, რომელსაც იტაცებდა მისი მშვენიერი მოხაზულობა და ადიდებდა არა ღმერთს, არამედ იმ დიდ მხატვარს, რომელმაც ააგო ეს არქიტექტორული საკვირველება. და თუ ეს ასეა, რატომ მიდის იგი რომში, იმ სარწმუნოების დედა ქალაქში, რომელსაც იგი კარგა ხანია რაც ჩამოსცილ-

და. უფრო ადვილი არ არის საბოლოოდ მოიცილოს ანაფორა და წავიდეს სადმე, სადაც მას არავინ ხელს არ შეუშლის, დიად მეცნიერებას დაეწაფოს? მაგრამ ბრუნოს მაინც თავისი უნდოდა გაეტანა. მას სურდა დაემტკიცებია ამ „ბრძენ" მღვდლებისათვის, რომ ჭეშმარიტება ნამდვილ ცოდნაში მდგომარეობს, რომელიც ცდაზეა დამყარებული და არა ფანტაზიებზე და მოჩვენებებზე. რატომ არ შეიძლება წინ აღუდგეთ არისტოტელს, უკეთუ მეცნიერებამ, რომელიც წინ წავიდა, დაამტკიცა, რომ იგი არ არის მართალი. თავისი დროისათვის ის დიდი იყო.. და გამოსადეგი, როგორც ეს დანგრეული წყალსადენი... სასაცილო იქნებოდა უარი ეთქვათ ახლა წლის დალევაზე მხოლოდ იმიტომ, რომ წყალი ამ ძველი წყალსადენით არ მიმდინარეობს. სასაცილოა უარვყოთ ჭეშმარიტება მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის ამოღებული არისტოტელის თხზულებებიდან. რატომ ხდება, რომ ასეთ უბრალო საგნებს ადამიანები ვერ იგნებენ?

უკვე ბნელოდა, როდესაც ბრუნომ წმინდა სებასტიანეს ჭიშკრამდე მიაღწია და ჩაუარა ძველ რომაელ კეისრის კარაკალონის სასახლის ვეებერთელა ნანგრევებს. აქ, რომში, განსაკუთრებით იგრძნობდით ძველის დანგრევას და ახალის შობას, ერთი ეპოქის მეორეთი შეცვლას, მომავლისაკენ მუდმივ მოძრაობას, რომლის შეჩერებას ცდილობენ მხოლოდ გიჟები.

ბრუნომ გადასწყვიტა პირდაპირ წასულიყო დომინიკანელების წმინდა სადგომში მინერვაზე წმინდა მარიამის ტაძარში და მის საერთო საცხოვრებელში ეძებნა თავშესაფარი.

— იქ სცხოვრობდა ხანდაზმული ბერი, ძმა მარტინო, რომელიც ბრუნოს მამას იცნობდა და ჭეშმარიტად მეტად ჭკვიანი იყო. მისგან არ შეიძლებოდა ისეთ სიმხეცის წარმოდგენა, როგორიც მოსალოდნელი იყო ყოველგვარი მონტალჩინოებისაგან.

ქუჩებში უკვე ბნელოდა. სახლებში სინათლემ იფეთქა, ზოგან მხიარული სიმღერა მოისმოდა, ზოგან ილანძღებოდენ მედუქნეები, ემზადებოდენ რა დასასვენებლად, კეტავდენ თავიანთ დუქნებს, ბრუნო მიმართავდა გამვლელებს, თუ რა გზით მივიდოდა იგი წმინდა მარიამის ტაძრამდე, მაგრამ ყოველთვის რაღაც შიშით უპასუხებდენ და შემდეგ ჩქარის ნაბიჯით განაგრძნობდენ გზას, გაიარა თუ არა რამოდენიმე კლაკნილი და უკვე საესებით ბნელი ქუჩები, ბრუნო მოედანზე აღმოჩნდა, საიდანაც მარიამის ტაძარი, რომელიც არქიტექტურის მიხედვით იცნო. ის იყო ერთად-ერთი ტაძარი რომში გოტიურ სტილზე აგებული, თუმცა ეს სტილი არ იყო სასტიკად დაცული. ოდესღაც ამ ადგილს იყო კერპთაყვანისმცემელთა ტაძარი ქალღმერთის მინერვას სახელობისა. ამიტომაც ეწოდებოდა ამ ტაძარს — წმინდა მარიამის ტაძარი მინერვაზე.

მეკარე, რომელმაც ბრუნოს მონასტრის საერთო საცხოვრებლის კარიბჭე გაუღო, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ ბერის სამოსელს ქვეშ შეეძლო თავი შეეფარებიათ ასეთ ცოდვილ აზრებს.

ძმა მარტინოს სახელმა მეკარეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნო უკვე ხანდაზმულ ბერის სენაკში იმყოფებოდა. მან მეგობრულად გაუწოდა ბრუნოს ხელი და დასვა თავის წინ სკამზე.

შენ კიდევ სამხრეთის სუნი გიდის — უთხრა მან. — თითქოს უკვე დამავიწყდა ჩვენი საყვარელი იოლა. მაშ მოყევი, რას მიაღწიე შენ, ჯორდანო, მე ხომ ვიცი, რომ შენი გონება მახვილია, გული კი სავსეა ცოდნის დიდი წყურვილით... მითხარი როგორ ემსახურებოდი შენ უფალს იმ დროის განმავლობაში რაც მე და შენ ერთმანეთი არ გვინახავს და რამ მოგიყვანა შენ რომში. ძალიან მოხარული ვიქნები თუ შევძლებ რითიმე დაგეხმარო.

ასეთმა დასაწყისმა ძლიერ გაათამამა ბრუნო.

მან დაიწყო ლაპარაკი. ლაპარაკის დროს იგი აინთო, ადგა და ოთახში სიარული დაიწყო, მისი თვალები ბრწყინავდენ და თვითეული სიტყვა ეცემოდა, როგორც წვეთი დამდნარი ტყვიისა, რომელსაც შუაში უნდა გაეპო უმეცრების შავი სამოსელი. ის ჩვეულებრივ ისე გაიტაცა აზრებმა, რომ სულ დაავიწყდა თავისი მოსაუბრე, იგი ფრჩხილებით ხაზავდა კედელზე რაღაც, წრეებს, ხატავდა ცის შნათობთა მოძრაობას, აქნევდა ხელებს, თითქოს უნდოდა გაფრენილიყო იმ დაუსრულებელ ქვეყნებში, რომელთა არსებობასაც იგი ამტკიცებდა. და, აი, ამ გაცხარებული სიტყვის დროს მან იგრძნო თავის ბეჭებზე ძმა მარტინოს ხელი და შეშინებული ხმა ჩურჩულით თქმული:

— ჩუმად, ჩუმად შეჩერდი!

— ბრუნო შეკრთა და ერთბაშად გაჩუმდა, ის თითქოს მართლაც ჩამოვარდა შორეულ პლანეტიდან, რომელზედაც ის-ის იყო აფრინდა და გაოცებული შეყურებდა მოხუცს შეწუხებულ სახეში.

— განა შეიძლება ასე ხმა მაღლა ასეთ საგნებზე ლაპარაკი? წყენით წაიჩურჩულა მან და ძლიერის ხმით დაუმატა:

— ყოველივე ის, რასაც შენ ლაპარაკობ, ძმაო ჯორდანო სასაცილოა და კარგა ხანია, რაც დაგმო ეკლესიამ, როგორც ერესი და აზრთა აღრევა. თუ შენ, შენი ახალგაზრდობის გამო კიდევ ხარ გატაცებული ამ ზღაპრებით, ეცადე მარხულობით და ლოცვით წარმართო შენი გონება სხვა გზით. მე გადაჭრით ვგრძნობ ყოველივე იმას, რაც შენ ბაგეთაგან გავიგონე. წადი შენთვის მიჩენილ სადგომში და დეე წმინდა პეტრეს ტახტის სიახლოვემ იმოქმედოს შენზე კეთილად, ხოლო მის საფლავიდან ამომავალმა სინათლემ განანათლოს

შენი გონება, დაბნელებული ეშმაკეულის სწავლებისაგან. განვედ მშვიდობით! განვედ მშვიდობით! და მან კვლავ წაიჩურჩულა:

გიჟო, შენ დამღუპავ მე და შენს თავსაც დაიღუპავ. ბრუნო თავჩაღუნული გამოვიდა. რაღაც ჩრდილმა გაანათა დერეფანში და გაქრა. უთუოდ აქ უგდებდენ ყურს ყოველგვარ ლაპარაკს. წამოწვა თუ არა „მგზავრთათვის" განკუთვნილ მაგარ სარეცელზე, მან ამოიოხრა და მიმოიხედა. პირველად მას ეგონა, რომ იგი მარტო იყო, მაგრამ მცირე საწოლზე დაინახა სხვა მგზავრი — სქელი ბერი. მან, უთუოდ, კარგად ივახშმა, რადგანაც ძილში ხშირად ინძრეოდა სლოკინისაგან, სახეზე ეტყობოდა, რომ ბერი კმაყოფილი იყო და დამშვიდებული. ის ძილში ტუჩებს აცმაცუნებდა და ხანდახან ილიმებოდა კიდეც. იგი, ცხადია, მორწმუნე კაცი იყო.

ხვალ მას დალოცავს პაპა და იგი ისევ წავა ქვეყნად სამუქთახოროდ და ხალოცავად. ეს უფრო გონიერება არ არის, ვიდრე თავის დაღუპვა რაღაც ვარსკვლავებისათვის?

ბრუნო გაბრაზებული წამოხტა და მუშტი დაკრა ლეიბს. მაგრამ მართალი ვარ მაინც მე და არა ისინი! თქვა მან და შეტევა დაეცარა ბალიშზე. გრძელი გზით დაქანცულმა, დაიძინა მაგრამ მას ძილი ცუდი ქონდა და ამიტომ უცნობს კაცს, რომელმაც რამოდენიმეჯერ ჩუმად შეიხედა სენაკში, შეუმცდარად შეეძლო ეთქვა თუ რომელი მათგანი იყო მართალი და რომელი ცოდვილი. სქელი ბერი ძილში ხედავდა, უთუოდ, მისთვის გამზადებულს სამოთხეს. ბრუნო კი წრიალებდა მის ვიწრო სარეცელზე და ოხრავდა, თითქოს ეშმაკებმა მოასწრეს მისი ლეიბის. ცხელის ნაკვერცხლებით ავსება. ის რაღაცას ბუტბუტებდა სიზმარში, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ღამის მაცქერალი ძლიერ ცდილობდა რაიმე გაეგო, მაინც ვერც ერთი სიტყვა ვერ გაარჩია.

7. „გზა — მშვიდობისა"

ბრუნომ დილით ადრე გამოიღვიძა. იგი გააღვიძა ზარების ხმამ და თავისი სქელი მეზობლის ხველებამ.

ზარების რეკვა წირვაზე მოუწოდებდა. მოედნიდან მოისმოდა ვირების ყროყინი, ადამიანთა ლაპარაკი. რომმა უკვე გაიღვიძა...

— შენ მოგზაურობ, ძმაო ჩემო? კითხა ბოხი ხმით და თან თვალების წმენდით ბერმა.

— ამჟამად მე მოვედი ნეაპოლიდან... მე იოლელი ვარ:

— მე ფლორენციელი ვარ, მაგრამ ღმერთმა ინება და მალირსა შრავალ ქვეყნის ნახვა. მე ახლა პარიზიდან მოვდივარ და მივემგზავ-

რები სწორედ იქ საიდანაც შენ წამოდი, ნეაპოლში. შენ სან-დომინიკო მაჯორედან ხარ?

— დიახ.

— კარგი მონასტერია, მინდა იქ შევისვენო მოგზაურობისაგან.. ძმა ფრანჩესკო კიდევ ცოცხალია?.

— ცოცხალია!

— ბრუნომ გაიფიქრა, რომ ძმა ფრანჩესკო და ეს ბერი, უთუოდ, გემოვნებაში ვერ შეეწყობიან და საეჭვოა, რომ ამ ბერმა დიდი ხანი აიტანოს მონასტრის მცირე სმა ჭამა.

— რა ამბავია პარიზში? — შეეკითხა ბრუნო, ბერმა ხელი დაიქნია.

— ცუდათაა საქმე, ერეთიკოსებმა ისე აიშვეს, რომ მათთან ვერაფერს გააწყობთ... მეფე ჰენრიხ მესამე სურათებს სჭრის და საღამოებზე ცეკვავს. მხოლოდ ჰერცოგი გიზი მფარველობს ეკლესიას. სამხრეთიდან კი მუდმივ იმუქრებიან წყეული ჰუგენოტები თავისი მეფე ჰენრიხ ნავარიელით... მიდის თითქმის მუდმივი ომი... ინკვიზიცია იქ არ მოქმედებს და ცხადია, ღვთის მკიცხავნი გათავხედდენ. ასე არ იყო განსვენებულ კარლოს მეცხრეს დროს. მე სწორედ ბართლომეს წმინდა ღამეს ვიყავი პარიზში... აი, იმ დღეს იყო სწორედ ყეთილი კათოლიკების დღესასწაული! რამდენ ერეთიკოსს ყელი გაძოსჭრეს, რამდენი დახვრიტეს, რამდენი გადაყარეს სენაში! მე ხიზზე ვიდექ და მხოლოდ ვასწრებდი მკვლელობის ცოდვის პატიებას... ასი მკვლელობა მაინც ვაპატიე იმ ღამეს... და განა მე მარტო ვიყავ? თვით მეფე ესროდა ფანჯრიდან გაქცეულ ჰუგენოტებს და ტყვიასაც კარგად ახვედრებდა. ცხადია, ღმერთი ეხმარებოდა მას...

— მაშ, ამჟამად იქ არავინ ხდევნის თავისუფალი აზროვნებისათვის?

— სამწუხაროდ! აწყობენ დისპუტებს, არცხვენენ ერეთიკოსებს. მაგრამ ნამდვილად კი მათ არ უსწორდებიან. ვიდრე მე პარიზში ვიყავ არც ვრთი ურწმუნო არ დაუწვავთ. ესპანეთში კი, ამბობენ, რომ კოცონი მუსრს ავლებს... და აქ, ჩვენშიაც სასტიკად იცავენ ეკლესიას. ჩვენი იტალიელი ინკვიზიცია არაფრით ჩამოუვარდება ესპანეთისას. მაშ, წავიდეთ, ძმა ჩემო, ვილოცოთ და შემდეგ ტრაპეზიც მივიღოთ, ყოველივეს თავისი დრო აქვს...

ბრუნომ შეამჩნია, რომ წმინდა მარიამის ყველა ბერი ერთნაირი ეჭვიანის თვალით უყურებდა მას, ხოლო ძმა მარტინომ ძლივს უპასუხა სალამზე და მაშინვე პირი იბრუნა. ამან მეტად შეაწუხა და შეურაცხყო ბრუნო.

მან არ დაუცადა ტრაპეზს და დაიწყო ქუჩებზე ხეტიალი. ქუჩებზე დადიოდენ გლეხები ვირებითა და ხარებით გაბმული ურმებით,

რომელთაც ჩამოეტანათ რომში მახლობელ სოფლებიდან მწვანილი და ხილი, რითაც ასე მდიდარია იტალიის სოფლები შემოდგომაზე. ეკლესიის კარებიდან გამოდიოდა სანთლისა და საკმელის სუნი, სახლებს შორის ლურჯი ცის ფონზე ბრუნოს თვალწინ წარმოუდგა წმინდა პეტრეს გუმბათი და იგი უნებლიედ შეჩერდა, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მისი მოხაზულობით, რაც ასე ეალერსებოდა თვალებს. ბრუნომ შემოუარა პანთეონს, შემდეგ კი გადასწყვიტა გასულიყო პაპის სასახლისაკენ — ვატიკანისაკენ. გამვლელებმა ძიუ-თითეს მას გზა, რომელიც წმინდა ანგელოზის ხიდისკენ მიდიოდა და აერთებდა ვატიკანს რომთან. ის ახლა იქ ქუჩებით მიდიოდა, სადაც დუღდა და გადადუღდა რომის საქმიანი ცხოვრება. აქ იყო ბანკები, კონტორები. ოქრო მჭედელთა სახელოსნოები, კარდინალების, ბანკირების და უცხოეთის ელჩების სასახლეები. ბრუნო შეჩერდა ოქროს ნაკეთობათა სახელოსნოს წინ, რომ დამტკბარიყო სამი შეგირდის მარჯვე მუშაობით. ვიღაცამ მას სახელი უწოდა.

სახელოსნოს კარებზე იდგა მისი ადრინდელი იოლელი მეგობარი. მხატვარი და ოქროს საქმეთა ხელოსანი პიეტრო კამპო, დიდი ბენვენუტო ჩელინის მოწაფე.

— მე ვხედავ, რომ ბერი შეყურებს ჩემს შეგირდებს და უცებ ვიცანი ჯორდანო... შემოდი ჩემო მეგობარო. მე ვფიქრობ, რომ შენ ეს ანაფორა არ დაგიშლის დავლიოთ ცოტაოდენი ჩვენი შშობლიური იოლის აყვავებისათვის. ბრუნო შევიდა სახელოსნოში. სადაც ყველა ხელოსნები და შეგირდები ცნობის მოყვარეობით შეცქეროდენ მას.

— ეს ჩემი მეგობარი ბრუნოა, სწავლული ბრუნო, რომლის შესახებ მე თქვენ გელაპარაკეთ! — დაუყვირა მათ მხიარულად პიეტრომ და ყველას გაეღიმა.

პიეტრომ ჯორდანო დიდ ოთახში შეიყვანა. ეს ოთახი არაჩვეულებრივად ნათელი იყო, რადგან ფანჯარას ეკავა თითქმის მთელი კედელი. აქ იდგა სანთლისა და გიპსის მოდელები, ეყარა მარმალილოს ნამტვრევები, სდიოდა საღებავის სუნი და იქ იდგა დაუმთავრებელი სურათი, რომელიც რომის მიდამოების პეიზაჟს გამოხატავდა.

შენ მხატვარიც ხარ, მოქანდაკეც და ოქროსმჭედელიც? — ღიმილით შეეკითხა ბრუნო. იგი ჩაჯდა ტეებერთელა სავარძელში, რომელიც მას მეგობარმა მიაწოდა.

— არა... ამ სურათს ხატავს ჩემი ძმა ანდრეა. დაუდეევარი ყმაწვილია იგი. უნდა მივაბა აქ, ვიდრე სურათს არ დაამთავრებს. ამ ჟამად ის ქეიფობს და მხიარულობს, აგერ მეორე ღამეა, რაც აღარ სჩანს. მე ყოველთვის მეშინია, რომ მას მოათრევენ გამოფატრული

მუცლით ან თვითონ მოკლავს ვისმეს და ჩააგდებენ წმინდა ანგელოზის ციხეში. ჩემი სახელოვანი მასწავლებლის ბენვენუტოს მსგავსად. ის კი შეიძლება ყოფილიყო კარგი მხატვარი. შეხედეთ როგორი ფიქვებია, ხომ მშვენიერი სანახაობაა... თვით მელოცცო დაფორლი მოაწერდა ხელს ასეთ პეიზაჟს... აი, მე, ვაკეთებ ოქროს ვაზის მოდელს უწმინდესი მამისათვის. აი, ამ ტომარაში ხუთასი ოქროს ეკიუ რაც უნდა გადავადონ ამ ვაზის გასაკეთებლად. ყოველ საღამოს მავიწყდება მათი შენახვა საიმედო ადგილას, ხოლო, როდესაც დილით გამომეღვიძება ვყვირი შიშისაგან და მივრბივარ გასასინჯად. ხომ არ აკლია რამე მეთქი.

პიეტრომ ფეხი შემოკრა ოქროთ სავსე ტომარას ამიტომ დაირაჩხუნა და მან სიამოვნებით გაიღიმა.

— მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც ქურდებმა ოქროს ნაცვლად სადაფები ჩაყარეს... ბრუნო, შეიძლება იქ სადაფები იყოს? ნახე ღვთის გულისათვის. მე შიშისაგან ხელები წამერთვა.

ბრუნომ შეხსნა ტომარა და ერთი მუჭა ოქრო ამოიღო...

— იკურთხოს სახელი უფლისა! დაიყვირა პიეტრომ. — თუმცა მე ასეც ვფიქრობ. ამას წინეთ... მან დაუდაბლა ხმას და მიმოიხედა. — ამას წინეთ ერთმა ცნობილმა ქალმა მომიტანა ვეებერთელა ალმასი და მიბრძანა დამეფქვა, მე მივხვდი რაშიც იყო საქმე და ალმასის ნაცვლად აკვამარინი დავფქვი. ამ რიგად მე კარგადაც მოვიგე და ვიღაც საბრალო კაცს სიცოცხლე შეეუნარჩუნე. დაფქულ ალმასს ხომ საჭმელში უყრიან იმას, ვისიც მოწამვლა უნდათ. ალმასის ფხვნილი გლეჯს ნაწლავებს, ხოლო აკვამარინის ფხვნილი იწვევს კუჭის უმნიშვნელო აშლილობას... ამ ქალის ქმარმა, იმის მაგიერ, რომ იმ ქვეყანად გამგზავრებულიყო, ზედმეტად შეირბინა საპირფარეშოში...

პიეტრომ ხარხარი დაიწყო, იმის წარმოდგენით თუ როგორ გაბრაზდებოდა და გაოცდებოდა ის ქალი...

ბრუნოსაც გაეცინა...

მონასტრის მოსაწყენი საუბრისა, ყოველგვარი სამეცნიერო და რელიგიური დავის შემდეგ ის ძალიან გახარებული იყო და სიამოვნებდა ამ გულუბრყვილო ლაპარაკით.

მე კი ჩამოვედი აქ ვეძიო მფარველობა რომის ინკვიზიციაში.— სთქვა მან და მოკლეთ მოუთხრო პიეტროს მთელი თავისი ისტორია.

— შენ ხომ არ გაგიჟდი? — დაუყვირა პიეტრომ, როდესაც ყოველივე მოისმინა. — კოპერნიკის თხზულებანი პაპამ საჯაროდ დასწყევლა და შენ კი აქ მის დასაცავად გამოცხადდი! შენ აქ ღვიღუპები... უშველე თავს. სანამ გვიან არ არის, ვიდრე არ ჩაგაყუდეს

წმინდა მარიამის სარდაფში. რამოდენიმე ხნის წინეთ არ დასწყეს ორი ერეთიკოსი, ახლა კი ამბობენ, არის საიდუმლო განკარგულება გააძლიერონ მათთან ბრძოლა. საფრანგეთში ნამდვილი რელიგიური ომია და არავინ იცის თუ ვინ გაიმარჯვებს, უშველე ბრუნო, უშველე თავს.

ჯორდანოს უნდოდა პასუხის გაცემა, მაგრამ ამ დროს სახელოსნოში გაისმა ხმაურობა და იარაღის ჟღარუნი.

შეშინებულმა შეგირდმა კარებში შეიხედა.

— ბატონო, წმინდა ანგელოსის ხიდიდან მოვიდენ მცველები.

— აბა, აბა...

პიეტრო გაიქცა სახელოსნოში, ბრუნოც მას გაყვა. ორი ჯარისკაცი თოფებით იდგა შუა ოთახში. გრძელი შპაგები გვერდზე ეკიდათ.

— ანდრეა კამპო — შენი ძმაა? — კითხა ერთმა, რომელმაც ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო.

— ძმაა. მიხსენ ღვთის მშობ...

— მაშ, ის გუშინ ღამით დაიჭირეს ორი კავალერის მოკვლისათვის და ზის წმინდა ანგელოსის ციხეში. აი, თქვენთან ქაღალდია ციხის გუბერნატორისაგან, გიხმობენ დასაკითხავად, ნათესავის სახით.

ღვთის მშობელო! — ჩაილუღლუღა პიეტრომ, თვალების წმენდით, მაგრამ იმ წამსვე გაუბრწყინდა სახე, მოუბრუნდა ბრუნოს და უთხრა: როგორია ანდრეა, ერთბაშად ორი მოკლა. ჩემის აზრით, თუ ორი ბრიყვი ნებას აძლევენ ერთს მოაკლევინონ თავისი თავი, უწინარეს ყოვლისა თვითონ არიან დამნაშავენი. გავიქცევი პაპასთან. ის აფასებს ჩემს მუშაობას. შევეცდები მას შეიწყნაროს ბავში. როდესაც ორი კლავს ერთს, მაგრამ უკეთუ ერთი კლავს ორს, ერთი სრულიად არ არის დასჯის ღირსი.

დააციწყდა რა ყოველივე ის გაიქცა ქუჩაზე.

ბრუნო გამოვიდა სახელოსნოდან და გაემართა ტიბრისაკენ, რომლის ლურჯი წყალი მოსჩანდა სახლებს შუა. პიეტროს სიტყვებმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ რომში იგი ვერავითარ სამართალს ვერ იპოვიდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ გულს არ იტეხდა.

აი, ტიბრიც, რა მშვენიერი სანახაობა გაიშალა ბრუნოს თვალების წინ, მის წინაშე გაშლილიყო ფართე ხიდი, რომლის მთელ სიგრძეზე მოთავსებული იყო მოციქულების სურათები, ექვს-ექვსი თვითეულ მხარეზე. ხიდს გაღმა, ვეებერთელა მრავალი ქვის სამელნეს მსგავსად აღმართულიყო წმინდა ანგელოსის ციხე, რომელსაც ამშვენებდა ლურჯ ცის ფონზე გაშლილი დროშა.

ცოტა დაშორებით მთელი თავისი სიმშვენიერით ბატონობდა შთელს ოლქზე პეტრეს სახელობის გიგანტური ტაძარი. ვერცხლოვანი გუმბათი თითქოს იზიდავდა თავისთან მზესაც და ცის ლაჟვარდსაც და სჩანდა ისეთივე მსუბუქი და გამჭვირვალე როგორც რომის ნათელი დილა. რა სილამაზეა! ამ სილამაზის სადიდებლად სწვავდენ ადამიანებს და სტანჯავდენ მათ ქვის ბნელ სარდაფებში. ხოლო ადამიანი, რომელიც თავის თავს დედამიწაზე ქრისტეს მონაცვლედ სთვლის — რომის პაპა, — ყოველივე ამას ხვლს უწყობს და თვით ეს-წრება საჯარო დასჯის დროს. როგორი სისულელეა!

ბრუნო გადავიდა მეორე მხარეს, რათა დამტკბარიყო ოსტიიდან მოსული უცნაური ხის გემებით. შემდეგ ის შევიდა პეტრეს ტაძარში, რომელიც უდაბნოს წააგავდა, იყო სიჩუმე და სიცივე, შემდეგ გავიდა მდინარის მეორე ნაპირს და ამგვარად საღამომდე დახეტიალებდა ძველი რომის—ნანგრევებს შორის, მიმოდიოდა საფეხურებზე, რომელნიც. ოდესღაც. უთუოდ, წარმოადგენდა ძველი სასახლეების და ტაძრების საფუძველს. ვიღაცეები ფუსფუსებდენ ამ ნანგრევებში. თხრიდენ გამხმარ, დახეთქილ მიწას და აშინებდენ მწვანე და ნაცრის ფერ ხვლიკებს. ეს ადამიანები ეძებდენ ძველ ძვირფასეულობას. რომელიც მოიპოვებოდა ამ წმინდა ადგილის ნანგრევებში. ბრუნოს გადაეკიდა ვიღაც ენათმეტყველი მოხუცი, რომელმაც დაუწყო მტკიცება, რომ აქ იყო რომის ძველი ფორუმი, ე. ი. საიმპერატორო რომის მთავარი მოედანი, სადაც თავმოყრილი იყო მთავარი საკურთხევლები, ტაძრები და მთავრობის შენობები.

მე დაგიმტკიცებთ, ძმაო, რომ სწორედ აქ და არა სხვაგან. სწარმოებდა ცნობილი სახალხო კრებები და აქედან მოუწოდებდა ბატონი ხალხს და მოითხოვდა კართაგენის დანგრევას... მე რომ ბრიყვი და გიჟი არა ვარ ამას ის ამტკიცებს, რომ ჩემი მეგობრები იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა მიქელ ანჯელო ბუონაროტი, რომელმაც ააგო წმინდა პეტრეს თვით ის ვუმბათი, რომელიც ცნობილია საარქიტექტურო ხელოვნების საკვირველებად... ჩემთან უბრალოდ შემოდიოდა რაფაელი, ხოლო ბენვენუტო ჩელლინს უნდოდა ჩემგან ჩამოესხა ზღვის ღმერთის ნეპტუნის თავი და მას ხელი შეუშალა ცისფერ ჩასმამ. ეს ფორუმია. ვფიცავ, რომ ეს ფორუმია. მე ამას დავამტკიცებ. ამ მოხუცმა ბრუნოზე გიჟის შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იქვე ჩაფიქრდა და თავის თავს შეეკითხა: ხომ არ არის, თვითონ გიჟი, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს და რომ ქვეყნების რიცხვი დაუსრულებელია... ღირს კი ასეთი უმნიშვნელო რამებისათვის თავის შეწუხება?! და მაშინვე ჩასჩურჩულებდა მას რაღაც ხმა: „არა. ეს უმნიშვნელო არ არის. შენ ვალდებული ხარ განანათლო ადამიანები, ვალდებული ხარ ჩააგონო მათ ჭეშმარი-

ტება. რაც მიღებულია მტკიცე სამეცნიერო ცდებისაგან. უკეთუ მოხუცი დაამტკიცებს ზუსტად, ნახული ნატეხების საფუძველზე, რომ აქ მართლაც იყო ძველი ფორუმი ის, ცხადია, სამსახურს გაუწევს ისტორიას. მეცნიერება — აი, რისთვის არის ბრძოლა საჭირო!"

მხოლოდ საღამოჟამს დაბრუნდა ბრუნო მონასტერში. ისევე თავს არიდებდენ მას, ხოლო ძმა მარტინო ავად გახდა და იგი არ მიიღო. რომში სეირნობისათვის ბრუნოს დასჭირდა რამოდენიმე დღე და დასასრულ მან გადასწყვიტა აშკარად და გარკვევით გამოსვლა. მან გადასწყვიტა მიემართა ყველაზე დიდ ინკვიზიტორისათვის თხოვნით, რათა მოეხსნა მას მისგან ბრალდება ერეთიკოსობაში, რომელიც წარუდგინეს მას ნეაპოლში. საღამოთი მონასტერში დაბრუნებისას ბრუნომ დაინახა დომინიკანელი ბერი, რომელიც მის წინ მიდიოდა. ამ ბერის სიარული ბრუნოს ნაცნობად მოეჩვენა. ბრუნო აღელვებული შეჩერდა და ისიც წმინდა მარიამის (მინერვაზე) მონასტერში მიდიოდა, ნეაპოლიდან მოსული. რისთვის? ცხადია, რისთვის, მაგრამ ბრუნომ თავი არ მოაჩვენა ისე, რომ თითქოს მას შეეშინდა. ის დამშვიდებული შევიდა მონასტრის ეიშკარში, შევიდა სადგომში, სადაც ეხლა უკვე მარტო სცხოვრობდა. სქელი ბერი წავიდა რომიდან, რომელიც გამომშვიდების დროს ემუხვია პაპას. კარგია კეთილ კათოლიკედ ყოფნა.

მეორე დღეს მონასტერში რაღაც აღელვება ძოსჩანდა. თითქოს ჰაერზე შეხი ჩამოეკიდა, მაგრამ ბრუნო ამ შეხს განგებ არ ამჩნევდა.

ტრაპეზის შემდეგ მან მიმართა ძმა მარტინოს და კითხა — განაგრძნობს თუ არა იგი ლექსების წერას, ისე როგორც ახალგაზრდობაში წერდა.

— შენ შემასწავლე მე პოეზია — უთხრა ამასთანავე ბრუნომ. და ნუ თუ ეხლა შენ გადაიყვარე?

ყველამ თავი ჩაქინდრა, მხოლოდ ძმა მარტინომ უცებ მრისხანედ წარმოსთქვა:

— დიახ, მე კიდევ ვწერ ზოგჯერ ლექსებს, ძმაო.

და მან დაუყონებლივ წაიკითხა სონეტი. იგი არაფერს არ ამჩნევდა და კითხულობდა, როგორც ლოცვას.

კურთხეულ არს ღმერთი ცათა შინა
მის სახელს ადიდებენ ყველა ერები.
ძლიერ არს ღმერთი, თავისი მტრების შესაშინებლად.
და ბოროტ თავისუფალ მოაზროვნეთ არ აქვთ შვება.
მზიანი დღე და ავდარიც
მის წმინდა ხელებს ემორჩილება,
განრისხებული იგი დადის ღრუბელთა შორის
და მეხით არყევს ბჭეთა ცისათა.

ეველრე მას, ყველრე, როგორც ის ბრძანებს,
და უცაბედად თუ ეშმაკმა მაცდუნოს,
ებრძოლე, ებრძოლე ეშმაკის ცდუნებას.
არის ჭეშმარიტება ყველასთვის ერთი
ღმერთმა ჩვენ ის მოგვანიჭა. დიდი ცოდვაა
და მძიმე ცოდვა — არ შეისმინო ღვთის შთაგონება.

როდესაც ძმა მარტინომ კითხვა გაათავა, სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ გაიგო თუ ვისადმი იყო მიძღვნილი ეს სონეტი. ბრუნომ მწუხარებით გაიღიმა. ლექსი მას არ მოეწონა, მაგრამ მაინც არ უნდოდა ეწყენინებია ძმა მარტინოსათვის. ჩაუფიქრდა სონეტის შინაარს და მიხვდა, რომ უკან არავინ მიყვებოდა. გაემართა პიეტრო კამპოს სახელოსნოში. მან მეტად აღელვებულ მდგომარეობაში ნახა პიეტრო...

— ანდრეა, გაიქცა ციხიდან! — დაიყვირა მან, შეხედა რა ბრუნოს, — გაიქცა, ისე, როგორც ბენვენუტო ჩელლინი ციხიდან ჩამოეშვა ზეწრების ნაჭრების საშუალებით, მაგრამ მას ფეხები არ მოუმტვრევია, როგორც ბენვენუტოს და გაიქცა. ისე, რომ მისი კვალიც გაქრა. ყოჩაღ ბიჭო! მაგრამ მე მაინც მომპარეს პაპის ოქრო და ახლაც პაპა ისეა გაბრაზებული, როგორც ორმოცი დაბმული ძაღლი და მემუქრება სარდაფში ჩაგდებით ძმის ნაცვლად. უნდა გავიქცე ფორენტაში. ჰერცოგი დიდი ხანია მეძახის... ან და პიზაში. იქ მე მყავს მეგობარი, მარდონელი, რომელსაც ჭირივით ეზარება უწმინდესი მამა.

— ერთად გავიქცეთ, — სთქვა ბრუნომ და მოუყვა რაშიც იყო საქმე.

— საუცხოოა! — დაიყვირა პიეტრომ, — მე აქ ნავთსადგურში ნაცნობი მენავე მყავს. ის ჩვენ გაგვიყვანს რომიდან ისე, რომ თვით წმინდა ანგელოსი ვერ დაგვინახავს თავისი კოშკიდან. ის შეგვხვევს ჩვენ იალქანში. მე უკვე სამჯერ დამხვიეს იალქანში და ამით ყოველთვის გადავრჩი... შენ, რა თქმა უნდა, უნდა გადაიცვა. მე გავიქცევი, მოველაპარაკები მენავეს, შენ კი ამასობაში გამოიცვალე ტანისამოსი. საბრალო ანდრეას ბევრი ტანისამოსი დარჩა. ამოირჩიე, რომელიც გინდა.

პიეტრო გაიქცა. ბრუნომ კი სიამოვნებით მოიშორა ანაფორა. კმარა ეს მასკარადი. დღეიდან იგი უკვე მხოლოდ მარტოდენ თავისუფალ მეცნიერებას ემსახურება.

პიეტრომ ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და აცნობა, რომ მენავე თანახმაა. რომ არავისში ეჭვი არ გამოიწვიონ ისინი მოვლენ ნავთან ცალ-ცალკე. ნიშანი: „გზა მშვიდობისა.“ სრულ შუალამეზე ბრუნო უნდა მოსულიყო ბნელ ნაპირას, წმინდა ანგელოსის ხიდის ჩრდილ-

ოეთით. ხიდიდან უნდა დათვალო 600 ნაბიჯი. პიეტრო მოვა ცოტათი ადრე და უკვე ნავში იქნება.

ეს იყო მეტად მღელვარე საღამო.

პიეტროს ეშინოდა რა დაკერის, დაღამებისთანავე დაკეტა სახელოსნო და ისინი წავიდნენ რომში სახეტიალოდ დანიშნული საათის მოლოდინში. დახეტიალობდენ ცალ-ცალკე, რომ ყურადღება არ მიეპყროთ.

ღამე ბნელი იყო და როდესაც შუაღამის დრო მოაწია, ბრუნო გაემართა წმინდა ანგელოსის ხიდისაკენ, რომ იქედან დაეწყო ნაბიჯებით თვლა. მას ეჩვენებოდა, რომ რაღაც ჩრდილი სდევდა უკან. მაგრამ როდესაც შეჩერდა და ბნელში დაიწყო ცქერა, არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. აკანკალებული გულით დაიწყო მან ნაბიჯების თვლა. ათი... ორმოცი... ოთხმოცი... ასი... ორასი... პარაპეტი გათავდა და ახლა ადვილი იყო ტიბრის ბნელ ტალღებში ჩაშვება. სამასი... ოთხასი... ოთხას ოთხმოცი... თითქოს ნიჩბების მსუბუქი ხმა მოისმა მდინარეზე... ოთხას ოთხმოცდა ხუთი... და უცებ მაგარმა ხელმა ჩასჭიდა კისერში ბრუნოს. საშინლად შეშფოთებული შემობრუნდა. მის წინ ბერი იდგა და მაგრად ეჭირა იგი თავის გამხდარი ხელებით.

ჯორდანო, — წაილუღლუღა ნაცნობმა ხმამ. — ნუ გაურბიხარ ღვთის სამსჯავროს. მხოლოდ ტანჯვები გაგწმენდენ შენ. მომყევ მე. დაიხსენ სული შენი. ბრუნო მიხვდა, რომ ავგუსტინემ მას არ გაუშვებდა. უთუოდ, იქ სადაც სიბნელეში მცველები იმალებოდენ. საკმარისია ავგუსტინემ დაიყვიროს და ბრუნოს დაიღუპება. სიცოცხლის წყურვილმა უცებ აღავსო მისი გული.

საშინელი ძალით სტაცა ხელი მან ბერს ყელში და უჯიკავა, ის უცებ გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპავო. ყრუ კვნესა უცებ შეწყდა. სადღაც ძირს წყალში სხეულის ჩავარდნით გამოწვეული წყლის ხმაურობის გამო. — ამ კვნესას ვერავინ გაიგონებდა, ხოლო ბრუნო გაიქცა ჩურჩულით: „გზა მშვიდობისა". „გზა მშვიდობისა". „გზა მშვიდობისა". მოისმინა ბნელი მდინარიდან. ბრუნო მაშინვე შეჩერდა. მან ძირს დაინახა ნავი, უფრო სწორად გაიგონა, თუ როგორ ეხლართებოდა ნაპირის ქვას თავისი ხის გვერდებით.

— ჩამოხტი აქ! — უთხრა ჩუმმა ხმამ. ბრუნო დაუფიქრებლად ჩახტა. ის რაღაც რბილზე დაეცა, უთუოდ დალაგებულ იალქნებზე და ნავი ნელი რხევით ერთბაშად გაცურდა ნაპირიდან. ნაპირზე და მდინარეზე სრული სიჩუმე იდგა. სიჩუმეა და სიბნელე. მხოლოდ შორს ანათებდენ სანათურები წმინდა ანგელოსის ციხის ფანჯრებიდან.

ნეაპოლი უკვე ალარ მოსჩანდა შორიდან. გაქრა ზღვაც. გზა მიდიოდა უდაბნო გორებს შორის. მზემ უკვე ძლიერ მაღლა აიწია და მაგრად დააცხუნა დახეთქილსა და გამხმარს მიწას და ყვითელ ბალახს, რომელსაც თიეის სუნი ქონდა. ხანდისხან თხის ან ვირის თავის ქალა გამოჩნდებოდა ამ გამხმარ ბალახებში, იქვე იყო ქვა, რომელზედაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა რაღაც ძველი წარწერების წაკითხვა. ორი ცხენოსანი მიდიოდა, ხოლო მათ უკან ერთი ქოფაკი მისდევდა. წინ ბატონი იყო, უკან კი, უთუოდ, — მოსამსახურე. ცხენოსნები ისე ნელა მიდიოდენ, რომ ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ ისინი შორს მავალნი იყვნენ და არ უნდოდათ თავისი ცხენების დაღლა.

რიბელომ მოსამსახურეს საშუალებით ᲗᲘᲐᲬᲠᲝ გაეფრთხილებია გრაფი მოსალოდნელი დაბეზღების შესახებ და ისინი იმავე ღამეს გაემგზავრენ. იმათ უკვე მოასწრეს საკმაო მანძილის გაელა ნეაპოლიდან. რიბელოს საქციელმა გრაფის გული მოინადირა და ეტყობოდა, რომ იგი მას სავსებით ენდობოდა.

გრაფი დე-ლილი ნამდვილი ფრანგი იყო, მხიარული და კეთილის გულის, ცხადია ეს გულკეთილობა სრულიად არ უშლიდა მას შემთხვევის დროს ეცემა კიდეც მსახურისათვის. მაგრამ იმ დროებში ისეთი დიდი მანძილი იყო გრაფსა და გლეხს შორის, რომ ისეთი ურთიერთობა ბატონებსა და გლეხებს შორის სრულიად ჩვეულებრივი იყო. აზნაურები და გლეხები — ორი სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები იყვნენ. ამ მრავალი ფეოდალური წლების განმავლობაში ისინი ისე შეეჩვიენ გზის დათმობას და მიწაზე თავის დაკვრას ჰერცოგებისა და გრაფებისათვის, რომ ფიქრიც კი დიდ ბატონებთან თანასწორობის შესახებ სასაცილოდ ეჩვენებოდათ, როდესაც წარმოიშვა საკაჭრო ბურჟუაზია, გლეხებმა ვაჭრობა და ხელოსნობა დაიწყეს და ცოტაოდნად დაკარგეს თავისი მონობის გრძნობა მემამულეებისადმი, მაგრამ გახდენ რა დამოუკიდებელი ეკონომიურად, მათ ვერ დასძლიეს საუკუნებრივი ჩვეულება, რომლის მიხედვით აზნაურებს ისინი თვლიდენ რაღაც უმაღლეს, არაჩვეულებრივ ადამიანებად. უმდიდრესს ვაჭარს არ შეეძლო მოპყრობოდა ღარიბ აზნაურს, როგორც თავის თანასწორს, ხოლო გამდიდრებულ გლეხზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რიბელო გამონაკლისს შეადგენდა. ის ძლიერ იცავდა თავისუფლებას, ითვისებდა ახალ შთაბეჭდილებებს, ამასთან ბრუნოს მეგობრობამაც მეტად განავითარა მისი გონება. მიუხედავად ამისა, ის აშკარად გრძნობდა, მთელს დიდებას მის წინ ციმავალ გრაფისა და სულ ადვილად შევიდა მოკრძალებული მსახურის როლში, მაგრამ ერთი აზრი არ აძლევდა მას მოსვენებას,

გრაფი ერეთიკოსი იყო, იგი უნდა მოეკლა და მაშინ ლუიზას შერთვაც შეიძლებოდა. ლუიზა რიბელოს ცოლი გახდება. ხოლო მისი დედა — მის სიდედრად. რიბელომ გადახედა ფართო ველებს, ქარი ჰქროდა და ჯვრის წერა მაინცა და მაინც მიმზიდველად არ მოეჩვენა...

უთუოდ, ლუიზაც ისეთივე კუდიანი გახდება, როგორც მისი დედა. ის იქნება ძუნწი, იქვიანი, მოითხოვს რომ ის სახლში იჯდეს და მაშინ მშვიდობით შორეულო ქვეყნებო.. ვერ ნახავს იგი ვერც ... ვერც ვენეციას, არამედ იქნება ჩამომჯდარი ფავისი სახლის კარებზე, მყვირალა ბავშვებით შემოხვეული. მაშინ ვერ წახვალ სახეტიალოდ ნეაპოლის მიდამოებში. თუ ფული ექნება ის ბევრს არ იმუშავებს. დასქელდება, დაზარმაცდება, თვითონ იქვიანი გახდება და ფიცხი.

— მეტად ჩამოცხა. გრაფი მოუთმენლად გაყურებდა შორს, ხომ არ გამოჩნდა ბაკიო.. — ეშმაკმაც წაიღოს ეს თქვენი ქვეყანა! — დაიყვირა მან. — ჩვენთან საფრანგეთში არასოდეს არ არის ასეთი სიცხე... მე ვგრძნობ, რომ ახლავე დავდნები, როგორც თაფლის სანთელი ცეცხლზე და ჩემთან გზაზე მხოლოდ სოველი ადგილი დარჩება. არც ერთი დუქანი არ არის! რიბელო უფრო მიჩვეული იყო სიცხეს; მაგრამ ისიც ოფლში იწურებოდა და დასვენების საწინააღმდეგო არც იმას ქონდა რამე.

„რა იქნება, რომ ახლა მოვკლა გრაფი, წავიღო მისი ფულები გავიქცე უკანვე ნეაპოლში?". გაკვლა მას ფიქრმა. მან გასინჯა დაბა, რომელიც ქამარზე ქონდა ჩამოკიდული. გრაფმა უცებ ცხენი შეაჩერა და ყურთ დაუგდო...

— ეფიცავარ პატიოსან სიტყვას, წყარო რიკრიკებს. თუ სმენა არ მატყუებს უეჭველად წყალი უნდა იყოს.... შენ გესმის? რიბელომაც დაუგდო ყური და მართლაც მასაც წყლის ხმაურობა მოესმა მწვერვალზე.

— აი, მთის მწვერვალზე ჩამოკიდებულია დიდი ღრუბელი, სინიორ, — უთხრა მან, — უთუოდ ახლა-ხან შესწყდა დიდი წვიმა და ... ხრამებიც წყლით აივსო. ეს ხშირად ხდება ასე.

— თუ ეს ასეა, მე აკი არ ვიქნები, თუ ამ ნაკადში არ ვიბანავე! ხმაურობა თანდათან ახლოვდებოდა.

— აი, წყალი, სინიორ, — უთხრა რიბელომ;

გამხმარ, თეთრ ქვებით მოფენილ კალაპოტში ნელა იკლაკნებოდა ნაკადი, ხან შეჩერდებოდა და ხან ისევ გაუდგებოდა გზას.

წყალი ცოტათი ამღვრეული იყო, მაგრამ გრილი და ცოცხალი. წყლის წყარო გეგონებოდათ. გრაფი ჩამოხტა ცხენიდან, გადაუგდო აღვირი რიბელოს და ჩქარის ნაბიჯით გაემართა ნაკადისაკენ.

— ცხენები შეგიძლია მიაბა ამ ქვაზე და შენც იბანავე, — დაუყვირა მან რიბელოს. რიბელომ აკანკალებული ხელით მოაბა ცხენები ქვაზე და გრაფს გაყვა. იმან კი ჩქარა გაიძრო ტანსაცმელი და წყლის ნაპირს მიადგა, უნდოდა ქარს ცოტათი გაეგრილებია მისი გახურებული სხეული. რიბელომ ხანჯალს ხელი მაგრად ჩასჭიდა. აი, ხელსაყრელი წუთი. საჭირო არ იქნება მოკლულისათვის ტანისამოსის გაძრობა და გვამსაც ადვილად დამალავს ამ ნიაღვარში. „წყეულო ერეთიკოსო, სიკვდილი შენ, — იფიქრა მან უნდოდა, რა გაძოეწვია თავის არსებაში სახელოვანი ნაბიჯის გადადგმის განწყობილება. — უფალო, განამტკიცე ჩემი ხელი!".

გრაფი ძისკენ ზურგით იდგა შიშველი და ამჟამად მასში არ იყო არაფერი გრაფიული. რიბელომ მას ტანზე ღრმა ჭრილობები შეამჩნია. უთუოდ ეს იმ იარების კვალია, რომელიც გრაფმა საშინელ ბართლომეს ღამეს მიიღო. „რატომ გადაარჩინა მაშინ ის ღმერთმა? — იფიქრა უცებ რიბელომ. — სხვა არ გადაარჩინა, ეს კი გადაარჩინა და რა საშინელი ჭრილობებია". ამასობაში გრაფი სიამოვნებით შეეშვა წყალში და მუხლამდე მღვრიე წყალში ჩადგა. პეშვით ამოქონდა წყალი და ტანზე ისხამდა.

შენ რას შვრები? — შეეკითხა და მობრუნდა. რიბელო ისე იყო გართული თავის ფიქრებში, რომ გრაფის დაძახებაზე სახტად დარჩა.

ის იდგა ხანჯალმოღერებული, წარბებშეჭმუხვნილი, ნამდვილი მკვლელის პოზაში.

გრაფი, რომელიც არ მოელოდ[illegible]ოთს სანახაობას უმოძრაოდ გაშეშდა ახმაურებულ ნაკადში.

— რა მოგივიდა? შეეკითხა [illegible]. ამ წუთში რიბელომ დანინახა დიდი გველი, რომელიც ნელა მისრჩალებდა ნიაღვრის გასწვრივ. გრაფმა შეხედა გველს და შეშინებულმა დაიყვირა;

— განა შეიძლება გველზე დანით მისვლა! აიღე ჯოხი ან ქვა. ის ტაიხარა, ასწია ნიაღვრის დონედან ბასრი ქვა და ესროლა გველს ისე მარჯვედ, რომ წამსვე თავი გაუჭეჭყა... გველი დიდხანს იკლაკნებოდა, მაგრამ მალე გაქვავდა და უმოძრაო ნაცრის თოკად გადაიქცა.

— აი...

რიბელომ ოფლი მოიწმინდა და დანა შეინახა. რისი შეგეშინდა? — დაიყვირა გრაფმა. — თუ ვერ შიეჩვიე გველებს, როდესაც სოფლად ცხოვრობდი?

რიბელოს გაახსენდა, რომ ამჯერეუბნებოდა მას ბრუნო. მაშინ მან მოიცრუა, რომ მას გველმა უკბინა; ახლა კი უნდოდა სამაგიერო გადაეხადა. მას შერცხვა, გაეცინა.

— მე თქვენი მეშინოდა, სინიორ, თქვენ შიშველი იყავით, შიშველი კაცისათვის გველი უფრო საშიშია, ვიდრე ჩაცმულისათვის.

— ეხ, არაფერია. ხედავ შენ თუ არა დაკაწრულ ადგილებს ჩემს სხეულზე? ეს ბევრად უარესია ყოველგვარ გველის ნაკბენისა... ოთხი მახვილი ერთბაშად შემესო.. მაგრამ არაფერია, მე მაინც ცოცხალი ვარ. იბანავე ყმაწვილო და შემდეგ გზას გავუდგეთ. მე იმ გორაკზე კვამლს ვხედავ. უთუოდ, ეს კვამლი სამზარეულოდან ამოდის... კარგა ხანია — დროა სმა ჭამისა.

ის ამოვიდა სტვენით. დაიწყო ჩაცმა, რიბელომ კი გაიხადა ტანთსაცმელი და კისრამდე ჩაძვრა ამღვრეულ ნაკადში. ის ძალიან კმაყოფილი იყო, რომ საქმე ასე გათავდა. ცხადია, ღმერთმა მოაწყო ისე, რომ გრაფმა თავის დროზე მოიხედა და ღმერთმავე გამოგზავნა ის გველი, რომ რიბელოს თავისი გასამართლებელი საბუთი ეპოვა. რადგან ეს ასეა, ღმერთს, უთუოდ, სურს ეს ერეთიკოსი. მაშასადამე, შეიძლება იგი არ იქნეს მოკლული. რაც შეეხება ოქროს და ოჯახურ ბედნიერებას, რიბელოს, გასცილდა თუ არა ნეაპოლს და შეიგრძნო შორეული მხარეების სურნელება, საცოლეზე გული გაუცივდა. „ცოლის შერთვა შემდეგაც შეიძლება, — იფიქრა მან, — ჯერჯერობით კი წავალ, ვნახავ ყოველგვარ საკვირველებას და შეიძლება მე თვით გავმდიდრდე“.

და ერთის ნახტომით ის მხიარულად ამოხტა ნაკადიდან.

ნაწილი მეოთხე

1. იგი არის გოლეგა.

დილის ოთხ საათზე, როდესაც ტულუზის ყველა მოქალაქენი მშვიდობით ისვენებდენ, ძველი საუნივერსიტეტო ეკლესია უკვე სტუდენტებით აივსო. ისინი ამთქნარებდენ, ერთმანეთს ეკვროდენ, ძიგძიგებდენ ძილისაგან და თვალებს იფშვნეტდენ. მათ ერთ ხელში სანთელი ეჭირათ, ხოლო მეორეში — ლოცვანი. პროფესორები და უნივერსიტეტის უფროსები აქვე იყვნენ. ისინი ძლივს იკავებდენ თავს მთქნარებისაგან და ჩუმად მუსაიფობდენ ლათინურად მესსის დასაწყისის მოლოდინში. ეკლესიაში სტუმრებიც იყვნენ—ახალგაზრდა სწავლულები, რომელნიც ტულუზიდან ჩამოვიდენ გამოჩენილი პროფესორების მოსასმენად.

ისინი პატივისცემით შესცქეროდენ მელოტ სწავლულებს, რომელნიც დოქტორები იყვნენ სამი თუ ოთხი მეცნიერებისა.

იქ მყოფთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მხარბეჭიანი და მელოტი პროფესორი: ფილოსოფიისა, მათემატიკის, მედიცინის და ფილოლგიის დოქტორი სახელოვანი ანსელმი კარუსი, რომელსაც იმდენად ზედმიწევნით ქონდა შესწავლილი სქოლასტიური მეცნიერება, რომ ერთხელ დისპუტზე მოიყვანა ასზე მეტი გრძელი ციტატა არისტოტელიდან და თომა აქვინელიდან და ერთხელაც წიგნში არ ჩაუხედავს.

— მეხსიერება — მეცნიერების მოსამსახურეა — ამბობდა იგი, — ხოლო კარგი მსახური ყოველთვის იმახსოვრებს ყოველივეს თავიდანვე.

მესსის მოსმენის შემდეგ სტუდენტები გავიდენ ძველი და ბნელი გასავალით და აუდიტორებისაკენ გასწიეს, რადგანაც დილის 5-საათზე უნდა დაწყებულიყო ლექციები. ისინი მიდიოდენ სანთლებით ხელში და ასეული სანათურები, რომელიც მიმოდიოდა ძველი შენობის ბჭეებს ქვეშ, ახდენდენ რაღაც ზღაპრული პროცესიის შთაბეჭდილებას. ტულუზის უნივერსიტეტი ყველაზე უფრო დიდი უნი-

ვერსიტეტი იყო საფრანგეთში. ის გათვალისწინებული იყო ათი ათასი მსმენელისათვის.

— რის შესახებ წაიკითხავს დღეს სახელოვანი ანსელმი? იკითხა ერთმა ჩამოსულთაგანმა, რომელიც ფრანგულ სიტყვებს იტალიურ მანერზე წარმოსთქვამდა, სტუდენტი, რომელსაც მან მიმართა, სიამოვნებით სჭამდა ბულკს.

— მე იმედი მაქვს, რომ იგი სულის შესახებ წაიკითხავს. — უპასუხა მან.

სულის შესახებ; სულის შესახებ! — გაისმა ყოველი მხრიდან ხმები. — ჩვენ ვთხოვთ მას სულის შესახებ წაიკითხოს. ჩამოსულმა ჩაიცინა, გადახედა რა ამ ახალგაზრდა ყმაწვილებს, რომელთა ახალი ტვინი უკვე დაფარული იყო ყოველ გვარი სქოლასტიური მტვერის მნიშვნელოვანი ფენით.

სტუდენტებმა შეავსეს ცივი და მოწყენილი აუდიტორია და სანთლებით ხელში პროფესორს მოელოდენ. სტუმრები წინა სკამებზე ისხდენ, ბევრ მათგანს დოქტორისა და მაგისტრის ნიშნები ქონდა. დიდი ანსელმი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა აუდიტორიაში და კათედრაზე ავიდა.

— Anima! Anima! — გაისმა ხმები. ესე იგი; სული, სული; სტუდენტებს უნდოდათ, რომ მას აუცილებლად სულის შესახებ წაეკითხა. ანსელმიმ დამამშვიდებელი ჟესტი გააკეთა.

— როგორც თქვენ იცით, — სთქვა მან. — დიდმა არისტოტელემ და ღვთაებრივმა დოქტორმა თომა აქვინელმა განსაზღვრეს სულის სამი სახის არსებობა; ისინი არიან: სული მცენარეულობისა, სული მგრძნობელი, სული გონიერი. სულის რომელი სახის შესახებ გსურთ თქვენ მოგითხროთ მე?

— გონიერი სულის შესახებ! გაისმა ხმები. ანსელმიმ ეშმაკურად გაიცინა. შეიძლება ოთხკუთხედზე ვილაპარაკოთ, თუ სამკუთხედის შესახებ არაფერი ვიცით; შეიძლება გონიერი სულის შესახებ ვილაპარაკოთ, თუ წინასწარ არაფერს ვიტყვით სულის ორი პირველი დაბალი საფეხურის შესახებ? ან თქვენ გსურთ ტაძარის აგება გუმბათიდან დაიწყოთ?.. სტუდენტები ჩაჩუმდენ. რადგანაც საწინააღმდეგო ვერაფერი იპოვნეს, ანსელმიმ კი ისარგებლა რა ჩამოვარდნილი სიჩუმით, ხმამაღლა განაცხადა:

— უფალმა მომანიჭა მე საშუალება მენახა ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ დიდი მასწავლებელი ჩვენი და სიბრძნის მამა არისტოტელე არის ნამდვილად. ურყევი ფუძე, რომელზედაც შარტოოდენ შეიძლება აიგოს მეცნიერული შემეცნება. ამ დამამტკიცებელმა საბუთმა, რომელიც მე აღმოვაჩინე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუთმოს ბაგენი იმ მოლაყბეებს, რომელნიც ბედავენ

იქვი შეიტანონ ჩვენი დიდი მასწავლებლის სიბრძნეში. მე შევძელი აღმომეჩინა, რომ თვით ამ ბრძენის შეუდარებელ სახელწოდებაში იმალება მისი მოძღვრების გარდაუვალი ჭეშმარიტების დამამტკიცებელი საბუთი.

აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდა.

სტუმრებმა და სტუდენტებმა პროფესორს მიაპყრეს ცნობის მოყვარეობით სავსე თვალები, ზოგიერთი სტუდენტი ისე ღელავდა რომ სანთლები უძიგძიგებდათ ხელში.

— აი, — სთქვა ანსელმიმ. როდესაც საყოველთაო დაჭიმულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, — მე აქ ლათინურად ვწერ გამოთქმას, და ანსელმიმ ცარცით დაფაზე გამოიყვანა:

„Jlle est ratio".

— იგი არის გონიერება, — წაიჩურჩულა ერთდროულად მთელმა აუდიტორიამ. ანსელმიმ ხელი ასწია, თითქოს განსაკუთრებული ყურადღებისაკენ მოუწოდებდა.

— ახლა მე ვიღებ ყველა ბგერას, რომელიც ამ გამოთქმას შეადგენს, ავრეკ მათ და არ დავუმატებ ერთ ბგერას ამ ბგერებიდან შევადგენ სახელწოდებას.

— Aristoteles!

— არისტოტელეს! — დაიღრიალა გაოცებულმა აუდიტორიამ.

— დიახ და თქვენ ხედავთ, რომ ასეთი ფრაზის გაკეთება არ შეიძლება არც პლატონის, არც დემოკრიტეს და არც ლუკრეციუსის სახელებიდან. აი, თქვენ უბრალო დამამტკიცებელი საბუთი, მითითება, რომელიც თვით ღმერთმა მოგვცა, რომლის აღმოჩენა საჭირო შეიქმნა სწორედ იმ დღეებში, როდესაც განსაკუთრებული იერიში მიიტანეს უდიდეს სქოლასტიურ მეცნიერებაზე. დეე, ის ვინც მოისურვებს ახლა ჩვენთან დავას, გააკეთოს ეს ფრაზა თავისი სახელწოდებიდან ან იმ ფილოსოფოსის სახელწოდებიდან, რომლის მოძღვრებასაც ის იცავს. ის ამას ვერ შესძლებს. ჩვენ კი მას პასუხად დავუწერთ: იგი არის გონიერება და ჩვენ შეგვიძლია არ დავხარჯოთ ზედმეტი სიტყვა, რადგანაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ყველაზე უფრო ზუსტი დამამტკიცებელი საბუთი.

ანსელმი გაჩუმდა, ჩაახველა. ხოლო აუდიტორიაში გაისმა მქუხარე ტაშის ცემა. სტუდენტები ყვიროდენ. ფეხებს აბრახუნებდენ.

ჩამოსული დოქტორები და მაგისტროსები მოწიწებით აქნევდენ თავებს. მხოლოდ ერთი რომელიც იტალიური გამოთქმით ლაპარაკობდა, მწარეთ იღიმებოდა. თუმცა ტაშს უკრავდა. პატივის მცემელ მსმენელთა ბრბოთი შემოხვეული ანსელმი გავიდა აუდიტორიიდან და თავისი კაბინეტისაკენ გაემართა, რამდენიმე სტუმრის თანხლებით, რომელთა შორის იტალიელიც იყო. ანსელმი კარუსის

ბინეტი შთამაგონებელი იყო, როგორც მოცულობით ისე წიგნების რაოდენობით, რომელნიც ავსებდენ ყველაფერს. კუთხეში დალაგებული იყო ფიზიკურ და ქიმიურ ცდებისათვის საჭირო მოწყობილობა. მაგიდებზე ელაგა სხვადასხვა გვარი შუშები და ყუთები, რაღაც სხვადასხვა ფერი სითხით. იქვე ეყარა ხვეული პერგამენტები უცნაური წარწერებით. მეორე კუთხეში იდგა რაღაც უცნაური მანქანა; ეს მანქანები სხვადასხვა სიდიდის წრისაგან შესდგებოდა, რომელთაც საერთო ცენტრი ქონდათ. ეს წრეები გადაფენილი იყო ციფრებით და ბნბანებით. როდესაც ანსელმი სტუმრებით შეეიდა კაბინეტში, მისმა ასისტენტი ამ უცნაური მანქანის წრეებს აბრუნებდა. იგი ამასთანავე ღრმა აზროვნად სწერდა რაღაცას პერგამენტზე. გვერდით ახალგაზრდა მოწაფე ეჯდა და თეთრ ბატის ფრთის კალმებს აკეთებდა. ორივე მოწიწებით მიესალმა ანსელმის და ფეხაკრეებით გავიდენ კაბინეტიდან. უკვე თენდებოდა და ოთახი მკრთალ მტრედის ფერი სინათლით აივსო.

ანსელმი ჩაჯდა სავარძელში და სტუმრებს მიუთითა სკამებზე. სტუმარი სამი იყო: მაღალი გერმანელი, შავი როგორც მურა, ესპანელი და უკვე ჩვენი ნაცნობი იტალიელი.

ანსელმიმ აუჩქარებლად გადაარჩია მაგიდაზე რამოდენიმე ხვეული. ზოგიერთი ზიზღით გადააგდო იატაკზე და ზოგიერთი გვერდზე გადადო. შემდეგ მიუბრუნდა სტუმრებს, თავი დაუქნია და თვალები დახუჭა.

პირველად გერმანელმა დაიწყო პარაკა. ის ღელავდა, მაგრამ ლაპარაკობდა დალაგებულად და სჩანდა, რომ ლათინური თქმა მას სრულიად არ უძნელდებოდა. ის რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა მზეს გამურულ მინის საშუალებით და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მზეზე რაღაც ლაქებია, რომელნიც ხან ქრებიან, ხან კი კვლავ გამოჩნდებიან. მან გაშალა სურათებიანი პერგამენტი. მაგრამ ანსელმიმ თვალების გახილვაც არ იკადრა და საბრალო სწავლულმა მოკრძალებით დაკეცა პერგამენტი.

შემდეგ ის დადუმდა, განაჩენის მოლოდინში. შვილო ჩემო, — უთხრა ანსელმიმ, გააღო რა ცალი თვალი, — მე რამდენჯერმე წავიკითხე არისტოტელე და დამერწმუნე, რომ ამის შესახებ მას აქვს ნათქვამი. წარვედ მშვიდობით და დარწმუნებული იყავ რომ შენ მიერ ნახული ლაქა შენს თვალებზეა და არა მზეზე.

გერმანელი გაწითლდა, თავი დაუკრა და ნაცემი ძაღლის მსგავსად გავიდა კაბინეტიდან.

ესპანელი სპეციალურად ჩამოვიდა, რომ გადაეწყვიტა თავისი იჯვი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა არისტოტელს წმინდანების რიცხვში შეტანა, თუმცა იგი ეერპთაყვანისმცემელი იყო. შეიქმნა

მეცნიერული დავა, რომელშიაც ორივე მოსაუბრემ გამოიჩინეს არა ჩვეულებრივი ცოდნა და უცნაური მახსოვრობა.

ანსელმი გამოცოცხლდა, გაუშვა ესპანელი მეგობრული თავის დაქნევით და წინადადება მისცა შემოსულიყო ხვალ დილით საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. დარჩა მარტოოდენ იტალიელი.

— შენი. სახელი? — კითხა მას ანსელმი.

— ჯორდანო ბრუნო.

— რა გინდა შენ ჩემგან?

— მე მინდა ვისწავლო და ვასწავლო ტულუზში, — უთხრა ბრუნომ, ცდილობდა რა თავისი ხმისათვის მოწიწებითი გამოთქმა მიეცა.

— რა გინდა ისწავლო და რა გინდა ასწავლო?

— ვისწავლო მინდა ყველაფერი, ხოლო ვასწავლო მინდა „დიდი ხელოვნება".

— შენ კი იცნობ ამ „ხელოვნებას"?

ბრუნო პასუხის ნაცვლად იმ უცნაურ წრეებიან მანქანასთან მივიდა. ის მანქანა აღმოჩენილი იქნა ჯერ კიდევ მე-14-ე საუკუნეში ესპანელი ფილოსოფოსის რაიმუნდ ლიულის მიერ. ამ მანქანის წრეებზე მოთავსებული იყო ასოები, რომელიც აღნიშნავდენ მრავალ სხვადასხვაგვარ ფილოსოფიურ მცნებებს. წრეების ბრუნვის საშუალებით შეიძლებოდა ასოებისაგან სხვადასხვა კომბინაციების — სხვადასხვა გვარი ფილოსოფიური დებულებების მიღება. რაიმუნდ ლიულის უნდოდა მთელი ჭეშმარიტება ამ მანქანაში მოეთავსებია, ამიტომაც უნდოდა მას „დიადი ხელოვნება".

ბრუნომ ხან დააბრუნა, ხან შეაჩერა მანქანა და არაჩვეულებრივი სიმარდით აკეთებდა მეცნიერებათა კომბინაციებს. ღვთის 16 თვისებისაგან, რომელნიც პირველ რიგზე იყვნენ აღნიშნული, მან ერთბაშად მიიღო 136 სათანადო ცნება, ამასთანავე გამოიჩინა უდიდესი მეხსიერება. ანსელმიმ კმაყოფილების ნიშნად მაგიდას ხელი დაჰკრა.

შენ საესებით კაგრად გაქვს შეთვისებული „დიადი ხელოვნება". ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგცემთ შენ მაგისტროსის ხარისხს და მაშინ შეგიძლია კიდეც იკითხო და კიდეც ისმინო ლექციები ჩვენს უნივერსიტეტში. ჩვენ მოგიწყობთ შენ პატარა დისპუტს „დიადი ხელოვნების" თემაზე. ახლა კი წადი, ხვალ შემოდი დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

ბრუნომ თავი დაუკრა და გავიდა კაბინეტიდან, თუმცა მას არ ქონდა არავითარი მიზეზი უკმაყოფილო ყოფილიყო პროფესორის მიღებით, მაგრამ ბაგენი ნერვიულად უთრთოდენ და წარბები მისი ნების წინააღმდეგ შეეშმუხვნილი იყვნენ.

ის მხოლოდ თავის თავზე იყო უკმაყოფილო. ის ამასთანავე ფიქრობდა: „ყველაზე საცოდავი ადამიანებიდან ისინი არიან, ვინც ლუკაშა პურისათვის ფილოსოფიით არიან გართული".

„შეიძლება ჭეშმარიტებამ და სამართლიანობამ მოიკიდონ ფეხი სკოლაში, უკეთუ ისინი არსებობის წყაროს წარმოადგენენ?"... მაგრამ როგორ მოხვდა ბრუნო ტუტულუზაში და რატომ გადასწყვიტა მას ესწავლებია სტუდენტებისათვის „დიადი ხელოვნება" რაიმუნ ლიულისა, რომელსაც თვითონ რამდენიმე ხნის წინეთ „მეოცნებე ვირს" უწოდებდა?

ეს კი ასე მოხდა.

მან მშვიდობით შესძლო რომიდან გაქცევა იმ ბნელ ღამეს, როდესაც მან ავგუსტინე ტიბრში გადაისროლა. აქედან დაიწყო მისი ხეტიალი.

ქალაქ გენუაში, სადაც ის გაემგზავრა, ჭირი მძვინვარებდა. ჭირი საერთოდ მოედო მთელს ჩრდილო იტალიას და აყვავებული ქალაქები, გარეგნულად ასე მხიარული, ბრწყინვალე გზით განათლებულნი სინამდვილეში ბნელს სასაფლაოებს წარმოადგენდენ, სახლები დაქედილი იყო. ვეებერთელა ფურგონები ვერ ასწრობდენ მკვდრების გაზიდვას, რომელთაც ცალკე გადამზიდავები, ტყავის ტანსაცმელებში ჩაცმულნი ფანჯრებიდან ათრევდენ. ბრუნო პიეტროსთან ერთად ქალაქიდან ქალაქში დახეტიალობდა. ვენეციაში ჯერ კიდევ არ იყო ჭირი. იქ მან დაიწყო წიგნის წერა, რომელსაც უწოდა „დროის ნიშანი" ხოლო პიეტრო ხელოსნად შევიდა ერთ ცნობილ ოქრომჭედელთან. მაგრამ ჭირმა არც ვენეცია მოასვენა. ბრუნო გაექცა სიკვდილს მილანში, შემდეგ — შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. მწარე გრძნობებით დასტოვა მან თავისი სამშობლო და დიდხანს უცქეროდა იგი მაღალ მთებიდან მის მიერ დატოვებულს, შეიძლება სამუდამოდ. იტალიის მიდამოებს. ჟენეველი პროფესორები ბრუნოს მტრულად შეხვდენ, მით უფრო, რომ უნივერსიტეტმა ახლახან დაადგინა, რომ იგი „არც ლოღიკაში, არც სხვა მეცნიერებაში არ გადაუდგება არისტოტელეს აზრებს". ბრუნო კი მისთვის ჩვეული სიფიცხით თავიდან ცოცხალი მეცნიერების დაცვას შეუდგა და მოუწოდებდა ყველას ბუნების შესწავლისაკენ. „თუ ცდები ეწინააღმდეგებიან არისტოტელეს, მით უარესი არისტოტელესათვის".— ამბობდა ბრუნო. „მით უარესია ცდებისათვის" — ამბობდენ პროფესორები.

დავამ იქამდე მიიყვანა, რომ ბრუნო ციხეში ჩასვეს, როგორც შეამბოხე. მართალია ის, ჩქარა გაანთავისუფლეს, მაგრამ ასეთი მოპყრობით აღელვებულმა დასტოვა ქალაქი და საფრანგეთისაკენ

გაემართა, სადაც იმჟამად სწარმოებდა რელიგიური ბრძოლა კათოლიკებსა და ჰუგენოტებს შორის.

საბრძოლველში მეფე ჰენრიხი ნავარიელის გარშემო შემოიკრიბენ კათოლიკური ეკლესიის ყველა მოწინააღმდეგენი. პარიზში აღმოცენდა კათოლიკური ლიგა, ჰენრიხ გიზის მიერ მოწყობილი, რომელსაც მიემხრო საფრანგეთის მეფე. — ჰენრიხ მესამე. ტყუილად არ უწოდებდენ ამ ომს „სამი ჰენრიხის ომს", არც კათოლიკენი და არც ჰუგენოტები არ იწვევდენ თანაგრძნობას ბრუნოში, მაგრამ ის უპირატესობას მაინც უკანასკნელებს აძლევდა, რადგანაც ის თავისუფალ მეცნიერებას მაინც არ სდევნიდა. არ აიძულებდა ყველას ეაზროვნა სქოლასტიური მეცნიერების მითითებით. ყოველ შემთხვევაში ეს ომი ბრუნოს ჯერჯერობით ცოტას ეხებოდა. ამჟამად მას მეტად აფიქრებდა თავისი ბედი. ფული მას არ ქონდა, ხოლო მეცნიერებისათვის ხელის მოკიდება არსად შეეძლო: მხოლოდ მონასტრებსა და უნივერსიტეტებს ქონდა ბიბლოთეკები. მონასტრებთან ბრუნომ დიდი ხანია გასწყვიტა კავშირი, ხოლო ჟენევის მაგალითმა უჩვენა, რომ უნივერსიტეტში ყოველთვის უშიშროება არ არის. და მაინც ბრუნოსათვის მეტად საჭირო იყო უნივერსიტეტი — როგორც ცხოვრების სახსარი. ის ადგილი, სადაც მას შეეძლო თავისი ცოდნის გაფართოება. წერა და ცდების წარმოება. ბრუნომ გადასწყვიტა თავისი თავის დაძლევა. გადასწყვიტა გამოცხადებულიყო ტულუზაში როგორც ჩვეულებრივი სწავლული, რომელიც თავისი ცოდნის გამოყენებას სცდილობს; ამასთანავე გადასწყვიტა თავის დროზე არავის შედავებოდა.

შემდეგ ფიქრობდა იგი, როდესაც სტუდენტები დაიწყებენ მის პატიეისცემას და მათ ნდობას დაიმსახურებდა, ის შესძლებდა შეეტია კათოლიკური მეცნიერების რუტინისათვის. მაგრამ ერთბაშად ამის ჩადენა უმიზნო იყო. და აი, ბრუნომ დაიმორჩილა თავისი თავი და გამოცხადდა ანსელმის წინაშე, როგორც საშუალო საუკუნეების „დიადი ხელოვნების" მცოდნე. დიდის მოთმენით გადაიტანა დისპუტი, სადაც იმას იცავდა, რაც მას არ სწამდა და ამგვარად იგი გახდა ტულუზის უნივერსიტეტის ლექტორი.

ახლა იგი სდგებოდა დილის 4 საათზე, ისმენდა წირვას და შემდეგ მიდიოდა ლექციებზე. სტუდენტები მას უყვიროდენ „Anima" სტუდენტების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ის უმეორებდა მათ არისტოტელეს მოძღვრებას სულის შესახებ, შემდეგ ატრიალებდა მათ წინაშე რაიმუნდ ლიულის ლოლიკურ მანქანას და თავისი მეხსიერებით განცვიფრებაში მოყავდა სტუდენტები. ანსელმიც კი ვერ უძლებდა მას ამ მხრით და მას ჩუმად კიდეც ეხარბებოდა ახალგაზრდა იტალიელის ცოდნა. ლექციის დამთავრების შემ-

დეგ ბრუნო თავის ოთახში მოდიოდა და აქ ერთობოდა ნამდვილი მეცნიერებით. მას უნდოდა დაწვრილებით განეხილა ყოველივე ის, რაც კოპერნიკმა დასახა და იგი ხაზავდა, ანგარიშობდა, თვალყურს ადევნებდა ვარსკვლავებს. მეტად შორს იყვნენ ეს ვარსკვლავები და ბრუნო საშინლად გრძნობდა თავისი თვალების სისუსტეს. როგორ მოიახლოვოს ეს ვარსკვლავები ან როგორ ამაღლდეს იქამდე, როგორ გაანათოს ეს ვეებერთელა სამყარო, განზომოს იგი, გამოიანგარიშოს, ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვროს მისი კანონები? მაგრამ ბრუნო, შეყურებდა რა უძირო ღამის ცას, ვერაფერს ვერ ახერხებდა, გარდა ლექსებისა, სადაც აღნიშნავდა თავის უძლურებას. ეძინა ტულუზას, ეძინა უნივერსიტეტს, ეძინათ პროფესორებს და სტუდენტებს. მხოლოდ ბრუნოს არ ეძინა და მტკივნეულად გრძნობდა თავის მარტოობას. ვერავის ვერ გაუზიარებდა იგი თავის აზრებს, რადგანაც პასუხად იგი სასტიკ დაცინვას ან მუქარას მიიღებდა. და ეს მარტოობა საშინელი და მტანჯველი იყო.

და არავის ესმის ამ განუზომელ სამყაროში.

ჩემი სიტყვები, ჩემი ძახილი.

ბრუნო არ იყო მართალი. ქვეყნად მოინახებოდა ორიოდე ათეული კაცი, რომელნიც აღტაცებით მიიღებდენ მის მოძღვრებას, გაიზიარებდენ მის აზრებს, მაგრამ ეს ხალხი დაბნეული იყო დედამიწის პირზე და სდუმდა ისე, როგორც ბრუნო იყო იძულებული ამაში. ხოლო ახალგაზრდა ჰანს ლიპერსგეი გერმანულ ქალაქში. ვეზელეში ამ დროს თლიდა თავის პირველ გამობერილ მინას, რომელმაც მას შემდეგში დახმარება გაუწია „გამოიგონა ისეთი ინსტრუმენტი, რომელითაც შორს შეიძლებოდა ჭვრეტა“.

ბრუნოს, რომ ხელთ ჰქონოდა ასეთი მილი! მაშინ მას შეეძლო სურვილისამებრ თავისკენ მიეზიდა რომელიც უნდოდა ის ვარსკვლავი. გაესინჯა იგი ყოველ მხრივ და შემდეგ თავი დაენებებია, რათა კვლავ მეორე მიეზიდა. იგი სატურნის რგოლსაც ნახავდა, იუპიტერის თანამგზავრებსაც და მარსზე არხებსაც შეამჩნევდა.

კოპერნიკის მოწინააღმდეგენი, მიუთითებდენ მნათობ ვენერაზე და ამბობდენ: „ეს პლანეტა რომ მზის გარშემო ტრიალებდეს და მისი სხივებით ბრწყინავდეს, ის ხომ მუდმივ გამოიცვლიდა ხოლმე თავის სახესაო, ერთ მდგომარეობაში ჩვენ მას მთლიანად დავინახავდით, ხოლო მეორეში — მხოლოდ ნაწილსაო. ვენერა ზოგჯერ ნამდვილათ მოგვეჩვენებოდა, ზოგჯერ ნახევარწრედ, ისე, როგორც მთვარეო. მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ, მაშასადამე კოპერნიკი არ არის მართალიო“. აი, ახლა რომ ბრუნოს ხელთ ქონდეს ეს უცნაური მილი. ის შეხედავდა ვენერას და დაინახავდა თანაბრად ნათელს ნახევარ წრეს. ის მიუხმობდა კოპერნიკის მოწინააღმდეგეთ და ეტ-

ყოდა მათ ისე, როგორც შემდგომ გალილეიმ უთხრა. „თქვენ ვერ ხედავთ თუ როგორ იცვლება ვენერას სახე, იმიტომ რომ თქვენ თვალები სუსტი გაქვთ; გახედეთ დურბინდში და თქვენ ამას დაინახავთ“.

რატომ არის, რომ სულ ცას გაჰყურებ? შეეკითხა ერთხელ ანსელმი ბრუნოს და სიცილით დაუმატა: — პოლონეთში აღმოჩნდა ვიღაც გიჟი, რომელსაც მოეჩვენა, რომ ვარსკვლავები ჩვენს დედამიწაზე უფრო დიდია, და მანვე მოიგონა, რომ მზე კი არ ბრუნავს მიწის გარშემო, არამედ მიწა მზის გარშემო, ხახახა! პიზანელმა ეპისკოპოზმა სწორად უწოდა კოპერნიკის ამ წიგნს სკანდალური, უგნური და ღვთის საწინააღმდეგო, ხოლო მამა მაკროლიკს საჭიროდ მიაჩნია გაანადგურებულ იქნეს მისი ავტორი. ლუტერმაც კი სულელი უწოდა კოპერნიკის. რას არ მოიფიქრებენ ადამიანები, რომ ჭკვიანის სახელი მოიხვეჭონ! იცი, ბრუნო, წაიკითხე ერთი ლექცია დიდ აუდიტორიაში ამ ახალი სისულელეს შესახებ. სტუდენტებს შენ უყვარხარ. შეიძლება საიდუმლოდ ვინმე მოიწამლა ამ სულელური წიგნაკით, შენ მას განკურნავ, არასოდეს არ იქნება ზედმეტი გავახსენოთ ჩვენი დიდი მასწავლებლების — არისტოტელესა და პტოლომეს მოძღვრებათა ურყევობის შესახებ.

— კარგი, მე თანახმა ვარ! — მიუგო ბრუნომ. გულმა კანკალი დაუწყო, თვალები გაუბრწყინდა, როგორც მეომარი ომის მოლოდინში, ისე იგრძნო მან მღელვარება.

დიდი აუდიტორია ათასზე მეტ კაცს იტევდა.

2. ციური მექანიკა.

ვეებერთელა აუდიტორია ყრუდ ხმაურობდა და ღელავდა, როდესაც ჯორდანო ბრუნო კათედრაზე ავიდა.

პროფესორები და მათ შორის ანსელმიც ისხდენ წინა რიგებში, თავიანთ გრძელ წამოსასხამში, ფართე თეთრი საყელოებით. ზოგიერთების მკერდზე ბრწყინავდენ ოქროს ჯაჭვები — წარმატების ნიშანი. რაც მიღებული ქონდათ მათ რომელიმე ხელმწიფისაგან, იმდენი სტუდენტები მოსულიყო, რომ არც დასაჯდომი და არც დასადგომი ადგილი არ ქონდათ. ისინი აღტაცებით შეყურებდენ ახალგაზრდა პროფესორს რომელიც იცოდენ ცნობილი იყო თავისი მჭერმეტყველობით, სწავლულობით და მეხსიერებით. კოპერნიკის მოძღვრება. მიუხედავათ წიგნის აკრძალვისა, უკვე მრავალმა სტუდენტმა იცოდა და ბევრს მათგანში იქვი დაბადა, რაც დღეს უნდა გადაჭრილიყო. ის გარემოება, რომ ჯორდანო ბრუნო კოპერნიკის წინააღმდეგ პტოლომეს დასაცავად გამოდიოდა, სტუდენტებისათვის მეტად ღირსშესანიშნავი იყო. თუ ზოგიერთი მათგანი, უფრო ძლიერი და მახვი-

ლი გონების უკვე იქვით იყვნენ შეპყრობილი საეკლესიო ავტორიტეტისადმი, ბრუნოს სწავლულობაში მათ არავითარი იქვი არ ქონდათ.

ბრუნომ შორიდან დაიწყო, ილაპარაკა აღმოსავლეთის და არაბეთის ასტრონომების შესახებ, შემდეგ გადავიდა ბერძნებისა და რომაელების თეორიებზე. დიდი რომაელი ორატორი ციცერონი ასე აღწერდა სამყაროს წყობას.

„მსოფლიო შესდგება ცხრა ერთმანეთის შემხებ სფეროებისაგან. ვარეგანი სფერო — ცა — გარს ერტყმის ყველა დანარჩენს. იგი უზენაესი ღვთაებაა, რომელიც მათ შეიცავს, გარს ევლება. ცაზე მიმაგრებულია ვარსკვლავები და ის მათ ატარებს თავის მუდმივ მოძრაობაში. ქვევით ჰრიალებს შვიდი სფერო, რომელთაც იზიდავს მოძრაობა ცის მოძრაობასთან საწინააღმდეგო. პირველი სფერო უჭირავთ ვარსკვლავებს, რომელსაც სატურნი ეწოდება, მეორე ადგილზე ბრწყინავს კაცობრიობის ის კეთილ მყოფელი და კეთილად განწყობილი მნათობი, რომელიც ცნობილია იუპიტერის სახელწოდებით. შემდეგ დედამიწისათვის საზიზღარი მარსი, რომელიც გარემოცულია სისხლიანი ბრწყინვალებით, ქვევით მზე, მეფე, მბრძანებელი სხვა მნათობთა და მსოფლიოს სული, საშინელი სიდიდის ბურთობი, რომელიც თავისი სინათლით აქვს მსოფლიოს სივრცეს. მას თანსდევენ მერკურისა და ვენერის სფეროები, რომელიც თითქოს მზის ამალას წარმოადგენს. დასასრულ, ყველაზე ქვევით მთვარე, რომელიც სესხულობს სინათლეს მზისაგან. დედამიწა, რომელიც მსოფლიოს ცენტრშია მოთავსებული და ყველაზე უფრო დაშორებულია მზისაგან, შეადგენს მეცხრე სფეროს; ის უმოძრაოა და ყველა მძიმე სხეული მასზე ეცემა სიმძიმის გამო". მაგრამ რა აიძულებს იტრიალონ მიწის გარშემო ყველა ამ ზეციურმა სხეულებმა? დიდმა პტოლომემ უპასუხა: კიდევ ერთი, ყველაზე უდიდესი სფერო, რომელსაც „პირველი — მამოძრავებელი" ეწოდება.

მაგრამ რით აიხსნება ზოგიერთი პლანეტის მოძრაობის არა სწორობა?

ზოგჯერ პლანეტა წინ მიდის, ზოგჯერ ერთ ადგილზე დგას, ზოგჯერ კი უკან მოძრაობს. დიდმა პტოლომემ ესეც განმარტა.

პლანეტები მოძრაობენ მარყუჟისებური წრეებით. აქედან მათი სახელწოდება პლანეტა — ცთომილი სხეული, აკეთებს რა წრეს, პლანეტა მოძრაობს, ხან წინ და ხან უკან, ეს წრეები მეტად უცნაურია და მართლაც საყვარელია, რომ ბუნებაში, სადაც ყოველივე ჩვეულებრივად მარტივია, დაუსახა პლანეტებს ასეთი რთული გზა. თუ წარმოვიდგენთ, რომ პლანეტები გარს უვლიან დედამიწას 24 საათის განმავლობაში, გადიან რა ვეებერთელა და საოცარ გზას, მა-

შინ მთელი სამყარო ემსგავსება რაღაც გაშმაგებულ ოთურმას და უთუოდ, მართალი იყო მეფე ალფონს კასტილიელი, რომელმაც თქვა: „ჩემთვის, რომ ღმერთს ეკითხა რჩევა, მე ვურჩევდი მას მოეწყო მსოფლიო უფრო მარტივად".

როდესაც ჯორდანო ბრუნომ ეს სიტყვები წარმოთქვა. მსუბუქი ჩურჩული გაისმა აუდიტორიაში, მაგრამ მაშინვე სამარისებური სიჩუმე დამყარდა. ზოგიერთმა პროფესორებმა, განსაკუთრებით ღვთის მეტყველებმა, წარბები შეჭმუხვნეს. რად დასჭირდა ბრუნოს ამ ღვთის მკიცხავი სიტყვების ხსენება, რომელიც დიდი ხანია ეკლესიის მიერ უარყოფილია? ანსელმიმ თავი დააქნია. ხოლო ბრუნოს თითქოს არც შეუმჩნევია, მისი სიტყვებით გამოწვეული გაოცება. — ახლა სთქვა მან წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ მსოფლიო მოწყობილია სულ სხვანაირად. მზე წარმოადგენს ცენტრს, რომლის გარშემო ტრიალებს ყველა პლანეტები და მათ შორის დედამიწაც. მსოფლიოს სურათი მაშინ ასეთ გვარად წარმოგვიდგება: ცენტრში — მზე, მასთან ახლოს — მერკური, შემდეგ ვენერა, შემდეგ დედამიწა მთვარით, შემდეგ მარსი, შემდეგ იუპიტერი და სატურნი; თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, სავსებით გასაგები იქნება, თუ რატომ პლანეტები ზოგჯერ წინ მოძრაობენ, ზოგჯერ უკან და ზოგჯერ უმოძრაოთ დგანან იმიტომ, რომ დედამიწაც მოძრაობს და ხან უსწრებს კიდეც მათ, ხან თითქოს ერთნაირი სისწრაფით მოძრაობს, ხან კი ჩამორჩება მათ. მოძრაობა ყველა პლანეტის კი თანაბარია, ბრუნვის სისწრაფე კი არა ერთგვარი, ხოლო მანძილი მათ შორის ვეებერთელა: ამ წყაროს სიმარტივე სავსებით შეეფერება ბუნების კანონების სიმარტივეს. ყოველივე აუხსნელი და გაუგებარი პტოლომეს თვალსაზრისით ან მეტად რთულად ასახსნელი, ნათელი და მარტივია კოპერნიკის თვალსაზრისით. რაც შეეხება უძრავ ვარსკვლავთა ცას, ეს ცა უსაზღვროა და მსოფლიოს არ აქვს ზღუდე. მხოლოდ ცდები აძლევენ საფუძველს ჰეშმარიტ ცოდნას. როგორც არ უნდა გადასვათ ბგერები არისტოტელეს სახელწოდებიდან თქვენ ვერ აიძულებთ მეცნიერებას ერთ ადგილზე გაიყინოს.

თითოეული ახალი დიადი აღმოჩენა აცილებს მტვერს დაძველებულ ტვინს, მსგავსად გაზაფხულის გრილი ნიავისა. და ვაი მას, ვისაც არ უნდა იწამოს გაზაფხული, ვინც მზის ცხოველმყოფელ სხივებისაგან ნოტიო სარდაფებს სიბნელეში იმალება. მომავალი თაობანი სიცილს დააყრიან მათ და შეარცხვენენ კიდეც, როგორც საცოდავ და ბრმა გიჟს! ბრუნომ გადააგდო ცარცი კათედრაზე და სამარისებურ სიჩუმეში დასტოვა აუდიტორია. მან სასწრაფოდ გაიარა აუდიტორია და გავიდა უნივერსიტეტიდან. ხელები უძგძიგებდა, გული კი ბორგავდა მკერდში.

მან ისევ აიმხედრა თავის წინააღმდეგ თითქმის ყველა, მან ერთბაშად დაკარგა ლუკმა პური და მუშაობისათვის მშვიდობიანი თავშესაფარი. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სხვანაირად. ჭეშმარიტება მებრძოლებს მოითხოვს, ხომ ვინმე უნდა დაიტანჯოს და დაიღუპოს ჭეშმარიტებისათვის.

მაისის საღამო იყო წყნარი და მშვენიერი. ნიავმა შორეული ველების და ბაღების სურნელოვანი სიცოცხლის სუნთქვა მობერა ჯორდანოს. მან სიმხნევის ნაკადი იგრძნო, მოუნდა საჭმელი, ერთ ჭიქა ძველი ღვინის დალევა მოენატრა, მოენატრა ვინმე უბრალო მხიარულ ადამიანთან საუბარი, ისეთ ადამიანთან, რომელსაც არასოდეს არ გაუგონია არც პტოლომე და არც კოპერნიკი. ის წავიდა ქალაქის სულ განაპირას, პატარა დუქანში, რომელზედაც წარწერა იყო: „შარყუჭი და ბოთლი". მას, აქ ვერავინ იცნობდა და შეეძლო თავი სავსებით თავისუფლად ჭეროდა. დუქანი ნახევარ სარდაფში იყო მოთავსებული. როდესაც ბრუნო იქ შევიდა, მან შეამჩნია, რომ დუქნის პატრონს გარს ეხვევოდა ვიღაც წამოსასხმიანი ადამიანები, ჰიუხედავათ თფილი საღამოსი და რაღაცას შესახებ ჩუმად და საიდუმლოთ საუბრობდენ.

ბრუნოს შემოსვლისას გაჩუმდენ, ცნობის მოყვარეობით შეხედეს მას და როდესაც ბრუნო სუფრას მოექცა კუთხეში, ისევ დაიწყეს აღელვებულად და შფოთიანად ლაპარაკი.

მსახური მივიდა ბრუნოსთან და შეეკითხა თუ რა სასმელ-საჭმელი მოეტანა. რამე გემრიელი და კარგი — მხიარულად უპასუხა მან, — და ამასთანავე მომიტანე წითელი ღვინო. ამავე დროს დუქანში ორმა ახალგაზრდამ სტუდენტმა შემოირბინა, რომელიც ბრუნომ მაშინვე იცნო, როგორც თავისი ყველაზე უფრო გულმოდგინე მსმენელები. ერთ მათგანს ჟან გენეპელს უწოდებდენ. ეს იყო მეტად ჭკვიანი და ნიჭიერი ყმაწვილი, რომელსაც არა ერთხელ გაუხარებია ბრუნო თავისი აზრების ორიგინალობით და მოულოდნელი კითხვების მიცემით.

მათ ბრუნო ვერ შეამჩნიეს. ეცენ დუქნის პატრონს მეტად აღშფოთებულნი და აღელვებულნი.

— ო, რა სკანდალი მოხდა დღეს ჩვენთან უნივერსიტეტში! დაიყვირა ჟანმა და მიესალმა წამოსასხმიან კაცებს, — ჯორდანო ბრუნომ, ახალგაზრდა იტალიელმა ფილოსოფოსმა, დაამსხვრია საეკლესიო მეცნიერება და ისე დაამსხვრია, რომ ღვთისმეტყველებმა მხოლოდ ხახა დაალეს. როდესაც ის გავიდა ყველა მსმენელი, როგორც დარეტიანებული ისხდენ, თითქმის ხუთი წუთი მაინც, შემდეგ კი დაიწყო. ერთნი მას სწყევლიდენ, მეორენი კი ადიდებდენ... ჩვენ ხახა გაგვიშრა — „ვაშას" ძახილით. თვითონ ანსელმი კათედრაზე

შეძვრა.. მაგრამ რას გააწყობდა.. ისეთი ხმაურობა იდგა, რომ ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ხუცები ბრაზმორეული არიან და რაც მთავარია სწორედ ამ დროს მოხდა.

მაგრამ დუქნის პატრონმა უცებ ხელი წაავლო სტუდენტს, მიუთითა იმ კუთხისკენ, სადაც ბრუნო იჯდა და სიფრთხილისკენ მოუწოდა, სტუდენტებმაც შეხედეს.

— სწორედ ეს არის მაგისტროსი ბრუნო... სტუდენტები მივიდენ მასთან და მოკრძალებით მიესალმენ.

— ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენი ლექციით, პროფესორო, ჩვენ კარგა ხანია უკვე ვგრძნობთ, რომ ძველმა მეცნიერებამ მოსპამა თავისი დრო, მაგრამ ცხადია, ჩვენ თავს ვერ ვნდობდით. ახლა კი თქვენმა მსჯელობამ ჩვენ სავსებით დაგვარწმუნა და ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ და თუ საჭირო იქნება. დავიხოცებით კიდეც ჭეშმარიტი ცოდნისათვის.

ბრუნოს გაეღიმა ასეთი აღტაცებული განცხადებისათვის. ხოლო სიკვდილის მოლოდინში დავლიოთ დიდებული მეცნიერების სადღეგრძელო, — თქვა მან და სტუდენტებს ღვინო დაუსხა. დასხედით ვისაუბროთ, მომიყევით დაწვრილებით რა მოხდა ჩემი წასვლის შემდეგ... ალბად ყველანი ბრაზმორეული იყვნენ... ხუცებიც უთუოდ..

„ხუცის" ხსენებაზე დუქნის პატრონმაც და იქ მყოფ კაცებმაც ცნობის მოყვარეობით გადახედეს ბრუნოს. მართლაც ეკლესიის მსახურების ასე კადნიერად ხსენება ტულუზის ფილოსოფოსის პროფესორის ბაგეთაგან რაღაც უცნაურად მოისმოდა. სტუდენტები ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა და მათ ხარხარი დაიწყეს.

— მე ვამბობდი, რომ პროფესორ ბრუნოსთან მორიდება არ არის საჭირო! — დაიყვირა ჟან გენეკენმა, მიუბრუნდა რა იგი დუქნის პატრონს. პირიქით, მე თავის მოვალეობად მემართა გავაფრთხილო იგი...

რა მოხდა? შეეკითხა ბრუნო. რომელიც დიდის სიამოვნებით შეექცეოდა მოტანილ საჭმელს, — რა საიდუმლოებაა? ამ დროს უცაბედად ქუჩაზე მოისმა ხმაურობა, ყვირილი, ვიღაც ცხენოსნებმა გაიარეს. დუქნის პატრონი და წამოსასხამიანი კაცები გასავალ კარებთან მივარდენ. ამასთან ერთი მათგანის წამოსასხამი სკამს წაედო, წამოსასხამი გაიშალა და იქედან გამოჩნდა შპაგის ხელი და დამბაჩის ლულა. სტუდენტებიც წამოცვივდენ ადგილიდან.

გაღებულ კარებში შემოვიდა აღელვებული ქალაქის ხმაურობა, უწესრიგო ზარის რეკვა, ყვირილი, ისევ ვიღაც ცხენოსნებმა გაიარეს, ზარბაზანმა დაიგრიალა.

რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? დაიყვირა ბრუნომ და ისიც კარებისაკენ წავიდა. ჰენრიხ ნავარიელის ჯარები ტულუზისაკენ მოდიან! აღტაცებულად უპასუხა დუქნის პატრონმა, მაგრამ, თუ თქვენ, პრო-

ფესორო, ხუცები არ გიყვართ, ნურაფრის გეშინიათ. სწორედ ამ დროს ქუჩაზე გაირბინა ორმა, შემოწმებულმა აბბატმა, რომელთაც ანაფორა შეეკეცათ და თავისი სანდლებით მტვერს აყენებდენ.

— ეეედრეთ წმინდა ბართლომეს! დაუყვირა მათ დუქნის პატრონმა, მიუთითებდა რა იმ საშინელ ღამეზე, როდესაც კათოლიკეებმა პარიზში ჰუგენოტები დახოცეს.

— თქვენ რა, მალული ჰუგენოტები ხართ? შეეკითხა ბრუნო სტუდენტებს.

— ძლიერ მოგვაბეზრა თავი ხუცებმა! სიცილით უპასუხეს მათ. გვინდა ცოტათი თავისუფლად ამოვისუნთქოთ, ისინი კი კისერზე გვასხდენ და საკმეველს გვიკმევდენ, მოგვეცით ყოველ შემთხვევისათვის ორიოდე დამბაჩა, მოუბრუნდენ ისინი დუქნის მეპატრონეს.

— შე აქ არაფერი საქმე მაქვს! წამოიძახა ბრუნომ და ხელახლა მიუჯდა მაგიდას და განაგრძო შეწყვეტილი ვახშამი.

8. ძველი მეგობრები.

იმ ხანებში უმთავრესად ომობდენ აზნაურები და მათი დაქირავებული პირები, ხოლო გლეხობა და ქალაქის მოსახლეობა ომში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა, თუმცა ომისაგან დიდი ზარალი მოსდიოდათ.

მაგრამ ხომ გლეხებსაც და ქალაქის მოსახლეობასაც უნდა ეკვება ჯარები, რომელნიც ამასთანავე ძარცვა-გლეჯასაც არ აკლებდენ ხელს. აზნაურები დაბადებიდან მხედრები იყვნენ, ისინი იარაღს ატარებდენ და უნდა დაეცვათ თავისი ხელმწიფე.

რელიგიური ომი საფრანგეთში თითქმის ყველას ეხებოდა, რადგანაც მოსახლეობის შორის ბევრი იყო კათოლიკური ეკლესიით უკმაყოფილო. მღვდლები და ბერები ხშირად ერეოდენ მოქალაქეთა კერძო ცხოვრებაში, ასწავლიდენ და ტუქსავდენ მათ, თვით კი ამავე დროს ლოთობას და გარყვნილობას ეძლეოდენ და ცდილობდენ ყოველგვარი საშვალებით გამოეტყუათ ფული. ყოველივე ეს, ცხადია, ხალხს აღელვებდა და აი ამიტომ საფრანგეთში ბევრი იყო ჰენრიხ ნავარიელის მომხრე, რომელიც სათავეში უდგა ანტიკათოლიკურ პარტიას. თვით ჰენრიხს, როგორც მისი მომხრეების უმრავლესობას, რელიგია არაფრად მიაჩნდათ, მათ უნდოდათ საფრანგეთის უზენაესი ხელისუფლება ჩაეგდოთ ხელში. ამ მიზნით ჰენრიხ ნავარიელი მეტად ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა. კათოლიკებთან ბრძოლაში მას არ უნდოდა თავის წინააღმდეგ კათოლიკების გაღიზიანება ამიტომ, მაგალითად, ის ყოველივე მხრით ხელს უშლიდა ჰუგენოტებს კათოლიკების ხოცვაში და ბართლომეს ღამისათვის შურის ძიებაში.

ასეთი პოლიტიკითაის ანელებდა თავისი მტრების — კათოლიკების სიბრაზეს. რომელნიც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი და საშიში იყვნენ და ბევრი მათგანი, ამგვარად მის მხარეზე გადადიოდა. ომსაც იგი ძლიერ მოხერხებულად აწარმოებდა, ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლებად ევნო მოსახლეობისათვის. რადგანაც. მას უნდოდა გლეხობისაგან მეტი მომხრეები შეეძინა. მის ძირითად მიზანს შეადგენდა - - პარიზის აღება.

ტულუზის დაპერა სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენდა. ჰენრიხ ნავარიელის ჯარები შევიდენ ტულუზაში ჩირაღდნების სინათლით. იარაღი ელარუნებდა დაა ბრწყინავდა მერყევ ალზე, ცხენები ფრთხვინავდენ. ნალები ნაპერწკლებს ყრიდენ შემთხვევით მოხვედრილ ქვებიდან.

ქალაქის შენობის მოედანზე შეყრილიყვნენ ქალაქის წარმომადგენლები გამარჯვებულის შესახვედრად.

ჰენრიხ ნავარიელმა, ჩვეულებრივად თქვა, რომ იგი ომობს არა ფრანგებთან, რადგანაც იგი თვით ფრანგია, არამედ ფრანგებისათვის რადგან ის კვლავ ფრანგია. მისი მიზანია. რომ ხალხმა ჩამოაგდოს კათოლიკური პარტია, რომელიც ხალხს ყველფაეს. მისი ჰენრიხ ნავარიელის — სურვილია, რომ ხალხს კეთილდღეობა მიენიჭოს. რომ თვითეულ გლეხსა და მოქალაქეს კვირაობით ქონდეს ქათამი სუფში (ამ ქათმის შესახებ, იგი ლაპარაკობდა ყველგან, ყველა ქალაქსა და სოფელში, რომელსაც იკავებდა, ყველგან ერთნაირი წარმარტებით) თავის ჯარებს, ცხადია, მან აუკრძალა ცარცვა-გლეჯა და მოსახლეობისათვის შეურაცხყოფის მიყენება, მაგრამ იგი ამასთანავე დარწმუნებულია, რომ მოსახლეობა იზრუნებს. რომ მის კეთილს მეომრებს არაფერი შემოაკლდეს და მათ იპოვნონ თავსაფარი და მოსვენება მძიმე და დამღლელი ომის შემდეგ.

მხიარულმა ტონმა, რომლითაც წარმოთქმული იქნა სიტყვა და განთქმული ქათმის ხსენებამ ერთბაშად დააწყნარა ქალაქის მოსახლეობა და მათ გაუღეს სახლის კარები დამტვერიანებულ და მზისაგან დამწვარ მეომრებს, რომელნიც ტულუზის ძველ სახლების კიბეებზე მძიმედ აელარუნებდენ დეზებს და ყველაზე უკეთ მოაგონებდენ სახლის პატრონებს, რომ საჭიროა მათი გულღიად და სიყვარულით მიღება.

— ბრუნო! — ჯორდანო ბრუნო! ჯორდანო მოტრიალდა და თავის წინ დაინახა მხარსქელი სამხედრო ქუდით თავზე, ვეებერთელა ფეხსაცმელებით მორთული ახალგაზრდა. მოხერხებულად დაგრეხილი ულვაშები და გრძელი წვეტიანი წვერი ჯარისკაცის განსაკუთრებულად სამხედრო სახეს აძლევდა.

— ვეღარ მცნობ?

სამხედრო პირმა წელ-ულვაში დამალა. — ახლაც?

— რიბელო!

და ისინი შემოეხვიენ ერთმანეთს, ამასთანავე რიბელომ კინაღამ არ გაუჭყლიტა ბრუნოს გულის ფიცარი ისე ძლიერად მიიკრა იგი თავის მძლავრ მკერდზე.

— რა ყოჩაღი ხარ! დაიყვირა ბრუნომ, რომელიც სიყვარულით ჭესცქეროდა რიბელოს მძლავრსა და მოხდენილ ტანს, — მაგრამ შენ აქ როგორ მოხვედი?.. შენ — და პროტესტანტების მეფის ჯარი! როგორაა ჯოჯოხეთის ტანჯვების საქმე?..

რიბელომ დაისტვინა.

— მე ძმაო მოვჭკვიანდი იმის შემდეგ.. ახლა კი ვიცი რა არიან ბერები. საომარი ცხოვრება — ეს ჩემი საქმეა. და მე კაცი არ ვიქნები თუ არ გავფრინდები ოკეანეს იქით, რათა ჯიბეები ოქროთი გავისქელოთ ესპანელებისა და პორტუგალიელების მსგავსად. შენ როგორ ხარ? შენ კიდევ სულ დახეტიალობ ამ მზის ქვეშ: სულ გინდა შენი სიბნელის მოციქულები განანათლო?.. შენ კი როგორ მოხვედი აქ?

— ტულუზის უნივერსიტეტში მეტი არაფერი მაქვს საქმე. წავალ პარიზს, მივაღწევ იმას, რომ სორბონში დავიწყებ ახალი მეცნიერების სწავლებას... სულ ერთია მე უამისოდ ცხოვრება არ შემიძლია.

მოიცადე ჯერ პარიზი უნდა ავიღოთ. მაშინ შენ თითსაც ვერავინ დაგაკარებს.. ჩვენს მეფეს, გეტყვი მე შენ, ფეხებზე ჰკიდია კათოლიკეებიც, ჰუგენოტებიც, მზეც და დედამიწაც. სწავლულები კი. უყვარს კიდეც.

ბრუნომ გადაიხარხარა.

— ნუ თუ უყვარს კიდეც? არა. მე არ დავიცდი. მე სორბონში უნდა დავიკავო კათედრა, შენ ფიქრობ, რომ ჰენრიხ მესამეც ბევრს ფიქრობს კათოლიკეებზედ და ჰუგენოტებზე?. სწავლულები კი მგონი მასაც „უყვარს კიდეც". არა, მე წავალ პარიზში. თქვენ ხომ გამიშვებთ ტულუზიდან?.

— რა თქმა უნდა, გრაფი დელილი მოგცემს შენ ნებართვას, თუ გინდა სამოთხეში. მაგრამ მაინც სჯობს ჩვენთან დარჩე. ჩვენ ქალაქები უნდა ავიღოთ. ვიხეტიალოთ საფრანგეთში. მართლაც ხომ კარგი ცხოვრებაა! მაგრამ ჩვენ თუ პარიზი ავიღეთ... ო—ო! ჰენრიხი ჩვენ ყველას დაგვაჯილდოვებს.

— ქათმით სუფში?

— კარგია ნუ იცინი მართლა. დარჩი ჩვენთან.

ჩემო კარგო მე მუშაობა მინდა. მე წიგნები მჭირდება ხელთნაწერები... მე დიდიხანია ვოცნებობ სორბონის ბიბლიოთეკაზე.

— სწავლობდი—სწავლობდი და კიდევ ვერ ისწავლე? მე ვფიქრობდი, რომ, სწავლულები არაფერს კითხულობდენ, არამედ მხოლოდ თითონ სწერდენ.

— ტყუილად ფიქრობ. აქ ტულუზაში, ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი გავიგე, რაც არ ვიცოდი, ბევრი რამ შევამოწმე.. და ახლა მთელის უფლებით ვამტკიცებ..

— ვიცი, ვიცი, რომ მზე ბრუნავს თუ პირიქით დედამიწა, მგონი..

— აბა, რა უნდა გიყო შენ სად დგეხარ? შეეკითხა ბრუნო.

— ჯერ არსად.

— წავიდეთ ჩვენს უნივერსიტეტის სადგომში. მე არ მინდოდა იქ დაბრუნება, მაგრამ ვფიქრობ რომ ახლა ყველა პროფესორი მიმალულია და დაავიწყდათ მზეც და დედამიწაც.

რიბელო სიამოვნებით დაეთანხმა. მისმა დეზებმა დაიხრიალეს უძველეს ბუჩეთა ქვეშ. მან სიამოვნებით გაიხადა ტანსაცმელი. დაიგო იატაკზე თავისი წამოსასხამი და ზედ დაწვა.

— გახსოვს ნეაპოლი? გახსოვს იოლა? გახსოვს ჩვენი ღამ-ღამობის გასეირნება? და ბრუნოს თვალები ცრემლებით აევსო:

— აწი მას ვერასოდეს ვიხილავ. იტალიაში მე ველარ დავბრუნდები.

— წინასწარ ამას ვერ განსჯი. იქნებ მანამდე გონს მოვიდენ წმინდა მამები და ირწმუნონ შენი მეცნიერება. ვინ იცის შეიძლება პაპათაც გაგხადონ. ხა-ხა-ხა.

— ამის იმედი კი ცოტაა... სადაა შენი ვულკანი?

— ვულკანი? იგი ბორდოში დარჩა. არის იქ ერთი ლამაზი ქალი, რომლის სიმშვიდეს იგი იცავს.

— ლუიზა?

— უთუოდ იმან დამივიწყა კიდეც.

— მან დაგივიწყა თუ არა ეს კიდევ საკითხია. მაგრამ შენ კი დაივიწყე მგონი. რიბელომ გადაიხარხარა.

— როდესაც მთელი დღეები ცხენს დააჭენებ უნებლივ გამოგეფეტება მეხსიერება... რიბელოს მხოლოდ გათენებისას დაეძინა. ბრუნოს კი სრულებითაც არ. მიეკარა. ნუ თუ ის ვერასოდეს ვერ ნახავს იტალიას?

— გრაფ დე-ლილმა სიამოვნებით მისცა ბრუნოს პარიზში შესვლის ბარათი და თან მისცა მას ერთი ძველი სწავლულის მისამართი, რომელიც ძლიერ სტუმართ მოყვარეა და რომელსაც შეეძლო დახმარებოდა ბრუნოს სორბონში მოწყობის საქმეში.

მშვენიერ გაზაფხულის დილას ბრუნო ცხენით გაემგზავრა ტულუზიდან, რომელიც მას აჩუქეს ჰენრიხ ნავარიელის ბრძანებით, რომელსაც არ უნდოდა გაეშვა შემთხვევა, რათა თავისკენ მიემხრო ასე-

თი კარგი მომავლის მქონე სწავლული. მან სხვათა შორის „კეთილ ინება" და ესაუბრა კიდეც წასვლის წინ.

— მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, — უთხრა მეფემ.

— ჩვენ ერთმანეთს პარიზში ვნახავთ, მეფე, — უპასუხა ბრუნომ ღიმილით.

ეს პასუხი ძლიერ ესიამოვნა მეფეს. — პატიოსნებას ვფიცავ, — დაიყვირა მან, — თუ როდესმე მე საფრანგეთის მეფე გავხდი, მე თქვენ სორბინის რექტორად დაგნიშნავთ!

— ამ შემთხვევაში მე ჩემს თავს რექტორად ვთვლი, — უპასუხა ჯორდანომ, ხოლო გამოვიდა თუ არა რიბელო უთხრა:

მომავალ მეფეებთან ლაპარაკი ადვილია, ნამდვილთან კი უთუოდ ცოტათი ძნელი იქნება. რიბელომ გააცილა თავისი მეგობარი.

ცხენოსნები ჩუმად მიდიოდენ, თითოეული მათგანი თავის ფიქრებს მისცემოდა. გასცდენ თუ არა ტულუზს რამდენიმე ვერსით, რიბელომ თავისი ცხენი შეაჩერა.

იქეთ, წასვლა მე არ მინდა, — სთქვა მან. აქ შეიძლება მტრის მგზავრები შეგვხვდენ და სისულელე იქნებოდა მათ ტყვეთ ჩაუვარდე... იმგზავრეთ მშვიდობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ჩქარა შევხვდებით ერთმანეთს პარიზში... იღონდ კათოლიკეებმა არ მიგაყენონ რაიმე ცუდი. შეიძლება ჩვენ მომხრეთ ჩაგთვალონ.

— ნუ გეფიქრება, მე ყველასთან მოვახერხებ ლაპარაკს... ისინი დაჩუმდენ და ეტყობოდა, რომ მათ ერთმანეთის მოშორება არ უნდოდათ. შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს როდესმე იტალიაში, — წაიბუტბუტა ბრუნომ.

— ყველაფერი შეიძლება. რა მოგვიდა? ეს მოულოდნელი კითხვა მისცა რიბელომ, რადგან ბრუნო უცებ გაფითრდა და საშინელი აღელვებით უყურებდა მწვანე ტყეს:

— შეხედე! წაიჩურჩულა მან.

რიბელომ უნებლიეთ ხელი წაავლო შპაგს და ნაჩვენები მიმართულებით გაიხედა. მას მოეჩვენა, რომ მწვანეში, ბილიკზე, რომელიც გზას ჭრიდა გაიელვა რაღაც უცნაურმა შავ-თეთრმა ფიგურამ. გაიელვა და თითქოს გაქრა.

— ვინ არის ეს? — ერთგვარი შიშით იკითხა მან.

— შენც ნახე?.. შენ ხომ არ მოგეჩვენა?

— ვნახე... ჩემის აზრით დომინიკანელი ბერი იყო, მერე რა? განა ისინი ცოტას დახეტიალობენ საფრანგეთში? უთუოდ ეს წმინდა ქმნილება გარს უელის ტულუზას. რადგანაც იცის რომ ჰუგენოტები აქ არიან. შენ რის შეგეშინდა?

— ბრუნო მოიღუშა. არის ერთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. შენ გახსოვს ძმა ავგუსტინე?

— ის ცბიერი ჯაშუში?

— ახლა არ ღირს მისი განსჯა. შენ იცი, რიბელო, მე მოვკალ იგი.

— ბერი მოჰკალი? როგორ?

— მე ის ტიბრში გადავაგდე, როდესაც რომიდან გამოვიქეცი. მას უნდოდა ჩემი ინკვიზიციის ხელში გადაცემა. მე მაშინ ჩემს სიცოცხლეს ვიცავდი, რადგან იმას რომ დაეყვირა მე მტაცებდენ ხელს და ცხადია. წმინდა მარიამის სარდაფში ჩამალპობდენ... და მიუხედავათ ამისა ეს მკვლელობა მე დღემდე მოსვენებას არ მაძლევს. ხშირად მესიზმრება ხოლმე ის უბედური ავგუსტინე... საცოდავი თავისი სულელური რწმენით... ის ხომ ჩემს გაცემასაც აპირებდა, რომ ჩემი სული ჯოჯოხეთის ტანჯვებისაგან დაეხსნა...

მე მუდამ მესიზმრება, რომ იგი თითქმის გზაზე მოდის და მე კი ამ დროს რაღაც საოცარი ზმნება ამიტანს. მე მინდა მას დავუძახო, მაგრამ არ შემიძლია, და აი ახლა მე მომეჩვენა, რომ სწორედ იმან გაიარა ამ ბილიკზე. რიბელო გაფითრდა.

განა მკვდრები საფლავებიდან დგებიან? — წაილუღლუღა მან.

რა თქმა უნდა არა. მეც ხომ ვამბობ, რომ მომეჩვენება, დომინიკანელები ბევრი არიან, მაშ ნახვამდის რიბელო.

— გესმის ბრუნო. სჯობს ისევ ტულუზაში დავბრუნდეთ... მე რაღაც მეშინიან შენი.. ჯორდანო, დაბრუნდი უკან.

— მაგრამ ბრუნომ მხოლოდ ხელი დაიქნია და გასწია ტყის სიღრმისაკენ. მალე ის მიიმალა ტყეში. მაშინ რიბელომ მოაბრუნა ცხენი და ჩქარი ნაბიჯით გასწია ქალაქისკენ. იგი რაღაც ცუდ გუნებაზე იყო. რომელიღაც მხედარი მოდიოდა მის შესახვედრად ქალაქიდან. გარეგნულად იგი სამხედრო პირს გავდა და შეხვდა თუ არა რიბელო, უცებ შეაჩერა ცხენი. ვინ მოდის? მრისხანეთ კითხა რიბელომ და შპაგს წაავლო ხელი.

— ჟან გენკენი, უნივერსიტეტის სტუდენტი.

— ქალაქიდან გასლვის ნებართვა გაქვს?

სტუდენტი გაწითლდა.

— მე ჩემი მასწავლებელი მინდოდა გამეცილებია.

— რომელი მასწავლებელი?

— პროფესორი ჯორდანო ბრუნო. რიბელო მოლბა.

— ის პარიზში წავიდა. — სთქვა მან, — შენ კი, ბალღო, სჯობს ქალაქში დაბრუნდე და ნუ დახეტიალობ, რადგან ეს სამხედრო ხელისუფლების მიერ აკრძალულია.

მაგრამ ამ მრისხანე დარიგების შემდეგ იგი მშვიდობიანად წავიდა სტუდენტთან ერთად ქალაქის პიშკრამდე. ისინი ბრუნოს შესახებ საუბრობდენ. და ამ საუბრიდან რიბელო უფრო დაღონდა.

4. მისი უდიდებულესობა უუჭრისტიანესი საფრანგეთის მეფე ჰენრიხი 3-მე.

ცხელ მაისის დღეს პარიზში მდინარე სენის ნაპირას რაღაც საოცარი პროცესია მიიმართებოდა მეფის სასახლე — ლუვრისაკენ. წინ მიუძღოდა თვით მეფე ტანისამოსში, ფეხშიშველი, სანთლით ხელში და შავი ბერის ბარტყულით თავზე. ის მიდიოდა, თავჩაქინდრულიხელში კრიალოსანს ათამაშებდა და ჩუმად ლოცვებს ბუტბუტებდა, მას უკან მისდევდენ კარისკაცები, ჩაცმული ისე, როგორც თვით მეფე; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლოცვების ბუტბუტთან ერთად ისინი იცინოდენ და ერთმანეთს თვალებს ანიშნუბდენ, ზოგიერთნი კი ხარხარით იხოცებოდენ. კარისკაცებს უკან მისდევდენ ნამდვილი ბერები. — კაპუცინები, ფრანცისკანელები, დომინიკანელები, ისინიც ბუტბუტებდენ ლოცვებს პროფესიონალების გულგრილობით, რომელნიც მიეჩვიენ ამ საქმეს; დრო გამოშვებით ამოიოხრებენ და მკერდზე ხელს დაირტყამდენ ხოლმე. პარიზელი მოქალაქენი დუმილით უცქერდენ ამ პროცესიას; ზოგი ძლივს იკავებდა სიცილს; ზოგი კი ჩუმად ლანძღავდა მეფეს, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინეთ დაბრძანდებოდა ქუჩაზე თავისი მახლობლების თანხლებით, სცემდა რა ჯოხით ყველას ვინც შეხვდებოდა მარჯვნივ და მარცხნივ, ყოველგვარი უწმაწური სიტყვების ხმარებით, მაგრამ ამ ღამეს მეფემ უცნაური სიზმარი ნახა: თითქოს ის ლომმა გაგლიჯა, რომელიც მას ვენეციელმა დოჟმა გამოუგზავნა საჩუქრად. მეფემ ბრძანება გასცა მოეკლათ ლომი, მაგრამ უცებ მოისაზრა, რომ ამის ჩადენა არ შეიძლებოდა რადგანაც ეს ლომი, რომელიც ვენეციიდან იყო გამოგზავნილი, თითქოს წმინდა მარკის ფრთოსან ლომს გამოხატავდა და ამიტომ მეფე მოკვლა მძიმე ცოდვად ჩაითვლებოდა. საშინლად აღელვებული იგი დაუყოვნებლივ წავიდა კაპუცინის მონასტერში და ახლა ბრუნდებოდა შინ მშიერი და ბრაზმორეული. ბრაზმორეული იყო განსაკუთრებით იმიტომ რომ ფიცხი ბრძანება გასცა, სადილად არაფერი მოემზადებიათ, გარდა პურისა და წყალისა. ხანგრძლივი ეკლესიის მსახურებისა და პარიზში სიარულის შემდეგ მას საშინლად მოშივდა, დასუსტდა, ხასიათი წაუხდა და არ იცოდა ვისზე ეყარა თავის ჯავრი.

მაგრამ უნდა დამშვიდებულიყო, რომ ტყუილა არ ჩაეარა. მის მონანიებას.

ბრწყინვალე სასახლე ლუვრი კიბეობდა მზის სინათლეზე. მეფე ავიდა სასახლის ფართე კიბეზე, რომლის გრანიტის საფეხურები მეტად გაჯხურებია მზეს და ძლიერ სწვავდა ფეხსაცმელის ძირებს. ამან უფრო გააბრაზა მეფე. დაირტყა რა ერთხელ კიდეკ მკერდზე ხელი ის შევიდა სასახლის შიგნით და შეუდგა შინა კიბეზე ასვლას, რომლის მარმარილოს საფეხურები, პიოიქით, გრილი იყო. და ყოველივე ამის შემდეგ მხოლოდ პური და წყალი... ამასთანავე მას მოეჩვენა, რომ უკან, კარისკაცებს შორის, ვიღაცამ გადაიხარხარა, მან საშინლად შეემუხვნა წარბები და კრიალოსანი აიქნია. სწორედ ამ წუთში მოხდა რაღაც, რომელიც არავითარი საეკლესიო წესდებით არ არის გათვალისწინებული. კედლიდან ელვის სისწრაფით ჩამოხტა ძირს პატარა შავი მაიმუნი, დაავლო ხელები კრიალოსანს და დაიწყო ხტუნვა და მასზე ქანაობა, ისე რომ მეფე მოუღლოდნელობისაგან კინაღამ იატაკზე არ გაიშხლართა — ბონეურ, ვოტრ მაჟესტე [1]) დაიყვირა თუთიყუშმა მეორე მხრიდან. ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა უცდიდა, თუ როგორ შეხვდებოდა მეფე ამ მოულოდნელ შემთხვევას. მეფე იდგა თავ ჩაქინდრული და ცდილობდა მაიმუნის ხელებიდან კრიალოსანი გამოეგლიჯა. და უცებ ყველამ... ყველამ თავისუფლად ამოისუთქა. მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და ხარხარისაგან ძიგძიგი დაიწყო. და მაშინ გარშემო გაისმა ისეთი სიცილის ხმა, რომლის მსგავსი იშვიათად მომხდარა ლუვრში. მაიმუნმა დაქაჩა კრიალოსანი, ძაფი გაწყდა და პატარა ძვები იატაკზე გაიბნა. სიცილ ხარხარით დაიწყეს ფეხშიშველა დიდებულებმა მძივების აკრეფა, ხოლო შიმშილისა და სიცილისაგან დაქანცული მეფე ისტერიულად ხარხარებდა. დაეცა რა მისთვის მიწოდებულ სავარძელში... რომ გაეცინებიათ მეფე, კარისკაცები განგებ ეცემოდენ, გორაობდენ იატაკზე. ერთმანეთს შუბლით ეტაკებოდენ და სხვა... ბერებმა არ იცოდენ რა ექნათ და მათმა დაღვრემილმა ფსალმუნებმა აღავსეს მეფის მხიარულების ფიალა. ჰენრიხ ახლა პირდაპირ სტიროდა ხარხარისაგან. ორმა ძაღლმა მეფეს ქუსლების ლოკვა დაუწყეს. ის ფეხებს იმალავდა და დასასრულ სრულიად არაქათ გამოლეულმა დაიყვირა: — საქმელი, საქმელი, თუნდათ პური და წყალი, მაგრამ მოიტანეთ ჩქარა!.. მასთან მივარდა მისი საყვარელი ხუმარა.

— არც პური და არც წყალი არ აღმოჩნდა პარიზში.

— როგორ?

— ჰერცოგმა გიზმა შესჭამა მთლად პური, ხოლო მისმა ძმამ შესვა მთელი წყალი. ისინი გუშინ მარხულობდენ.

---

[1]) გამარჯობათ თქვენო უდიდებულებისაე.

— კი, მაგრამ მე? რა უნდა ვჭამო? — ეაიმე... — როგორ თუ არაფერი არ არის?

არის ყველაფერი. გარდა პურისა და წყალისა...

ხუმარამ ეკენები დააყრარუნა და გაიშალა ფართე ფარდა ოთახის სიღრმეში. მეფემ საუცხოო დახურული სუფრა დაინახა. ბრწყინავდენ ვერცხლისა და ოქროს თეფშები და ვაზები, უძვირფასეს დოქებში ლივლივებდენ საუცხოვო ღვინოები. მაცთუნებელი ოხშივარი ადიოდა ვერცხლის ჯამებს. მართლაც ყველაფერი იყო, გარდა პურისა და წყალისა. ვაშა დაიყვირა მეფემ. ის იყო სუფრისაკენ გაემართა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ბერებს მოუბრუნდა.

— მამებო, ჩემნო! მომიტევეთ ცოდვა გაუმაძღრობისა. მეფე საჩქაროდ დაეცა მუხლებზე და თავი დახარა. ათეულმა ხელებმა აკურთხეს იგი და მობუტბუტე ხმებმა წარმოთქვეს ლოცვები.

— აბა შეუდგეთ საქმეს! — მხიარულად დაიყვირა მეფემ, წამოხტა და სუფრისაკენ გაემართა. — საქმეს შეუდგეთ, მეგობრებო. თქვენ კი, მამებო ჩემო, მშვიდობით წარვედით. ჰერცოგი გიზი მოგცემთ თქვენ ბევრს წყალსა და პურს.

— შეიქნა ჭიქების წკარუნი, დანა-ჩანგლის ხმაურობა. მეფე ოთხი კაცის მაგიერ სჭამდა, მით უფრო, რომ სუფრაზე სულ მისი საყვარელი საჭმელი იყო. მისმა ახლობლებმა და ხუმარებმა წინასწარ მოისაზრეს ყოველივე ეს. მხოლოდ მათ ვერ გაითვალისწინეს მაიმუნთან მომხდარი შემთხვევა. მაიმუნმა სწორედ მათ შეუწყო ხელი.

ბერები ბუტბუტით დაიშალნენ, მაგრამ მშვიდი სახე უნდა ეჩვენებიათ. არ შეეძლოთ მათ შურიანი თვალით შეეხედათ მუცლის მოყვარეთათვის. ღვინოებიც მეფის საყვარელი იყო შერჩეული, რის გამო იგი ძლიერ ჩქარა დათვრა, დაიწყო იტალიური სიმღერები, შემდეგ ბრძანა მისთვის ტანსაცმელი მიერთმიათ. კარის კაცები ერთმანეთს არ აცლიდენ ჩაცმას და ხუთი წუთის შემდეგ მეფე ჰენრიხმა მიიღო საფრანგეთის მეფის ჰენრიხ მესამის ნამდვილი სახე. მას ეცვა ატლასის ლილის ფერის მოშავო ჯამზოლი, თეთრი საყელო, ლილის ფერი წინდები და ბრილიანტით შემოჭედილი ხავერდის ტუფლები. მკერდი მან ოქროს ვერძის ორდენით დაიმშვენა, ხოლო მის დახვეულ თმას ოქროს რკალი შემოაჭდო. მსგავსად ძველი საბერძნეთის ლამაზი ქალისა. ხუმარამ სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ბილბოკე[1] მიაწოდა. — შენ გინდა გამოარკვიო, ფხიზელი ვარ თუ არა? დაუყვირა მეფემ. — დახედე და დარწმუნდი, რომ საფრანგეთის მეფეს

---

[1] თამაში: ბურთელს იჭერენ წვეტით № ფინჯანით.

ხელი ყოველთვის მტკიცე აქვს. მიუხედავათ იმისა, რამდენიც ღვინო არ უნდა დალიოს მან. და მან არაჩვეულებრივი სიმარდით დაიწყო ძვლის ბურთულის ჭერა ბილბოკეს წვეტით.

—ერთი, — ორი, ითვლიდა იგი. ამასთანავე, ამ დროს კარები გაიღო და პაჟმა ძლვის მოასწრო მოეხსენებია: „ჰერცოგი გიზი". ეს უკანასკნელი უკვე შემოვიდა. ეს მეტად მაღალი ტანის კაცი, ჩაცმული ნაცრის ფერი, ვერცხლით მოქსოვილი კამზოლში, მაღალყელიანი ფეხსაცმელებით. მის დაღვრემილ სახეზე აღბეჭდილი იყო ჭრილობა, რისთვისაც მას ფრანგები ბალაფრეს უძახდენ, რაც ნიშნავს „ჭრილობით აღბეჭდილს".

მის შემოსვლისას მეფის ახლობლები შეჩერდენ. მაგრამ მეფეს არ შეუწყვეტია ბილბოკეს თამაში.

კათოლიკეთა ლიგის მეთაურმა, ჰერცოგმა გიზმა, დააფასა და გაიგო მეფის უყურადღებობა. ამიტომ თვითონაც ძლივს მიესალმა მას.

— თქვენ იცით ახალი ამბები?... ძმაო ჩემო! — იკითხა, ჰერცოგმა.

— რა ახალი ამბები... ექვსი... ძმაო ჩემო... შვიდი... რვა... სთქვა მეფემ და განაგრძო თამაში. პარიზში ყოველ დღე... ცხრა... იმდენი ახალი ამბავია... ათი... დარწმუნებული ფარ რამე მხიარულია... თერთმეტი.

— გააჩნია თვალსაზრისს, — თქვა ჰერცოგმა. — ჰენრიხ ნავარიელს ტულზა აუღია.

მეფეს ხელი აუძიგძიგდა და ძვლის ბურთული მას მტკივნეულად დაეცა ხელზე. მან გადაისროლა ბილბოკე ხალიჩაზე.

— ტულუზა დაიკავა?

მეფეს, სჩანდა, რომ განსაკუთრებით არ უნდოდა ეხლა სახელმწიფო საქმეებისათვის ხელი მოეკიდა. ის ფიქრობდა, რომ ყველა ამ რელიგიური ომების წარმრება ჰერცოგი გიზის საქმე იყო, რამდენადაც მან დაარსა ლიგა და ტყავში ძვრებოდა, რომ დაემტკიცებია თავისი ერთგულება რომის ტახტისათვის.

— ძალიან სამწუხაროა, რომ ლიგის ჯარები ასე ცუდათ იცავენ ქალაქებს, — ცივად თქვა მან.

— ლიგას არ ყავს ისეთი ჯარები, რომელნიც ამავე დროს მეფის ჯარებიც არ იყვნენ, — ასევე ცივად მიუგო ჰერცოგმა. — ამ შემთხვევაში ჰენრიხმა სრულიად მოულოდნელად მიაბრუნა ჯარები ტულუზისაკენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

იტალიურმა სისხლმა უცებ იფეთქა მეფეში. ხოლო დალეული ღვინო თავში ავარდა. ის წამოხტა და ფეხები დააბრახუნა.

ერთი სიტყვით გიცხადებთ თქვენ ჩემს უკმაყოფილებას! — იყვირა ისე საშინლად, რომ თუთიყუშმა ფრთებს შემოკრა და ისევ ჩაბურტყუნა:

— ბონჟურ-ჟურ-ჟ-რ.

მეფეს უნებლიეთ გაეცინა და ჰერცოგს ხელი გაუწოდა—მაპატიეთ, ძმაო ჩემო, მე გავცხარდი, მაგრამ ამიხსენით, მე რა უნდა ვქნა?

— უწინარეს ყოვლისა, გაიგეთ რომ წარმოებული ომი ბილბოკეს თამაში არ არის. მაშინ თქვენ გაიგებთ თუ რა უნდა აკეთოთ.

ჰერცოგი გატრიალდა, მიარახუნა კარები და წავიდა. ყველა კარის კაცები წამოხტენ და შპაგებს წაავლეს ხელები. ისინი ამასთანავე მეფეს უყურებდენ, თითქოს მოელოდენ მისგან ბრძანებას. მეფე საშინლად გაფითრებული იყო, მას ხელები უძიგძიგებდა, შუბლზე ძარღვები დაეჭიმა. რა სიამოვნებით მოსპობდა იგი ორივე ამ ჰენრიხს, რომელნიც მას ცხოვრებას უმწარებდენ, მოსპობდა კათოლიკებსაც და ჰუგენოტებსაც, მოსპობდა ამ საზიზღარ პარიზის ბრბოს, რომელიც ჩივილს ბედავდა, როდესაც მეფე მხიარულებს!

რადგანაც ყველა რაღაცას მოელოდა მისგან, მან გადასწყვიტა სახელოვნად დაეღწია თავი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. თეატრალური ჟესტით მიუთითა მან ხუმარას ბილბოკეზე და იმანაც დაუყონებლივ აიღო სათამაშო და მეფეს მიართვა.

— დღეს... ერთი... გავმართავთ დღესასწაულს და საღამოს... ორი... ლუვრის ყველა დარბაზში... სამი... დეე ყველამ იცოდეს... ოთხი... რომ რაღაც შემთხვევითი გამარჯვება ნავარიელებისა... ხუთი... საფრანგეთის მეფეს შუბლს ვერ შეუჭმუხვნის... ექვსი... თუ ის აფიქრებს ჰერცოგ გიზს... შვიდი... მას შეუძლია არ მოვიდეს დღესასწაულზე... რვა. და ყველა მისი მახლობლები ტაშს უკრავდენ; ისინი ალტაცებაში მოყავდა უქრისტიანეს მეფის სიმშვიდეს და სიმტკიცეს.

5. სწავლული ძველი ხიდიდან

ჯორდანო ბრუნო ჩავიდა პარიზში საღამოს ჟამს და გაჩერდა სასტუმრო „თეთრ შეევარდენში". იქ მან ივახშმა, დასტოვა ცხენი და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო იმ სწავლულთან, რომლის მისამართი მისცა მას გრაფმა დე-ლილმა. სწავლულს ეწოდებოდა ჟაკ პარიუსი და სცხოვრობდა წმინდა მიხეილის ხიდთან. როდესაც ბრუნო სასტუმროს პატრონს შეეკითხა თუ როგორ შეიძლებოდა ამ სწავლულის ბინაზე მისვლა, მან რაღაც უცნაურად ჩააქნია თავი. სჯობს დღეს საღამოს ჩემთან მოისვენოთ, — უთხრა მან, — ვიდრე იმ ჯადოქართან წახვიდეთ.

როგორ თუ ჯადოქართან? ის ხომ სწავლულია. მაგრა სასტუმროს პატრონი მაინც თავისაზე იდგა.

— შეიძლება ის სწავლულიც იყოს, მაგრამ მისი მეცნიერება ეშმაკისეულია... არ გირჩევთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მასთან ღამის გათევას, ღმერთმა დაგიფაროს... ჯალათთან თქვენ რა საერთო გაქვთ?... ხოლო ჩვენი მთავარი პარიზელი ჯალათი, წყეული იყოს იგი, მისი პირველი მეგობარია. მაგრამ სასტუმროს პატრონის სიტყვებმა კიდევ უფრო გააღიზიანეს ბრუნოს ცნობის მოყვარეობა. დასასრულ სასტუმროს პატრონმა უსიამოვნოთ მიუთითა პარიზის ღვთის მშობლის ვეებერთელა ეკლესიაზე.

— იქ ეკლესიის გვერდით არის ხიდი. მაგრამ თქვენ ინანებთ, რადგანაც მე არ მიჯერით.

ბრუნო უკვე ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა მიხვეულ მოხვეულ ქუჩებში და ცდილობდა თვალიდან არ დაკარგოდა ღვთის მშობელის დიდი ეკლესია. ბოლოს ის მივიდა მდინარემდე და დაინახა ის უაზრო, უცნაური ნაგებობა, რომელსაც წმინდა მიხეილის ხიდს უწოდებდა.

საქმე იმაშია, რომ იმხანებში ჩვეულებად იყო ხიდებზე საცხოვრებელი სახლების აგება. ხიდებზე იყო გაშენებული დუქნები, სახელოსნოები, ბანკები.

წმინდა მიხეილის ხიდი ორივე მხრით სახლებით იყო დაფარული ისე, რომ ადამიანი, რომელიც ამ ხიდზე გადიოდა, მდინარეს ვერ ხედავდა და ეგონებოდა, რომ ქუჩაზე მიდიოდა. უკვე დაბნელდა, ფანჯრებში სანთლები გამოჩნდენ. გამვლელებმა, რომელსაც ბრუნომ მარიუსის სახლი კითხა, შეშინებულად მიუთითეს ძველ შენობაზე და უკან მიუხედავთ გაიქცენ. ბრუნო მივიდა კარებთან და დააკაკუნა.

— დიახ, დიახ, შოისმა მოხუცის ხმა. — მე თქვენ დიდი ხანია გელით. დაიჩხრიალა გასაღებებმა და კარები გაიღო. მოხუცი კარებზე იდგა და გაოცებულად შეყურებდა ბრუნოს. უთუოდ ის ვილაც სხვას ელოდა.

— მაპატიეთ უთხრა ჯორდანომ.—მე თქვენთან ბარათი მაქვს თქვენი მეგობრის გრაფ დე-ლილისაგან. მე იტალიელი სწავლული ვარ და მინდა რაც შეიძლება ჩქარა გამოგეცნაუროთ.

— იტალიელი მეცნიერი...

მოხუცმა ეს სიტყვები რაღაც გაურკვევლად წაიბუტბუტა, მაგრამ ბურნო პატარა ოთახში შეიყვანა. უთუოდ მისაღები ოთახი იყო, და ფანრის სინათლეზე დაიწყო ბარათის კითხვა. უცებ მას სახე გაუბრწყინდა.

ტულუზაში პროფესორებთან ჩხუბი მოგივიდათ! — წამოიძახა მან. — ეს კარგია. რაო? თქვენ კოპერნიკის მომხრე ხართ?

— დიახ.

— მარიუსმა ბრუნოს ხელი გაუწოდა. — თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემთან მოეწყობით? — თუ კი ეს შეიძლება. — ესე იგი ხსვანაირად არც შეიძლება. წამობრძანდით.

— მან შეიყვანა ბრუნო დიდ ოთახში სადაც უცნაური სუნი ტრიალებდა, თუმცა ფანჯარა სენისაკენ ღია იყო და მასში მდინარის სინესტე შემოდიოდა. ეს ოთახი უთუოდ სწავლულის ლაბორატორიას წარმოადგენდა: მაგიდები და თაროები ყოველგვარი შუშებით და ბანკებით იყო სავსე. ცალკე მაგიდაზე რაღაც საგნები იდგა. უთუოდ ამ მაგიდიდან მოდიოდა ეს მძიმე სუნი.

ეს ჩემი სამეცადინო ოთახია, — თქვა მარიუსმა. — მაგრამ მე მაქვს ოთახები კიდევ მცირე სართულზე. თქვენ შეგიძლიათ იქ მოეწყოთ. მან გააღო ვიწრო ხის კიბეზე მიმავალი პატარა კარები. მაგრამ ამ დროს გარეშე კარებზე რახუნი მოისმა.

— დიახ! დიახ! დაუყვირა მარიუსმა და დაავიწყდა რა ბრუნო, აღელვებულად წავიდა კარების გასაღებად. ბრუნომ დაათვალიერა ეს უცნაური ოთახი. მას ძალიან აინტერესებდა. თუ რა ეწყო მაგიდაზე დაფარული. მან ფრთხილად ასწია ზეწარს და აძიგძიგდა. თითქოს გველი დაენახა. გულის ცემა შეუჩერდა და მოულოდნელობისაგან კინალამ დაიყვირა.

მიცვალებულის თავი წითელი ულვაშებით და წითელი წვერებით მაგიდაზე იდო. მიცვალებულის თავი უცნაური თეთრი თავსახურით და ნუმრით, რომელიც შუბლზე ქონდა მიმაგრებული. ბრუნომ ზეწარს ხელი გაუშვა და სწორედ თავის დროზე, რადგანაც იმავე წუთში მარიუსიც და ახალი სტუმარიც შემოვიდენ ოთახში. ახლად მოსული კაცი ფართე მხარბეჭიანი იყო, ჩაჭყლეტილი ცხვირით, თითქმის შეზრდილი წარბებით. ხელში მას ტომარი ეჭირა, ბრუნომ მას მეტად უსიამოვნოდ შეხედა.—აი, ეს იტალიელი სწავლულია—უთხრა მარიუსმა ტომრიან კაცს, — ამას ნუ მოერიდები... საქმე იმაშია, ბატონო, ბრუნო, რომ ეს ქალაქ პარიზის ჯალათია... ის მაინცა და მაინც დიდი ხალისით არ ეცნობა ადამიანებს.

— უფრო სწორად, რომ ვთქვათ მე არ მეცნობიან ხალისით. წარმოთქვა ჯალათმა. — და მეც უნებლიეთ გაურბივარ ნაცნობობას. არასოდეს არ იცი კიდევ რას შეხვდები კაცი ცხოვრებაში. ძველების დამტვრევა ნაცნობისათვის უარესია, ვინემ უცნობისათვის. მან გაიცინა, რადგანაც ეს ხუმრობა იყო. ბრუნომ ცნობისმოყვარეობით შეხედა ჯალათს, მაგრამ მას არც შეშინებია და შეზიზღებია იგი, იმიტომ კი არა, რომ მისთვის სულ ერთი იყო ეს საშინელი ხელობა, არამედ იმიტომ, რომ ამ კაცის თვალებში გრძნობდა ისეთ რასმე, რაც ეგი მეტად გონიერ და არა საკვლებით ჩვეულებრივ ადამიანად აჩვენებდათ.

— თქვენ წარმოიდგინეთ. ბატონო ბრუნო, — უთხრა მარიუსმა, — რომ ამ ადამიანსაც უფლება აქვს სწავლულის სახელი ეწოდოს. მიუმა მძიმე ხელობამ. მუდმივმა კავშირმა ადამიანთა სხეულებთან ის მიიყვანა ბევრ შესანიშნავ აზრამდე მედიცინის დარგში... ჩვენ ამ ჟამად მასთან ერთად ვმუშაობთ ერთი მოვლენის შესწავლისათვის, რომელსაც შეუძლია ყირამალა გადაატრიალოს ყველა ჩვენი წარმოდგენა მედიცინის შესახებ. ჩვენ ვაკეთებთ ლირსშესანიშნავ ცდებს. მნიშვნელოვან ცდებს. ბრუნომ უცებ თავისი თავი თავის სფეროში იგრძნო. ეს ადამიანები — სწავლული და ჯალათი — სწავლობდენ არა ძველ ბრძენებისაგან, არამედ თვით ბუნებისაგან. უნდოდათ მოეტაცნათ მისი საიდუმლოებანი, — გამიზიარეთ მეც თქვენი ცდები — თქვა მან. — და მე სიამოვნებით დაგეხმარებით თქვენ.

მარიუსმა სიამოვნებისაგან ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— საუცხოოა. ერთბაშად ცოცხალი ადამიანი სჩანს. თორემ ჩემი ყველას ეშინია ჯალოქარად მთვლიან. უთუოდ. ჩემს სახლს დიდი ხანია დასწვავდენ, მეფის დედის რომ არ ეშინოდეთ. ეკატერინე მედიჩი ჩემთან მკურნალობს და ჩემი სჯერა. ამ რიგად თქვენ გინდათ გაიგოთ რაში მდგომარეობს ჩვენი ცდები... პირველად ყოვლისა ჩვენ ვსწავლობთ ადამიანის წყობას, მის ძვლებს და ძარღვებს. ის, რასაც ანატომია ეწოდება. აი, აქ ჩემი თანამოძმის მძიმე ხელობა ყველაზე უფრო გამოსადეგი აღმოჩნდა. მის განკარგულებაში მუდამ არის ცოცხალი ხელები, ფეხები, თავი და მთელი გვამები... რომ იცოდეთ რამდენად რთულია ადამიანის სხეულის წყობა. ეს ცოცხალი მანქანაა. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ჯერჯერობით მხოლოდ ვფიქრობთ, — ეს ის, რომ სისხლი ადამიანში, ერთ ადგილას არ დგას, არამედ შეუჩერებლად მოძრაობს გულიდან კიდურებამდე და გულის ცემა არსებითად წარმოადგენს მის შეკუმშვას და გაფართოვებას, რომლის საშვალებითაც იგი გზავნის სისხლს ძარღვებში ხან წინ და ხან უკან. თქვენ გესმით, ბრუნო, მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ეს. ამისათვის, მე მგონია ლირს ჯალოქარიც გიწოდონ.

— მე კი ეს მაიმედებს ჩემს საზიზღარ მუშაობაში, — შენიშნა ჯალათმა... სულ ერთია თუ არა მე სხვა ვინმე ხომ აწამებდა და დახოცავდა ამ უბედურებს.... მაგრამ სხვა კი გადაათრევდა მათ გვამებს ყორნებისა და მშიერი ძაღლების საგლეჯად. ჩვენ კი ვსარგებლობთ მაინც მეცნიერებისათვის.

მე შემდეგ თქვენ გაჩვენებთ ჩემს სარდაფს. იქ ჩვენ გვაქვს რამდენიმე ჩონჩხი, ყველა ძვლების აწერით. ბევრს ძვალსა და ძარღვს კიდევ უნდა მოუნახოთ სახელწოდება. ამ ჟამად ჩვენ სპეციალურად თავის ტვინის შესწავლით ვართ გართობილი. რა საშინელ მექანიზმს

ეატარებთ ჩვენ ჩვენს ორნჩხში. თქვენ მოიტანეთ კიდეე თავი? ჯალა-თმა ტოპრალ ტახსნა დაიწყო.

ეკვე გვიან იყო, როდესაც მარიუსმა ბრუნო წაიყვანა ძველი სახ-ლის მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში. განთიადმა უკვე ამოანათა აღმოსავლეთში და შორს ქის ფონზე გამოიხატა მეფის სასახლის კოშკები. ბრუნო დაწვა. მაგრამ დიდ ხანს ვერ დაიძინა ახალი შთაბე-ჭდილების გამო. სასიამოვნო გრძნობები მას არ ანებებდენ თავს: რო-გორც იქნა ის შეხვდა ნამდვილ სწავლულს. დილით ბრუნო მშვენიერ გუნებაზე წამოდგა. მან ფანჯარაში გაიხედა. პარიზი მზეზე ბრწყი-ნავდა და ანათებდა. ჯორდანო ძირს ჩავიდა და ნახა მარიუსი, რომე-ლიც რაღაც არაჩვეულებრივი საგნების დალაგებით იყო გართული. სკამზე ბრგე ვაკაცი იჯდა და კბილებში დიდი თიხის მილი ეჭირა. სურნელოვან კვამლს გაევსო ოთახი. ბრუნომ ცნობის მოყვარეობით შეხედა მილს. იმ დროს თუთუნის წევა ახალი რამ იყო. ეს ჩვეულება, რომელიც ინდოელებისაგან შეითვისეს, ეხლახან შემოიტანეს ევროპა-ში ესპანელმა და პორტუგალელმა მეზღვაურებმა. მეწველის მკლავ-ზე მოსჩანდა გველის თავის მოხაზულობა. — ზღვის პროფესორი ნიშა-ნი, რომელიც აგრეთვე ინდოელებისაგან გადმოიღეს.

შეხედეთ რა მომიტანა მე ამან! დაიყვირა მარიუსმა და ბრუნოს უჩვენა ეებერთელა სადილის პეპელა ჭრელი ფრთებით. — ეს კიდევ მეორე, უფრო დიდი... შეხედეთ, რა მშვენიერი ფერები აქვს. ეს მან შორეული სამხრეთიდან მოიტანა... აქ შეხედეთ ამ ხოჭოს ძლივს ეტე-ვა ჩემს ხელის გულზე. მარიუსს აღტაცებით და ფრთხილად ამოქონ-და ყუთიდან მკვდარი ხოჭოები. პეპელები, ჭიები გამხმარი ყვავი-ლები და უცნაური სახის ბალახეულობა.

ყოველივე ეს ტროპიკული ქვეყნებიდანაა... ახ, ბრუნო, ძვირფასო ჯორდანო, როგორ მრავალფეროვანია ეს სამყარო! რამდენი ქვეყანაა, რომლის შესახებ ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, რამდენი ნადირია, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვინახავს, რამდენი ყვავილია, რომელიც ჩვენ არ გვიყნოსავს! აი, ეს ბუნების დიდი წიგნი... მაგრამ სიცოცხლე არ კმარა. რომ წაიკითხო მისი თუნდაც ერთი გვერდი. ეს ხომ თქვენი არისტოტელე არ არის, რომლის შესწავლა შეიძლება სულ სამი წლის განმავლობაში.

რატომ ჩემი არისტოტელე? სიცოცხლით უთხრა ბრუნომ.

— თქვენ ოცნებობდით სორბინის პროფესორად გახდომაზე რომ. გადამეცა ახალი მოძღვრება. მე ხომ დამნაშავე არა ვარ, რომ ერთად ერთი იგია, რომლითაც შეიძლება არისტოტელეს გვამს გადავაბიჯოთ.

მაგრამ მარიუსს ისევ ყველაფერი დაავიწყდა: გარდა პეპლებისა და ყვავილებისა. მან მოიტანა დიდი ყუთები, სადაც წესრიგით ეწყო

სხვადასხვა გვარი მწერები და ჭვავილები და ფრთხილად ალაგებდა ახლად მოტანილ ეგზემპლიარებს.

ბრუნო დიდის ინტერესით შეყურებდა მეზღვაურს. იმ წლებში ბევრი ქვეყანა აღმოაჩინეს და მოგზაურობა ყველას იზიდავდა... მეზღვაურიდან, ასე გეგონა, ჰქროდა ოჯიანეს ვებერთელა სივრცე. მისი სახე დამწვარი იყო ტროპიკული მზის, ხელზე გველი მას ამოუკვეთია ვილაც ინდოელმა ჯადოსანმა. სიცოცხლის წყურვილმა, ცოდნის წყურვილმა შეიპყრო ბრუნოს ბუნება. მან კვლავ იგრძნო თავისი თავი ძლიერად და ახალგაზრდად. რადგანაც მეზღვაურს დიდი საუბრის თავი არ ქონდა, ხოლო მარიუსი თავისი კოლექციის დალაგებით იყო გართული, ბრუნომ გადასწყვიტა პარიზში გაეარა და დაეთვალიერებია საფრანგეთის ეს სახელოვანი სატახტო ქალაქი. ყველაფერი მშვენივრად გეჩვენება მაისის წითელ დილას. მშვენივრად მოეჩვენა ბრუნოს მიბვეულ მოხვეული დასვრილი ქუჩები მალალი და უხეირო აგებული ქვის სახლებით.

ჯორდანო დიდ ხანს იდგა პარიზის უნივერსიტეტის ღვთის მეტყველების ფაკულტეტის ძველი შენობის წინ, რომელსაც სორბონნი ერქვა, რადგანაც იგი დაარსა 1253 წლ. მეფე ლუდოვიკ წმინდას ბოძღვარმა რობერტ სორბონნიმ.

მებრძოლის სული იზიდავდა ბრუნოს ამ ძველ კედლებში. მას უნდოდა გამკრავი ქარი შეეშვა მეცნიერების ცნობილი ტაძრის დაძველებულ დარბაზებში. ორი პატივცემული დოქტორი შავ ტანთსაცმელში და შავი ქუდებით გამოვიდენ უნივერსიტეტის ჭიშკარიდან და წავიდენ ქუჩით; ისინი დინჯად მსჯელობდენ რაღაცას შესახებ. ბრუნომ მათ ისეთი თვალით შეხედა, როგორც მონადირე შეხედავს ხოლმე მგლებს ან ტყის ღორებს. ბრუნომ გადაწყვიტა, რათაც უნდა დაჯდომოდა სორბონნის დოქტორად გახდომა. ეს მისთვის საჭირო იყო, რომ დაემტკიცებია ამ მეცნიერებისათვის თავისი უპირატესობა. მხოლოდ მაშინ შეეძლო წონა ქონოდა მის სიტყვებს ფაკულტეტის ახალგაზრდობაში.

— ეხლა ლექციები იკითხება სორბონში? კითხა ბრუნომ გამოვლილ ახალგაზრდა სტუდენტს — არა უპასუხა მან. — ამ ახლო ხანში პარიზში შავი ჭირი იყო და უნივერსიტეტი ჯერ-ჯერობით დაკეტილია. თქვენ უცხოელი ხართ?

— იტალიელი.

— და თქვენ გინდათ ჩვენთან ისწავლოთ?

— დიახ!

— თქვენ რას გიწოდებენ?

— მე ჯორდანო ბრუნო მქვიან, — უპასუხა ბრუნომ, რომელსაც

მოეწონა სტუდენტის სიმარტივე და ენაწყლიანობა. ამ სახელის გაგონებით სტუდენტი მეტად ნასიამოვნები დარჩა.

— როგორ თქვენ ცნობილი ტულუზელი იტალიელი ხართ? ჩემი ძმა მწერდა ტულუზიდან, რომ მან არ იცის ადამიანი თქვენზე გონიერი და სწავლული.

— მას გადაუჭარბებია, რა ქვიან თქვენ ძმას?

— ჟან გენეკენი.

— ო, მე, მას ვიცნობ! რა თქმა უნდა იგი აჭარბებს.

— არა, არა! ეს უეჭველად ასეა. ახ, ბატონო ბრუნო, გახთით ჩვენთან პროფესორად, ჩვენ ყველას ისე გვინდა ნამდვილი სწავლა.

— თქვენ რას უწოდებთ ნამდვილ სწავლას?

სტუდენტს უნდოდა რაღაც ეპასუხა, მაგრამ ამ დროს მეზობელ ქუჩაზე რაღაც ძლიერი ხმაურობა და ყვირილი შემოესმა... ვილაც კაცებმა გაირბინეს ხელების ქნევით და რაღაცას ხმა მაღლა ყვიროდენ.

— რა მოხდა? შეეკითხა სტუდენტი.

— ქალაქის სალაროს ძარცვავენ! — დაუყვირა ვილაც გამვლელმა. ბრუნო და სტუდენტი ხმაურობის მიმართულებით გაემგზავრენ და დაინახეს ხალხის დიდი ბრბო. ხალხი დრტვინავდა და ილანძღებოდა. ხოლო ვილაცეებს დამშვიდებულად გამოქონდათ ხაზინიდან ოქროთ სავსე ტომრები და მათ ფურგუნში აწყობდენ; ამ ფურგუნს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ცხენოსნები იცავდენ.

— რას ფიქრობენ ქალაქის მცველები? აღშფოთებით დაიყვირა ბრუნომ, რომელიც გააოცა ამ დღიურმა ძარცვამ.

ვილაცა კაცმა ბრბოდან გაკვირვებით შეხედა ბრუნოს. სწორედ ესენი არიან ქალაქის მცველები, — სთქვა მან და მიუთითა ფურგუნის გარშემო მდგომ ცხენოსნებზე, — სწორედ იგი უყურებს.

— რა სისულელეა!

— საქმეც იმაშია, რომ ერთი ხანია, რაც ყოველგვარი პარიზში ჭეშმარიტ სიმართლეთ გადაიქცა — გამწარებით უპასუხა ერთმა მოქალაქემ, — სალაროს ძარცვავენ მეფის განკარგულებით. მას არ ყოფნის ფულები ყოველ გვარ ნადირის გამოსაკვებად, წყეულიმც იყოს იგი. — ხალხი შიმშილით იხოცება, ის კი მაიმუნებს, ლომებს და ლეოპარდებს კვებავს. — ამბობენ, მასთან აფრიკიდან სპილოები მოყავთ, რომელნიც პარიზთან ერთად ყოველად წმინდა ღვთის მშობლის ეკლესიასაც გადაყლაპავენ. ამასობაში ტომრები ჩაალაგეს და ფურგუნიც დაიძრა, ცხენოსნების თანხლებით. ხაზინის კარებთან ხაზინადარი იდგა და დაღვრემილი შეყურებდა მიმავალ ოქროს. სამარისებურ სიჩუმეში ვებერთელა გასაღებით მან დაკეტა ხაზინის კარები და ხალხს სამი თითის კომბინაცია უჩვენა. შეიქნა ხარხარი, რომელიც მაშინვე ჩააქრო დრტვინვამ და ლანძღვა-გინებამ. ბრუნოსთან მოლაპარაკე

სტუდენტი ხალხში გაერია, ხოლო ბრუნო შინ დაბრუნდა, მეფის მოქმედებას ის იმდენად არ აუღელვებია, რამდენად გააცინა მისმა გულ-უბრყვილო თავხედობამ. „ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა მან, — თუ ფრანგები ითმენენ ასეთ მეფეს, ამაში თვითვე არიან დამნაშავე."

მარიუსი მას შეხვდა რაღაც იდუმალი სიცილით. — მე ახლახან დამიძახეს მეფის დედასთან — სთქვა მან, — მას ისევ ზურგი ატკივდა. მე უთხარი თქვენს შესახებ და მას აუცილებლად უნდა თქვენი ნახვა. ეკატერინე მედიჩს ძლიერ აქვს ჭანვითარებული ეროვნული გრძნობები. ყოველი იტალიელი მისთვის მიმზიდველია. უკვე მარტო იმიტომ, რომ ის მისი თანა მემამულეა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მას მოეწონებით და თქვენ მეფეს წარგიდგენთ, რომელიც აგრეთვე აღმერთებს იტალიელებს. ის თქვენ დაგეხმარებათ შეხვიდეთ სორბონში.

ამ ლაპარაკის დროს მარიუსი ეშმაკურად იღიმებოდა.

— წადით დღეს ლუვრში ხუთ სათზე და უთხარით, რომ თქვენ იტალიელი ხართ და რომ თქვენ გიბრძანათ მოსვლა ქვრივმა დედოფალმა. ლუვრის ყველა კარები თავისთავად გაიღება თქვენს წინაშე.

6. შავი ქუდი

როდესაც ბრუნოს უნდოდა რაიმესთვის მიეღწია, იგი არაფრის წინაშე არ შესდრკებოდა. ადამიანების მოწონების ხელოვნება მას საუცხოოდ ქონდა შეთვისებული. მან იცოდა, რომ მოხიბლვის საიდუმლოება იმაში მდებარეობს, რომ ერთბაშად გაიგო ადამიანის გემოვნება და ხასიათი, ეცადო რომ მისი მსგავსი გახდე.

წარსდგა თუ არ ეკატერინე მედიჩის წინაშე ბრუნომ პირველად ყოვლისა თავისი თავი ნამდვილ იტალიელად მოაჩვენა. ის აქნევდა ხელებს როგორც ნამდვილი იტალიელი, დადიოდა როგორც იტალიელი, ლაპარაკობდა იტალიელის მსგავსად. ხოლო, რადგანაც სახით იგი ნამდვილი იტალიელი იყო, შავგრემანი, ბავთვალებიანი, მაშინ ერთბაშად მოხიბლა მოხუცი დედოფალი.

არა ნაკლებ აღტაცებაში მოიყვანა მან ჰენრიხიც, რომელსაც მოაჩვენა, რომ გაგიჟებით უყვარს ბილბოკე და უამბო იმ საქმელების შესახებ, რომელთაც მომზადება იცოდა იოლაში ერთმა ნაცნობმა მზარეულმა. მეფეც და მისი ახლობელიც აღტაცებული იყვნენ ახალგაზდა სწავლულით, რომელმაც ასეთი გატაცებით იცოდა ლაპარაკი თამაშობისა და საქმელების შესახებ. ბრუნომ აქვე დააინტერესა ჰენრიხი რაიმუნდ ლიულის „დიდი ხელოვნებით" და მან მოუხმო დურგალს, რომელსაც უბრძანა ბრუნოს ხელმძღვანელობით დაემზადებია ფილოსოფიური მანქანა. ბრუნო შეპირდა მეფეს ამ მანქანების

შესახებ ფილოსოფიური წიგნის შედგენას, რომელსაც მეფეს მიუძღვნიდა. მან გაანცვიფრა ყველა კარისკაცი თავის საოცარი მეხსიერებით. დასასრულ ჰენრიხმა თქვა თუ ბრუნო სორბონის პროფესორი არ იქნება, იგი ბრძანებს მოთხარონ მთელი შენობა, ხოლო მის ქვებისაგან ააგონ სპეციალური უნივერსიტეტი ბრუნოსათვის... და მან იქვე დასწერა ქახალდი სორბონის რექტორის სახელზე, სადაც წინადადებას აძლევდა ბრუნოსათვის მიენიჭებია დოქტორის ხარისხი, რაც საჭირო იყო სორბონში ლექციების კითხვის უფლებისათვის, მარიუსის ხრიკებიც ეს იყო. საქმე იმაშია, რომ სორბონის პროფესორებს ეზიზღებოდათ ვალუას დინასტიის მეფეები. რადგან მათ ოდესღაც აიძულეს სორბონი ბოდიში მოეხადათ უნივერსიტეტის მიერ იმ ტრაქტატის გამოშვებისათვის, სადაც აღნიშნული იყო რომის პაპის უფლება მეფეების დანიშვნისა და გადაყენების შესახებ.

მარიუსი დარწმუნებული იყო, რომ პროფესორები საშინლად წინ აღუდგებოდენ მეფის რეკომენდაციას. მაგრამ ბრუნოს ეჭვიც არასფერში შეუტანია და მეორე დღესვე გამოცხადდა სორბონის რექტორთან მეფის ქაღალდით.

ძალიან კარგი, — წარმოსთქვა რექტორმა ცივი ხმით, ჩვენ, რა თქმა უნდა, დავემორჩილებით მის უდიდებულესობის ნებას, თუნდაც თქვენ უბრალო მეღორე იყოთ, რომელმაც არც წერა და არც კითხვა არ იცის.

ბრუნო აღელდა.

მეღორის წოდებაში მე სამარცხვინოს არაფერს ვხედავ. მაგრამ, ცხადია, სულელია ის მეღორე, რომელიც ღორების კარგად წყესვის ნაცვლად, ფიქრობს ლექციების ცუდათ კითხვას. მე სრულიად არ მინდა ძალით ჩემი პროფესორად გახდომა. მე თქვენ გთხოვთ მომცეთ საშვალება დოქტორის ხარისხი მივიღო დისპუტის საშუალებით.

— ძალიან კარგი, — იმავე ტონით უპასუხა რექტორმა.

— თქვენთვის დისპუტი ხვალ გაიმართება. ხედავთ, ჩვენ როგორ ვისწრაფვით შევასრულოთ მეფის ნება.

ბრუნომ თავი დაუკრა და გამოვიდა საკუთარი დარწმუნებული თავის გამარჯვებაში.

მას რომ დაენახა თუ როგორი სახით გააცილა იგი რექტორმა, შეიძლება ის დაეჭვებულიყო კიდეც თავის გამარჯვებაში.

— მეფის კანდიდატისათვის, — სთქვა რექტორმა — ჩვენ მოვაწყობთ განსაკუთრებულ დისპუტს სორბონის ძველი ჩვეულების მიხედვით.

ოცდაოთხი დოქტორი შავს მონასტერში და შავი ქუდებით შეიკრიბენ სორბონის დიდ დაღვრემილ დარბაზში. დარბაზის გვერ-

დით იყო ცალკე ოთახი დისპუტანტისათვის, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსასვლელი იყო — დარბაზში. ამ ოთახის კარებთან, მაგიდაზე, იდო შავი ქუდი —სწორედ ის, რომელსაც უნდა დაეშმშვენებია კანდიდატის თავი, იმ შემთხვევაში თუ ის დისპუტში გაიმარჯვებდა.

ბრუნო დიდის ამბით შეიყვანეს ოთახში და რექტორმა უთხრა მას:

— ახლა შენ თორმეტი საათის განმავლობაში ვერ გამოხვალ აქედან. ვერც ჭამ, ვერც სვამ. თითოეულ ნახევარ საათში გამოცხადდებიან შენთან ორი ახალი დოქტორი და მოგცემენ კითხვებს, რომელზედაც პასუხი უნდა გასცეს იმან, ვისაც სურს გახდეს ლირსი ჩვენი უძველესი ფაკულტეტის პროფესორობისა.

თქვა, თუ არა ეს გავიდა და მარტო დასტოვა ბრუნო. ამასთანავე ნიშანი მისცა, რომ გამოცდა იწყება.

ორი დოქტორი დაუყოვნებლივ შევიდა იმ ოთახში, სადაც გამოსაცდელი იჯდა. ნახევარ საათის შემდეგ ისინი გამოვიდენ, ოფლში გაწურულნი. ჯერი ახლა სხვებზე მიდგა.

— ეს ადამიანი კი არა, ეშმაკია, — ამბობდენ ისინი, — მას თითქმის ყველაფერი ზეპირად ახსოვს, რაც წაუკითხავს. მან მთლად იცის თომა აქვინელი. არისტოტელე, პლატონი. ჩვენ იგი ვერასფერში ვერ გადავაცდინეთ. რექტორმა განგებ ბოლოსათვის მოიტოვა დისპუტებში გამოცდილები. — შეიძლება მან ყველაზე უარესად იცის ეკლესიის მამების მოქმედებანი. მაგრამ ამ დროს ორი სხვა დოქტორი გამოვიდა, რომელთაც ადგილი შემდეგ ორს დაუთმეს.

— ეს ბალღი ჩვენ ყველას ტყავს გაგვაძრობს. — აღტაცებით ამბობდენ ისინი; მან ყველაფერი იცის, რაც დაწერილა, როგორც მარცალთა ისე ცოდვილთა წიგნებში.

უკვე თორმეტი დოქტორი დაამარცხა ბრუნომ. ის ძლიერ დაიღალა, მოშიედა კიდეც. ყელი გაუხმა, ხმა ჩაეხრინწა, მაგრამ თავი ძველებურად ნათელი დარჩა. წყურვილი საშინლად აწუხებდა მას, მაგრამ სიამაყით არ უნდოდა ეთხოვა წყალი. მას უნდოდა გამოცდები ყოველმხრივ აეტანა. რექტორმა განგებ შეინახა ბოლოსათვის დისპუტებში ყველაზე გამოცდილი პროფესორები.

თვითონ გადასწყვიტა სულ ბოლოს წასულიყო, რადგანაც იგი ნაქები იყო რთული და ძნელად გასაგები კითხვების მიცემით და იჭვი არ შექონდა იმაში, რომ თვითონ დიდი განათლებული კაცი იყო. ბრუნო გაოფლიანებული იჯდა სკამზე. თმები შუბლზე მიკვროდა. ათი საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ უპასუხებდა კითხვებზე. იგი უკვე ძლივს ლაპარაკობდა გახრინწიანებული ხმით. ახველებდა, თავი საშინლად სტკიოდა. ნების საშინელი ძალდატანებით აიძულებდა თავის თავს ეფიქრა. ნათლად და დარწმუნებით ემსჯელა. უკვე ოცდაორმა პროფესორმა დაამსხვრია მასთან თავი-

ანთი სიტყვიერი შუბი: ახლა უკვე რიგი თვით რექტორზე და გარეგნულად ბოროტ შესახედაობის ღვთისმეტყველების პროფესორზე იყო.

მეფეს ყოველ წუთში აცნობებდენ ხოლმე დისპუტის მსვლელობის შესახებ, იგი ხარხარებდა, ხელებს იფშვნეტდა, რექტორმა ბრუნოს რთული შეკითხვა მისცა. მაგრამ მაშინვე მიიღო ამომწურველი პასუხი, თუმცა თითქმის ჩურჩულით. ბოროტმა დოქტორმა ბრუნოს ჰკითხა თუ როგორ მარტავდა არისტოტელე ფორმას და მატერიას, ამასთანავე თავისი კითხვა ისე არია, რომ ძლივს შეიძლებოდა მისი გაგება. მაგრამ ბრუნომ გაიგო შემოიკრიბა ძალა და საუცხოვო ლექციე წაიკითხა მატერიისა და ფორმის შესახებ. ამასთანავე იგი ქვიშის საათს შეყურებდა. ნახევარი საათი ბოლოს უახლოვდებოდა. საათის ზედანახევარში ქვიშა თითქმის არ დარჩა. მაგრამ ბრუნოსაც აღარ დარჩა არც ხმა და არც ნერწყვი პირში. მან კიდევ წაიჩიფჩიფა რამდენიმე სიტყვა და დადუმდა. რექტორს უნდოდა კიდევ რამოდენიმე კითხვა მიეცა, მაგრამ ბრუნომ საათზე მიუთითა. მთელი ქვიშა ზევიდან ქვევით ჩაიყარა. დისპუტი დამთავრდა. ერთი წუთის შემდეგ ახალი დოქტორი შავ ქუდში, ქანაობით მიაბიჯებდა დარბაზში, რომელსაც პროფესორების ბრაზმორეული სახეები აცილებდენ. სორბონის პიშკართან მას მეფის საკაცე უცდიდა. ჰენრიხმა გადასწყვიტა სასახელოდ გამასპინძლებოდა საყვარელ ადამიანს ასეთი მძიმე გამოცდების შემდეგ. ბრუნო ძლივს ავიდა ლუვრის ფართე კიბეზე და დაავიწყდა რა ყოველგვარი ეტიკეტის შესრულება — საჭმელს ეცა.

მეფე აღტაცებით ხარხარებდა, უსხამდა ღვინოს და თვითონვე უდებდა თეფშებზე გემრიელ ნაჭრებს.

ის კმაყოფილი იყო, რომ შეარცხვინა ამაყი სორბონი. ახლა შენ უნდა მოისმინო მხოლოდ საჯარო ღვთისმსახურება და შენ უკვე სორბონის პროფესორი იქნები.

ჯორდანომ უკვე მოასწრო დასვენება, საჭმელმა და ღვინომ იგი მშვენიერ გუნებაზე დააყენა, მაგრამ ბრძოლისათვის მზადყოფნა და გამბედაობა კიდევ დუღდა მის არსებაში.

— არა, მეფეო, — თქვა მან. მე ეკლესიაში არ წავალ.

— იგი ერეთიკოსია! — დაიყვირა ჰენრიხმა და ამან იგი საბოლოო აღტაცებაში მოიყვანა, — ერეთიკოსი სორბონის პროფესორი იქნება! ეს კარგი ამბავია. მომიტოვე უფალო შეცოდებანი ჩემნი.

მან საჩქაროდ წაიბუტბუტა რაღაც ლოცვები და ისევ გადაიხარხარა.

— ხვალ კი მასწავლე მე, რაიმუნდ ლიულის ხელოვნება, შეიძლება მისი დახმარებით მე თვითონ დავიცავ სორბონში დოქტორის

ხარისხს. ხა,-ხა-ხა, — ჰენრიხ ვალუა, ფრანგების მეფე, სორბონის ღვთისმეტყველების დოქტორი. რექტორს შურისაგან გული გაუსკდება. ეს საუცხოოა! ბრუნო მშვენიერ გუნებაზე ბრუნდებოდა სახლში. მაგრამ სისუსტისაგან ფეხებს ძლივს მიათრევდა. ვარსკვლავებს მოეფინათ მთელი ცა. რაღაც მხიარული, ახალგაზრდა ხმა იმღერდა. ბრუნო მიდიოდა და ლექსებს თხზავდა, მხიარულს ლექსებს. დიადი ადამიანური გონების სადიდებლად.

გამვლელები მას შეცქეროდენ და იცინოდენ, ეგონათ, რომ იგი შთვრალი იყო. გავიდა თუ არა ნაპირზე, იგი ბნელ მდინარეს დააცქერდა, მას მოაგონდა შავი ტიბრი, იმ ბნელ ღამეს, როდესაც იგი მდინარის ნაპირს მირბოდა „გზა მშვიდობისას" ბუტბუტით. მას გახსენდა მძიმე სხეულის წყალში ჩავარდნის ახმაურება. უნებურმა ნაღველმა მოიცვა მისი გული.

მას არ უნდოდა ამჟამად რაიმე ცუდის მოგონება. ვიღაცას ხელი მის ბეჭებს შეეხო. ბრუნო შეკრთა და მოიხედა. გამხდარი დომინიკანელი ბერი მის წინ იდგა.

ჯორდანო აძიგძიგდა თავიდან ფეხებამდე: მან იცნო ძმა ავგუსტინე:

7. დიდება და სახელი

შენ ცოცხალი ხარ? დაუყვირა ბრუნომ, როდესაც მოულოდნელობისაგან ცრტათი გონს მოვიდა.

— უფალმა მკვდრეთით აღმადგინა, — უპასუხა ავგუსტინემ ყრუ ხმით. — იმან მიხსნა მე წყალთა სიღრმიდან... და, აი, მე კვლავ გეუბნები: ძმაო ბრუნო, მოინანიე!

— შენ ღამის მეთევზეებმა გიხსნეს? — კითხა ბრუნომ.

— მოინანიე, ძმაო ბრუნო, დაბრუნდი რომში, ნებაყოფლობით გამოცხადდი ეკლესიის სამჯავროს წინაშე, რადგან სხვა გზით შენ ვერ გადარჩები მუდმივ ცეცხლში ტანჯვას.

ბრუნო ისმენდა ძველთაგან ნაცნობ მონასტრის ჰანგებს და გაეცინა. აქ. პარიზში, იგი თავის თავს უვნებლად გრძნობდა.

— კმარა, ავგუსტინე, — უთხრა მან, — დაანებე სისულელეს თავი. არავითარი ცეცხლის მე არ შეშინიან, არც ციურის და არც მიწიერის. და შენც მოიშორე ეგ სისულელე თავიდან. ხელი მიყავ მეცნიერებას, ისწავლე და სხვას ასწავლე. აბა, შეხედე, რას გევხარ, ამ მტვერიან ქუჩებში ხეტიალის გამო!

მე გეძებდი შენ, ძმაო ჩემო, და გპოვე კიდეც.

ბერის თვალებში საშინელმა ცეცხლმა გაანათა.

— შენ ვერ გაექცევი ეკლესიის სამსჯავროს. უფალი, შეისმენს ჩემს ვედრებას, ის მოგიყვანს გამწმენდ ცეცხლთან.

— შენ მუდმივად უნდა მსდიო? მოსაწყენი საქმეა. აქაც სულ ერთია არავინ მიაქცევს ყურადღებას შენს დაბეზღებას. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ ცოცხალი აღმოჩნდი, რადგანაც მე ძლიერ მიმძიმდა, როდესაც ჩემს თავს მკვლელად ვგრძნობდი, მაგრამ გირჩევ გზაზე ნუ შემხვდები. მე და შენ სხვადასხვა ღმერთები გვყავს. ეეედრე შენს ღმერთს, მაგრამ მე თავი დამანებე.

და მართლაც ჯორდანო განშორდა ავგუსტინეს და გაემართა წმინდა მიხეილის ხიდის მიმართულებით, როდესაც მან მოიხედა, ბერი უკვე აღარ მოსჩანდა. ის გაქრა როგორც მოჩვენება და ბრუნოს იქვიც კი შეუვიდა, მართლა შეხვდა თუ არა დღეს ის. ყოველ შემთხვევაში მასზე ფიქრი მეტი აღარ უნდოდა. მარიუსს უკვე გაეგო ბრუნოს გამარჯვების შესახებ და მოულოცა მას, თუმცა ურჩევდა არ ესარგებლნა ამ გამარჯვებით და არ გამხდარიყო პროფესორი.

— თქვენ დაუმტკიცეთ მას თქვენი ძალა, კმარა თქვენგან, — უთხრა მან. შევისწავლოთ ერთად ადამიანის სხეულის წყობა. ეს რამდენად ღირსეულია, ვიდრე არისტოტელესა და პტოლომეს ლექვა.

— მე სრულიად არ ვფიქრობ მათ ლექვას. — სიცილით უთხრა ბრუნომ, — მე მინდა ისინი შევეჭამო. ეს სულ სხვა საქმეა.

ამგვარად ბრუნო სორბონის პროფესორი გახდა. დაიწყო თუ არა ლექციები, სტუდენტებმა მაშინვე დაინახეს, რომ მათ წინაშე გამოჩენილი სწავლული დგას; აუდიტორია პირდაპირ ვერ იტევდა მსმენელებს.

ბრუნო მუშაობდა საუცხოო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. იღებდა მონაწილეობას მარიუსის ცდებსა და გამოკვლევებში, სწერდა წიგნებს, ერთი მათგანი, — რაიმუნდ ლიულის შესახებ. — მეფე ჰენრიხს უძღვნა. მისი სახელი გავრცელდა და გაიზარდა ევროპაში. სორბონში მიდიოდენ სწავლულები ყველა ქვეყნიდან და მათ მიქონდათ მთელ მსოფლიოში ჯორდანო ბრუნოს სახელი, როგორც უდიდესი ფილოსოფოსის, ასტრონომის და ფიზიკოსის.

მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა მისი სახელი მით უფრო შეშურდათ პროფესორებს. მეფე პირველ ხანებში იცავდა ბრუნოს თავდასხმებისაგან. მაგრამ სწორედ ამ დროს რელიგიურმა ომმა მეფისათვის მეტად სახიფათო ხასიათი მიიღო. კათოლიკური ლიგა ჰერცოგ გიზის მეთაურობით სასტიკად გზობდა მეფეს უმოქმედობისათვის და პროტესტანტებსა და ერეთიკოსებისათვის ხელის შეწყობის გამო. პარიზში უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ საჭიროა ჰენრიხ ვალუა გადაყენებულ იქნეს და მმართველობის საქმე გიზს გადაეცეს, რადგანაც მხოლოდ ის, როგორც ჭეშმარიტი კათოლიკე შესძლებს ჰენრიხ ნა-

ვარიელთან ბრძოლასო. მეფემ პოლიტიკის შეცვლა გადაწყვიტა. მან მოიხმო თავისთან ბრუნო და ურჩია ინგლისში წასვლა. აქ. ელისაბედ დედოფლის კარზე, რომელიც აშკარა პროტესტანტია, მას არ უნდა ეშინოდეს კათოლიკეების თავდასხმისა. დედოფალ ელისაბედს სწავლულები უყვარს და ამიტომ ბრუნო სწორედ გამოსადეგი იქნებოდა მისი კარისათვის.

ჰენრიხმა ამასთანავე ბრუნოს ბარათი მისცა საფრანგეთის ელჩთან ლონდონში დე-კარტელნო დე-მოვისიერთან.

— გაემგზავრე. — უთხრა მან, რადგანაც ძალიან მალე შენი დაცვა ჩემთვის ძნელი იქნება. ხოლო გიზი ფიქრობს პარიზში მოაწყოს ინკვიზიცია ესპანეთის და იტალიის მსგავსად და მაშინ შენი საქმე ცუდად. იქნება.

ბრუნომ თავი დაუკრა მეფეს და მოწყენილი გამოვიდა. ბედმა კვლავ სასტიკად განწირა იგი. მეორე დღეს ის ლონდონში წავიდა. ის. დრო, რომელიც ლონდონში გაატარა ბრუნომ ყველაზე ბრწყინვალე პერიოდათ ჩაითვლება მის ცხოვრებაში. ელისაბედის მთავრობა მტრულად იყო განწყობილი პაპისა და კათოლიკურ ეკლესიისადმი. აქ ბრუნოს შეეძლო უშიშრად წარმოეთქვა თავისი აზრები და ეწერა თავისი თხზულებები. მართალია. ოქსფორდში. სახელგანთქმულ უნივერსიტეტში. მას ცივად შეხვდენ. ბრუნომ ისე სასტიკად გაილაშქრა პროფესორების წინააღმდეგ. რომ დიდხანს არ უკითხავს მას ლექციები ოქსფორდის უნივერსიტეტში. რის შესახებ არც თვითონ ნანობდა ძლიერ. მან უნივერსიტეტს „ფხიზელი ცოდნის ქვრივი" უწოდა, ხოლო პროფესორებს — „პედანტების მხლებელი უმეცრება. რომელთა თავხედობა და საშინელი სიტლანქე მოთმინებიდან გამოიყვანდენ თვით იობს". ბრუნოს განსაკუთრებით ის აცინებდა. რომ მისთვის გამართულ დისპუტზე იმ მაგისტროსებს. რომლებიც აღმოჩნდებოდენ არა სავსებით ერთგული მიმდევარი არისტოტელისა. აჯარიმებდენ ხუთი შილინგით. ამრიგად. ბერძნის ბრძენი პატივცემულ დოქტორებისა და ღვთისმეტყველების ტვინზე აქაც ახდენდა ზეგავლენას. მაგრამ ბრუნომ მტკიცედ ჩამოაყალიბა თავისი თეზისები და მათთვის არ უღალატნია. ეს თეზისები საერთოდ შემდეგს შეიცავდენ:

1) დედამიწას აქვს მხოლოდ დაახლოვებით ფორმა ბურთობისა, ის შეწეულია პოლიუსთან და ბრუნავს მზის გარშემო.

2) მზე ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.

3) დედამიწის ღერძი დაწეულია ორბიტის სიბრტყისაკენ.

4) უძრავი ვარსკვლავები იგივე მზეები არიან.

5) მათ გარშემოც ბრუნავენ პლანეტები.

6) კომეტები — პლანეტების განსაკუთრებული სახეა.

7) სამყაროები და მათი სისტემები იცვლებიან, მათ აქვთ დასაწყისი და დასასრული.

ბრუნოს ეს თეზისები, რომელნიც ჩვენ ამჟამად ასე მარტივად და უდავოდ მიგვაჩნია, მაშინ განსაკუთრებულ გამბედაობას და ახალს რასმე წარმოადგენდა. კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული საშუალო საუკუნეთა სიბნელისაგან. სამყარო ჯერ კიდევ კეთილ და ბოროტ სულებით დასახლებულ ქმნილებად მიაჩნდათ, რომელთა ბრძოლაში ადამიანი იღუპება. თავის დროის ისეთი დიდი სწავლული, როგორც ამბრუაზ პარე იყო თავის წიგნში ასე აგვიწერს 1528 წლ. კომეტას: „ეს კომეტა იმდენად საშინელი იყო, ესეოდენ შიშს ბადებდა ხალხში, რომ მხოლოდ შიშისაგან ზოგიერთები ავად გახდენ, ზოგიერთი კი კვდებოდა კიდეც. ის წარმოადგენდა ვეებერთელა სიგრძის და სისხლისფერ მნათობს. მის მწვერვალზე მოსჩანდა შეკუმშული ხელი, რომელსაც გრძელი მახვილი ეჭირა, თითქოს მზად იყო მოსაკვდინებლად.

მახვილის ბოლოში სამი ვარსკვლავი ანათებდა. ამ კომეტის სხივების ორივე მხარეზე მოსჩანდა ჭრაველი ცული, დანა, სისხლით დასვრილი, ხოლო მათ შორის საშინელი ადამიანის სახეები ალეწილი წვერებით და ყალყზე ამდგარი თმებით".

აი, რა დაინახეს კომეტაში იმ ადამიანების თვალებმა, რომელნიც მიეჩვიენ ყველაფერში სასწავლისა და ზევიდან მრისხანების ხედვას. კომეტის სადიდებლად იჭრებოდა ფულები შემდეგი წარწერით: „უფალო, ნუ დამსჯი მე ჟამსა შენის მრისხანებისა", ან „არავინ არ დაიღუპება. ვინც ღმერთს მართლა თაყვანს სცემს". საშუალო საუკუნის ადამიანი, რომელიც მიეჩვია იმ აზრს, რომ ოგი არარაობაა, ცდილობდა ყოველმხრივ ესიამოვნებია ღვთისათვის, ნაწილობრივ კი ეშმაკისათვისაც. საშუალო საუკუნის ადამიანი საჭიროდ სცნობდა სულის საცხონებლად გაქცეოდა ცხოვრებას, დაესუსტებია თავისი სხეული. ის ყველაფერში ღვთის ნებას ხედავდა. გონიერი ჰუმანისტები („ჰუმანუს" — ნიშნავს ადამიანებს), პირიქით ამტკიცებდენ, ისინი აღიარებდენ ადამიანის გონების ძალას. მათ სწამდათ შესაძლებლობა, რომ მოეტაცნათ ბუნებისათვის მისი საიდუმლოებანი, დაუფლებოდენ მის კანონებს და დაემორჩილებიათ ისინი თავისათვის. წიგნის ბეჭედის აღმოჩენამ, მეთუთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეების დიდმა მოგზაურობებმა გააფართოვეს ადამიანების მხედველობა. გონება უფრო მძლავრად ამუშავდა. ერთმა აღმოჩენამ მეორე გამოიწვია. მოგზაურობისადმი სიყვარულმა და ზღვაში გზის გაგნების საჭიროებამ აიძულა ადამიანები კომპასი აღმოეჩინათ. შორეულ ქვეყნებთან კავშირმა გააფართოვა ევროპის ვაჭრობა. ვაჭრობის მწარმოებლებმა დაინახეს მეცნიერების საჭიროება, როგორც ეკო-

ნომიერ ურთიერთობა დამხმარე. მოწინავე ბურჟუაზია და ინტელიგენცია (ჰუმანისტები) გაერთიანდენ კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რადგანაც ის ხელს უშლიდა მეცნიერებას, ცდილობდა შეენარჩუნებია ადამიანებისათვის საშუალო საუკუნოების მსოფლმხედველობა.

აი, რატომ სძულდათ კათოლიკეებს, ისეთი ადამიანი, როგორიც იყო ჯორდანო ბრუნო. მღვდლებისათვის სასარგებლო იყო კომეტის ღვთის რისხვად მიღება; ისინი ამტკიცებდენ, რომ ადამიანი ვერ მიწვდება ვერაფერს უღვთოდ ან მისი ნების გარეშე. ხოლო ბრუნო ამაყი იყო, რომელიც გრძნობდა თავისი თვალსაზრისის ძლიერებას. როდესაც 1585 წლ. ბრუნო პარიზში დაბრუნდა, ის პირველად მარიუსთან ჩასახლდა, როგორც კერძო კაცი და არც უნდოდა შეეტყობინებია მეფისათვის ჩამოსვლის შესახებ. მარიუსმა გააფრთხილა ბრუნო, რომ მეფე მას ახლა არ დაიცავს. კათოლიკური ლიგა შეტად გაძლიერდა. ჰენრიხ ნავარიელი ნელა, მაგრამ მტკიცედ უახლოვდებოდა პარიზს. მეფეს ეშინოდა სორბონის უკმაყოფილებისა, რადგანაც იგი გიზს მეგობრობდა. მაგრამ ბრუნოს აშკარა ბრძოლა უნდოდა. მან გაუგზავნა სორბონს 120 თეზისი, რომელიც არისტოტელეს წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ თეზისების დაცვა მოისურვა დიდ დისპუტზე, სამების დღეს.

საჯარო დისპუტების წესის მიხედვით თავისი თეზისები ბრუნოს კი არ უნდა დაეცვა, არამედ რომელიმე მათმოწაფეს ან მის მიმდევარს. მაშინ, როდესაც ეს არც ისე ადვილი იყო. 1572 წლ. სწავლული პეტრე რამუსი იმიტომ მოკლეს, რომ გაბედა არისტოტელის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა. ბრუნო, რომელმაც სასწრაფოდ გაგზავნა თავისი თეზისები. დაღონდა რადგანაც, თავისი მონაცვლე ვერავინ ნახა. ის ხუმრობით მარიუსს გადაკრავდა ხოლმე, მაგრამ იგი ყვიროდა:

ჩემი ფეხი რომ სორბონში შევიდეს! ეს არასოდეს არ მოხდება. შენც ნუ წახვალ ამ მგლის ბუნაგში. სამი დღის წინ უნდა ეთქვა თავისი სახელი, იმას, ვინც მის თეზისებს დაიცავდა. მაგრამ ასეთი სახელი მან ვერ აღმოაჩინა. ის დაღვრემილი დადიოდა სენის ნაპირს, უცებ მხიარული ხმით დაუძახა მას ვილამაც. ბრუნომ მოიხედა. ჟან ბენეკენ? იყვირა მან, იცნო რა ტულუზელი მოწაფე. ჟან გენეკინი ხდგა მის წინ დამტვრიანებული, დაღლილი, მაგრამ მომღიმარი.

მე პირდაპირ ტულუზიდან მოვდივარ, — სთქვა მან და მოკრძალებით ჩამოართვა წამოწეული ხელი, — მე ძმამ მომწერა თქვენი დისპუტის შესახებ...

— მერე?

ჟანი გაწითლდა.

— ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამბედაობა იქნება ჩემის მხრით. მაგრამ მე მინდოდა თქვენი თეზისების დაცვა. ბრუნო პასუხის ნაცვლად მაგრად შემოეხვია ახალგაზრდა კაცს.

სამების დღეს სორბონში დიდ ხალხს მოეყარა თავი. დისპუტმა თავიდანვე არაჩვეულებრივი ვნებითი ხასიათი მიიღო. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ძველი და ახალი მეცნიერება შეიყარნენ თუ არა საბოლოო, ყოველ შემთხვევაში გადამჭრელი ბრძოლისათვის. ეს ცოტაა, ძველი მეცნიერების უკან იმალებოდა საშუალო საუკუნოების ღმერთის მრისხანე სახე, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოსპოს ამაყი კაცი, რომელმაც გაბედა მისი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება, მრავალი ბერი, მღვდელი, თითქმის ეპისკოპოზებიც იყვნენ დისპუტზე. ბრუნოს თითოეული თეზისი სასტიკ კრიტიკას ეძლეოდა, მას ეცინოდენ და ლანძღავდენ. მაგრამ ჟანი გენეკენიც მარჯვედ აძლევდა პასუხს. მის მხარეზე იყო აზრების სიმარტივე და სიახლე და ბრუნოს დასაცავად გამოთქმულ მის სიტყვებს არა ერთხელ გამოუწვევია მოწონების ჟრიამული სტუდენტების სკამებზე. ჯორდანო, გაფითრებული და აღელვებული იჯდა დოქტორებს შორის. მას რამდენჯერმე უნდოდა წამოხტომა, რომ შეეტია ამ შავი ბრბოსათვის, რომელსაც ეზიზღება სინათლე და ცხოვრების სუნთქვა. მაგრამ ეს დისპუტს სკანდალის ხასიათს მისცემდა, რადგანაც სორბონის ჩვეულებების წინააღმდეგი იქნებოდა. მასთან ჟან გენეკენსაც შეურაცყოფდა მასწავლებლის ასეთი უეცარი ჩარევა, რომელსაც იგი ასე ბრწყინვალედ იცავდა. საღამომდე სწარმოებდა დავა ძველ აუდიტორიაში, რომელთა მსმენელები აშკარად ორ ბანაკად გაიყვნენ. დასასრულ პროფესორმა და სამღვდელოებამ ბრუნო დამარცხებულად გამოაცხადეს. მაგრამ ამან სტუდენტობის სკამებზე საშინელი ყვირილი და ხმაურობა გამოიწვია.

— ბრუნომ გაიმარჯვა! ყვიროდენ ისინი. ამ ყვირილში ბრუნო გარეულ გავიდა. მას არ უნდოდა მისჯილი გამარჯვება. თვითონ იგი თავს გამარჯვებულად გრძნობდა და ეს უკვე აკმაყოფილებდა მას: ჰეშმარიტება მის მხარეზე იყო. ჟანი მას უნივერსიტეტის კარებში დაეწია.

— როგორ არის საქმე? — აღელვებული შეეკითხა იგი, რომელიც დაქანცულობის გამო ძლივს ლაპარაკობდა. — კარგად დაგიცავით? მე აბსად დავიბენი? ბრუნომ მაგრად ხელი ჩამოართვა. ამ დროს აუდიტორიიდან გამოცვივდენ სტუდენტები, ბერები. დოქტორები, უბრალო ცნობისმოყვარენი.

მგონი მე ყველაფერზე ვუპასუხე, როგორც საჭირო იყო. — განაგრძობდა ჟანი, რომელიც ამ ხელის ჩამორთმევამ დაამშვიდა, — მაგრამ რასაკვირველია იგი უცებ გაჩუმდა, საოცრად ამოიოხრა და

ბრუნოს ფეხებთან დაეცა. უცებ ძმა ავგუსტინეს სახე წარუდგა ბრუნოს. გამოცხადდა და გაქრა.

— მას გული წაუვიდა დაქანცულობისაგან! იყვირა რომელიღაც სტუდენტმა.

ბრუნო სასწრაფოდ დაიხარა ჟანისაკენ. მისი ხელი რაღაც სოველს მოხვდა.

— სისხლი! — დაიყვირა მან -- სისხლი! იგი მოკლეს. მე ვიცი ბერმა მოკლა იგი. დაიჭირეთ ბერი... დომინიკანელი.

წარმოუდგენელი აურზაური ატყდა გარშემო. უკმაყოფილების ყვირილი მოწონების ხმაურში აირია. ბრუნო მუხლებზე იდგა და ყური ჟანის მკერდზე მიედო, უსმენდა სცემს თუ არა გული.

— იგი ცოცხალია! დაიყვირა მან. — ჩქარა საკაცე. ის მარიუსთან უნდა წავიყვანოთ ახლავე. წმინდა მიხეილის ხიდზე.

მარიუსმა ჩქარა მოასულიერა გენეკენი, რომლის ჭრილობა სიცოცხლისათვის საშიში არ იყო.

ბრუნომ მას თავისი ტახტი დაუთმო, თვითონ კი გადასწყვიტა ღამე მუშაობაში გაეტარებია. მას უნდოდა ჩქარა დაემთავრებია ტრაქტატი მსოფლიოს დაუსრულებლობის შესახებ, რომლის წერა შან ჯერ კიდევ ინგლისში დაიწყო .მაგრამ კარგად ვეღარ მუშაობდა. გაგიჟებული ძმა ავგუსტინე მას თვალების წინ ყავდა ატუზული. და კიდევ რამდენი ნჯხევრად გიჟი. გაბოროტებული დამცველი ყავს ძველს სასტიკს ეკლესიას!

ღამე ბნელი იყო. ღია ფანჯარაში სიგრილე შემოდიოდა. შორს ელვა ანათებდა და შეხი გრგვინავდა. ჟან გენეკენს ეძინა.

— ბრუნო ფანჯარაზე გადაწვა და სიამოვნებით შეუშვირა სახე ქარს. იტალიაზე დარდმა კვლავ შეკუმშა მისი გული. უცებ მდინარეზე ნიჩბების ნელი ხმაური მოისმა. ბრუნო საჩქაროდ მოსცილდა ფანჯარას, რადგანაც მოისაზრა, რომ მდინარედან იგი კარგად მოსჩანს განათებული ოთახის ფონზე. რატომღაც ახლა მას ყველაფერი აშინებდა. უთუოდ იგი ძლიერ დაიღალა. რაღაცამ მსუბუქად მხარზე დაარტყა. უთუოდ ეს ქვა იყო ქაღალდში გახვეული. ბრუნო სასწრაფოდ დაიხარა, გახსნა და იტალიურად დაწერილი ბარათი წაიკითხა: „თუ ჯორდანო ბრუნოს თავისი სიცოცხლე სწყურია, იგი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს პარიზიდან".

ხელი უცნობი იყო. მაგრამ ქალის ხელს გავდა. და ქაღალდს კარგი და ძვირფასი წვეთების სურნელი ასდიოდა. ბრუნომ ხელი წაავლო სანთელს. და გასწია ხელი ფანჯრიდან და უნდოდა ბნელი მდინარე გაენათებია. მაგრამ სანთლის სინათლემ მდინარემდე ვერ შიაღწია. ხოლო ნიჩბების ხმაური ხიდის ქვეშ მიჩუმდა. ეკატერინე მედიჩიმ ხომ არ ურჩია თავის თანამემამულეს ეხსნა თავისი სი-

ცოცხლე? უცნაურ დედოფლის რჩევის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. ნუ თუ მუდამ ასე იხეტიალებს? რა სისულელეა! რა საძაგლობაა!

ბრუნომ გადასწყვიტა გერმანიაში გაქცევა.

ნაწილი მესამე

1. სინიორ მოჩენიგო

ვენეციის დიდ არხზე მიცურავდა გონდოლების მთელი წყება, რომელთაც სხივოსანი მზე ანათებდა. გრძელი წვრილი ნავები მსუბუქად ნავარდობდენ წყლის ზედაპირზე, ემორჩილებოდენ რა მეგონდოლეს ნიჩაბს. გონდოლის შუაზე მოწყობილი იყო მრგვალი ფარდული, რომელიც მზისაგან იცავდა. საუცხოო სასახლეები, რომელნიც მსუბუქი მოსჩანდენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი მარმარილოსაგან იყვნენ აგებული, მტრედისფერ წყლიდან ლამაზად გამოიყურებოდენ. თითოეული სახლის ზედა სართულზე გამართული იყო ტერასა, თითქოს მარმარილოსაგან გამოკვეთილი. ტერასის არკებს შებჯენილი ქონდა მსუბუქი კოლონები. ასეთ ტერასებს ვენეციაში ლოჯებს უწოდებდენ. ამჟამად ამ ლოჯებში ცნობილი ხნიერი პატრიციები ისხდენ, რომელნიც თვალყურს ადევნებდენ გონდოლებს ფართე და გაშლილ არხზე.

ამ დღეს ვენეციელები ათვალიერებდენ დიდ არხზე ახლახან დამთავრებულს ხიდს, რომელიც ხის ხიდის ნაცვლად იყო აგებული. ამ ხიდს იტალიურად პონტე-და-რიალტო ერქვა (რიალტოს ხიდი) პატარა ხიდები ვენეციაში ბევრი იყო — 378 ცალი. ისინი აერთიანებდენ პატარა გადასვლებს, რომელნიც ვენეციელებს ქუჩის მაგივრობას უწევდენ, სადაც შეეძლოთ ერთმანეთისათვის გვერდის ავლა სამ-ოთხ კაცს. რიალტოს ხიდი მეტად ფართე იყო, მასზე გაშენებული იყო სახლები პარიზის წმინდა მიხეილის ხიდის მსგავსად. ტყეები ის იყო დაჭრეს და ხიდი მთელი თავისი სიმშვენიერით გამოჩნდა. გონდოლები მოცურავდენ მის ფართე მარმარილოს არკასთან და მისი სილამაზით აღტაცებული მგზავრები ტაშს უკრავდენ. ბოლოს არკის ქვეშ დაიგრიალა ტაშისცემამ, რომლითაც ქებას უძღვნიდენ ხიდის ამშენებელს — არქიტექტორს ანტონი და-პონტეს.

ვენეციელებს უხაროდათ ქალაქის ახალი კეთილმოწყობა; მათ იმ ხანებში ძლიერ უყვარდათ თავისი ქალაქი და ძლიერ ამაყობდენ მით.

მართლაც, საოცარი ქალაქი არ არის? იგი მთლად წყალზეა აგებული, წყლით გარემოცული, ქალაქი, სადაც არც ერთი ცხენი და

არც ერთი ეტლი არ არის. დაადექ და იარე ფეხით ვიწრო ქუჩა-ბანდებში, გინდ ჩაჯექ გრძელ ნავში და იცურე დაუსრულებელ ვიწრო არხებში, სადაც თავის გართმევა შეუძლია მხოლოდ მეგონდოლეს. 157 არხი. არავითარი ტროტუარი. კიბის საფეხურებს პირდაპირ წყალში მიყევხართ და ყოველ საფეხურთან სვეტები დგას, სადაც გონდოლებს აბამენ ხოლმე.

ვენეცია მეთევზეთა მოსახლეობიდან წამოიზარდა. მარილი და თევზი ეს იყო პირველი საქონელი, რომლითაც ოდესღაც დაიწყეს (ჯერ კიდევ მე-5 და 6 საუკ.) ვაჭრობა ვენეციელებმა. თანდათან ქალაქმა გამდიდრება დაიწყო თავისი მდებარეობის გამო. იგი იმყოფებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. ვენეციის საშუალებით სწარმოებდა ვაჭრობა დალმაციასთან, ისტრიასთან და ოსმალეთთანაც და ინდოეთთანაც კი. ჯვაროსნულმა რომებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ვენეციის გამდიდრებას, რადგანაც ვენეციელებმა მოაწოდეს ჯვაროსნებს თავისი წყლის ტრანსპორტი. მე-14 საუკუნისათვის ვენეციის ფლოტმა უდიდეს სიძლიერეს მიაღწია და ვენეცია განუყოფელად ბატონობდა მთელს ხმელთა შუა ზღვაზე. ვენეციის რესპუბლიკას ყავდა 3.345 სავაჭრო გემი, 36.000 მეზღვაური და 16.000 გემის მუშა — ეს ციფრები მეტად დიდია მაშინდელი დროისათვის. და ტყუილად არ იყო, რომ ვენეციის მეთაური, დოჯი, ყოველწლიურად ამაღლების დღეს გადიოდა ზღვაზე საუცხოო მოოქრული გემით „ბუცენტავრით" და დღესასწაულებრივი ცერემონიის ჩატარების შემდეგ აგდებდა წყალში ბეჭედს. ეს იყო ნიშანი ვენეციის მეგობრობის ზღვისადმი.

ვენეციაში მზადდებოდა მშვენიერი მინა და ყოველგვარი მინის ნაკეთობანი. უცხოელებს ის აოცებდა, რომ ვენეციაში ღარიბ ქოხებსაც კი ქონდათ მინის ფანჯრები. იმ ხანებში მინას ჩვეულებრივად ხარის ბუშტით ან გასანთლული ქისით ცვლიდენ. ვენეციური მინის ფანჯრების და ვაზები განთქმული იყო მთელს მსოფლიოში. აღმოსავლეთიდან ვენეციაში შემოქონდათ ყოველგვარი ტკბილეულობა. ძვირფასი ქვები, ქსოვილები.

ვენეცია ამაყობდა თავისი სიმდიდრით. მაგრამ, აი, 1453 წლ. კონსტანტინეპოლი ოსმალებმა აიღეს, რამაც ძლიერ გააძნელა აღმოსავლეთთან ვაჭრობა.

რამოდენიმე წლის შემდეგ პორტუგალელმა მეზღვაურმა დიასმა შემოუარა „კითილი იმედის" კონცხის აფრიკის სამხრეთში და გახსნა ზღვის გზა ინდოეთისაკენ. ამან საბოლოოდ დასცა ვენეციის ვაჭრობა. ეხლა ვენეცია შორს აღმოჩნდა დიდი სავაჭრო გზიდან. მაგრამ დაგროვილი სიმდიდრე იმდენად დიდი იყო, რომ მისი ძლიერების დაცემა არ ეტყობოდა ქალაქის ცხოვრებას. მე-16-ე საუკუნეში ვენე-

ციაში განსაკუთრებით აყვავდა ხელოვნება. გამოჩნდენ ცნობილი მხატვრები: ტიციანი, ტინტორეტტო, ვერონეზი, იმავე დროს პატრიციების ცხოვრების ხელგაშლილობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ისინი ცხოვრობდენ ვეებერთელა სასახლეებში, გარსშემორტყმული მრავალრიცხოვანი მსახურებით, პაჟებით, შინაური ჯადოსნებით. და წინასწარმეტყველ ასტროლოგებით. ისინი ყოველგვარი შემთხვევიო სარგებლობდენ, რომ დღესასწაული გაემართათ. აი, ეხლა ისინი არხებზე დაცურავდენ, ბრწყინავდენ რა თავისი ძვირფასი ტანთსაცმლებით და გონდოლების მორთულობით. სახელგანთქმულმა მდიდარმა მონტებელომ დაამშვენა გონდოლის ფარდული ზურმუხტისა და ლალის ქუჩუჩებით. ის წამოწოლილიყო მოსკოვიდან ჩამოტანილ საუცხოო ტყავზე. ფარჩით და აბრეშუმით გამოწყობილი, იგი ათამაშებდა ოქროს ჯაჭვს, რომელიც მის გვერდს ამშვენებდა.

— ჯოვანნი! დაიყვირა მან უცებ, დაუპირდაპირდა თუ არა ის მცირე გონდოლს, — ეი, სინიორ მოჩენიგო! ჰაბუკმა რომელიც გონდოლში იჯდა და სქელ წიგნს კითხულობდა თავი ასწია, დაბნეული სახით მიმოიხედა და ისევ კითხვას შეუდგა.

— ჯოვანნი! დაუყვირა ისევ მონტებელომ. — დაანებე თავი კითხვას. სულ ერთია არავინ დაგიჯერებს, რომ შენ ასე გიყვარს სწავლულობა. შენ რომ ის გიყვარდეს ოთახში დაჯდებოდი და არ დაიწყებდი ხეტიალს დიდ არხში ამ უამრავ გონდოლებს შორის. ვისაც ასე მოსაჩვენებლად გამოაქვს თავისი საქმეები, მას იგი მაინც და მაინც არ უყვარს. და მონტებელლომ გადაიხარხარა, წარმოსთქვა თუ არა ასეთი ბრძნული აზრი.

ჯოვანნი მოჩენიგო გაწითლდა და თავი მაღლა ასწია.

— მე სუფთა ჰაერს ვსუნთქავ და ვკითხულობ. განა ეს ცუდია?

— მაშინ წადი იქ, სადაც არავინ არ არის. შენ, ჯოვანი იკვეხნი მით, რომ ამ სქელ წიგნებს კითხულობ. შენ გვაყვედრი შენი სწავლულობით! ეს სისულელეა.

— უფრო სისულელეა საჩვენებლად ძვირფასი ქვების და აბრეშუმის გამოფენა.

— ტყუილია! მე ამით ყველას სიამოვნებას ვგვრი. შეხედე, როგორ ბრწყინავენ ისინი მზეზე. განა ლამაზი არ არის? შენი წიგნისაგან კი ვის რა სიამოვნება აქვს?

— შენ მხოლოდ იკვეხნი შენი სიმდიდრით... შენ გინდა დაამტკიცო, რომ ყველაზე მდიდარი ხარ... მაგრამ ხარბი კაცისათვის გამდიდრება ძნელი არ არის...

— ეს მე ვარ ხარბი?..

მონტებელო გაფიცხდა და ზიზღით გადიხარხარა. მეზობელ გონდოლებიდან, სიცილით ყურს უგდებდენ სხვა პატრიციები. ერთი

ოქროსფერ თმიანი ქალი განსაკუთრებით ხმა მაღლა იცინოდა. ამბობ-დენ, რომ მონტებელოს იგი უყვარსო. ახალგაზრდა მდიდარს ბრაზი მოერია. ის წამოიწია, მოგლიჯა სახურავიდან ერთი ლალის აკიდო და ხელებით დაამტვრია. ყველა გაოცდა. მან გადაისროლა ჰაერში მთელი მუჭა ნათელ-წითელი ქვებისა, მათ გაანათეს გზებზე. თითქოს სისხლის წვეთები იყო და საუცხოვო ცეცხლის წვიმის მსგავსად წყალში ჩაცვივდენ. გაისმა პატარა ხმაური და მრავალმა წრემ გაირ-ბინა წყლის ზედაპირზე.

— უჰკუო ადამიანი! დაიყვირა რომელიღაც სერიოზულმა ჭაღა-რა მოსილმა სენატორმა. ლამაზმა ქალმა ტაშის ცემა დაიწყო, მონ-ტებელომ მოიხსნა ზურმუხტის ქინძისთავი და სტყორცნა არხისაკენ, რის ზედაპირზეც ათამაშდენ ბრჭყვიალა ფერები.

— ა-ჰა! — მე დავამტკიცე, რომ ხარბი არა ვარ, — სთქვა მონტე-ბელომ. შენ კი როგორ დაამტკიცებ, რომ ამ ფუთიან წიგნს კვეხნი-სათვის არ დაათრევ თან?

— იმით, რომ განვაგრძნობ კითხვას. მიუხედავად შენი სულე-ლური ხუმრობისა, — გულმოსულად უპასუხა მოჩენიგომ და რაღაც უთხრა თავის მეგონდოლეს. მან ცოტათი უფრო მძლავრად შეანძრია ნიჩაბი. გონდოლის ცხვირი მოტრიალდა, კოხტად გაძვრა ნავებს შო-რის და გაქრა ვიწრო ბნელი არხის კუთხეში.

— ჩიოტტოს დუქნისაკენ — გადასძახა მოჩენიგომ მეგონდოლეს.

მეგონდოლემ ჩუმად თავი დააქნია და წამოიძახა ისე, როგორც იძახიან ხოლმე მენავეები, როდესაც კუთხეში უხვევენ, რათა მეორე გონდოლს არ დაეჯახონ. შეუხვიეს უფრო ვიწრო არხში, გაცურეს რამდენიმე პატარა ხიდის ქვეშ, და ბოლოს შეჩერდენ ქვის საფეხუ-რებთან, რომელსაც პატარა მოედანზე მიყავდა საიდანაც იშლებოდა პატარა ვიწრო შესახვევები. ერთ-ერთ ამ შესახვევით წავიდა კიდეც მოჩენიგო. გაიარა შესახვევი, სადაც ნაბიჯი კარგად ისმოდა მაღალ კედლებს შორის, გავიდა უფრო ფართო ქუჩაზე, რომლის გასწვრივ გამართული იყო დუქნები: ოქრომჭედლების, მექურჭლეების და წიგ-ნის გამყიდველების. ის შევიდა ნახევრად ბნელ დუქანში, რომლის კარებზე ეწერა: „წიგნის სავაჭრო ჩიოტოს და ბრიტანოს". იქ საღე-ბავის და წიგნების სუნი დიოდა. კაცი, რომელიც პატარა მაგიდას უჯდა და პერგამენტზე რაღაცას რთულ სურათს ხატავდა, ადგა და მოწიწებით მიესალმა, ამასთანავე სავარძელი მიაწოდა.

— სალამი სახელოვან სინიორ მოჩენგოს, — უთხრა მან ტკბი-ლი ხმით, ყველაზე უფრო სწავლულ ადამიანს ვენეციაში. არა, იტა-ლიაში... არა, ევროპაში.

— თქვენ აჭარბებთ. ჩიოტო — უთხრა მოჩენიგომ, გაწითლდა სია-მოვნებისაგან და სავარძელში ჩაჯდა.

მტრედის ფერ აბრეშუმის წიგნებში, მარგალიტის ღილებით ტუფლებზე, ოქროთ ნაქსოვ კამზოლში და ხავერდის ბერეტში ის ძალიან მცირედ მიემსგავსებოდა სწავლულს იმ მრავალ წიგნებსა და ხელნაწერებს შორის, რომლითაც ავსებული იყო დუქანი, იგი მოგაგონებდათ თუთიყუშს, რომელიც შემთხვევით შემოფრინდა ბიბლიოთეკაში.

— არა, მე არ ვაჭარბებ,—სთქვა ჩიოტომ.—მე არ ვამბობ მოხუცების შესახებ, მაგრამ შენი ხნის ადამიანებს შორის სინიორ მოჩენიგო, თქვენ, უეჭველად ყველაზე უფრო განათლებული კაცი ხართ. მე ვიცნობ მხოლოდ ერთს, რომელიც შეიძლება თქვენი შესადარისი იყოს და რომელსაც მე გერმანულ ქალაქში ფრანკფურტში გავეცანი.

ვინ არის იგი? ინტერესით კითხა მოჩენიგომ.

— ჯორდანო ბრუნო, — უპასუხა ჩიოტომ და თაროდან რამოდენიმე წიგნი ჩამოიღო. — აი მისი რამოდენიმე უკანასკნელი თხზულება.

— თქვენ ნახეთ ბრუნო? ცხოველი ინტერესით წამოიყვირა მოჩენიგომ.

— სახელგანთქმული ჯორდანო ბრუნო?

— არა მარტო ვნახე, არამედ ყოველ დღე ვესაუბრებოდი მას და სიამაყით შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩემ უმისოდ ეს საუცხოვო თხზულებები საბეჭდ მანქანებს ვერ იხილავდენ.

მოჩენიგომ ცნობის მოყვარეობით აიღო წიგნი.

— „სამჯერ უმცირეს ოდენობის შესახებ“ — წაიკითხა მან მისი სათაური.

— ეს მეტად ბრძნული წიგნია — თქვა ჩიოტომ, — გასაგებად ძნელია, ცხადია, თქვენთვის კი არა, უმეცართათვის.

— ჯოვანი, რომ უფრო ჭკვიანი ყოფილიყო გაიგებდა ამ დაცინვას, რომელიც ამ სიტყვებში გამოსჭვიოდა, მაგრამ ჯოვანი ჭკვიანი არ იყო.

მას უნდოდა რომ იგი ჭკვიანად ჩაეთვალათ, ის ოცნებობდა სამეცნიერო სახელზე, ამასთანავე მეცნიერება სრულიათ არ უყვარდა და მონტეველო სავსებით მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ მოჩენიგო იმიტომ გამოვიდა წიგნით, რომ დაეკვეხნა თავისი სწავლულობით. მას არც კი ესმოდა ზოგიერთი წიგნი, რომელსაც იგი კითხულობდა. ისე იყო ეხლაც, წაიკითხა რა ბრუნოს თხზულებათა პირველი გვერდები მან ვერაფერი გაიგო, მაგრამ მით უფრო დარწმუნდა სახელგანთქმული იოლანელის სწავლულობაში. ჩიოტტო დაცინვით შეყურებდა გამოპრანჭულ „სწავლულს“, მაგრამ ასწია თუ არა თავი დაცინვა უცებ გაქრა წიგნის გამყიდველის თვალიდან.

მუხლს ვიდრეკ ბრძენი ადამიანების წინაშე, რომელთაც შეუძლიათ მსგავსი წიგნების კითხვა! — წამოიყვირა მან აღტაცებით.

— აი, მე არაფერი მესმის ამ ფილოსოფიის საიდუმლოებაში.

ჯოვანიმ თავაზიანად გაიცინა და სერიოზული სახე მიიღო.

— კი, ეს არც ისე უბრალოა, — თქვა მან. მან აიღო მეორე წიგნი, ბრუნოს პატარა ტრაქტატი და გაშალა. მას ასეთი ფრაზა შეხვდა: „ოხ, საბრალო ადამიანები, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ეძებენ სიბრძნეს, სტოვებენ ამისათვის თავის სამშობლოს და მშობელ მხარეს, გადადიან ოკეანებს, მთებს, უდაბნოებს, შიმშილში გაჭირვებაში და უძილო ღამეებში!“.

— დიახ, ის ძლიერ ნაღვლობს სამშობლოს შესახებ, — თქვა ჩიოტომ, შეამჩნია თუ არა რომელ ადგილს კითხულობს მოჩენიგო. — შაგრამ ცხადია იგი აქეთ ვერ დაბრუნდება.

— რატომ?

— ის გარიცხულია ეკლესიიდან პაპის მიერ. იგი ერეტიკოსია, ჯოვანი მოჩენიგო ათრთოლდა და სასწრაფოდ დასდო წიგნი მაგიდაზე, თითქოს ხელი დასწვაო.

— რა მოგვიდათ სინიორ?

გაკვირვებით შეეკითხა ჩიოტო, თუმცა კარგად მიხვდა, რომ ცრუმორწმუნე ვენეციელს ცოდვის შეეშინდა.

ჯოვანი მეტად რელიგიური და ცრუმორწმუნე იყო, მაგრამ მას ერიდებოდა ამისი გამოჩენის, რადგანაც სწავლული ადამიანები ჩვეულებრივათ თავისუფალი აზრის არიან.

— მე არაფერი! — სასტიკად თქვა მან. — მითხარი, ჩიოტო, ბრუნომ იცის ბევრი საიდუმლო მეცნიერება?

— ო, მან ბევრი მეცნიერება იცის... თუმცა თქვენ იცით ყველი ისინი...

— იგი... როგორ ეპყრობა ალქიმიას.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვინმე აღმოაჩენს ოქროს გაკეთების საიდუმლოებას ეს სწორეთ ბრუნო იქნება... ან თქვენ, სინიორ.

— მართლა... მე დარწმუნებული ვარ, რომ ვარსკვლავების მიხედვით იგი მომავლის შესახებ წინასწარმეტყველებს. ის ცაზე კითხულობს როგორც წიგნში... ისე როგორც უთუოდ, თქვენ, სინიორ.

— მე უმთავრესად ფილოსოფია მაინტერესებს...

— მიბრძანებთ ამ წიგნების გამოგზავნას, სინიორ?

მოჩენიგო გაწითლდა.

— თუ დამჭირდება, თავად მე გამოგიგზავნი მსახურს ხვალ.

— მაქვს კიდევ აგრიპა ნეტესგეიმელის თხზულებები, — ჩიოტომ ხმა დაიდაბლა — ერაზმისა და რეიხლინის ტრაქტატი.

— ესენი ყველა წაკითხული მაქვს — უმალ წამოიძახა მოჩენიგომ „ერეტიკული“ წიგნებისადმი ხელშეუხლებლად — ხვალ გეტყვი რის ყიდვაც მსურს.

მან გადახედა კიდევ რამდენიმე წიგნაკს და ხელთნაწერს და გავიდა დუქნიდან. ის დიდის კმაყოფილებით მიდიოდა ქუჩაზედ, თავისი თავი დიდ მეცნიერად წარმოედგინა, ჩაიარა საფეხურები და გონდოლში ჩაჯდა, რომელიც ქანაობით გაცურდა ნაპირიდან. მან ხბრძანა მეგონდოლეს, მიემართა გონდოლი თავის სულიერ მამის — ბართლომესაკენ.

უკვე საღამო ახლოვდებოდა.

სარკმლებიდან გამოანათა შუქმა, ხოლო შორს გაისმა საამური სერენადა.

2. წმინდა ქსელი.

მამა ბართლომე სცხოვრობდა მიზერიკორდის სააბატოსთან. მისი ოთახის ფანჯრებიდან მოსჩანდა კუნძული ჟუარნო სახელგანთქმული მინის ფაბრიკებით; შორიდან კი ჩნდა თოვლიანი ალპები.

მამა ბართლომე იყო პატარა ტანის მღვდელი, არა ჩვეულებრივი თვალებით, მშვიდი, მოძრაობაში მსუბუქი, როგორც კატა. ის ყველაფერს ჩუმად აკეთებდა: დადიოდა, სუნთქავდა, ჭამდა და წიგნს ფურცლავდა. ის მოჩვენებას გავდა და მოჩენიგოს სრულიად არ გაუკვირდებოდა თუ მამა ბართლომე უცებ გაძვრებოდა ქვის კედელში ან ჰაერში ავიდოდა. ხმა მას მსუბუქი და ნელი ჰქონდა, თუმცა იგი ძლიერ გარკვევით ლაპარაკობდა.

რა თქმა უნდა ერეტიკული წიგნების კითხვა დიდი ცოდვაა, — თქვა მან, — მაგრამ, შვილო ჩემო, თქვენ წაიკითხეთ სულ რამდენიმე გვერდი. ამას გარდა არ იცოდით, რომ ჯორდანო ბრუნო გაიცხულია ეკლესიიდან, უწმინდესი მამის მიერ.

— მართალია, მე ეს არ ვიცოდი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ — დამავიწყდა, მაგრამ მოჩენიგო შეჩერდა, — მაგრამ მე თავში ცუდი აზრი მქონდა.

აბატმა წარბები ასწია.

— ცუდი განზრახვა, შვილო ჩემო?

— მე მინდოდა ბრუნო აქ ვენეციაში მომეწვია, რომ იმას ჩემთვის ეჩვენებია მისი ცნობილი მეცნიერება. ჩიოტომ გადმომცა, რომ იგი ძლიერ ნაღვლობს იტალიაზე: უთოლდ. იგი დათანხმდება ასეთ წინადადებაზე. თუ მის უშიშროებას უზრუნველვყოფდით... მაგრამ ეს ხომ ცოდვაა. მამაო ჩემო.

— მამა ბართლომემ დახარა თავი, დახარა, თავისი შავი ხავერდისფერი თვალები და თითქოს რაღაცას ფიქრობდა.

— არა, ეს არც ისეთი დიდი ცოდვაა, — თქვა მან დასასრულ. — იმიტომ, რომ შეიძლება თქვენს შეხვედრას კარგი გავლენა მოეხდინა ბრუნოზე. ბოლოს და ბოლოს მე მას არ ვთვლი ისეთ უიმედო ცოდვილად. ხოლო მის ეკლესიის წიაღში დაბრუნება მეტად სასურველი იქნებოდა. შეიძლება მშობელი მიწა მოალბობს მის ცოდვილიან გულს და ამით მოინანიებს. მაშინ, ცხადია, ეკლესია აპატიებს მას, რადგანაც უფლის მოწყალება უსაზღვროა.

ასე რომ თქვენ ფიქრობთ მამაო, რომ მე შემიძლია ბრუნო გამოვიძახო იმ მიზნით, რომ იმან ჩემთან სასახლეში იცხოვროს და მე შეეცნიერება მასწავლოს?

— ცხადია, ოღონდ იმ პირობით, რომ მე ყველაფერი მეცოდინება.

— მამაო ჩემო, განა თქვენ ამაში ეჭვი შეგაქვთ?

— არა! შვილო ჩემო, მე ვიცი შენი გულმოდგინება.

მოჩენიგომ მიიღო კურთხევა და წავიდა ბართლომესაგან, რომელიც უცდიდა კიბეზე, ვიდრე მოჩენიგოს ფეხის ხმა არ მიწყდა. მაშინ მან დაიფშვნიტა თავისი რბილი ხელები და მისი შავი თვალები, როგორც მგელს, გაუბრწყინდა.

— ჩამოვიდეს ვენეციაში, — წაიბუტბუტა მან.

ამის შემდეგ მან შკაფიდან ამოიღო ბრუნოს წიგნები, რომელიც უთუოდ მან იმავე ჩიოტოსთან იყიდა. მან გაშალა ერთი მათგანი, რომელიც შენიშვნებით იყო გადახაზული და შემდეგი ფრაზა ამოიკითხა: „თითოეული, რომლის გვერდით შეიარაღებული სიბრძნის ქალღმერთი დგას არ უნდა სთვლიდეს თავის თავს უპატრონოდ, თუ საქმე იმაშია, რომ თავიდან აიცილო სიბრძნით ან დასძლიო მოთმინებით ის, რასაც ჩვენ ბედი გვარგუნებს. საერთოდ დედამიწაზე ადამიანის ცხოვრება იგივეა, რაც ომის მდგომარეობა. მან უნდა დათრგუნოს უსაქმოთა სიმდაბლე, შეზღუდოს თავხედობა, და თავიდან აიცილოს შეტევა“.

სიტყვები „სიბრძნის ქალ-ღმერთი“ აბატმა სამჯერ გახაზა ფრჩხილით. ვნახოთ, დაგიცავს თუ არა შენი ქალ-ღმერთი, — წაიჩურჩულა მან და შეხედა შორს მოციმციმე ალპების მოხაზულობას, რომლის გადალმაც ჯერ კიდევ მიმალული იყო ჯორდანო ბრუნო.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, მოჩენიგო მაინც გაემგზავრა ჩიოტოსაკენ, რომელიც ის იყო კეტავდა თავის დუქანს დიდი ბოქლომით.

დიდხანს ეჩურჩულა იგი წიგნის გამყიდველს, ხოლო ის ბუტბუტებდა: „დიახ, სინიორო“ და თან თავს აქნევდა.

— თქვენ როდის წახვალთ ფრანკფურტში? დასასრულ კითხა მოჩენიგომ.

— ხუთი, ექვსი დღის შემდეგ.

— ძალიან კარგი. ვიმეორებ, მას ნურაფრის შიში ნუ აქვს. ვენეციაში მას ჩემთან არავითარი ხიფათი არ მოელის.

ჩიოტომ დაბლა დაუკრა თავი.

მოჩენიგომ გაცურა გონდოლით და თან განთქმულ სასახლეებს შეყურებდა. მონტებელოს სასახლის წინ მრავალი ცარიელი გონდოლი იდგა. განათებულ ფანჯრებიდან გამოკრთოდა მოცეკვავეთა აჩრდილები. მუსიკა გრიალებდა. მოისმოდა მხიარული ხმები. მეგონდოლეებს ეძინათ ბატონების მოლოდინში.

მოჩენიგო იმაზე ოცნებობდა, თუ ბრუნოს დახმარებით როგორ აღმოაჩენდა ოქროს კეთების საიდუმლოებას. იგი სახელს გაითქვამს მთელს მსოფლიოში, და მაშინ ვენეციაში ყველა ბედნიერად ჩათვლის მის სტუმრობას. ყველა იამაყებს დიდი სწავლულის ჯოვანნო მოჩენიგოს მეგობრობით. მაშინ ოქროს თმიანი ლამაზი ქალი, რომელიც დღეს აღტაცებული იყო მონტებელლოს სიგიჟით, ინანებს რომ თავის ღიმილს არ უძღვნიდა ჯოვანნო მოჩენიგოს, მაგრამ მაშინ გვიან რქნება.

გონდოლი მისცურავდა მის სასახლესთან; სადაც მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო განათებული. მსახური დაეხმარა თავის ბატონს გონდოლიდან გამოსვლას. მოჩენიგო შევიდა თავის კაბინეტში, რომელიც ავსებული იყო თხელი, დიდი და პატარა წიგნებით. მოჩენიგო უცებ მოუჯდა მაგიდას და წიგნი გაშალა. მსახური მოკრძალებით გავიდა. 5 წუთის შემდეგ ჯოვანნოს თვალები ელულებოდა, რამდენჯერმე დააამთქნარა, ბოლოს მან ვერ სძლია ძილს და იქვე ლოგინზე წამოწვა. ღია ფანჯარაში ზღვის ჰაერი შემოდიოდა, არხიდან სერენადის ხმა და ლამის მოსეირნეთა სიცილი მოისმოდა — იღვიძებდა ლამის ვენეცია.

ეს სიმღერა და ზღვის ჰავა უთუოდ დაესიზმა ბრუნოს შორეულ მოწყენილ ფრანკფურტში.

წმინდა ქსელი გაბმული იყო და მსხვერპლს უცდიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ წიგნის გამყიდველი ჩიოტო ფრანკფურტში გაემგზავრა.

8. „მიეძღვნა მის უუწმინდესობას“.

საღამო ახლოვდებოდა. სიბნელე თავს იყრიდა პატარა ოთახში, რომელიც წიგნებით, ხელთნაწერებით და ნახაზებით იყო სავსე. ფანჯრიდან ძველი ქალაქის, ფრანკფურტის წვეტიანი სახურავები,

სამრეკლოები და პატარა კოშკები მოსჩანდა. ისმოდა თუ როგორ ხლანძღებოდენ მენავეები მაინზე.

ჯორდანო ბრუნო ჩქარი ნაბიჯით დადიოდა წინ და უკან ამ ოთახში. ხოლო ჩიოტო თავდახრილი იჯდა ტყავის სავარძელში და დაღვრემილი უცქეროდა ამ ახალგაზრდა სწავლულს, რომელსაც ჩიოტტო (რომელიც თითებზე იცნობდა ყველა ბრძენებს, ძველს და ახალს) ნამდვილ სწავლულად ესთვლიდა.

— მე წამოვალ, ჩიოტტო! — ბოლოს დაიყვირა ბრუნომ — პატიოსან სიტყვას ვამბობ წამოვალ... მე მინდა იტალიაში წასვლა. მე მომბეზრდა ეს ხეტიალი. მე არ მრწამს... მე არ მინდა ვიწამო, რომ იქ, სამშობლოში, დაღუპვა მომელის. დაღუპვა მშვენიერ ქვეყანაში... დაღუპვა ჩვენი ლურჯი იტალიური ცის ქვეშ... არა, ეს შეუძლებელია, არ შეიძლება. აბა მითხარ, ჩიოტტო, განა შეიძლება იტალიაში დაღუპვა?

ჩიოტტომ ამოიოხრა.

— თუ მიიმალებით ღამით ცოტათი მოშორებით ამოოხრების ხიდიდან, მაშინ უეჭველად გაიგონებთ წყლის ხმაურს არხში. ეს თევზები კი არ არიან, სინიორ, ბრუნო... ეს წმინდა მარკი თავის მართლმსაჯულებას დღესასწაულობს... აქ დასჯილს აგდებდენ, სინიორ ბრუნო, წყალში. დასჯილს ან მკვდარს ციხეში... ახ, სინიორ ბრუნო, ღრმაა ჩვენი სასახლის სარდაფები, იქ არასოდეს არ შეიხედავს მზე, რაც თქვენ ასე გიყვართ...

— ვიცი. ყველაფერი ეს ვიცი, ჩიოტტო... მაგრამ რა ვუყოთ... ყველა ხომ არ იღუპება... შენ ხომ უვნებელი ხარ და ცოცხალი.

— ჩიოტტომ გაიღიმა.

— სინიორ ბრუნო, მე ეს წიგნები არ დამიწერია. თუ პაპის ნუნცია, ლიუდოვიკე ტაბერნა, შემაჩერებს ხიდზე და მეტყვის მე, რომ კოპერნიკი ცრუობს, მე მხოლოდ ამინს ვეტყვი, მივიღებ მისგან კურთხევას და გზას გავუდგები. თქვენ კი რას ეტყვით?.

ბრუნომ არაფერი არ უპასუხა და ისევ ოთახში დაიწყო სიარული.

— თქვენ კი დაიწყებთ მტკიცებას, რომ კოპერნიკი მართალია, განაგრძო ჩიოტტომ, თქვენ, უთუოდ, მატყუარას უწოდებთ კიდეც პაპის ნუნცის.

და მაშინ რა მოხდება?... მართლა, ინკვიზიციამ ეხლა ახალი საშუალება გამონახა ცოდვილთა სულის სახსნელად, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ახალი საშუალება მათი სხეულის მოსპობისა. მისჯილს დასდებენ ფიცარზე, რომელიც თვითონ ორ გონდოლზე სდევს. გონდოლები გადიან მდინარის შუა გულში და იქ სხვადასხვა გზით წავლენ. ფიცარი ეცემა წყალში და მასთან ერთად ცოდვილის სხეულიც: ცოდვილი შეკრულია ხელ-ფეხში და კისერზე ქვა აქვს ჩამოკიდე-

ბული. ეს ხდება ღამით, სინიორ ბრუნო, როდესაც მთელი ვენეციაგიტარებსა და ვიოლინებზე მხიარულებს... შეიძლება, როდესაც წყალში ვარდება, ცოდვილს ესმის ის მელოდია, რომლის ხმაზე ჩვენ თავის სიცოცხლეში რამდენჯერმე ცეკვავდა, იმღერდა, სიყვარულს ეფიცებოდა... ახ, სინიორ ბრუნო, ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში გული, მართლაც, მსუბუქად ძგერს... მაგრამ ასევე ადვილად შეიძლება უცებ შეჩერდეს მისი ცემა...

ბრუნო უცებ შეჩერდა.

— ჩიოტტო! მე თქვენ არ შეგეზიზღებით?

— მე თქვენ? შემზიზღდეთ?

ბრუნომ თაროდან ხელნაწერი ჩამოიღო.

— შეხედეთ.

ჩიოტტომ ჩახედა ხელნაწერს თავისი ბეცი თვალებით; ისე რომ თითქმის შეეხო პერგამენტს თავისი მოკაუჭებული ცხვირით.

— „შვიდი თავისუფალი ხელოვნების შესახებ“ — წაიკითხა მან.

— ეხლა გადაფურცლეთ გვერდი.

ჩიოტტომ გადაფურცლა.

— ეძღვნის მის უწმინდესობას... პაპას... კლიმენტი მერვეს.

წიგნის გამყიდველმა გადასდო გვერდზე ხელთნაწერი და თავი ჩაქინდრა.

— გეზიზღებით? — ჰკითხა ბრუნომ.

ჩიოტტო წამოდგა.

— სინიორ, მე უკანასკნელი ქოფაკი ვიქნებოდი, რომ გამებედნა შენი შეზიზღება. თქვენ ცხოვრება გინდათ, სინიორ ბრუნო, თქვენ გინდათ ნახოთ მშობლიური ქალაქები და გზები. ამისათვის თქვენ უნდა შეურიგდეთ პაპას... სინიორ ბრუნო, შეურიგდით, ჩამოდით ჩვენში, გახდით კეთილი კათოლიკე.

მე დავბეჭდავ თქვენს თხზულებებს.

ჩიოტტოს წასვლის შემდეგ ბრუნო დიდხანს იდგა დაფიქრებული ფანჯარასთან. ფანჯარა სამხრეთისაკენ გადიოდა. იქ, ამ სახურავებს გადაღმა იტალიაა. შორს, ძალიან შორს — ხოლო იტალიაში ან სიკვდილი ან სიცოცხლე. აქ კი არც სიცოცხლეა და არც სიკვდილი.

ბრუნო მოსცილდა ფანჯრებს და ნაღვლიანად დაიწყო თავის ნაწარმოების სინჯვა. აი, კომედია, „მნათობი“ სადაც იგი დასცინოდა თავისი დროის ცრუმორწმუნე ხალხს; აი, „ნოეს კიდობანი“ ისევ კომედია, კათოლიკეების წინააღმდეგ მიმართული... ეს ორივე წიგნი მან ნეაპოლში დასწერა, საიდანაც მაშინ გაქცევას ფიქრობდა... და აგერ, ძველი სიყრმის ლექსები, აი, ის რომელსაც იგი იმღერებდა თავის ბნელ სენაკში ჯდომის დროს.

მინდა ავფრინდე აუცილებლად
ვისწრაფი მაღლა, სულ ზევით, ზევით
მაგრამ აფრენისთანავე ეს დედამიწა უკანვე მიხმობს,
და მე ვეცემი; ვით ძველი შვილი დედალისა.

რამდენი ხანია ეს იყო! სად არის ეხლა რიბელლო? აი, კიდევ „იდეათა აჩრდილი“ მოკრძალებით მიძღვნილი: „მის სამეფო უდიდებულესობას ფრანგების მეფეს ჰენრიხ მე-3-ეს“, ხოლო მისი სამეფო უდიდებულესობა ჰენრიხ მესამე დიდი ხანია საფლავში ლპება. დომინიკანელის მიერ მოკლული.

აი, ის წიგნები, რომელთა გამო ბრუნო უუსაშინელეს ერეთიკოსთა რიცხვში მოყვა.

„ყოველივეს დასაწყისის და მთლიანის შესახებ“, „გამარჯვებული პირუტყვის განდევნა“ „პეგასის ცხენის საიდუმლო სწავლება სილენის ვირის ასეთივე სწავლების დართვით“, „რაინდულ ენტუზიაზმის შესახებ“ რამდენი ცეცხლი, რამდენი სისხლი, რამდენი ძალა შესწირა მან ამ წიგნებს!

უგუნურებისადმი ზიზღით გამსჭვალული სწერდა იგი ამ წიგნებს. როგორ უხაროდა, როდესაც მას ესმოდა აღელვებული ყვირილი ბრიყვთა, უმეცართა და მხდალებისა...

და აი, ეხლა: „უძღვნის მის უწმინდესობას“...

ბრუნო გაფითრდა, და მისი მუშტები ნერვიულად შეიკუმშა.

„მისი უწმინდესობას“...

მოხუცი მსახური ქალი ამ დროს ოთახში შემოვიდა.

— უკვე სრულიად ბნელა, ბატონო პროფესორო, — უთხრა მან, თქვენ კი სანთელს არ ანთებთ... და ცივა კიდეც თქვენს ოთახში. მან შანდლებზე სანთლებს მოუკიდა, შემდეგ აიღო ერთი მათგანი და შეუნთო ბუხარში შეყრილ ქაღალდების გროვას. ცეცხლმა მხიარულად შეითამაშა.

ასე სჯობს, — სთქვა დედაბერმა. და ბუხარში კიდევ ორი ნაჭერი შეშა შეაგდო. გასვლისას მან იქვიანად მიმოიხედა. მტვერიან ოთახში, რომლის გამოგვის ნებას ბრუნო იშვიათად აძლევდა. მას არ უყვარდა, რომ მისი წიგნები გადაელაგებიათ ადგილიდან ადგილზე.

ცეცხლი კარგად აინთო და აგუგუნდა.

ბრუნო ვერ მოსცილდა ცეცხლის ამ ცოცხალ სანახაობას. აი, მათ ერთ წუთში, ხუმრობით ჩაყლაპეს რაღაც ქაღალდი. ერთი წუთით ცეცხლი შენელდა, თითქოს ძალას იკრებდა. მაგრამ ქაღალდის გროვაში რაღაც მოძრაობა მოხდა და უცებ აინთო ელვარე ალით.

ნაპერწკლები აირივნენ და წყება-წყებად მიიმალნენ ბუხრის ბნელ მილში.

ბრუნომ აძიგძიგებული ხელებით აიღო ხელთნაწერი, რომელიც პაპისადმი იყო შიძღვნილი. ის მიუახლოვდა ბუხარს.

რატომ არ უნდა დარჩეს იგი სამუდამოდ ფრანკფურტში? აქ მას არავინ სდევნის. ბრუნო უკვე სახელგანთქმულია მთელს ევროპაში. ბრუნოს სახელი უეჭველია გადავა ისტორიაში.

ეგი ეხლა ველარ მოკვდება. ეს სახელი წმინდაა და ლაქა წაუცხებელი. ეს იმ ადამიანის სახელია, რომელმაც შეუტია სიბნელეს და ბრძოლას არ შეუშინდა. ნუ თუ ეს სახელი ამ წიგნით უნდა შერცხვეს, რომლითაც მთელი ეს ბრძოლა არარად იქცევა? ჯორდანო ბრუნო... და უცებ... „ეძღვნის მის უწმინდესობას". რას იტყვის შთამომავლობა? და ბრუნომ შეაგდო ბუხარში მძიმე რვეული... ის ჩავარდა ალში და ერთბაშად თითქმის ჩააქრო იგი. ახლა კი შავს ოთხკუთხედს გავდა, ცეცხლის სინათლით გაჩირაღდნებული. იტალია? მზე? ზღვა? ბრუნო უცებ დაიხარა და გამოსტაცა ალს ხელნაწერი. ცეცხლის ენები მას არ უპირებდენ გამოშვებას. მათ უკბინეს ბრუნოს თითზე. მან შეუბერა, კვამლად აქცია და მომწვარი თითი მოსწოვა. მხოლოდ ცოტათი მოიწვა უკანასკნელი გვერდების ნაწილები... დეე, საუკუნოებში შერცხვენილ იყოს ბრუნოს სახელი, სამაგიეროდ იგი იცხოვრებს ისე, როგორც თვით უნდა. კმარა ეს. მუდმივი ბრძოლა, სულ ერთია ჭეშმარიტება ადრე თუ გვიან ყველას მიერ ცნობილი იქნება. ღირს მისთვის, თავის დაღუპვა? მომწვარი თითი საშინლად სტკიოდა, რა ძლიერ წვავს წყეული ალი! ბრუნომ ხელი დააქნია. მას მოაგონდა თქმულება ძველ რომაელ მუცია სცევოლზე, რომელშაც მტრეებისათვის, რომ რომაელთა ვაჟკაცობა დაემტკიცებია — თავისი ხელი ცეცხლზე დასდო. ხელი იწოდა, ხოლო მუცია დამშვიდებული ესაუბრებოდა მტრის ბელადს, რომლის თვალებში შიში მოსჩანდა, ალბად სიამოვნებდა მუციას ეს შიში. ხელი დასწვა. მაშინ, როდესაც თითის მოწვაც კი ძნელია, აუტანელი ტკივილია. არა, უნდა ვიცოცხლო, უნდა ვიცოცხლო, ბრუნომ ხელთნაწერი მაგიდაზე დასდო. როდესაც დილით მსახურმა საუზმე მიუტანა, ის სავარძელში ზძინარე დახვდა. მაგიდაზე კი ბევრი ქაღალდი ეყარა, რომელიც სულ დაწერილი იყო. დედაბერმა იცოდა, რომ ასე სწერს უცნაური პროფესორი თავის ლექსებს... მაგრამ დედაბერს იტალიური არ ესმოდა და საერთოდ კითხვაც არ იცოდა.

მისთვის ცარიელი უაზრობა იყო თეთრ ქაღალდზე გაკეთებული შავი კარაკულები. რამდენ ხანს უყურებდა იგი ამ ქაღალდებს, მაგრამ ვერც ლურჯ ზღვას ამჩნევდა და ვერც ნათელ მზეს, ვერც მწვანე ვენახებს და ვერც თეთრ დახვეულ გზებს, რომლის შესახებაც

ლაპარაკობდენ ეს შავი კარაკულები, ლაპარაკობდენ ასეთი სიყვარულით და ასეთი ნაღველით.

4. ფილოსოფოსი კარგი მადით.

თქვენ დაიწვავთ სახეს მზისგან სინიორ ბრუნო. — ეუბნებოდა მოჩენიგო, შეყურებდა რა ბრუნოს ფერმკრთალ სახეს — თქვენ ჩრდილოეთიდან ჩამოდით და ჯერ კიდევ ვერ მიეჩვიეთ ჩვენს, თუმცა თქვენსაც, მზეს. მე სულ მავიწყდება, რომ თქვენ იტალიელი ხართ, თუმცა დიდ ადამიანებს სამშობლო არ აქვთ.

მოჩენიგო გაჩუმდა, რადგან ბრუნო მას აშკარად ყურს არ უსმენდა. ამ ქებასაც არ ათხოვა მან ყური და თუ ბრუნო ილიმებოდა იმიტომ კი არა, რომ მოჩენიგოს საუბარი ატკბობდა მის ყურებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იტალიის მზე მართლაც სწვავდა მის სახეს. მაგრამ რამდენად არ გავდა ეს მზისაგან დამწვარი, ცეცხლისაგან დამწვარს. ბრუნომ პერანგის საყელო შეიხსნა, რომ მზე მიალერსებოდა მის კისერს, მკერდს და ბეჭებს. მოჩენიგო და ბრუნო სასახლის ტერასზე ისხდენ, რომელიც დიდ არხზე გადიოდა და თუ მზე სწვავდა, ნაცვლად აგრილებდა ზღვის მსუბუქი ნიავი, რომელსაც მარილის და თევზის სუნი ასდიოდა.

— რა კარგია — სთქვა ბრუნომ — ძვირფასო სინიორ მოჩენიგო! ოხ, რა კარგია!

— მე, ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენ კმაყოფილი ხართ, სინიორ ბრუნო, — უთხრა მოჩენიგომ, რომელიც უკვე შეურაცყოფილი იყო სტუმრის უყურადღებობით, — მე ვფიქრობ, რომ თქვენ კარგად მოისვენეთ დიდი მოგზაურობის შემდეგ და უარს არ იტყვით დაათვალიეროთ ჩემი ბიბლიოთეკა.

იგი, შეადგინეს ჩემმა მამა და ბაბუამ, მაგრამ მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამი მეოთხედი ჩემ მიერ არის მოტანილი. სამი ათასი წიგნი, თუ არ ჩავთვლით ხელთნაწერებს და გრავიურებს...

— ახ! სინიორ მოჩენიგო, ნუ გეწყინებათ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ ეხლა თქვენი წიგნების თავი არ მაქვს. თქვენ ხომ მიეჩვიეთ იტალიის სუნს და მე კი მხოლოდ ეხლა ვიწყებ კვლავ შეჩვევას. თქვენ გულგრილად შესცქერით ამ ნიავს, ამ ცას და წყლის ხმაურობას არხში... და მე კი ვდნები ყოველი გონდოლის შეხედვით... მე მზად ვარ დავიყვირო ჩვენი ვენეციელი პოეტის არეტინოს სიტყვები: „რაც შემეხება მე, მე მინდა, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ გონდოლად ან მის ფარდულად გადამაქციოს ღმერთმა, და თუ მეტის მეტია, ნიჩბით მაინც, ან იმ ჯამად, რომლითაც წყალს ამოწურავენ გონდოლიდან“.

— თქვენ გჯერათ, რომ ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ ასეთ რამედ გადაიქცევა? — შეეკითხა მოჩენიგო და უნდოდა სამეცნიერო დავისათვის მომზადებულიყო. ბრუნომ გადაიხარხარა.

— ეს პოეტური ბოდვაა, სინიორ მოჩენიგო, რომელიც ადამიანის გრძნობებს გამოხატავს, ლამაზად არის ნათქვამი და მეტი არაფერი.

— მაგრამ სულთა გადასახლება, როგორც ფილოსოფიური მოძღვრება, შესაძლებელია, — სთქვა მოჩენიგომ, — მე ბიბლიოთეკაში..

— არავითარი ბიბლიოთეკა! არავითარი ფილოსოფიური მოძღვრება! ამჟამად მე მზის მონებაში ვარ და აშკარად გეტყვი, რომ ახლა ჩემთვის სულ ერთია დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, თუ მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო. ოღონდ იგი მუდამ ასე ანათებდეს... და არაფერი არ ფარავდეს ჩემგან მის ბრწყინვას... არა, ეგერ თეთრი ღრუბელი მიცურავს; კარგო ღრუბელო, გთხოვ მზეს ნუ გადაეფარები. აი, ხედავთ რა წესიერია ღრუბელი. დაიჯერა და არ გადაეფარა. მოჩენიგო განცვიფრებული შეყურებდა უცნაურ სწავლულს, რომლის სიტყვები მასში ასეთ შურს იწვევდა. მეცნიერთა წრეში ისე არ წარმოითქმოდა ბრუნოს სახელი, რომ არ გამოეწვია ან აღტაცება, ან სიძულვილი.

მაგრამ მოძულენიც კი აღტაცებული იყვნენ ბრუნოს სწავლებით, რომ მოჩენიგოს ამ სახელს ერთი მეათედიც რომ ქონოდა, იგი ძლივს გასცემდა ხმას ადამიანებს, ის განსაზღვრულ საათებში ისეირნებდა წმინდა მარკის მოედანზე, არც შეხედავდა არავის, თითქოს თავის დიდ ფიქრებში იყო გართული, გარშემო კი ყველა ჩურჩულით იტყოდა; ეს მოჩენიგო მიდის, დოქტორი მოჩენიგო გენიალური მოჩენიგო... და შემდეგ? ადამიანი, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო ამავე წუთში ყველაზე აბსოლუტურ კაცად ვენეციაში, ამჟამად მზეზე სიამოვნებისაგან იზმორება, როგორც ხვადი კატა, და არ უნდა არაფერი იცოდეს არც მეცნიერების და არც წიგნების შესახებ, ასეთს არ მოელოდა და არც უნდოდა ენახა მოჩენიგოს ეს დიდი მეცნიერი; ის ოცნებობდა გრძელ საუბარზე ლათინურ ფრაზებით და სხვადასხვა წიგნების ციტატებით. უთუოდ ბრუნომ იცის წინასწარმეტყველება ბედის შესახებ ვარსკვლავების მიხედვით, და კალიდან ოქროს გაკეთება. მხოლოდ, უთუოდ, მას არც ოქრო უნდა, თუმცა თან რაღაც ერთი დახვეული მოიტანა. მოჩენიგოს კი ამდენი ოქროს ჭურჭელი, ვაზები, კანდელისები და სხვა აქვს. მას მაინც კიდევ უნდა ოქრო, რაშია საქმე? ან შეიძლება ეს ბრუნო არ არის? მოჩენიგო ათრთოლდა. შეიძლება მართლაც ვინმე გამვლელია, სახით ცოტათი წააგავს ბრუნოს, შეიძლება მოჩენიგოს ნდობით ისარგებლა?

ამ დროს მსახურმა მოახსენა, რომ საუზმე მოტანილია.

— ო, — სთქვა ბრუნომ, — ჭამაზე უარს ვერ ვიტყვი. ამ ჰაერში მიცვალებულსაც კი მოუვა მადა. ხოლო ცოცხალი კი შიმშილით მოკვდება.

იმათ გაიარეს მშვენიერი დარბაზები, რომელნიც მზით იყვნენ განათებული.

კედლებთან და კარებთან ყველგან იყო სხვადასხვა შკაფები და წიგნები, სულ წიგნები და წიგნები... ბრუნო უცებ მივარდა ერთ-ერთ შკაფთან და რომელიღაც წიგნი ამოიღო. ეს მეტად არაჩვეულებრივი თხზულება იყო მათემათიკის დარგში, რომლის მოჩენიგოს არასფერი არ გაეგებოდა.

— ჩემი ეგზემპლიარი! — დაიყვირა მან. ეს წიგნი მე მივყიდე ჩიოტტოს, იმან კი უთუოდ, თქვენ მოგყიდათ. ხედავთ ჩემს შენიშვნებს. აქ მე ერთ დიდ შეცდომას ვხედავ; ნაცვლად X^2 დაბეჭდილია X. აი, მე გავასწორე... მაგრამ ეს მეტად ძნელი წიგნია.

— მე კი პირიქით ვიტყოდი, — მე ყველაფერი გავიგე. თავმომწონედ წარმოსთქვა მოჩენიგომ.

— უნდა გამოვტყდე, ერთი ადგილი ვერ გავიგე... როგორ გესმით თქვენ წინადადება?

— სინიორ ბრუნო, — თქვა მოჩენიგომ, შეითვისა რა ბრუნოს ზანერა, როდესაც საუზმე ცივდება, მე მათემატიკისათვის არა მცალიან.

— სწორია! — დაიყვირა ბრუნომ, — ეშმაკმაც წაიღოს იგი! მან წიგნი ისევ შკაფში შესდო. მოჩენიგომ თავისუფლად ამოისუნთქა, მას საშინლად შეეშინდა, რომ ბრუნო ერთბაშად გამოააშკარავებს მის უცოდინარობას მათემათიკის ზოგიერთ ძირითად საკითხებში. ვეებერთელა სასადილოში თოვლივით სპეტაკ სუფრაზე ოქრო და ვერცხლი ბრწყინავდა.

გთხოვთ — მიიპატიჟა მასპინძელმა.

სტუმარმა დიდის სიამოვნებით მიჰყო ჭამასხელი.

5. ნანადირევს გრძნობენ.

ვენეციის ეპისკოპოსი ლორენცო პრიული უკვე იწვა, როდესაც მას მოახსენეს, რომ მისი ნახევა სურს საჩქარო საქმეზე მამა ბართლომეს.

თუ საქმე ძლიერ საჩქაროა, შემოვიდეს, — სთქვა ეფისკოპოზმა იცოდა, რა, რომ მამა ბართლომე უბრალო საქმეზე არ შეაწუხებდა. მან ანიშნა მსახურს კიდევ აენთო რამოდენიმე სანთელი, რომ უკეთ განათებულიყო ვეებერთელა საწოლი ოთახი. ეფისკოპოზს არ უყვარ-

და როდესაც ოთახის კუთხეები ბნელით იყო მოცული, ვენეციის სიბნელეში ჯაშუშებს უყვარდათ დამალვა.

— რაშია საქმე? — კითხა მან სტუმარს — და ზურგიან საფარ-ცელზე მიუთითა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ჯორდანო ბრუნო, ფრეთი-კოსია, რომელიც წინალუდგა კათოლიკურ ეკლესიას...

— მერე...

— რომელმაც შეიზიზღა და ჩაწიხლა წმინდა დომინიკეს ანაფო-რა და გაიქცა მონასტრიდან...

მერე...

— რომელიც ასწავლიდა, რომ არა დედამიწა, არამედ მზეა სამყაროს ცენტრი, თუმცა არც პტოლომეს, არც არისტოტელეს, არც თომა აქვინელს ასეთი თვალსაზრისი არ გამოუთქვამთ და მხოლოდ საზიზღარმა კოპერნიკმა, პაპის გულით გაკიცხულმა, გაბედა ამ თვალსაზრისის გამოთქმა...

— მერე...

— ამჟამად ვენეციაში იმყოფება.

ბართლომეს მიერ წარმოთქმულმა გრძელმა ფრაზამ დაქანცა ეპისკოპოსის ყურადღება, რომელსაც ამასთანავე ძლიერ ეძინებოდა. ამიტომ მას ფრაზის დასაწყისი დაავიწყდა და ვერ გაიგო თუ ვინ იმყოფება ვენეციაში. არისტოტელე? თომა აქვინელი?

ისინი ხომ დიდი ხანია, რაც მოკვდენ! — თქვა მან, მთქნარების შეჩერებით.

— ჯორდანო ბრუნო მოკვდა? იგი ვენეციაშია.

— ჯორდანო ბრუნო ვენეციაშია?

— დიახ, ვენეციაშია...

— და თქვენ იმაში დარწმუნებული ხართ?

— დარწმუნებული ვარ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ჯორდანო ბრუნო ყოველ მხრივ გემრიელი ლუკმა იყო. ერთგვა-რად სასიამოვნო იყო მისი როგორც მოსპობა, ისე ჭეშმარიტი ეკლე-სიის წიაღში დაბრუნება. უკანასკნელი უფრო სასიამოვნო იყო.

— ის თავისუფლად არის?

— თავისუფალია.

— თვალყური ადევნეთ მას, არ გაუშვათ არსად ვენეციის რეს-პუბლიკის საზღვრებიდან. ისინი დადუმდენ და ერთმანეთს გადახედეს.

ორივეს ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა თავში. დიდი სახელი იქნება ვენეციელი ხელისუფლებისათვის თუ ბრუნოს თავიანთ ქსელ-ში გააბამდენ. სჩანდა ძველი უთანხმოება ვენეციასა და რომს შორის-

— ჩვენ მას აქ განვსჯით და ან აქ დავაბრუნებთ ჰეშმარიტი ეკლესიის რწმენისადმი, ან...

ეპისკოპოზმა ამოისუნთქა.

— თქვენ უკვე ელაპარაკეთ მამა ინკვიზიტორს?

— ჯერ არა.

— და ნურც ეტყვით. ჩვენ თვითონ ვადევნოთ მას თვალყური, ცოტა ხანს შემდეგ კი მოვახსენოთ მამა ინკვიზიტორს, რომ აი, უკვე რამოდენიმე თვეა ვენეციაში ცხოვრობს ბრუნო ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ...

მამა ბართლომემ დააფასა ეს აზრი — ჩაეყენებიათ სულელურ მდგომარეობაში მამა ინკვიზიტორი, რომ იმას თავისი თავი არ ჩაეთვალა ყველაზე გონიერად და შორს მჭვრეტელად...

— მაგრამ ოლონდ ბრუნო არ გაქრეს სადმე! — შეშფოთებით დაუმატა ეპისკოპოსმა.

— მამაო, უკვე ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდენ. ჩემი სულიერი შვილი მოჩენიგო, რომელიც ამას უნებლიეთ სრადის და მისი მსახურები, რომელთაც ამისათვის განსაზღვრული რაოდენობის ოქრო და ვერცხლი ეძლევა...

— მაგრამ რა ბედნიერებაა რომ ბრუნო პირდაპირ რომში არ წავიდა. მაშინ მას პაპა და რომის ინკვიზიციის ბელადი მადრუჩი შეიპყრობდა.

— მამაო, — მოკრძალებით უთხრა ბართლომემ, — ნაწილობრივ ეს ჩემი გაკეთებული საქმეა. ჩემის რჩევით მოჩენიგომ მიიწვია ბრუნო ვენეციაში.

— თქვენ ძალიან ჭკვიანად მოქცეულხართ, ჩემო მეგობარო... მაგრამ ბრუნო...

— სულელურად მოიქცა... სრული სიმართლეა, მამაო ღამე მშვიდობისა.

მამა ბართლომე გავიდა ვეებერთელა საწოლი ოთახიდან.

სანთლების ჩასაქრობად მსახური შემოვიდა.

— მოიცა — სთქვა ეპისკოპოსმა, — შემოიარე ყველა კუთხე სანთელით და თვითოეული გაანათე... ნიდაყვზე დაყრდნობილი ეპისკოპოსი თვალყურს ადევნებდა მსახურს.

არც ერთ კუთხეში არაფერი არ იყო, გარდა შტოფისა. მსახურმა ორ ადგილას ობის ქსელი შეამჩნია, მაგრამ ეპისკოპოსს ეს არ უნახავს. უთუოდ, ობობის ქსელს იგი არ ეძებდა. შემოიარა კუთხეში მსახურმა და ასეთ შემოვლას შეჩვეულმა, სანთელი ჩააქრო, თავი დაუკრა და ფეხაკრეფით ოთახიდან გავიდა. სწორედ ამ დროს მამა ინკვიზიტორი ჯოვანი გაბრიელი თავის ჯაშუშებს ღებულობდა. მოისმინა რა ერთი მათგანის მოხსენება, მან სთქვა:

— თვალყური ადევნეთ ამ კაცს, თვალიდან არ გაუშვათ, ეპისკოპოსს ჯერ არ მოახსენოთ, დეე მან შემდეგ გაიგოს, რომ თუ არ ინკვიზიცია, ეს ხელიდან გაუშვებდა ასეთ სახელგანთქმულს და საშინელ ერეთიკოსს. ჩვენ ის შევიპყროთ მაშინ, როდესაც საჭიროდ დავინახავთ. ამ დროს მოჩენიგოს სასახლის ტერსოდან ბრუნო სტკბებოდა მშვენიერი ვენეციის მთვარით. ღამე გრილი იყო, მაგრამ ჩუმი, და გონდოლები ცხვირზე ფანრით ნელად მისრიალებდენ არხზე.

6. ცუდი მასწავლებელი

როდესაც მოჩენიგო ბრუნოს იწვევდა ვენეციაში, ის დარწმუნებული იყო, რომ მისი მეშვეობით იგი ეზიარებოდა ყოველგვარ საიდუმლო მეცნიერებას და დასასრულ შეიძენს დიდი მეცნიერის სახელს. მამა ბართლომემ აღუთქვა მოჩენიგოს, რომ ბრუნო დევნისაგან დაფარული იქნებოდა. მოჩენიგოს თავისი თავი უკვე წარმოდგენილი ქონდა ყველაზე სწავლულ და მდიდარ ადამიანად. ახლა კი მას იმედები გაუცრუვდა ბრუნო მართალია, ბევრს სწერდა და ბევრს კითხულობდა, მაგრამ მოჩენიგოსთან სამეცნიერო თემებზე თითქმის არ საუბრობდა. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ბრუნომ მაშინვე აუღო ალღო მდიდარი ვენეციელის უმეცრებას და სიბრიყვეს და ამიტომ, სრულიად აღარ აინტერესებდა იგი. მხოლოდ თავის დასაღწევად იგი ხანდისხან ლექციებს უკითხავდა ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში. მაგრამ რადგანაც არავითარი ცოცხალი საუბარი არ იმართებოდა (მოჩენიგო მხოლოდ მედიდურად აქნევდა თავს), ბრუნოს ესეც მოსწყინდა. ბრუნოს მოსწყინდა ასეთი ცხოვრება. ერთხელ ქალაქ პადუაში წავიდა. რომ იქაურ უნივერსიტეტში ლექციები წაეკითხნა (პადუა ვენეციის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა). წმინდა მამებმა ნება დართეს იქ წასვლაზე, რადგანაც მათ უნდოდათ გაეგოთ, თუ რას იქადაგებდა ბრუნო პადუაში.

მაგრამ მას დიდის მოკრძალებით ეჭირა თავი და ჩქარა დაბრუნდა კიდეც ვენეციაში. მისი ურთიერთობა მოჩენიგოსთან წახდა. პირველი უთანხმოება ვარსკვლავების გამო შეექმნათ.

მოჩენიგომ სასახლის სახურავზე პატარა მოედანი გააკეთა ასტრონომიულ დაკვირვებისათვის. ერთ საღამოს ის და ბრუნო ისხდენ ამ მოედანზე. ბრუნო დაკვირვებას ახდენდა პლანეტებზე. მაგიდაზე, რომელსაც ლურჯ მინიანი ფანარი ანათებდა, ეწყო ნახაზები, ცირკულები და სახაზავები.

— ოხ, რა სუსტია ადამიანის თვალები? — აღელვებით დაიყვირა ბრუნომ. როგორ მინდოდა ეს ვარსკვლავები რაც შეიძლება ახლოს

შენახა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფრთები არა მაქვს, ხოლო ვარსკვლავებს თავისთან ვერ მიიზიდავ.

— განა ვერავინ დაგეხმარებოდათ ამ ფრენაში? — კითხა მოჩენიგომ.

ამით ის დემონების შესახებ ლაპარაკობდა, რომელთა გამოხმობა, მისი აზრით, ბრუნომ იცოდა. ბრუნომ მხრები ასწია.

— ვის შეუძლია დაეხმაროს? განა დემონებს?

ბრუნომ ეს სწორედ იმიტომ თქვა, რომ გამოეხატა ამ საქმის უიმედობა, მაგრამ მოჩენიგო მღელვარებისაგან თრთოდა; იქვე არ არის ბრუნომ იცის დემონების გამოხმობა, მაგრამ არ უნდა ამ საიდუმლოების გახსნა. ამასთანავე ის შეშინდა, რომ ამით ცოდვაში ვარდებოდა. მეტი არაფერი უთქვამს მას, მხოლოდ მეორე დღეს თავის მოძღვარს მოახსენა საუბრის შინაარსი.

— გამოიხმოს დემონი, — თქვა მან, — გამოიხმოს.

თუ ბრუნომ დემონების გამოხმობა იცის, უთუოდ იგი არა მარტო ერეთიკოსია, არამედ ჯადოსანიც.

მეორე ღამეს მოჩენიგომ, იჯდა რა ბრუნოსთან სახურავზე; სცლად დაიწყო დემონის შესახებ სერიოზული ლაპარაკი, როგორც საუკეთესო საშუალებაზე ვარსკვლავებთან ასაფრენად.

— თქვენ ხომ არ გაგიჟდით? — დაუყვირა ბრუნომ და გაკვირვებით შეხედა მოჩენიგოს და მაშინვე თავის ვარსკვლავთ მრიცხველოზაში გაერთო.

მოჩენიგომ იწყინა და გადასწყვიტა, რომ ბრუნოს არ უნდა თავისი საიდუმლოების გახსნა. მიჩენიგოს არ სჯეროდა, რომ ისეთ სწავლულს, როგორიც ბრუნო იყო, არ შეეძლო დემონების გამოხმობა.

მეორეჯერ მან ფრთხილად დაუწყო საუბარი ბრუნოს ოქროს შესახებ. ძველად ადამიანები ფიქრობდენ, რომ შეიძლება ოქროს მიღება ქიმიური საშუალებით სხვა ნივთიერებისაგან, იმ მეცნიერებმა, რომელნიც ამ საიდუმლო ქიმიით იყვნენ გართული, ალქიმიკოსები ეწოდებათ. ჩვეულებრივად მათი ოქროს ძებნა იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი იწყებდენ თვალთმაქცობას. ატყუებდენ ხალხს. ან უარს აცხადებდენ თავიანთ ცდებზე. მაგრამ ეს მუშაობა მათთვის ტყუილად არ ჩაივლიდა ხოლმე, ისინი ჩვეულებრივად თავისი დროისათვის მშვენივრად მცონდე ქიმიკოსებად ხდებოდენ.

მოჩენიგომ ფრთხილად დაუწყო ალქიმიკოსებზე ლაპარაკი, მაგრამ ბრუნომ უცებ შეაწყვეტინა ლაპარაკი. — არც მე და არც თქვენ, არ ვსჭარბობთ ოქროს. თქვენ იმიტომ, რომ ის გაქვთ და მე იმიტომ, რომ უიმისოდაც ვცხოვრობ. ეს ბოდვა კი ძველ დედაბრებს დაუთმეთ ბაზარზე.

მოჩენიგო სიბრაზისაგან გაფითრდა. ბრუნოც აღელვებული იყო ვენეციელის სიხარბით, რომელიც ალქიმიის დაუხმარებლადაც იყო ჩაფლული.

ამ დღიდან მოჩენიგომ შეიძულა ბრუნო. ის კი იმდენად კეთილშობილი იყო, რომ ამ უსუსურ სიბრაზემდე არ დაიმდაბლებდა თავს. მაგრამ მოჩენიგომ პირდაპირ მის ძარღვებზე დაიწყო მოქმედება. ბრუნო ეხლა არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ გამოეჩინა მოჩენიგოს უმეცრება. ვენეციელი ჩარბებს იკვნეტდა, მაგრამ ვერას გზით ვეთ ახერხებდა სათანადო პასუხი მიეცა. ბრუნოს უფრო და უფრო მობეზრდა მოჩენიგოსთან ცხოვრება, მას უნდოდა დავა, დისპუტები, ლექციები.... ამასთანავე მას უნდოდა უფრო სამხრეთით წასვლა. იოლაში, ნეაპოლში. შეიძლება ეს სიგიჟე იყო, მაგრამ ბრუნომ დაამთავრა პაპისათვის მიძღვნილი თავისი თხზულება და ემზადებოდა ეკლესიასთან შესარიგებლად. „გავხდები ჯერ ჯერობით პროფესორად თუნდაც პადუაში — ფიქრობდა იგი — და შემდეგ ვნახოთ. ერთხელ მან მოჩენიგოს განუცხადა, რომ ხურს ვენეციიდან გამგზავრება. მოჩენიგომ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ წარბები შეკმუხვნა. მაგრამ როდესაც ბრუნომ საღამოს წასასვლელად მომზადება დაიწყო თავხედურად და ხეპრეთ უთხრა:

— საით ემზადებით, თქვენ, სინიორ ბრუნო?

— მე უკვე გითხარით, რომ პადუაში მინდა წასვლა — უპასუხა ბრუნომ გაკვირვებით და ერთგვარი წყენით.

— სინიორ ბრუნო, თქვენ აქ დარჩებით.

ბრუნო გასწორდა.

— თქვენ ნამდვილად გაგიჟდით? — ჩაიბუტბუტა მან. — მე თქვენ გეუბნებით, რომ მე წავალ.

— და მე კი გეუბნებით, რომ თქვენ აქ დარჩებით.

სისხლი აუავარდა ბრუნოს თავში.

— გამცილდი აქედან! — დაუყვირა მან, წაავლო ხელი თავის ბარგს, ხელი ჰკრა ვენეციელს და კარები გააღო. და... დაიხია.. ექვსი კაცი გაშიშვლებული დაშნებით კარების წინ იდგა, ხოლო მეშვიდეს ხელში ელვარე ჩირაღდანი ეჭირა. ელვარე ჩირაღდნებს შორის, დაშნები წითლად ლაპლაპებდენ, თითქოს სისხლში იყვნენ ამოვლებულნი.

— მაშ, ასე! — წაიბუტბუტა ჯორდანო ბრუნომ.

ის ერთბაშად მიხვდა რაში იყო საქმე.

რატომღაც ჩირაღდანის ალმა მასზე უფრო იმოქმედა, ვიდრე შპაგების ელვარებამ.

— დიახ, სწორედ ასე, — დაცინვით უთხრა მოჩენიგომ, — ხვალ მე თქვენ გადაგცემთ უწმინდეს ვენეციელ ინკვიზიციის ხელში.

არიან ადამიანები, რომელნიც გაცოცხლდებიან და აინთებიან გაჭირვების დროს. ბრუნოც ისეთი კაცი იყო. შეკრთა რა პირველ წუთებში, როდესაც შემაძრწუნებელი ჩირაღდანი და შიშველი შპაგები დაინახა, მან მაშინვე მოიკრიფა ის შრისხანე სიმხნევე, რომლითაც წინეთ შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეებს და ბრძოლაში იწვევდა სიბნელის მოციქულებს.

მან დაცინვით შეხედა მოჩენიგოს და მხოლოდ ეს უთხრა:

— აქამდე მე თქვენ ბრიყვად გთვლიდით, თქვენ კი, თურმე გათახსირებულიც ყოფილხართ.

— სხვენზე! — დაიყვირა მოჩენიგომ გაბრაზებით, — შენ თვითონ ხარ ბრიყვი და გათახსირებული.

ბრუნომ მხოლოდ მხრები აიწია და დამშვიდებული ავიდა სხვენზე, სადაც იგი ჩაამწყვდიეს.

იქ ეწყო სხვადასხვაგვარი ნამტვრევი: ძველი ლიუსტრები, ქანდაკების ნამტვრევები, დამსხვრეული ავეჯი, თაგვების მიერ დაღრღნილი წიგნები. მტრედები ღუღუნებდენ.

ბრუნო ჩაჯდა დაფლეთილ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მოხერხებულ სავარძელში და ჩაფიქრდა. მოხდა ის, რაც დიდი ხანია, მოსალოდნელი იყო. მთელი საკითხი იმაშია — რა უნდა ქნას ეხლა. მას მშვენიერად ესმოდა, რომ ის იყო ეხლა მისი სიცოცხლის ბატონი. კათოლიკურ ეკლესიას უნდა ბრუნო ან ისევ თავის მომხრედ გახადოს და ამით ჩიხში ჩააყენოს სხვა ერეტიკოსები — მისი მიმდევრები. მაშასადამე, ჯერ კიდევ ყველაფერი თვით ბრუნოსაგან არის დამოკიდებული. საკმარისია რამოდენიმე სიტყვა სთქვას და იგი დიდის ამბით გაემგზავრება რომში. იქიდან კი მშობლიურ იოლაში. მაგრამ ეს სიტყვები მთელს ქვეყანას მოედება. ბრუნოს მოაგონდა ჟანი გენეკენი, რომელიც ასეთი თრთოლვით მოელოდა თითოეულ თხზულებას თავის მასწავლებლისას და უცებ ჟანი გენეკენი გაიგონებს ამ სამარცხვინო სიტყვებს „უარს ვყოფ“. უარს ვყოფ ყოველივეს, რაც, არსებითად, სრულებით წმინდათ მწამს. სირცხვილი!

როდესაც ბრუნო იტალიაში მიდიოდა, მას აზრად ქონდა ეკლესიასთან შერიგება. მაგრამ იგი მუდამ აჭიანურებდა ამ მომენტს. არც ჩაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ მოეხდინა ეს შერიგება, მაგრამ ეხლა, როდესაც მან ნათლად წარმოიდგინა შავ ადამიანთა კრებული და თავისი თავი, რომელიც მშვიდად იდგა მათ წინაშე და ბუტბუტებდა უარყოფის სიტყვებს, მას შერცხვა და შეეზიზღა თავისი თავი. მრისხანება აინთო მასში. როდესაც დილით მსახურმა მას პური

და შაშხის ნაჭერი მიუტანა, მან გადააგდო ის სასმენ სარკმლიდან პირდაპირ არხში და დაიყვირა:

უთხარი გათახსირებულ მოჩენიგოს, რომ მან მე ციხეში უნდა გადამაგზავნოს. მე არ მინდა მასთან სტუმრად ვიყო, თუნდაც აქ, და მირჩევნია შიმშილით მოვკვდე, ვიდრე მასთან აქ რამე ვჭამო.

მსახური წავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და შეუგდო რაღაც წიგნების გროვა. ბრუნომ მაშინვე იცნო თავისი თხზულებები.

— რა ვუყოთ, — დაიყვირა მან, — თაგვებს და ვირთაგვებს ისინი მეტს სარგებლობას მოუტანენ, ვიდრე ბრიყვს; თაგვები იმათ დაღრნიან მაინც.

სინიორ მოჩენიგო ამ დროს კარის უკან იყო მიმალული და უნდოდა გაეგო თუ როგორ შეხვდებოდა იგი მის თხზულებათა ასეთ შეურაცხყოფას.

გაიგონა თუ არა ეს ფრაზა, ის საჩქაროდ ძირს ჩავიდა და საშინლად ბრაზმორეულმა დაიწყო ბრუნოზე დაბეზღების ბარათის წერა. მან გადასწყვიტა წშინდა სამჯავროში გამოსულიყო როგორც მოწმე და აუცილებლად დაელუპა ბრუნო თავისი ჩვენებით.

საღამოს მოცურდა ბნელი გონდოლი, რომელშიც ოფიცერი და ინკვიზიციის მცველები ისხდენ. ოფიცერმა ბრუნოს დაპატიმრების შესახებ ბრძანება წაუკითხა.

ორი მცველი შიშველი შპაგებით, ორივე მხრით ამოუდგენ ბრუნოს. ოფიცერმა წინადადება მისცა გაყოლოდა მას.

ჩასხდენ გონდოლში, რომელიც მოცურდა დოჟების სასახლესთან. ძლიერ დიდხანს მიყავდათ ბრუნო ბნელი გზებით, შემდეგ კი დახვეულ კიბეზე.

— ნეტა როდის გათავდება ეს კიბე! — დაიყვირა ბრუნომ, — ცაზე ხომ არ ჰკიდია ის?

სასტიკმა მეციხოვნემ არაფერი უპასუხა. კიბე გათავდა და ისინი ვიწრო დერეფნით წავიდნენ, სადაც უამრავი კარები იყო. ბრუნოს კვნესა მოესმა ერთი კარის უკან, მაგრამ იმავე წუთში მის წინ კარები გაიღო და იგი ერთ პატარა ოთახში შეიყვანეს, სადაც იატაკზე ჩალის ლეიბი ეგდო. პატარა სარკმელი ღამის წყვდიადს გასცქეროდა. ოთახში სიგრილე შემოვიდა.

— მშვენიერი ოთახია, — თქვა ბრუნომ.

მეციხოვნე გავიდა და კარები დახურა. მან რამდენჯერმე გადააბრუნა გასაღები.

ბრუნო ჩალაზე დაჯდა და ქვეშ რაღაცა მაგარი იგრძნო. შეყო ლეიბში ხელი და ლოცვარი ამოიღო. კარგი ნიშანია: ინკვიზიციას, უთუოდ შერიგება უნდოდა, მაგრამ რა არის კარგი? ბრუნომ

გადაფურცლა ლოცვარი მოწიწებით, რა რწმენით იმეორებდა იგი ოდესღაც ამ ლათინურ სიტყვებს! ეხლა კი, ისინი მას სასაცილოდ, გულუბრყვილოდ და გამოუსადეგრად მიაჩნდა. ბრუნომ გადასდო წიგნი და მწარედ ჩაფიქრდა. მას გაახსენდა თავისი ბავშობა, თავისი დედა. მაგრამ მაშინათვე სიმამაცემ გაიღვიძა მასში და ის გაიჭიმა ჩალაზე, რომ კარგად გამოეძინა. არ იცის ჯერ რა მოელის... ზღვის გრილი ნიავი მის დაძინებას ხელს უწყობს. ბრუნოს ჩაეძინა მაგრად და მშვენივრად:

მან გაიღვიძა მაშინ, როდესაც მზე უკვე საკმაოდ მაღლა იყო ასული: ოთახში ცოტათი ცხელოდა. მეცხოვნემ პური და წყალი მოიტანა, მაგრამ ერთიც და მეორეც საკმაოდ ბლომად იყო.

ბოლოს და ბოლოს, მეტი რა უნდა კიდევ ადამიანს? — შენიშნა ბრუნომ.

მან წარმოიდგინა, თუ როგორ კარგად საუზმობს ეხლა მოჩენიგო, მაგრამ შური არ განუცდია.

მზე სულ ზევით და ზევით მიდიოდა და ოთახში სიცხე აუტანელი ხდებოდა. ბრუნო ოფლში იწურებოდა. მას ეგონა, რომ იგი ბუხარში ზის. ის შეეხო ჭერს, რომელიც საშინლად იყო გახურებული.

ბრუნო უცებ მიხვდა. მას გაახსენდა საშინელი ამბები დოჟების სასახლეში მოთავსებულ საპყრობილეების შესახებ. სასახლის ქვეშ — ბნელი სარდაფები, სასახლეებს ზევით — პატარა ოთახები რკინის სახურავების ქვეშ. მზით წვალების საშინელება, რადგანაც სახურავი დღის განმავლობაში საშინლად ხურდება. ციხეების შესახებ ვერავინ ვერ იტყოდა დანამდვილებით რასმეს, როდესაც იშვიათად გამოდიოდა ვინმე ვენეციის ციხეებიდან.

უკვე აღარ შეიძლებოდა სუნთქვა, ოთახში ბრუნო ტყუილა ადებდა სახეს სარქმელის ჩარჩოზე. ნიავი სრულიად არ ქროდა. დადგა მისი საყვარელი სიცხე-პაპანაქება. თვით ის მშობლიური მზე, რომელიც მას ასე უყვარდა, ეხლა გულგრილად ახურებდა რკინის სახურავებს და მას საშინელსა და აუტანელ ტანჯვას აყენებდა. საშინელი მზე!!

მაშინაც კი, როდესაც მზე დასავლეთს მიუახლოვდა სიცხე არ შენელებულა. ღამე დახუთული იყო, სახურავმა დღის სიმხურვალე შეინახა, მზე კი ივნისში ადრე ამოდის. ბრუნო მიხვდა თუ რატომ დაიძინა მან წინა დღით ისე კარგად: წვიმამ ჩარეცხა სახურავი, გააგრილა იგი, მაგრამ წვიმა ასე ხშირად ხომ არ მოდა ამ ხანებში.

განა თვითონ ბრუნო არ იყო იმით აღტაცებული, რომ მზე მუდამ ანათებს იტალიის მიდამოებში. მზე ამართლებდა თავის სახელს, იგი ანათებდა პატიოსნად და ხალისით, ხოლო ბრუნო იწვა ჩალაზე და ძლივს სუნთქავდა, ამასთანავე თავის საშინელ ტკივილებს განიც-

დიდა, ოფლში სცურავდა. გულს ხელს უჭერდა, რომელიც გასქდომას ლამობდა. ეხლა მას არ ყოფნიდა ის წყალი, რომელიც მისთვის მოქონდათ. ამასთანავე წყალი ჩქარა თბებოდა და იგი არ აგრილებდ არც ყელს და არც ენას. ბრუნოს სწყუროდა და სწყუროდა. მას საშინელი სიზმრები აწუხებდენ. მას ეზმანებოდა იოლის მიდამოს წყაროები. აი რიკრიკებს წყარო, საჭიროა დაეწაფო, რომ დალიო. მაგრამ წყალი არ არის და ისევ მხოლოდ მზე და ქვა. სიცხეა, სიცხე, საშინელი პაპანაქება.

— როდის დამკითხავენ? მე დაკითხვას მოვითხოვ, — თქვა ბრუნომ, მაგრამ მეციხოვნემ არაფერი უპასუხა...

დღე დღეს მიყვებოდა. ბრუნო გრძნობდა ,რომ მას გონება ერევა, თითქოს მისი ტვინი დნება ამ საშინელი მუდმივი სიცხისაგან. მას უკვე თითქოს მოსაზრების უნარი დაეკარგა. ის მხოლოდ კენესოდა, ულაპავდა ჰაერს ტუჩებით, როგორც ხმელეთზე ამოყვანილი თევზი. შუბლს ხის კედელზე ადებდა, ხან იატაკზე, რომ იგი გახეთქილიყო. ქვა ცოტათი აგრილებდა მაინც. უკვე ბრუნოს დაავიწყდა ყოველივე, რითაც იგი წინად ცხოვრობდა. მას არაფერზე ფიქრი არ შეეძლო, გარდა ამ საშინელი სიცხისა, ლურჯი ოთხკუთხედი—ცა— მას საშინელებას გვრიდა. საშინელმა სისუსტემ, ხელფეხი შეუბორკა. ყურები უწიოდა. აზრები ერეოდა. კოპერნიკი... პტოლომე... სულ ერთი არ არის ვინ არის მათ შორის მართალი? ოღონდ არ დადნეს მზეზე ეს წყეული რკინის სახურავი.

ციხეში არაჩვეულებრივ დროს დაირაჩხუნა გასაღებმა. კარები გაიღო. ოფიცერი კარებზე იდგა და ხელით ანიშნებდა ცოცხალ ლეშს ამდგარიყო, რომელსაც ჯორდანო ბრუნო ეწოდებოდა და ჩალაზე იწვა.

ლეში წამოდგა. ხელებით კედელს წაეპოტინა. ფეხები ეკეცებოდა, მაგრამ მან რამოდენიმე ნაბიჯი მაინც გადადგა კარებისაკენ. არავინ არ გაუწოდა მას ხელი. ის თვითონ უნდა წასულიყო. და ის წავიდა. ქანაობით, ეპოტინებოდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა. თუნდაც ცოტა ხნით მაინც გავიდეს ამ ჯოჯოხეთურად გახურებულ ოთახიდან.

ჯორდანო ბრუნო მიდიოდა ვენეციის წმიდა ინკვიზიციის დაკითხვაზე.

ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მოძრაობასთან ერთად მასში რაღაც დავიწყებული იღვიძებდა. ბნელი დერეფნიდან უცებ გრილმა ნიავმა დაიქროლა და ბრუნო ისევ გამოცოცხლდა. მას უკვე არ უნდოდა მეციხოვნეთათვის თავისი სისუსტე ეჩვენებია და ცდილობდა მარჯვედ და მტკიცედ ეარა. როდესაც იგი გაატარეს რომელიღაც პატარა დარბაზში მან სარკეში თავის თავი დაინახა. ის გამხდარი და სა-

შინელი შესახედავი იყო, მაგრამ თვალები უბრწყინავდა და შეხედულება ამაყი ქონდა. უფრო ამაყად ალმართა მან თავი და შევიდა სამსჯავროში.

შავი კაცები ნიღაბებში ჩურჩულებდენ და მაგიდას უსხდნენ. ჯორდანო ბრუნო დამშვიდებული გაჩერდა მაგიდის წინ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ ერეთიკოსი ხარ ჯორდანო ბრუნო? — ბოლოს ყრუდ კითხა ერთმა შავმა კაცთაგანმა.

ბრუნომ ჩაახველა, რადგანაც ეშინოდა რომ გამხმარს ყელში სიტყვა არ გაეჩხირებოდა.

მან უპასუხა:

დიახ, მე ერეთიკოსი ჯორდანო ბრუნო ვარ.

8. რომის სახელი და დიდება

1592 წელს აგვისტოს 24-ს რომში შესდგა საზეიმო ხვთის მსახურება ბართლომეს ღამის ოცი წლის თავის შესრულების გამო. კარდინალმა საან-სევერინომ თავის ქადაგებაში ამ სისხლიან ღამეს „კათოლიკეთა დღესასწაული" უწოდა.

ღვთის მსახურების შემდეგ სან-სევერინომ კარდინალი მადრუჩჩი ინახულა მის მშვენიერ სასახლეში. მადრუჩჩი რომის დიდი ინკვიზიტორი იყო, სან-სევერიონო მისი თანაშემწე.

ხანგრძლივი ღვთისმსახურებით დაქანცული კარდინალები სავარძელში ისხდნენ, ხოლო მათ წინაშე ოქროს ვაზაში საუცხოვო ყურძნის მტევნები ეწყო. კამპანიის მზით გამთბარი, მაგრამ კარდინალის სარდაფში შეგრილებული.

თეთრი ღვინო ციცი, როგორც ყინული ნარნარებდა ბროლის ჯაშებში. სასახლის ფანჯრიდან ცის ლაჟვარდოვან კამარაში მოჩანდა ვერცხლის გუმბათი — პეტრეს სახელობის ტაძრისა.

— და მაინც სირცხვილია რომისათვის, — თქვა სან-სევერინომ, აიღო რა ხელში მშვენიერი მტევანი და ნაზი თითებით აცლიდა მტევანს ყურძენს, — სირცხვილია რომისათვის, რომ ბრუნოს ვენეცია ასამართლებდეს. ბრუნო მეტად სახელგანთქმული და მეტად საშიში კაცია. აქ კათოლიკეთა ეკლესიის გულში უნდა წარმომდგარიყო იგი სასამართლოს წინაშე და არა დოჟების სასახლეში. თქვენს ადგილას მე დავარწმუნებდი ჩვენს უწმინდეს მამას, პაპას, ებრძანებია ეპისკოპოსისათვის მოეყვანათ ბრუნო რომში.

დიდმა ინკვიზიტორმა წარბები შეიჭმუხნა.

— ჩვენ არა ერთხელ აღგვიძრავს ეს საკითხი. ვენეციელები მაგრად ჩაებღაუჭნენ თავის მსხვერპლს და არ უნდათ მისი გაშვება.

თქვენ ხომ იცით, რომ რომი და ვენეცია ერთმანეთთან ცოტა კარგი დამოკიდებულებაში არიან. უწმინდესი მამა ჩვენი ვერ არის მაინც და მაინც მტკიცედ.

კარდინალმა მადრუჩჩიმ მხრები ასწია. მას თითქოს უნდოდა ეთქვა: მე, რომ რომის პაპა ვიყო, ცხადია შევძლებდი ვენეციის დამორჩილებასო.

— ადრე თუ გვიან, ჩვენ ჩვენსას გავიტანთ, — სთქვა მან და გაჩუმდა.

— მე ვშიშობ, რომ ეს სწორედ გვიან იქნება... სამი თვე ჯდომა, ისიც ზაფხულში და ვენეციის რკინის ციხეში... ამის გარდა ის რამოდენიმეჯერ აწვალეს... აი რას მწერს ჩემი მეგობარი ლუდოვიკე ტაბერნა — პაპის ნუნცი ვენეციაში...

კარდინალმა სან-სევერინომ ამოიღო თავისი ანაფორიდან ბეჯითად დაკეცილი წერილი, გაშალა იგი და დაუწყო კითხვა.

„წმინდა კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე ჩვენ კიდევ დავკითხეთ თვითონ ბრუნოს, უთოდ მიყენებულმა ტანჯვებმა საბოლოოდ დაასუსტა. არა მარტო მისი სხეული, არამედ სულიც. ის უკვე ფეხზე ვერ დგება და ჩურჩულით ლაპარაკობს. კანი დახეთქოდა და წყლულით იყო დაფარული. ეს ჩვეულებრივად ემართება ყველას, ვინც რკინის ციხეში ჩამწყვდეულია. ბრუნოს უკვე ისე აღარ უჭირავს თავი, როგორც წინა დაკითხვებზე. ის უკვე თანხმდება უარი სთქვას თავისი შეცთომებზე, და ინანიებს იმას, რის მონანიება აქამდე არ უნდოდა. ის მოწყალებას ითხოვს და პირობას იძლევა თავისი დანაშაული გამოისყიდოს. ვენეციელი ეპისკოპოსი და ინკვიზიტორი ძლიერ ამაყობდენ იმით, რომ მათ ეკუთვნით სახელი ამ ლომის გამოშინაურებისა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში სტანჯავდა ეკლესიას. ვფიქრობ, რომ ისინი მართლაც შეძლებენ მიაღწიონ იმას, რომ ბრუნომ ყოველივე უარყოს, თუ იგი არ მოკვდა მანამდე ტანჯვა-წვალებისაგან. ეს კი სავსებით შესაძლებელია. თუ რომის ტახტს თვითონ უნდა ბრუნოს გასამართლება, დაგვიანება არ შეიძლება. მე უკვე მივწერე წმინდა მამას მდოგმარეობის სერიოზულობის შესახებ, მაგრამ რომის მიერ აქამდის მიღებული ზომები საკმარისი არ არის. ხოლო ყველა ვენეციელი ეფისკოპოზისადმი წარგზავნილი მიმართვები მეტად რბილია“... აი რას სწერს ნუნცი. ვფიქრობ, რომ ნაკლებ სასიამოვნო იქნება თუ ბრუნო დოჟების სასახლის გახურებული სახურავის ქვეშ მოკვდა. მართლმორწმუნენი უკმაყოფილონი იქნებიან. ისინი ამას ჩასთვლიან და სავსებით სამართლიანად — როგორც სისუსტეს წმინდა მამისას და რომის ინკვიზიციისას.

— დღესვე მოველაპარაკები მე პაპას, — მრისხანედ სთქვა კარდინალმა მადრიჩჩიმ, — ეს მართლაც დაუშვებელია. მე თვითონ შე-

ვადგენ მიმართვას ვენეციისადმი, პაპას კი ვთხოვ მხოლოდ ხელი მოაწეროს მას. ჩვენი ეკლესია მთლიანია და მას ერთი მეთაური ყავს — პაპა. არ არის არც ვენეცია, არც ფლორენცია, არც ნეაპოლი: ეკლესიის საქმეში მხოლოდ რომია და ის რასაც რომი ბრძანებს უნდა ასრულდეს.

კარდინალმა შემოკრა ხელები.

— დაუძახეთ მდივანს — უბრძანა მან შემოსულ მსახურს.

ჩუმად და ფეხაკრეფით შემოვიდა გამხმარი, შავში გამოწყობილი კაცი, სამელნით და ბატის ფრთის კალმით ხელში. მოწიწებითი სალამით შემოუარა მან კარდინალებს და მოუჯდა მაგიდას ფანჯარასთან, რომლის ყუთიდან ამოიღო პერგამენტი.

სინიორ ლორენცო პრიულის, ვენეციის ეპისკოპოსს... — ასე დაიწყო კარნახი კარდინალმა მადრიჩჩიმ. — გიბრძანებთ უწმინდესის ჩვენის ხელისუფლების სახელით...

მდივანმა ცოტა გაოცებულად შეხედა კარდინალს, მაგრამ შეამჩნია თუ არა მისი მრისხანე სახე მაშინათვე გააგრძელა წერა.

— გიბრძანებთ თქვენ, — ბუტბუტებდა იგი, — უწმინდესის ჩვენი ხელისუფლების სახელით...

— ვენეციაში მყოფი და ინკვიზიციის მიერ შეპყრობილი ერეტიკოსი ჯორდანო ბრუნო ამის მიღებისთანავე... წარმოგგზავნოთ რომში... რათა გადაცემულ იქნას დიდი რომის ინკვიზიტორის ხელში. რადგანაც ასეთი მნიშვნელოვანი საქმეში...

კარდინალი მადრიჩჩი ლაპარაკობდა დინჯად და დაბეჯითებით, მისი სიტყვები პერგამენტს ეცემოდა, როგორც მძიმე გირები.

— ყველაფერი, სთქვა მან დასასრულ წერტილი.

მდივანმა წერტილი დასვა. მიმოაბნია პერგამენტზე მშრალი ქვიშა. შემდეგ, ჩაყარა ქვიშა მაგიდის ქვეშ კალათში, ჩაუწო კალამი სამელნეში და ქაღალდით კარდინალს მიართვა ხელმოსაწერად.

— პაპა მოაწერს ხელს: — მრისხანედ სთქვა მან.

მდივანი უკუდგა და მოკრძალებით დაიკლაკნა.

— როდესაც მე დღეს საღამოს ვატიკანში წავალ, ეს ქაღალდი გადმომეცი.

მდივანი გაქრა ვით შავი მოჩვენება.

კარდინალმა მადრიჩჩიმ ამოიღო ხელმანდილი და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— აუტანელი სიცხეა — თქვა მან და სიამოვნებით შეუდგა ყინულიან ღვინის ყლაპვას. ყელი გამიხმა.

კარდინალ სენ-სეევერინომაც გაიმეორა: დიახ, ძლიერ ცხელა.

შეიძლება ორივემ ამ წუთში მოიგონეს ის პატარა ოთახი, საშინლად გახურებული, სადაც ჩალაზე იტანჯება გამხმარი და გაფითრე-

ბული ტყვე, რომელიც ამაოდ ცთილობს მოიკლას წყურვილი თბილ და საზიზღარ წყლით.

უთუოდ მოიგონეს, რადგანაც სან-სეევერინომ უცებ თქვა:

— ოღონდ არ მოკვდებოდეს დროზე ადრე.

— არა, არა, — დარწმუნებით თქვა მადრიჩჩიმ, — ღმერთი არ დაუშვებს, მის მოადგილის უფლებები დედამიწაზე ასე იქნეს შელახული. ვენეციამ თავი უნდა მოიხაროს რომის წინაშე. და ეს ასე მოხდება.

— ამინ! — თქვა კარდინალმა სან-სეევერინომ.

9. ისევ გზა

როდესაც ვენეციაში მიღებულ იქნა პაპის მრისხანე მომართვა ბრუნო სიკვდილის პირამდე იყო მისული. ბრუნო დათანხმდა უარეყო თავისი მოძღვრება და ამიტომ ვენეციის სასულიერო ხელისუფლებას არ უნდოდა მისი ხელიდან გაშვება, მაგრამ პაპა ემუქრებოდა. ვენეციის სამოქალაქო მთავრობას რომთან ჩხუბი არ უნდა და გვიან ღამით ბრუნო გამოიტანეს დოჟების სასახლიდან (სისუსტისაგან მას სიარული არ შეეძლო) და გონდოლში ჩასდვეს.

გონდოლი გაცურდა. იყო ნათელი მთვარიანი ღამე და ბრუნოს მოესმა შორეული მხიარული ხმები. მას გაახსენდა ჩიოტტოს სიტყვები, რომელიც მან ფრანკფურტში უთხრა და იფიქრა, რომ აქ, ზღვის სივრცეში მას სიკვდლი მოელის. მაგრამ მისთვის სულ ერთი იყო. ოღონდ ჩქარა გათავებულიყო ყველაფერი.

კარგია, რომ სიკვდილის წინ მაინც შესძლო ცოტათი სუფთა ჰაერის შესუნთქვა. ბრუნო თითქოს სვამდა, ყლაპავდა; ამ ნოყიერს, სუფთა და მარილიანს ჰაერს.

ვილაცამ მას ბეჭებში წაავლო ხელი. სიკვდილის წუთი.

მაგრამ ისევ სადღაც ზევით წაიღეს და ისევ დასდეს.

ბრუნომ ძლივს ასწია თავი და მიმოიხედა. იგი იწვა მრავალ იალქნიან ნავზე, რომლის გვერდებს ზღვის ტალღები ეჯახებოდა. ვილაცამ წარმოსთქვა სიტყვა, „ანკონა". ანკონა — დიდი სავაჭრო ქალაქია იტალიაში. ბრუნოს ამჟამად მხოლოდ მოსვენება უნდოდა. ტკბილმა ძილმა წაიღო იგი ზღვის ნავთან ერთად. დიდი ხანია ბრუნოს ასეთი ბუნება არ განუცდია. ძილი, ძილი.

გაახილა თუ არა თვალები ბრუნომ გაოცებით დაინახა თავის თავზე ლურჯი ცა და გაშლილი არე-მარე. მან მიმოიხედა. გარშემო შშვენიერება, ცა, ზღვა...

ძილმა და ჰაერმა მოასულიერა ბრუნო, ისე რომ მას წამოჯდომაც შეეძლო.

— ა-ჰა-ა! — სთქვა ტლანქმა ხმამ, — ყმაწვილი გამოცოცხლდა.

ეს სთქვა მეზღვაურმა, რომელიც თოკის გროვაზე იჯდა და პურს ღეჭავდა. ორმა მცველმა შეხედა ბრუნოს და სჩანდა, რომ აქ ზღვაზე მცველებიც გულკეთილნი იყვნენ.

— გშიან — კითხა ერთმა მათგანმა.

— მშიან — უპასუხა ბრუნომ.

მას მიაწოდეს პური, ქონი და ღვინო. ყოველივე ეს მეტად გემრიელი ეჩვენა.

— აი, მე რა ვერ გავიგე — სთქვა მეზღვაურმა — თუ შენ ჯადოსანი ხარ, რატომ საჭმელი ვერ მოახერხე შენთვის ციხეში... რატომ კედლები არ დაანგრიე?

— მაშასადამე, მე ჯადოსანი არ ვყოფილვარ.

— თუ შენ ჯადოსანი არ ხარ, რატომ გაწვალებენ? რატომ ხარ შებყრობილი?

— იგი ჯადოსანი კი არა, ერეთიკოსია. — უთხრა მცველმა. — საერთოდ მასთან ლაპარაკი აკრძალულია. უფროსმა არ გაგიგონოს.

მეზღვაურმა თავი გააქნია, პირჯვარი გადაიწერა და ამოიოხრა.

— დაიკარგე, გაქრი, — წაიბუტბუტა მან. — ეშმაკის ფეხო.

ბრუნოს ესმოდა ეს საუბარი, მაგრამ ამისათვის არც გული მოსვლია და არც შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი. უბრალო, უმეცარ ხალხს სხვანაირად არც შეეძლო ემსჯელა. სხვა საქმეა, როდესაც ასე მსჯელობენ ისინი, რომელთაც განსწავლულ დოქტორებს უწოდებენ.

ისევ გამოცოცხლდა ბრუნო და დაუბრუნდა მთელი სიმხნეევ. ჰაერის ყოველ გადაყლაპვაზე, ნიავის ყოველ დაქროლვაზე მაგრდებოდა მისი სხეული და მასთან ერთად მისი სიმხნეევეც.

მზე ისევ მშვენიერი იყო, მაცოცხლებელი მზე. თითქოს ცდილობდა ისევ გაეცოცხლებია ის ვინც კინაღამ არ მოკლა. ხოლო გულკეთილი მეზღვაურები, პირჯვრის წერით და მორიდებით უმასპინძლდებოდნენ ბრუნოს პურით, ხორცით და ყველით.

ანკონაში ბრუნო თვით ჩამოვიდა ბაქნიდან, თვით შეძვრა მძიმე ფურგუნზე. რომელიც ჯერ ნელა წაჩანჩალდა ამყრალებული ქუჩებით და შემდეგ თეთრი გზით ვენახებს შორის.

ყოველი მხრიდან მშობლიური სურათები მოსჩანდა.

თუმცა ბრუნოს ამჟამად ბორკილები ჰქონდა გაყრილი, მაგრამ იგი თავს კვლავ თავისუფლად გრძნობდა. მას უკვე არაფერი არ აშინებდა. ხოლო რომს კი სურს მისი საქვეყნოდ შერცხვენა.

ფურგუნში ბრუნოსთან ერთად უმნიშვნელო დამნაშავეები მოყავდათ, რომელნიც ერიდებოდენ ბრუნოს, ისე როგორც ჭირიანს.

ისინი ქურდები იყვენ, მაგრამ კეთილი კათოლიკები. გარს ეხვეოდენ ცხენოსანი მცველები. ისინი ილანძღებოდენ სიცხის გამო და თან სახეს ივრილებდენ ფართე ქუდებით. ბრუნოს კი ეღიმებოდა მათ საქციელზე, როდესაც იგონებდა საკანის გამანადგურებელ სიცხეს.

დიდ ხანს მიდიოდენ ისინი. სულ მთებზე და მთებზე.

ბოლოს ერთბაშად გაიშალა სანახაობა შორს-შორს ყოველ მხარეზე.

ფურგუნმა მიაღწია უღელტეხილზე აპენინის ქედთან.

დაბლობზე მოსჩანდა სოფლები, ვენახები, ბაღები.

ცხენები უფრო ჩქარა წავიდნენ. ისინი თანდათან უახლოვდებოდენ რომს. ბრუნო კვლავ ბატონი იყო თავის სიცოცხლის. მას შეეძლო თავისი სურვილისამებრ გინდ ეცოცხლა, გინდ დაღუპულიყო. და ის ისევ აღიავსო ენერგიით და ძალ-ღონით. ჰაერმა, მზემ, თვით ფურგუნის მოძრაობამ, სიცოცხლე დაუბრუნა ბრუნოს! ჯაჭვები, მაგრამ რა არის ჯაჭვები რკინის ციხის სიძნელესთან შედარებით. ასეთ ჯაჭვებს ადამიანი ადვილად ეჩვევა. ამასთანავე ერთი მცველთაგანი ყოჩაღი ჯარის კაცი, სახელად ანტონიო, გულმოდგინეთ აჩეჩებდა ბრუნოს ბურს, ხილს და მწვანეულს.

მას რამოდენიმეჯერ უნდოდა დალაპარაკებოდა ბრუნოს, მაგრამ ყოველთვის შიშით მიმოიხედავდა და გაჩუმდებოდა.

ერთხელ ღამით ბრუნომ ყურთან იგრძნო ვიღაცას თბილი სუნთქვა. სოფლის დუქანში ათევდენ ღამეს. ბრუნოს პირველად ძაღლი ეგონა. მაგრამ სიბნელიდან ჩურჩული მოესმა:

— რიბელო იოლიდან ჩემი მეგობარია. მას ბევრი რამ უთქვამს თქვენს შესახებ.

— სად არის იგი? — ჩურჩულით უთხრა ბრუნომ.

— იგი ეხლა მეზღვაურად მსახურობს შორს მცურველ გემზე.

ის გაცურდა ძლიერ შორს, ცხელ ქვეყანაში, მე ის ვნახე გენუაში და პიზაში ერთი წლის წინად, იგი თქვენს შესახებ მელაპარაკებოდა. და იმან დამარწმუნა, რომ თქვენ ერეთიკოსი არა ხართ და ეშმაკთან არაფერი საქმე არ გაქვთ.

— მაშ იგი შორს გაცურდა? წაჩურჩულა ბრუნომ, მოწყენით.

— ძალიან შორს, იგი დიდ ხანს დარჩება იქ... თქვენ მართლაც ხართ ჯადოსანი?

— რა თქმა უნდა, არა?

— თქვენ ერეთიკოსი ხართ?

— მე წავეჩხუბე ეკლესიას.

— განა ეს ცოდვაა?

— ჩემი აზრით, არა.

სიბნელეში ჯარისკაცის რეკვა მოისმა.

— რიბელო რატომ დაბრუნდა საფრანგეთიდან?

— ომი იქ გათავდა, გრაფი, რომელთანაც ის მსახურობდა მოკლულ იქნა პარიზთან...

... რიბელოს უნდა მდიდარი გახდეს. ამბობენ, რომ ოკეანეს იქით მრავალი ოქრო არის.

ისევ ოქრო, ის რომ არ ყოფილიყო, რიბელო არ წავიდოდა საზეტიალოდ. შეიძლება მას რომში ეცხოვრა და შესაძლებელი იქნებოდა მისი ნახვა.

ანტონიოს კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ მეორე მცველი შეინძრა და ანტონიოც საჩქაროდ ჩამოშორდა ბრუნოს.

რამოდენიმე დღის შემდეგ მცველების უფროსმა შეაჩერა ცხენები და შორს მიუთითა, მოიხადა ქუდი და პირჯვარი გადაიწერა. ყველამ გარდა ბრუნოსი, მისდიეს მის მაგალითს.

შორს ნარნარებდა წმინდა პეტრეს ტაძრის მოვერცხლილი გუმბათი.

ბრუნო უცქეროდა მისთვის ნაცნობს და მშვენიერ სანახაობას და მას ეჩვენებოდა, რომ რაღაც ვეებერთელა თვალი შორიდან ათვალიერებს თავის მსხვერპლს.

მან ამოიოხრა და ამავე დროს ვერ შესძლო ბრწყინვალე მოჩვენებელისაგან თვალი მოეცილებია.

რა მშვენიერება და სილამაზეა!

და ამ სილამაზეში მისთვის საშინელება იმყოფებოდა.

10. „ალბატროსი“ ცოცხალია, პუდელი მკვდარია

— ვეზუვი! ვეზუვი! რიბელო! ვეზუვი მოსჩანს... მალალი ტანის სამხედრო პირმა შუბლზე მიიდო ხელი, რომ თვალები მზისაგან დაეფარა, რომელიც ის-იყო ასცურდა ჰორიზონტზე.

მართლაც სამკუთხიანი ღრუბელი აშკარად მოსჩანდა ზღვის ზედაპირზე.

— ორი საათის შემდეგ „ალბატროსი“ ნავთსაყუდში იქნება.

რიბელო აღელვებული დაჯდა ყუთზე იალქნის ახლოს და შორს გაჰყურებდა. შვიდი წელიწადი დახეტიალობდა იგი შორეულ ზღვებში სამშობლოსაგან მოშორებით. ბევრჯერ საშინელის ქარბუქის, სიმშილობის და ომების დროს იგი ემშვიდობებოდა იტალიას. და აი, ეხლა ისევ ნეაპოლი.

რიბელოს მოაგონდა ის დილა, როდესაც იგი გზაზე მოდიოდა და შორიდან მომავალი გემს შესცქეროდა. ეხლა კი თვითონ ის იმავე გემზე ზღვით მოცურავს და შეიძლება, რომელიმე ახალი რიბელო დაძრწის ქალაქში, ხედავს იმ თეთრ იალქნიან გემს და სამუშაოზე

ოცნებობს. და მზე სწრაფად ისევ ამოდის, როგორც გუშინ და ვეზუ-ვი ისეთსავე კვამლს უშვებს, მხოლოდ მაშინ შემოდგომა იყო, ეხლა კი გაზაფხულია, და თვითონაც, რიბელო ახლა სხვაა, სულ სხვა.

მის გვერდით უკვე აღარ არის განუყრელი მეგობარი — პუდელი. მშვიდობიანად მოკვდა პუდელი, მიაღწია რა ძაღლისათვის საკმაო ხანს. „ალბატროსი" კი მიცურავს ზღვაზე და მალე რიბელო ფეხს შესდგამს ფართე და ქვებით მოკირწყლულ ნაცნობ ნაპირებს. შვიდი წელიწადი დახეტიალობდა იგი ზღვაზე, ხოლო ნეაპოლში უკვე ოცი წელიწადია რაც არ ყოფილა. შეიძლება ნახევარი ქალაქი უკვე დაანგრია მიწისძვრამ, შეიძლება ყველა ისინი, ვისაც ის ოდესმე იცნობდა, დიდი ხანია რაც დაიხოცენ შავი ჭირისაგან ან სიბერისაგან.

მეზღვაურები ამოძრავდენ, დაიწყეს იალქნების დალაგება და შეკვრა. რიბელო გემის არტილერიას განაგებდა. ზარბაზნებს მისი ბრძანებით არა ერთხელ დაუციათ შიშის ზარი ველურ კუნძულებისათვის, არა ერთხელ დაუჭერიათ თავხედი ზღვის ყაჩაღები.

—ახლა კი დასრულდა ყოველგვარი მღელვარება. ნეაპოლი თვალწინ უდგას შორიდან ბრწყინვალე და უთუოდ ახლოს ბინძური. უკვე შეიძლება ნავთსადგურში ხალხის გარჩევა, რომელიც ბუზივით ირევა. მშივრები, სამუშაოს მძებნელები. შეიძლება ეს ადამიანები ახლა ახალ რიბელოს უყვირიან: „დაიკარგე აქედან: ლუკმა პურს ნუ გვართმევ". ყავს კი ახლა რიბელოს ერთგული ქოფაკი, რომ გასუქებულ ზედამხედველს ფეხებში ეცეს?

ხოლო ძველი რიბელო ეხლა სამუშაოს არ ეძებს, მან იცის თავისი ღირებულება. მას აქვს რამოდენიმე ოქროს ნატეხი და მთელი ბოთლი ოქროს ქვიშა. ეს ცხადია, ჯერ კიდევ, სიმდიდრე არ არის, მაგრამ არც სიღარიბე. ამასთან ოცი წლის სამხედრო გამოცდილება რაიმეს ხომ ნიშნავს. ასეთი ულვაშებით სამუშაოზე აღარ დარბიან, დიახ, რიბელო არ დაიღუპა, იგი კაცი გამოვიდა.

გემი სულ ახლოს მივიდა. მზეზე გაანათა სან-დომენიკო მაჯიორეს ჯვარმა.

უთუოდ ჯორდანო ბრუნო ახლა დიდი და სახელგანთქმული პროფესორია. ვინ იცის შეიძლება არც კი იცნოს ძველი მეგობარი. როდესაც რიბელო ევროპიდან წავიდა, ჯორდანო ბრუნოს სახელი ყველგან ცნობილი იყო.

მან უთუოდ ბევრი დაარწმუნა, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს, თუ პირიქით. რობელომ ვერას გზით ვერ დაიხსომა.

გემი ნაპირას მოადგა, შეიქნა ისევ ფაცი-ფუცი. გემი გაჩერდა.

რიბელოს ძლიერ ენატრებოდა ამ ნაცნობ და ამასთანავე უცხო ქუჩებზე ხეტიალი.

არც ერთი ნაცნობი სახე არ გამოჩნდა ფანჯარაში.

აი ის სახლი, სადაც ლუიზა სცხოვრობდა.

კარებთან ვიღაცა სქელი კაცი ზის და გათხუპნულ ბავშვებს უყვირს, რომელნიც ნიაღვარში ნავებს უშვებენ. აგერ კუდიანი ქალიც გამოჩდა. კიდევ ცოცხალი ყოფილა, სულ არ გამოცვლილა.

— ლუიზა, — დაუყვირა მას სქელმა კაცმა, — მომეცი ღვინოსაშინლად მწყურიან.

— წადი, შე მუქთახორა წყეულო, წმინდა კლიმენტიმ დალახვორს შენი თავი.

რიბელოს თვალთ დაუბნელდა. ეს ლუიზაა. სწორედ ის ლუიზა.

რიბელო ფეხაჩქარებით წავიდა, თითქოს შეშინდა, რომ იმ სქელი კაცის ადგილი მას არ დააკავებინონ.

მართლაც საოცარი პაპანაქება იდგა. ის შევიდა სარდაფში, სადაც მეავე ღვინის სუნი სდიოდა.

სარდაფში მხოლოდ და მხოლოდ ერთი მუშტარი იყო.

— ეს ხომ რიბელოა! დაიყვირა მან. — მიცანი? მე ანტონიო ვარ... გენუელი.

— მახსოვს — უთხრა რიბელომ.

— „ალბატროსით" ჩამოდი?

— დიახ. ახალი ამბავი რა არის ქვეყანაზე? ის რომ ფილიპე მეორე ესპანელი მოკვდა და ჰენრიხ მეოთხემ პარიზში კათოლიკეობა მიიღო — მე ვიცი. ეს ჩვენ გიბრალტარზე გვითხრეს. არც პირველი და არც მეორე მე არ მაინტერესებს. რა ხდება იტალიაში?

— იტალიაში...

ანტონიო ჩაფიქრდა, შემდეგ ის შეკრთა, თითქოს რაღაც მოაგონდა.

— შენ ხომ იცნობდი ჯორდანო ბრუნოს?

— როგორ არა! — დაიყვირა რიბელომ. — ნუ თუ მოკვდა?

— არ მოკვდარა... ჯერ.

— როგორ თუ ჯერ?

— ექვსი წელიწადი იტანჯებოდა, იგი რომში, წმინდა მარიამის ციხეში და ამბობენ...

— რას?

— ერთ დროს ის კიდევ მერყეობდა, ეხლა კი საბოლოოდ გადაწყვიტა. იგი უარყოფს თავის მოძღვრებას... მე მხოლოდ ვიცი, რადგან რომის ციხეში ვმსახურობდი. ეხლა მე აქ გადმოვიყვანეს. ეხ! იგი იქამდე მიაღწევს, რომ მას დასწვავენ.

— დასწვავენ?

რიბელომ ისე ხმამაღლა იყვირა, რომ ანტონიომ მას ხელი სტაცა და ანიშნა დუქნის მეპატრონეზე.

— რა გაყვირებს? მას ხომ ესმის!

რიბელომ აღელვებით დალია ერთი ჭიქა ცივი ღვინო.

— გესმის ანტონიო?.. განა არ შეიძლება მას... მას არ შეეძლება?

— რა?

— გყავს შენ წმინდა მარიამის ციხეში ნაცნობი მცველები?

— რა თქმა უნდა მყავს. ერთის მაგიერ ათიც.

რიბელოს თავისი ოქრო მოაგონდა.

— ანტონიო ყური დამიგდე... ყურადღებით...

და მან ისე ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, რომ მედუქნე თუმცა ძლიერ ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააჩნია.

— ოქროს გასაღები ყველაფერს აღებს... მხიარული ყმაწვილებია... გადაკვრა უყვართ.

რიბელომ ისევ აღელვებით დალია ერთი ჭიქა ცივი ღვინო.

— ალონდ იჩქარე, — უთხრა ანტონიომ რომამდე არც ისე ახლოა.— რიბელომ ჩუმად ხელი ჩამოართვა, დააგდო სუფრაზე ფული და ჩქარა გავიდა დუქნიდან.

ის პირდაპირ გემისკენ წავიდა, შეევიდა თავის „კაიუტაში", გააღო ზანდუკი და ამოიღო ოქროს ნატეხი. მან სიამოვნებით ასწონა იგი ხელზე.

ერთი საათის განმავლობაში ოქროს ნატეხი ოქრომჭედლის ხელში იქცა ოქროს მანეთებად, ხოლო კიდევ ერთი საათის შემდეგ ოქროს მანეთების ნაწილი იქცევა: ნაცრის-ფერ ცხენად, უნაგირითა და თავის მოკაზმულობით.

თვითონ რიბელო არტილერისტიდან კავალერისტად გადაიქცა.

და ცხენმა იგრძნო რა სერიოზული მხედარი, ჩქარი ნაბიჯით გასწია რომისაკენ.

11. ორმოცი დღე

შეხედა თუ არა შორიდან წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათს, ბრუნო მიხვდა, რომ მას დაღუპვა არ აცდება. იმიტომ კი არა, რომ იგი ვერ მოულბობს გულს თავის მსაჯულებს, არამედ იმიტომ, რომ იგი თვითონ არ მოისურვებს ამას, მთელი სიცოცხლის ბრძოლა კვლავ თვალწინ წარმოუდგა. ნუ თუ დაიღუპოს მთელი ეს ბრძოლა ასეთი საბრალო, დამამცირებელი საქციელით? ბრუნომ თვითონ უპასუხა თავის თავს ამ საკითხზე მტკიცედ და გარკვეულად: არა არ უნდა დავიღუპო, სჯობს სიკვდილი, ვინემ შერცხვენა.

თუ პირველ დაკითხვაზე რომში მას თავი რაღაც საეჭვოდ ეჭირა და მერყეობდა, ეს იყო მხოლოდ ინსტიქტიური სურვილი როგორმე შორს გადაეგდო საშინელი დასასრული. ის ამბობდა, რომ მან კიდევ

უნდა მოიფიქროს, კიდევ უნდა გადააფასოს, ყოველივე ის, რასაც იგი ამტკიცებდა და ის რასაც უარყოფდა. მას არ აჩქარებდენ, რადგან დაუჯერეს მისი ტონის გულწრფელობას. მართლაც აჩქარებული უარყოფა საეჭვო იქნებოდა როგორც მეგობრებისა, ისე მტრებისათვის. ბრუნოს მიუყენეს ხვთისმეტყველების დარგში გამოცდილი ბერები, და მღვდლები. მას თავი ძალიან მოკრძალებით და ფრთხილად ეჭირა, ის შეძლებისდაგვარად აჭიანურებდა საშინელ საათებს, მას ძლიერ უყვარდა სიცოცხლე, მარიამის ბნელ სარდაფშიც კი. რადგან გარკვეული იმედები ბუდობდა მის გულში. შეიძლება უცაბედად რამ მოხდეს, შეიძლება პროტესტანტებმა რომს ომი გამოუცხადონ, შეიძლება ჰენრიხ მეოთხემ მოისურვოს იტალიის დაუფლება. გიჟური იმედია. მაგრამ ისიც მალე გაქრა.

ერთხელ ბრუნოს ბნელ სარდაფში მოესმა მხიარული ზარის რეკვა მთელ რომში. ამ დღეს არავითარი დღესასწაული არ იყო, მაშასადამე მოხდა რაღაცა მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ამბავი კათოლიკეებისათვის. მაგრამ რა? ეს ბრუნოს აუხსნა ერთმა მეციხოვნემ.

— ჰენრიხ მეოთხემ მიიღო კათოლიკური სარწმუნოება და ფრანგების რელიგიად გამოაცხადა — სთქვა მან გამარჯვებული სახით — ღმერთი ყველგან იმარჯვებს თავის მტრებზე.

ეს საღღესასწაულო რეკვა ბრუნოსთვის დასაფლავების ზარს ნიშნავდა.

ამ დღეს იგი დიდხანს იჯდა თავჩაქინდრული, და საიდუმლო ზედამხედველმა, რომელიც მას თვალყურს ადევნებდა შეუმჩნეველ ჭუჭრუტანიან კედელში ინკვიზიტორს მოახსენა, რომ პატიმარი დაღვრემილიაო.

საბედისწერო საათი ახლოვდება.

დასასრულს — მთრთოლვარე გულით — ბრუნომ მოისმინა წმიდა სამსჯავროს დადგენილება, რომელიც მას წაუკითხა დომინიკანელების ხუცესმა პავლე მირანდოლომ.

— მოეთხოვოს ჯორდანო ბრუნოს, რომ მან გადაჭრით უარჰყოს თავის შეცდომები, რომელიც ჩამოთვლილია რვა ძირითად მუხლში და მოფიქრებისათვის მიეცეს მას ორმოცი დღე.

აქ არაფერი იყო ნათქვამი. იმის შესახებ თუ რა მოხდებოდა, ბრუნოს რომ არ ეღიარებია თავის შეცდომები. მაგრამ ბრუნოს არც კი უკითხავს ამის შესახებ. ორმოცი დღე. მეტად დიდია, თუ ბედნიერებას მოელი და მეტად მცირეა — თუ მოელი უბედურებას; მოსაფიქრებელი არაფერი ჰქონდა. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ ეკლესიას კიდევ იმედი ჰქონდა, რომ დაიყოლიებდა ამ გიჟს და უარს ათქმევინებდა თავის შეცდომებზე, რაც მას სჭიროდა თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად. ერთხელ ბრუნოსთან გამოც-

ხადდა პატარა გამხდარი ძღვდელი მოალერსე თვალებით და დაუწ-ყო საუბარი ნელი ტკბილი ხმით.

— შვილო ჩემო, მაგრამ ის ჭეშმარიტება, რომელიც თქვენ გწამთ, ხომ არ გარდაიქცევა არა ჭეშმარიტებად თუ თქვენ მასზე უარს იტყვით, მაგრამ ამის გამო ის თუ ჭეშმარიტებად ვერ დარჩება, მაშასადამე იგი არ ყოფილა ჭეშმარიტება.

ბრუნო მაშინვე მიხვდა, რომ მასთან იეზუიტი საუბრობს. ეს იყო მათი დარწმუნების სისტემა — მათი სახელგანთქმული კაზუისტიკა.

— პატივცემული ფილიუკციისი ამბობს, მაგალითად, — განაგრძო პატარა ღვდელმა, — თუ შენ გუშინ ჩაიდინე რაიმე საქციელი. თქვი: „ვფიცავ, რომ მე ეს საქციელი არ ჩამიდენია", შენთვის კი იფიქრე: „დღეს". ან შენ ბრალს გდებენ იმ კაცის მკვლელობაში, რომელიც შენ მართლაც მოჰკალ. თქვი: „ვფიცავ — მე ის არ მომიკლავს", შენ-თვის კი იფიქრე: „მის დაბადებამდე". თქვენ გეუბნებიან შვილო ჩე-მო: „აღიარეთ, რომ თქვენი მოძღვრება ცრუა", ამავე დროს თქვენ-თვის იფიქრეთ: „ეკლესიის თვალსაზრისით". ამრიგად თქვენ ეკლე-სიის მოთხოვნილებასაც აასრულებთ და თავსაც გადაირჩენთ.

— მაგრამ აი მე, თქვენ თუ გეტყვით არამზადა ხართ, — სთქვა ბრუნომ, — უნდა იცოდეთ, რომ ამის მეტი არაფერი მიფიქრია ამ დროს თქვენს შესახებ.

იეზუიტი ერთი წუთით შეკრთა.

— მაგრამ თქვენ ამას არ იტყვით! — უპასუხა ღვდელმა.

— არა ვიტყვი: რომ თქვენ არამზადა ხართ!

— ამას თქვენ კი არ ამბობთ, არამედ ის ეშმაკი, რომელიც თქვენს არსებაში ზის.

იგი წავიდა ალბათ ნაწყენი, რომ ვერაფერს ვერ მიაღწია.

ბრუნო დღეებს ითვლიდა და მოაგონდა ის თუ როგორ ითვლიდა იგი ნაბიჯებს, როდესაც რომიდან მორბოდა. მაგრამ მაშინ იგი სიკვ-დილისაგან გარბოდა. ახლა კი თვითონ ამ სიკვდილისაკენ მიდიოდა. მაშინ მას უთხრეს: „გაიქეცი რომიდან, გაიქეცი"... ახლა კი მას არავინ დაიხსნის. ძველი მარტინო მკვდარია. ანტონიო, რომელსაც იგი დაუ-შეგობრდა სხვაგან გადიყვანეს, უთუოდ მასში რალაც იქვი შეიტანეს.

გათავდა უკანასკნელი დღე.

ხუცესი პავლე მირანდოლა გამოცხადდა ბრუნოსთან სწორედ ამ საათში, როდესაც მან ორმოცი დღის წინად წაუკითხა დადგენილება სამსჯავროსი... წუთი, წუთზე.

— მე პასუხის მისაღებად მოვედი — სთქვა მან და ცნობის მოყვა-რეობას ძლივს მალავდა.

— მე არ უარვყოფ არაფერს რაც მითქვამს ან დამიწერია, — თქვა ბრუნომ ყრუ ხმით, — გარდა ერთი ჩემი თხზულებისა, რომ-

ლიც ჯერ კიდევ არ დამიბეჭდია, მაგრამ, რომელიც უთუოდ. ვენეკიის ინკვიზიციის ხელში მოხვდება.

— რომელი თხზულების? — საჩქაროდ შეეკითხა ხუცესი.

— იმას, რომელიც პაპას ვუძღვენი, — „შვიდი ხელოვნების შეახებ“.

ბრუნო შებრუნდა და სკამზე დაჯდა. ძნელი იყო თავის თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოცხადება. ხოლო ამ რამოდენიმე სიტყვით მან თავისი თავი სიკვდილით დასაჯა.

და ეს დაუდასტურეს მას მადრუჩჩის მშვენიერ სასახლეში, სადაც ბრუნო მოიყვანეს ღამით წმინდა კოლეგიის სხდომაზე.

ბრუნო სამსჯავროს წინაშე ამაყად და დამშვიდებულად წარსდგა. ჰას უნდოდა ღირსეულად მიეყვანა თავისი როლი ბოლომდე.

შავი მდივანი დიდხანს და გაჭიანურებული ხმით. კითხულობდა ბრალდებებს. ის მრავალი იყო და თითოეულ მათგანისათვის მძიმე პასუხი ეკუთვნოდა. წაიკითხა თუ არა ბრალდება, მდივანი შეჩერდა, თითქოს ელოდა ბრუნოსაგან რაღაც განცხადებას. მაგრამ ბრუნო ადუმდა. მადრუჩჩიმ ანიშნა განეგრძო კითხვა. მდივანმა ჩაახველა.

— ამიტომ აღნიშნულს ერეთიკოსს იოლელ ჯორდანო ბრუნოს საბოლოოდ ჩამოერთვას ღირსება, განკიცხულ იქნეს სავსებით ეკლესიიდან, და გადაეცეს საერო ხელისუფლებას, რათა დასჯილი იქნეს იგი რაც შეიძლება მსუბუქად, სისხლის დაუქცევლად.

ეს ნიშნავდა: დაწვას, მაგრამ თვით სიტყვა არ წარმოუთქვამს.

მდივანმა კითხვა გაათავა, დადუმდა და თავი ჩაქინდრა. თავი ჩაქინდრა თვით მადრუჩჩიმაც.

ბრუნო გაფითრდა და მიხვდა რა უკანასკნელი ფრაზის საშინელს აზრს.

მან შეხედა სანთლების ალს და მოაგონდა თუ როგორ დაიწვა მან თითი, როდესაც ბუხრიდან ხეთლ-ნაწერი გამოქნდა, რომლის იმედი ქონდა და რომლის მოსპობაც ასე უნდოდა. ეხლა ყოველივე გათავებულია, მერყეობა, იქვი, სურვილები. წინ კი მხოლოდ ცეცხლია.

და ბრუნომ იგრძნო: ეხლა, როდესაც ყოველივე გათავებულია, უნდა გაბედოს სიცოცხლეს.

თქვენ ამ განაჩენს მეტი შიშით ამბობთ, ვინმემ მე ამას ვისმენ, — თქვა მან. და შეაქცია რა ზურგი მოსამართლეებს, გაბედული ნაბიჯით წავიდა კარებისაკენ.

მაგრამ მისი გული გამყინავ სიცივით იყო მოცული.

ეს არ იყო სიმხთალე, ეს იყო საერთოდ უდიდესი სიმამაცე, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანს სიკვდილის კი არ ეშინია, არამედ იმასში, რომ ადამიანს ეშინია რა სიკვდილის ისე იქცევა თითქოს მისი არ ეშინოდეს.

მთელ ღამის განმავლობაში ჯორდანო ბრუნო თრთოდა სიცივისაგან, თავის საწოლზე განათხმული და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. მაგრამ ვინმე, რომ გამოცხადებულიყო მასთან და ეკითხა: „გინდა გადურჩე ამ საშინელ სიკვდილს უარყოფის გზით“? — ბრუნო ეტყოდა:

— არა.

12. „სისხლის დაუნთხევლად“

თებერვლის შუა რიცხვში კამპანიის დაბლობი ისე ყვავის, როგორც გაზაფხულზე, და რომის მიდამოები შეისუნთქავენ ამ გაუფურჩქვნელ ყვავილების და ჯერ კიდევ ნორჩ მწვანეულის სურნელებას

სინიორ პულჩი უკვე მეტად მოხუცი იყო, მაგრამ მით უფრო აფასებდა თითოეულ გაზაფხულს, რადგანაც არ იყო დარწმუნებული, რომ მეორე გაზაფხულამდის მიაღწევდა. ის იჯდა დილით ადრე თავის დუქნის კარებთან და შესცქეროდა თეთრ გზასა, რომელიც ორთავე მხრით გრძელი ზოლად იყო გაჭიმული. ნიავის თავისუფლად ქროლას დაბლობიდან მოქონდა მშვენიერი სურნელება და სინარნარე.

პულჩი ყოველთვის სიამოვნებით ღრმად ისუნთქავდა ხოლმე მშვენიერ ჰაერს და ღიმილით იტყოდა: „გმადლობთ, ჩემო შვილიშვილო“. რატომლაც ნიავი მას წარმოდგენილი ქონდა რაღაც ცელქი შვილის შვილის სახით, რომელიც მის გარშემო დახტის და მოაქვს მასთან ხან ია, ხან კი ველური ვარდი. მართლაც კარგი იყო ასეთი შვილიშვილის ყოლა.

დილის სიჩუმეში უცებ გაისმა ცხენის ფეხის ხმა. ვილაც სამხრეთიდან ვით გიჟი ცხენს მოაჭენებდაა. აი მხედარის გარჩევაც შეიძლება. ის მთელი სისწრაფით მოაჭენებდა ნაცრისფერ ცხენს და ისმოდა, თუ როგორ ღრმად ქშინავდა გაჭენებული ცხენი.

„აი გიჟი“ გაიფიქრა სინიორმა პულჩიმ.

დუქანთან ცხენოსანმა უცებ შეაჩერა ცხენი და ბრინწიანი ხმით დაიყვირა:

— შორს არის რომი?

ცხენოსანი უთუოდ სამხედრო პირი იყო: გრძელი ულვაშებით, მოყვანილობით და მბრძანებელი მაღალი კილოთი. ქაფით დაფარული ცხენი თრთოდა. რომელიც ძლივს იდგა თავის წვრილ ფეხებზე.

— ნუ თუ თქვენ ცხენი არ გენანებათ? — დაუყვირა სინიორმა პულჩიმ.

შორს არის რომი? — დაუყვირა ცხენოსანმა. მიპასუხე შე ბებერო ეშმაკო?

— თუ მე ბებერი ეშმაკი ვარ, ჩემთან ლაპარაკი საჭირო არ არის...

მაგრამ ცხენოსანმა გაშმაგებით გააქნია ხელი და ისე შემოკრა დეზები ცხენს დასისხლიანებულ გვერდებში, რომ სინიორმა პულჩიმ შიშისაგან დაიღრიალა.

ცხენი დაიძრა, ყალყზე შესდგა და კვლავ წინ გასწია. მაგრამ არ გაურბენია ოცდა ათი ნაბიჯი უცებ შეჩერდა და მიწაზე დაენარცხა. ცხენოსანმა ძლივს მოასწრო გადმოხტომა და ფეხზე დადგომა.

— ესეც შენ! — დაიყვირა პულჩიმ — მე ეს ვიცოდი კიდეც. დაიღუპა ცხენი და ისიც როგორი.

ამასთანავე გაიფიქრა, რომ უთუოდ ცხენოსანი დასვენებას და ჭამას მოისურვებს და მაშინ მას სამჯერ მეტად დაუჯდება ეს „ბებერი ეშმაკი“.

და რა გაოცებული დარჩა სინორ პულჩი, როდესაც უცნობმა მგზავრმა დაჰკარგა რა იმედი ცხენის ადგომისა, დაანება მას თავი და რომის მიმართულებით უკან მოუხედავად გაიქცა. უთუოდ ეს იყო ან ქკუაზე შეშლილი, ან მას რომში მეტად მნიშვნელოვანი საქმე ქონდა.

რიბელო ჯერ მირბოდა, შემდეგ როდესაც დაიღალა ჩქარი ნაბიჯით წავიდა რომის კარიბჭეებისაკენ. ის ძლივს სუნთქავდა. გემზე საერთოდ ცოტა უხდებოდა სიარული. აი ბჭეებიც, აი კარაკალის სასახლის ნანგრევები.

დიდი ხალხი მიდის რომში და ყველას ბაგეზე სიტყვა „კომპოდიფიორე“ აწერია. კომპო-დი-ფიორე საბაზრო მოედანია რომში, რიბელომ იცოდა ეს სახელწოდება და ფიქრობდა, რომ იქ მიმავალი ხალხი ეაჭრები და მყიდველებია, რომელთაც ბაზრობაზე მიეჩქარებათ. მან ერთხელ კიდევ დახედა იმ ბარათს, რომელიც მას ანტონიომ მისცა; ეს იყო ვილაც სანდო კაცის — პომპეო ვარდის — მისამართი, რომელიც წმინდა მარიამის საბყრობილეს იცავდა და რომელიც ოქროს დიდი მოყვარული იყო. ამასთანავე, რიბელომ გასინჯა თაიის ქამარი, სადაც ოქროს მანეთები იყო ჩაკერებული. ყველაფერი წესრიგზე იყო. მაგრამ სიარული გაძნელებული იყო იმ უამრავ ხალხის გამო, რომელთაც ასე მიეჩქარებოდა და მირბოდენ კიდეც ერთის მიმართულებით — კამპო-დი-ფიორისაკენ „კარგია, ბაზრის მოვაჭრედ ყოფნა რომში — გაიფიქრა რიბელომ, არ დაიკარგები“.

ერთ მიხვეულ მოხვეულ ქუჩაზე, სადაც ნაკლები ხალხი იყო, რიბელო შეჩერდა ჭიშკართან და ქალს შეეკითხა, რომელიც აღელვებული აჩუმებდა მტირალ ბავშს.

— აქ ცხოვრობს პომპეო ვარდი?

— აქ არის. ნუ სტირი შე ეშმაკის კერძო, დაჩუმდი.

— სად არის მისი ბინა ან ოთახი?

— სულ ერთია ის შინ არ არის!

— სად არის იგი?

— კამპო-დი-ფიორეზე.

— ეშმაკმა წაიღოს მისი თავი! რაშია საქმე? დღეს ყველა კამპო-დი-ფიორესკენ მიეშურება?

— იგი სამსახურის მოვალეობის შესასრულებლად წავიდა, — სთქვა ქალმა — ხოლო სხვა უსაქმო ხალხი ტყვილა მიდის... უთუოდ სანახავენებთ თუ როგორ აწვალებენ და სტანჯავენ ადამიანებს.

— რომელ ადამიანებს?

— რა თქმა უნდა სინიორ, ერეთიკოსები იგივე ადამიანებია. შვონია, რომ არაფერი სასიამოვნოა ივისი ნახვა თუ როგორ იტანჯება კოლონზე ადამიანი.

— რომელი ადამიანები?

რობელო ჯერ კიდევ ვერაფერს მიხვდა, მაგრამ სისხლი თავში აუვარდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— აი, ის ჯორდანო ბრუნო... მას რომ დღეს წვავენ კამპო-დი-ფიორეზე... რა მოგივიდათ, სინიორ?

რობელო სახლის ცივ კედელს მიეყუდა. ხელ ფეხი დაუსუსტდა, თვალთ დაუბნელდა:

— ჩქარა?—ჩახლეჩილი ხმით შეეკითხა იგი.—ეს ჩქარა მოხდება?

— დიახ უკვე ყველანი მორბიან.

რობელო მოსცილდა კედელს და ნელი ნაბიჯით წავიდა.

„მთვრალი ხომ არ არის" — გაიფიქრა ქალმა და უყურებდა რა ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ხალხს, წაიბუტბუტა:

— ოჰ პირუტყვებო!

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მასაც ძლიერ უნდოდა ეცქირა ამ საშინელი სანახაობისათვის, მაგრამ მას მდიდარი ქალის ბავშვისათვის უნდა მოევლო და თავს ბოლოდ იმით იიმედებდა, რომ დასჯილებს ყოველთვის სიწმიდად ხედავენ და ელანდებათ ხოლმე ღამით.

რობელო მიდიოდა უმიზნოდ და უაზროდ, იგი უნებლიედ ემორჩილებოდა ბრბოს მიმდინარეობას. იგი თანდათან გარს ეხვეოდა მას და ბოლოს თან წაიტანა და კამპო-დი-ფიორეზე მიიყვანა.

სახლები, ფანჯრები, სახურავები, და ყველაფერი ადამიანებით იყო დაფარული და ადამიანები სმაურობდენ საბედისწეროდ და მრისხანედ.

მოედნის შუა გულზე ქვის მაღალ ჯაჭვიან სვეტთან იდგა ურემი და იქედან საჩქაროდ ყრიდენ შეშას. შეშის ნაჭრები ხმაურობით ეცემოდენ ქვას.

— გამბმარი! სთქვა ვილაცამ ბრბოდან.

რობელო გაშმაგებით ცდილობდა ბრბოსთვის თავი ღალეწია. მაალანძღავდენ, ეჯახებოდენ, მაგრამ ის თვითონ საშინლად ილანძღე-

ბოდა, ყველას ეჯახებოდა და აჩრიგად მან მოახერხა გასვლა იქ, სა-
დაც ყველანი კამპო-დი-ფიორეზე მიისწრაფოდნენ.

ის შეჩერდა, სულის მოსათქვამად ოქრომჭედლის დუქნის გვერ-
დით, კარებთან ერთი კაცი იდგა. რომელიც ნაღველიანად შესცქეროდა
და სერბილით მომავალ ხალხს.

— ღმერთო ჩემო, — ბურტყუნებდა იგი და მის თვალებზე ცრემ-
ლები მოსჩანდა. რიბელომ უცებ მასში მეგობარი იგრძნო.

— ბრუნოს სწვავენ, — წაიდუდუნა მან.

ეს ადამიანი თავითონ ოქრომჭედელი იყო, უთუოდ შეხვედ-
ბელოს და მას უცბად ხელი ჩამოართვა.

— დიახ, დიახ, წაიბურტყუნა მან.

— თქვენ მას იცნობდით?

— მე? ახ, სინიორ... ჩვენ ოდესლაც ერთად გავიქეცით რომ-
ელ კიდეც ოდესაც პაპა გრიგოლ მეცამეტე იყო. იმ პაპასთან მე-
ცხელ დამოკიდებულებაში ვიყავი. გაქცევა იყო საჭირო ახლა კი, აი...
ჯორდანო... ჩვენ თანამემამულენი ვართ. ორივენი იოლელი ვართ.

— თქვენ იოლელი ხარ? მეც იქიდან ვარ.

— მე პიეტრო კამპა ვარ.

— მე ვიცი ეს სახელი.

— რა უბედურებაა?

უცებ გარშემო ყველანი აღელდენ, საშინლად ახუსუნდა ბრბო
და დაიწყეს ძახილი: „მოდიან, მოდიან".

პიეტრო კამპა დუქნის შიგნით შევიდა.

— მე არ მინდა მაგის დანახვა ბუტბუტებდა იგი.

რიბელომ ქუჩის ბოლოს უზარმაზარი ცეცხლის ალი დაინახა და
დუქანში შევიდა, მთელი სხეული უთრთოდა.

პიეტრომ კარები მიიხურა. ის მინის იყო და ამიტომ ქუჩის სანა-
ხაობა კარგად მოსჩანდა. ხალხის ზუზუნი თანდათან შენელდა. ეს კი
საშინელების მოახლოვებას მოასწავებდა. პიეტრო სკამზე ჩამოჯდა
და სახე ხელებით დაიფარა.

ცრემლები ღვარისავით მოსდიოდა.

— ჯორდანო — ჩურჩულებდა იგი, — ჯორდანო...

— ის ახლა აქ გაივლის. ბუტბუტებდა პიეტრო, — ის უთუოდ
აქეთ მოიხედავს. მე მოვკვდები. მე ჭკუიდან შევიშლები.

რიბელო რეტ დასხმულივით იყო, მაგრამ მინის კარებს თვალები
ვერ მოაშორა, ხალხი კედლებზე იყო მიჭრილი, რომ პროცესიისა-
თვის ვზა მიეცათ. ყველას თვალები ერთ წერტილზე იყო მიმართვ-
ლი. უცებ დუქნის პირდაპირ მდებარე სახლის კედელი რაღაც სისხლის
ფერი სინათლით განათდა. ასეთივე სხივმა შემოანათა პიეტროს
დუქანშიც, ვეებერთელა ჩირაღდანი გამოჩდა ფანჯარასთან. ამ ჩი-

რაღდახისაგან ერცელდებოდა გარშემო ასეთი სიხათლე. ის პროცესიის წინ მოქონდათ. ჩირაღდანი, რომელიც მედროშეებს მოქონდათ გაცდა დუქანს და შემდეგ გამოჩდნენ მღვდლები ოდღესასწაულო ტანსაცმელში. ისინი ბევრი იყვნენ და ყველას ერთგვარად გაპარსული ძრისხანე სახე ქონდათ. გაიარეს მღვდლებმა და გამოჩნდა ერთი უცნაური ფიგურა. ადამიანი ყვითელ ტანსაცმელში, რომელიც ეშმაკების სურათებით იყო დაფარული. თავზე ეხურა ქაღალდის წვეტიანი ქუდი, რომლის მწვერვალზე ალში გახვეული ადამიანის ფიგურა იყო გამოსახული. უცნაური ადამიანი ნელა მიდიოდა და იქით აქეთ არ იხედებოდა.

— ბრუნო! — დაიყვირა რიბელომ. — ეს ხომ ბრუნოა?

ის მივარდა კარებს, ხელი წაავლო ხმლის ვადას, მაგრამ ისევ უკან დაიხია და სასოწარკვეთილებით ფეხებს ბაკბაკებდა. ხოლო ფანჯრის წინ ახლა მიდიოდენ კარდინალები და ინკვიზიტორები. ბოლოს მადრუჩჩი და სან-სეეერიონო მიუძღოდნენ საუცხოო წითელ ტანსაცმლებით და წითელ ქუდებით. შემდეგ გაიარა ცხენოსანმა და ქვეითა მცველებმა. ისინი აჩუქებდენ აღელვებულ მსხვილ მოწოლილ ბრბოს.

რიბელოს სული შეეხუთა, აუტანელი იყო მისთვის ამ წყეულ ქაოსში ყოფნა. მან გააღო კარები, გავარდა ქუჩაზე და ისევ ხალხის მიმდინარეობის შესახვედრად წავიდა. ის მზად იყო ჩაეფურთხებია ამ გამოქყეტილ საზიზღარ თვალებში და მზად იყო მოეგრიხა ეს წაწვდენილი კისრები. მის უკან დაჰკრა მწუხარის ზარებმა. მას უპასუხა მეორემ, მესამემ. რომის ყველა ზარები რეკავდა ახლა. პროცესია დასასრის ადგილს მიუახლოვდა. რიბელო ხალხში მირბოდა, ხოლო ზარის გუგუნი თითქოს მას აედევნა, ყრუდ გაისმოდა დრო გამოშვებით. ბრუნოს უკანასკნელი სასიცოცხლო წამები ითვლებოდა.

ქუჩა დაიცალა. რიბელომ რაღაც ჭიშკარი დაინახა, რომლითაც ქალაქიდან გასვლა შეიძლებოდა.

მან ჩქარა გასწია ამ გზით, მაგრამ თითოეული ზარის ხმა მის გულს ეცემოდა. იგი მთისკენ მიდიოდა და გაქცევა ძნელი იყო.

რიბელოს სუნთქვა შეუჩერდა, ის შეჩერდა ერთი წუთით. შეტორტმანდა და უკან მიიხედა.

შეჩერდა და ადგილზე გაიყინა. რადგან მას უცებ ფეხები დაუმძიმდა, და გულის ცემა შეუჩერდა.

ვეებერთელა კვამლის სვეტი ნელ-ნელა იზრდებოდა და ზევით მიდიოდა. თითოეულ ზარის ხმაზე ის თანდათან ზევით მიიწევდა. აი გადააცილა მან წმინდა პეტრეს ტაძარს და ახლა იგი განუყოფლად ბატონობდა რომზე, იგი შუაზე ყოფდა ლურჯ ცას.

— ხანძარი ხომ არ არის რომში? — მოესმა ყურებთან რიბელოს, — ეს რა კვამლია რომში?

რიბელომ ძლივს მოიბრუნა თავი, როგორც ხიზმარში [illegible] მან თავის წინ გაშხდარი, ცოცხალი [illegible] ბერი [illegible] ანაფორაში.

შავი თავსახური ნელევად [illegible] ბერს სახეს. [illegible] ეყრდნობოდა, ეტყობოდა, ძლიერ დაღლილი იყო [illegible] ...ულით..

— იქ ჯორდანო ბრუნოს სწვავენ! — [illegible] ...ა რიბელომ. ბერი ისე შეკ[illegible]თა, რომ თავიდან თავსახ[illegible] ...ა. დაძვრა.

— ჯორდანო ბრუნო! — [illegible] მან ხელები ცისაკენ [illegible] — სწვავენ ჯორდანო ბრუნოს!

რიბელომ უცებ ავგუსტინე [illegible] დაბერებული, [illegible] ...ებული.

ავგუსტინემ მუხლებზე [illegible], [illegible] დაეკეცა.

— გმადლობთ უფალო! — [illegible] მან და თავისი [illegible] ...ხარი ხელები ცისკენ გაიშვირა. — გმადლობთ იმიტომ, [illegible] მოჯსმინე ვედრება ჩემი და აი [illegible] ...ელით... დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა!..

მთელმა მრისხანებამ, რომელიც რიბელოს გულში იყო დასხდგუ-ლებული, უცებ იფეთქა და მისი შეჩერება [illegible] შეეძლო. რიბელომ იძრო ხმალი ვადამდე ჩასცა მკერდში მუხლმოდრეკილ ბერს, ხოლო [illegible] ...ოდესაც იქიდან ხმალი ამოიღო, სისხლმა წყაროსებრივ ამ-ხეთქა და [illegible] ...ფარა ანაფორა. ავგუსტინე დაეცა, სიტყვის ამოღება და ხელების ჩამოწევაც [illegible] ...ერო. ხოლო რიბელო გაიქცა ხმლიწ ქნევით.

როდესაც ბოლოს ის კვლავ შეჩერდა და რომს შეხედა, შავი სვეტი უკვე აღარ მოსჩანდა ქალაქის თავზე.

მხოლოდ მსუბუქი, როგორც ბუმბული, შავი ღრუბელი ნელად ჰქრებოდა ცის კამარაში.

ზარები დაჩუმდნენ, რიბელო ისევ გაიქცა და შეჩერდა.

მთელი ცა ნათელი იყო და ლურჯი. რომი მთების კალთებს მიეფარა და ახლა გარშემო მხოლოდ გაზაფხული ხყო, რიბელოს ტირილი უნდოდა მაგრამ გაზაფხულის ნიავი უშლიდა კულულებს და არ აძლევდა ნაშვალებას მწუხარებისას.

რიბელომ ამოიოხრა, ჩასდო ქარქაშში ხმალი. ჩამოჯდა უძველეს ქვაზე — გზის პირას და დაიწყო ფიქრი თავის მეგობარზე.